ISSN 1512-0597

# ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახ.
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 13-14 2004

# ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახ.
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი

№ 13-14

# D Z I E B A N I

**Journal of the**
**Otar Lordkipanidze**
**Centre for Archaeological Studies**
**Georgian Academy of Sciences**

**Tbilisi** 2004 თბილისი

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
ძ531

მთავარი რედაქტორი: ვ. ჯაფარიძე
Editor-in-Chief: **V. Japaridze**

სარედაქციო საბჭო: ვ. ლიჩელი, ბ. მაისურაძე, ირ. ჯალაღანია,
გ. კვირკველია, გ. ნარიმანიშვილი,
გ. მინდიაშვილი, ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე,
ა. რამიშვილი

Editorial council: **V. Licheli, B. Maisuradze, I. Jalaghania,**
**G. Kvirkvelia, A. Ramishvili, G. Narimanishvili,**
**G. Mindiashvili, A. Chqonia, D. Bakradze**

სარედაქციო კოლეგია: ვ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე),
გ. კვირკველია (მოადგილე),
დ. კაჭარავა (პასუხისმგებელი მდივანი),
ნ. მიწიშვილი, მ. კვაჭაძე, ა. ჭანტურია

Editors of the volume: **V. Japaridze (editor-in-chief),**
**G. Kvirkvelia, D. Kacharava,**
**N. Mitsishvili, M. Kvachadze,**
**A. Chanturia**

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2004

# შინაარსი
# Contents

## ს ტ ა ტ ი ე ბ ი
## A r t i c l e s


**თ. ბუგიანიშვილი.** საქართველოს მეზობელი კავკასიური ქვეყნების ქვედა და შუა პალეოლითის ხანის ძეგლები .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 5

**T. Bugianishvili.** Middle and Lower Palaeolithic Sites on the Territory of Caucasian Countries neighbouring with Georgia (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 10

**ლ. ჭელიძე.** აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს პერიოდების ქვის ინვენტარს შორის მემკვიდრეობითობის საკითხი .. .. .. 11

**L. Chelidze.** On the Problem of the Continuity of Stone Artifacts on the Territory of Georgia in Aeneolithic and Early Bronze Age (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 13

**გ. ფხაკაძე.** ხარის რქისებური სადგარები კავკასიასა და წინა აზიაში .. .. .. .. .. .. .. .. 16

**G. Pkhakadze.** Horn-Shaped Andirons in the Caucasus and the Near East (Summary) .. .. .. .. .. 19

**ა. ორჯონიკიძე.** ქვის ისრისპირები საქართველოდან .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 24

**A. Orjonikidze.** Types of Stone Arrowheads from Georgia (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 36

**ლ. ჭაბაშვილი.** „თეთრი ქვების“ გორასამარხი № 4 .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 62

**L. Tschabaschwili.** Das Hügelgrab "Tetri Kwebi 4" (Zusammenfassung) .. .. .. .. .. .. .. .. .. 64

**ნ. შანშაშვილი.** ობსიდიანის მნიშვნელობა დაკრძალვის რიტუალში .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 68

**N. Shanshashvili.** The Importance of Obsidian in Burial Rites (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. 72

**ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, რ. ხვისტანი.** შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 74

**L. Jibladze, R. Papuashvili, R. Khvistani.** Recent Archaeological Discoveris in the Village of Gagida (Gali District) Dating to the Middle and Beginning of the Late Bronze Age (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 76

**თ. ჭანიშვილი.** მუხათგვერდის სამაროვნის ერთი სამარხის დათარიღებისათვის .. .. .. .. .. 83

**T. Chanishvili.** Towards the Dating of One Burial from Mukhatgverdi Necropolis (Summary) .. 85

**ნ. სულავა.** კავკასიის ფიბულების შესახე, .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 91

**N. Sulava.** Apropos Caucasian Fibulae (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 99

**ნ. კალანდაძე.** ადრერკინის ხანის კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის 111

**N. Kalandadze.** Towards the Study of the Colchian Engraved Buckles of the Early Iron Age (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 115

**ი. გაგოშიძე.** პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 118

**I. Gagoshidze.** The Iberian Horseman of the First Century (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 138

**მ. საგინაშვილი.** კიდევ ერთხელ კვირისტავის ფორმის მინის საკინძისთავების შესახე, .. . 143

**M. Saginashvili.** Once more about Whorl-shaped Pinheads (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. 145

**მ. ხალვაში, ე. კახიძე.** აფსაროსი ახ.წ. IV-V საუკუნეებში .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 147

**M. Khalvashi, E. Kakhidze.** Apsaros in the 4th-5th Centuries (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. 149

**თ. თოდუა.** ახ.წ. IV-V სს-ის ბერძნულწარწერიანი სტელა სოხუმიდან .. .. .. .. .. .. .. .. 151

**T. Todua.** Stele bearing a Greek Inscription from Sukhumi (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. 154

**თ. ჩიქოვანი.** ხარო – მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 155

**T. Chikovani.** Kharo – a subterranean Granary (Summary) .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 158

## ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს   ი ს ტ ო რ ი ა
## History of Archaeology

**მ. მუმლაძე.** ლეჩხუმის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან .. .. .. .. .. .. .. 160
**M. Mumladze.** On the History of archaeological investigations at Lechkhumi .. .. .. .. .. .. 160
**ლ. ყაზახიშვილი.** V არქეოლოგიური ყრილობა (მასალები) .. .. .. .. .. .. .. .. 165
**L. Qazakhishvili.** 5th Archaeological Congress .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 165

## ქ რ ო ნ ი კ ა
## C H R O N I C L E

**ი. ჯალაღანია, ხ. ჯორბენაძე, ა. ჭყონია.** არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2003 წელს .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 170
**I. Jalaghania, Kh. Jorbenadze, A. Chqonia.** The Centre for Archaeological Studies in 2003 .. 170
**თ. კობახიძე.** არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2003 წელს .. 179
**T. Kobakhidze.** The Library of the Centre for Archaeological Studies in 2003 .. .. .. .. .. 179
**გ. მინდიაშვილი.** 2003 წლის საველე სამუშაოები .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 180
**G. Mindiashvili.** Field Work in 2003 .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 181

შემოკლებათა სია .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 183
**Abbreviations** .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 183

**თამაზ ბუგიანიშვილი**

# საქართველოს მეზობელი კავკასიური ქვეყნების ქვედა და შუა პალეოლითის ხანის ძეგლები

წინამდებარე ნაშრომში ძალიან მოკლედაა დახასიათებული საქართველოს მეზობელი კავკასიური ქვეყნების ტერიტორიებზე სადღეისოდ ცნობილი ქვედა და შუა პალეოლითის ხანის ძეგლების ძირითადი მონაცემები. მასში აღნიშნულია ძეგლების აღმოჩენის წლები, თუ ვინ და როდის გამოავლინა და შეისწავლა ისინი, მითითებულია მათი ადგილმდებარეობა და რა ტიპისაა ძეგლი – მღვიმე, ეხი, „ღია“ ადგილსამყოფელი; ერთფენიანია თუ მრავალფენიანი; მრავალფენიანების რომელ შრეებშია დადგენილი ქვედა და შუა პალეოლითის ხანის ინდუსტრიები და დასახელებულია მათ ფაციესი და თარიღი.

ქვედა და შუა პალეოლითის ანუ აშელისა და მუსტიეს ხანის ძეგლები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მეზობელი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილო კავკასიის რეგიონებში და სამხრეთ კავკასიაშიც ანუ ამიერკავკასიაში, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში. ისინი განლაგებულია დიდი კავკასიონის ფერდობებსა და მთისწინეთში, მცირე კავკასიონზე და სომხეთის ვულკანურ ზეგანზე.

ჩრდილო კავკასიაში აშელის ხანის ძეგლები წარმოდგენილია შავი ზღვის სანაპიროდან (კადოშის კონცხი) დასავლეთით, ვიდრე მდ. თერგის ხეობის ხუტორ პოპოვ I-მდე აღმოსავლეთით. აქ ცნობილი პუნქტებიდან უმეტესობა მდებარეობს სოჭის შავიზღვისპირეთში და ყუბანში კრასნოდარის მხარეში, მდ. ბელაიას აუზში. ძეგლთაგან მხოლოდ ერთი – „ტრეუგოლნაია“ – არის მღვიმე, სხვები ქვის ნივთების ზედაპირული განფენილობის „ღია“ ადგილსამყოფელებია.

მღვიმე „ტრეუგოლნაია“ მდებარეობს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ურუპის რაიონის სტანიცა პრედგორნაიასთან, მდ. ურუპისა და მისი შენაკადის მდ. კუვის შუამდინარეთში, პლატო ბარანიხაზე. მღვიმე 1986 წელს აღმოაჩინა ლ. ვ. გოლოვანოვამ, ხოლო არქეოლოგიურად შეისწავლა ვ. ბ. დორონიჩევმა. მღვიმე აშელში სადგომ-სახელოსნო ყოფილა. მასში შურფირებით მოპოვებულია კირქვისა და კაჟის ნუკლეუსები, წარმოების ნარჩენები, ჩოპერები, უხეში საჩეხი და საჭრელი იარაღები, ნანადირევ ცხოველთა და ფრინველთა ძვლები და მცენარეული ნაშთები. ქვის ინდუსტრიის სავარაუდო თარიღია აშელის ხანა [9, გვ. 102-134; 19, გვ. 116-135].

გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი ყუბანის კრასნოდარის მხარის „ღია“ ადგილსამყოფლები, მათ შორის გამოიყოფა შუა ხაჯოხის, აბაძეხსკაიას და აბინსკაიას აშელური თავისებური ლოკალური ინდუსტრიების ძეგლთა ჯგუფები.

შუა ხაჯოხის ჯგუფი შედგება დროში და გენეტიკურად დაკავშირებული სამი შუა ხაჯოხის სტრატიფიცირებული, შახანსკაიას და მთა შახანის „ღია“ ადგილსამყოფელებისაგან. შუა ხაჯოხი და შახანსკაია სადგომებია, ხოლო მთა შახანის ადგილსამყოფელი – სახელოსნო.

შუა ხაჯოხის სტრატიფიცირებული „ღია“ სადგომი უძრავი კულტურული ფენით 1965 წელს აღმოაჩინა პ. უ. აუტლევმა, ხოლო 1982 წელს გათხარა და შეისწავლა ლ. ვ. გოლოვანოვამ. ძეგლი მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარეში, ადიღეს ავტონომიური ოლქის მაიკოპის რაიონში, მდ. ბელაიას მარჯვენა შენაკადის მდ. შუა ხაჯოხის შუა ხეობაში, მასთან მდ. ფილიპოვკას შესართავთან, ფერდობზე გაფორმებულ პლეისტოცენურ ტერასაზე. აქ აღმოჩნდა კერის ნაშთი და კაჟის ნივთები: ნუკლეუსები, ანატკეცები, ლამელები, წარმოების ნარჩენები, ხელნაჯახები, სატეხ-სათლელები, საჭრისები, ბოლოსაფხეკები, ცოტა ამოზნექილ სამუშაო პირიანი სახოკები, ნატურალურ და წახნაგოვან ყუიანი დაკბილული იარაღები და სხვ. ინდუსტრია გვიანი აშელის ხანით თარიღდება [3, გვ. 107; 4, გვ. 116-117; 5, გვ. 114-115; 6, გვ. 213-219; 7, გვ. 5-12].

შახანის „ღია“ სადგომი მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარეში, ადიღეს ავტონომიური ოლქის მაიკოპის რაიონში, მდ. ბელაიას მარჯვენა შენაკადის მდ. შუა ხაჯოხის შუა ხეობაში, შუახაჯოხის სადგომის მახლობლად, გვიან პლეისტოცენურ ტერასაზე. შახანის სადგომი 1982 წელს გამოავლინა ლ. ვ. გოლოვანოვამ. შეისწავლეს მან და პ. რ. აუტლევმა. სადგომის ქვის ინდუსტრია შუახაჯოხის ძეგლის ანალოგიურია და გვიანი აშელის ხანით თარიღდება [7, გვ. 5-12; 22, გვ. 168-180].

მთა შახანის „ღია“ სახელოსნო მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარეში, ადიღეს ავტონომიური ოლქის მაიკოპის რაიონში, მდ. ბელაიას მარჯვენა შენაკადის მდ. შუა ხაჯოხის შუა ხეობაში, შახანის სადგომის მახლობლად, შახანის მთის ქვედა პლეისტოცენურ ტერასაზე. სახელოსნო 1982 წელს გამოავლინა და შეისწავლა ლ. ვ. გოლოვანოვამ. მისი ინვენტარი მსგავსია შუა ხაჯოხისა და შახანის სადგომების ინდუსტრიისა და ასევე გვიანი აშელის ხანით თარიღდება [7, გვ. 5-12; 22, გვ. 168-180].

შუა ხაჯოხისა და შახანის სადგომები და მთა შახანის სახელოსნო შეადგენენ დროში და გენეტიკურად დაკავშირებული გვიანი აშელის თავისებური ლოკალური ინდუსტრიების ერთიან ჯგუფს [7, გვ. 12].

აბაძეხსკაიას „ღია" სადგომ-სახელოსნო მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარეში, ადიღეს მაიკოპის რაიონში, სტანიცა აბაძეხსკაიასთან, მდ. ბელაიას შუა დინების ხეობის მარჯვენა ნაპირზე და უკავშირდება ადრეულ ზედაპლეისტოცენურ ტერასაზე გადმოლექილ გამოზიდვის კონუსს. ძეგლი 1958 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა პ. უ. აუტლევმა. აქ შეგროვდა 2000 კაჟის ნივთი: ნუკლეუსები, ანატკეცები, წარმოების ნარჩენები და სხვადასხვა ტიპის იარაღები. ქვის პირველად დამუშავებაში ანუ გაპობა-ატკეცაში გამოყენებულია პროტოპრიზმული და ლევალუაური ტექნიკა, ხოლო იარაღის გასაფორმებლად ნაირგვარი რეტუში და კლექტონური ანკოშები. ძეგლის თავისებურებას წარმოადგენს სპეციფიკური ფორმების უნიფასების, ნისკარტისებური იარაღებისა და ყუიანი სახოკების არსებობა და ხელნაჯახებისა და ჩოპერ-ჩოპინგების მოჭარბება. აბაძეხსკაიას კაჟის ინდუსტრია ყველა თავისი მონაცემების მიხედვით გვიანი აშელის ხანით თარიღდება [2, გვ. 16-93].

ფორტეპიანკას მცირე მასალიანი „ღია" ადგილსამყოფელი მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარეში, ქ. მაიკოპის მახლობლად, მდ. ყუბანის შენაკადის მდ. ფორტეპიანკას ხეობაში, შესართავთან. იგი 1936 წელს გამოვლინდა და შეისწავლეს ს. ნ. ზამიატნინმა და ა. ა. ფორმოზოვმა. ქვის მასალა მსგავსია აბაძეხსკაიას ინდუსტრიისა და გვიანი აშელის ხანით თარიღდება [7, გვ. 12-17; 11, გვ. 135].

კურჯიპსი, მცირემასალიანი „ღია" ადგილსამყოფელი, მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარეში, ქ. მაიკოპის დასავლეთით, მდ. კურჯიპსის ხეობაში. იგი აღმოჩნდა 1950 წელს. შეისწავლა ა. ა. ფორმოზოვმა. ქვის ნივთები შეგროვდა მდინარის კალაპოტში. ისინი მსგავსებას პოულობენ აბაძეხსკაიას და ფორტეპიანკას მასალებში და ასევე გვიანი აშელის ხანით თარიღდებიან [7, გვ. 12-17; 25, გვ. 31-41].

აბაძეხსაკიას, ფორტეპიანკას და კურჯიპსის ადგილსამყოფლები, თავისი ქვის მასალის ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებისა და დამახასიათებელი სპეციფიკური მონაცემების გათვალისწინებით, გამოიყოფა გვიანი აშელის ინდუსტრიების ლოკალურ ჯგუფად [7, გვ. 17].

აბინსკის „ღია" ადგილსამყოფელი მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარის აბინსკისა და კრიმსკის რაიონების საზღვარზე, მდ. ბელაიას შუა ხეობაში, მდ. ყუბანის მარცხენა ნაპირზე, ადრეულ შუაპლეისტოცენურ ტერასაზე. იგი 1978 წელს გამოავლინა და წინასწარულად შეისწავლა პ. უ. აუტლევმა. აქ შეგროვებულ ქვედაპალეოლითურ ქვის ნივთებში წარმოდგენილია ერთფუძიანი ნუკლეუსები, არალევალუაური ანატკეცები და სხვადასხვა იარაღები. დამახასიათებელია ჩოპერ-ჩოპინგების, ხელნაჯახების და ქერცლისებური საფეხუროვანი რეტუშით დამუშავებული სახოკების სიმრავლე. ინდუსტრია გვიანი აშელის ხანით თარიღდება [7, გვ. 17-18; 19, გვ. 8-165].

ადაგუმის „ღია" ადგილსამყოფელი მდებარეობს აბინსკის მახლობლად, მდ. ბელაიას შუა ხეობაში. აქ სულ ოცამდე ქვის ნივთია ნაპოვნი, რომლებიც ანალოგიურია აბინსკის ინდუსტრიის ნივთებისა. ძეგლი 1978 წელს აღმოაჩინა პ. უ. აუტლევმა და დაათარიღა გვიანი აშელის ხანით [7, გვ. 19].

ხაბლსკოეს „ღია" ადგილსამყოფელი 1978 წელს გამოავლინა პ. უ. აუტლევმა. იგი მდებარეობს აბინსკისა და ადაგუმის მახლობლად, მდ. ბელაიას შუა ხეობაში. აქ ნაპოვნია ზემოხსენებული ორი ძეგლის ანალოგიური ოთხიოდე ნივთი და მათ შორის ერთი ხელნაჯახი [7, გვ. 19].

აღნიშნული სამი „ღია" ადგილსამყოფელი მათი აღმომჩენისა და შემსწავლელის მიერ გამოყოფილია ძეგლთა ცალკე ჯგუფად და გვიანი აშელის ხანის დასასრულით თარიღდება [7, გვ. 17-19].

ქვედა პალეოლითური „ღია" ადგილსამყოფელი „პოპოვ I" მდებარეობს ჩრდილო ოსეთში, ქ. ვლადიკავკაზის სამხრეთ-დასავლეთით, ხუტორ პოპოვთან, მდ. თერგისა და მდ. ჩერნაიას წყალგამყოფის დაბალი ბორცვის ძირში. იგი 1954 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა ვ. პ. ლიუბინმა. აქ შეგროვდა კაჟის, ანდეზიტისა და სხვა ქანების ნუკლეუსები, ანატკეცები და ერთი კუთხის სახოკი და ერთიც შუბისპირისებური ხელნაჯახი. ინდუსტრია ყველა თავისი ნიშნით აშელის ხანის დასასრულით თარიღდება [16, გვ. 29-36].

აშელის ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული კავკასიის სამხრეთ ანუ ამიერკავკასიის ქვეყნებში.

აზერბაიჯანში აშელის ხანის ნაშთები წარმოდგენილია აზიხის მღვიმეში და შიხლის რაიონის „ღია" ძეგლებზე.

მღვიმე აზიხი აღმოჩენილია 1960 წელს და შესწავლილია მ. მ. გუსეინოვის მიერ. იგი მდებაროებს გადრუთის რაიონის სოფ. აზიხთან, მდ. ყურუჩაის ხეობაში. მღვიმე მრავალფენიანია, ზევიდან V და VI კულტურული ფენები აშელის ხანისაა.

ზედა V ფენაში გამოვლენილია კერა, ფაუნის ნაშთები, იმ დროის ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტი კბილების ნატეხებით და მცირე რაოდენობით ქვის მასალა. ქვის ნაწარმისათვის დამახასიათებელია გაპობა-ატკეცის არქაული კლექტონური ტექნიკა. მის შემადგენლობაშია ნუკლეუსები, ანატკეცები, ლევალუაური და ფაცეტირებულ დარტყმის მოედნიანი ლამელები,

წვეტანები, სახოკები, ტიპიური დანები, ყუიანი დაკბილული იარაღები, ჩოპები, ჩოპინგები, ხელნაჯახები და სხვ. ეს ინდუსტრია შუა აშელის ხანით თარიღდება. ამ პერიოდში მღვიმე პირველყოფილი ადამიანის დროებითი თავშესაფარი თუ ბანაკი ყოფილა.

ქვედა VI კულტურული ფენის ინდუსტრიისათვის დამახასიათებელია ქვის გაპობა-ატკეცის საკმაოდ განვითარებული კლექტონური ტექნიკა. ქვის მასალაში არის ხელკვერები, ნუკლეუსები, ანატკეცები და ლამელები, ხოლო იარაღებიდან წარმოდგენილია ხელნაჯახები, ჩოპერები, ჩოპინგები, სახოკები, წვეტანები, დაკბილული იარაღები და სხვ. VI ფენის ქვის ინდუსტრია ადრეული აშელის ხანით თარიღდება. ამ ხანაში მღვიმე სადგომ-სახელოსნო ყოფილა [8, გვ. 29-267; 18, გვ. 11-23; 19, გვ. 11-44].

დასავლეთ აზერბაიჯანის შიხლის რაიონის აშელის ხანა წარმოდგენილია შიშ-გუზეის, გაილის და იუკარი-სალახლის „ღია“ ადგილსამყოფლებით. ისინი 1971 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა მ. მ. მანსუროვმა. შიშ-გუზეის და გაილის კომპლექსები უბიფასო ინდუსტრიებს მიეკუთვნება. მათში წარმოდგენილია ჩოპერები, სახოკები, სახოკ-საფხეკები, ნისკარტისებური იარაღები და სხვ. ამ ადგილსამყოფლებისგან განსხვავებით იუკარი-სალახლისათვის დამახასიათებელია ბიფასებიანი (ხელნაჯახებიანი) ინდუსტრია. სამივე პუნქტის ქვის მასალა გვიანი აშელის ხანით თარიღდება [21, გვ. 5-132; 18, გვ. 64-65].

სომხეთის ტერიტორიაზე ქვედა პალეოლითი წარმოდგენილია მხოლოდ სატანი-დარის, არზნის, ჯრაბერის, ფონტანის, კიონდორასის და ატისის „ღია“ ადგილსამყოფელებით. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია სატანი-დარი და არზნი.

სატანი-დარი მდებარეობს ტალინის რაიონის სოფ. პირმალაკთან, მთა ართინის (ბოგუთლუ) ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობის სატანი-დარის ბორცვზე. ადგილსამყოფელი 1945 წელს გამოავლინა ს. ა. სარდარიანმა, ხოლო შეისწავლეს მან და მ. ზ. პანიჩკინამ. სატანი-დარზე გამოიყოფა ორი ქვედაპალეოლითური კომპლექსი. პირველი, ადრეული კომპლექსის ნივთები ობსიდიანისაა, ქვის გაპობა-ატკეცის ტექნიკა არქაული, კლექტონურია. წამყვანი იარაღია ხელნაჯახი. ინდუსტრია ბიფასებიან კულტურას მიეკუთვნება და შუა აშელის ხანით თარიღდება.

მეორე კომპლექსის ნივთები ობსიდიანისა და დოლერიტული ბაზალტისაა. კლექტონურთან ერთად უკვე გამოიყენება ქვის გაპობა-ატკეცის ლევალუაური ტექნიკაც. წამყვანი იარაღი აქაც ხელნაჯახია. ინდუსტრია ბიფასებიანს მიეკუთვნება და გვიანი აშელის ხანით თარიღდება [23, გვ. 23-80; 24, გვ. 43-100].

არზნი მდებარეობს კოტაიკის რაიონში, კურორტ არზნის მახლობლად, მდ. რაზდანის შუა ხეობაში, ართინის (ბოგუთლუ) მთასთან. ადგილსამყოფელი 1933 წელს გამოავლინა ა. პ. დემეხინმა, ხოლო შეისწავლეს მ. ზ. პანიჩკინამ და ს. ა. სარდარიანმა. ძეგლის ინდუსტრია ადგილობრივი ობსიდიანისაა. მისთვის დამახასიათებელია ქვის გაპობა-ატკეცის კლექტონური და ლევალუაური ტექნიკა. არზნის ქვის მასალა მრავალბიფასიან ინდუსტრიას მიეკუთვნება და გვიანი აშელის ხანით თარიღდება [23, გვ. 23-80; 24, გვ. 43-100].

„ღია“ ადგილსამყოფლები ჯრაბერი, ფონტანი და კიონდორასი მდებარეობენ ქ. ერევნის ჩრდილოეთით, ამავე სახელწოდების სოფლებთან, მდ. რაზდანის ხეობაში. ისინი 1958-1959 წლებში გამოავლინა და შეისწავლა ვ. პ. ლიუბინმა. ადგილსამყოფლები ქვის პირველადი დამუშავების სახელოსნოებია. აქ შეგროვებული ხელნაჯახები და სხვა არტეფაქტები გვიანი აშელის ხანით თარიღდება [14, გვ. 59-67; 18, გვ. 57-59].

ატისი I მდებარეობს კოტაიკის პლატოზე, მთა ატისის ფერდობზე. „ღია“ ადგილსამყოფელი 1983 წელს გამოავლინა რ. პ. კაზარიანმა. აქ მოპოვებულია ნუკლეუს-ანატკეცები და 420 ბიფასი. ძეგლზე გამოიყოფა ორი ხელნაჯახებიანი კომპლექსი გვიანი და ფინალური აშელის ხანისა [14, გვ. 59-67; 18, გვ. 61].

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კავკასიის რეგიონში, აშელისაგან განსხვავებით, მუსტიეური ძეგლები გავრცელებულია სოჭის შავიზღვისპირეთსა და ყუბანში და მხოლოდ ერთი „ღია“ ადგილსამყოფელია ცნობილი ჩრდილო ოსეთიდან.

ხოსტინსკაია I მღვიმე. 1936 წელს აღმოაჩინა ს. ნ. ზამიატნინმა. იგი მდებარეობს კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონის სოფ. პერვომაისკთან, მდ. აღმოსავლეთ ხოსტის ხეობაში. მუსტიეურ მასალას შეიცავდა ქვედა მე-7 ფენა. ქვის ინდუსტრია დაკბილულ მუსტიეს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [12, გვ. 98-100; 19, გვ. 76-77].

ხოტინსკაია II მღვიმე. 1936 წელს აღმოაჩინა მ. ზ. პანიჩკინამ. მდებარეობს კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონის სოფ. პერვომაისკთან, მდ. აღმოსავლეთ ხოსტის მარჯვენა სანაპიროზე. მღვიმეში გამოვლენილია მცირე მუსტიეური მასალის შემცველი 2 ფენა. მათი დაკბილული ქვის ინდუსტრია გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [12, გვ. 100; 19, გვ. 77].

ახშტირსკაია, მღვიმე. 1936 წელს აღმოაჩინა მ. ზ. პანიჩკინამ. იგი მდებარეობს კრასნოდარის მხარის მდ. მზიმთის ხეობაში, სოფ. კრასნაია პოლიანას მახლობლად. მასში დადგენილია 5 კულტურული ფენა, რომელთა ქვის ინდუსტრიაც გენეტიკურად ერთიანი ლევალუაური ფაციესის დაკბილულ მუსტიეს მიეკუთვნება. აქვე აღმოჩნდა ადამიანის კბილი და ტერფის სამი ძვალი. ძეგლი გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [12, გვ. 104-177; 19, გვ. 66-74].

ვორონცოვსკაია, მღვიმე. 1940 წელს აღმოაჩინა დ. ა. კრაინოვმა. მდებარეობს კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონში, ალეკის ქედის სამხრეთ დაბოლოებაზე, მდ. აღმოსავლეთი ხოსტის მარჯვენა სანაპიროზე. მღვიმეში წარმოდგენილია დაკბილული ქვის ინდუსტრია, რომელიც გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [19, გვ. 78-82].

ნავალიშენსკაია, მღვიმე. 1936 წელს აღმოაჩინა მ. ზ. პანიჩკინამ. მდებარეობს კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონში სოფ. კრასნოვოლსკთან (ნავალიშინო), ადგილ შიროკი პოკოსში, მდ. კუდეპსტის მარჯვენა სანაპიროზე. შუა პალეოლითის ქვის მასალას შეიცავდა ქვედა II ფენა. ინდუსტრია დაკბილული მუსტიეურია და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [12, გვ. 100-104; 19, გვ. 74-76].

კეპშინსკაია, მღვიმე. 1966 წელს აღმოაჩინა ვ. პ. ლიუბინმა. მდებარეობს კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონის სოფ. კეპშას მახლობლად, მდ. მზიმთის მარჯვენა სანაპიროზე, ახცუს კირქვის მასივის ძირში. მეტად მცირე ქვის მასალას შეიცავდა ქვედა III ფენა. ქვის ინდუსტრია გვიანმუსტიეური დაკბილული, ლევალუაურია [19, გვ. 82-83].

აცინსკაია, მღვიმე. 1940 წელს აღმოაჩინა ა. პ. კრასნოვმა. მდებარეობს კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონში, მდ. აცის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე. მღვიმის მცირერიცხოვანი ქვის ინდუსტრია დაკბილული მუსტიეს ლევალუაურ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [19, გვ. 83-84].

ყუბანში მუსტიეს ხანის ორი „ღია“ ადგილსამყოფელი და სამი მღვიმური ძეგლია ცნობილი. პირველი მუსტიეური „ღია“ ადგილსამყოფელი სადგომი ილსკაიაა, რომელიც ჯერ კიდევ 1898 წელს აღმოაჩინა ბარონმა დე ბაიმ. იგი მდებარეობს კრასნოდარის მხარის სტანიცა ილსკაიასთან, მდ. ილის ხეობის მეორე ტერასაზე. ძეგლზე გამოყოფილია ორი – ზედა და ქვედა კულტურული ფენა. ზედა ფენის კაჟის ინდუსტრიისათვის დამახასიათებელია ქვის დამუშავების ლევალუაური ტექნიკა, ლამელების, ლევალუაური იარაღებისა და ზედაპალეოლითური ფორმების მნიშვნელოვანი რაოდენობა, სახოკები და ორმხრივ დამუშავებული იარაღები. მეორე ფენის მასალა შედგება მცირე რაოდენობით ლევალუაური ნივთების, სხვადასხვანაირი სახოკებისა, საფხეკების, ლიმასებისა და ორმხრივ დამუშავებული იარაღების, წვეტანების, დაფნისფოთლისებური შუბისპირებისაგან და სხვ. მთლიანობაში ილსკაიას სადგომის კაჟის მასალა გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [1, გვ. 8-12; 13, გვ. 204-218].

მეორე „ღია“ ადგილსამყოფელი ხადიჟენსკაია 1962 წელს გამოავლინა ვ. ე. შჩელინსკიმ, ხოლო შეისწავლეს ნ. დ. პრასლოვმა და ვ. მ. მურატოვმა. სადგომი მდებარეობს კრასნოდარის მხარის აფშერონის რაიონის ქ. ხადიჟენსკის მახლობლად, მდ. პშიშის შენაკადის მუტნიანკას ხეობაში, ერთ-ერთ სანაპირო ფერდობზე. აქ შეგროვდა ტიპიური მუსტიეს კაჟის რამდენიმე ათასი ნივთი, რომლებიც გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [22, გვ. 168-180].

ბარაკაევსკაია, მღვიმე. 1961 წელს გამოავლინა პ. უ. აუტლევმა. მღვიმე მდებარეობს ყუბანში, კრასნოდარის მხარის ლაბირინსკის რაიონის სტანიცა ბარაკაევსკაიასთან, მდ. გუბსის ზემო დინების ე. წ. ბორისოვსკის ხეობაში. მასში დადგინდა ორი მუსტიეური კულტურული ფენა. მათი კაჟის ინდუსტრია ტიპიური მიკრომუსტიეს არაფაცეტირებულ, არალევალუაურ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [19, გვ. 84-87].

გუბსკაია (მონაშესკაია), მღვიმე. 1961 წელს აღმოაჩინა პ. უ. აუტლევმა. მღვიმე მდებარეობს კრასნოდარის მხარის მოსტივსკის რაიონში, მდ. გუბსის ბორისოვსკის ხეობაში. მისი კაჟის ინდუსტრია დაფუძნებულია ქვის გაპობა-ატკეცის მუსტიეურ და ზედაპალეოლითურ ტექნიკაზე, ტიპიური მუსტიეს ლამელურ და ფაცეტირებულ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [17, გვ. 144-189].

გუბსკაიას ეხი № 1. 1961 წელს აღმოაჩინა პ. უ. აუტლევმა. ეხი მდებარეობს კრასნოდარის მხარის მოსტოვკის რაიონში, მდ. გუბსის ბორისოვსკის ხეობაში. მასში გამოვლენილია ორი კულტურული ფენა, რომელთა კაჟის ინდუსტრიაც ქვის გაპობა-ატკეცის მუსტიეს ლამელურ, ფაცეტირებულ ფაციესს მიეკუთვნება. ზედა I ფენა მუსტიეს დასასრულით, ხოლო ქვედა II ფენა გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [17, გვ. 144-189].

ჩრდილო ოსეთის შუაპალეოლითური „ღია“ ადგილსამყოფელი „ლისაია გორა“ 1962 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა ვ. პ. ლიუბინმა. ძეგლი მდებაროებს მდ. თერგისპირა მთა ლისაია გორას ფერდობის ერთ-ერთ შედარებით სწორ მონაკვეთზე. აქ შეგროვდა ქვის დაკბილული და ამოღარული იარაღები, ანატკეცები, ლამელების დანაწევრების საშუალებით მიღებულ ფრაგმენტებზე გაფორმებული მიკრო იარაღების სერია, ორმხრივადამუშავებული დიდი შუბისპირი, სახოკები, წვეტანები, უხეში საჩეხი იარაღები და სხვ. ინდუსტრია მიეკუთვნება ქვის გაპობა-ატკეცის ლევალუაური ტექნიკის მატარებელი, ლევალუაური ფაციესის დაკბილულ გვიან მუსტიეს [15, გვ. 27-35].

ამიერკავკასიის მუსტიეურ კულტურაში გამოიყოფა მისი ადრეული, შუა, გვიანი და ფინალური საფეხურის ძეგლები.

აზერბაიჯანში მუსტიეს ხანა წარმოდგენილია ქვეყნის დასავლეთი მხარის ძეგლებით, გადრუთის რაიონის აზიხისა და თაღლარის მღვიმეებით, ყაზახის რაიონის დაშსალახლის მღვიმით და დამჯილის ეხით და სოფ. შიხლას „ღია“ ადგილსამყოფლების ჯგუფით.

მღვიმე აზიხის მრავალფენიან დანალექთაგან მუსტიეს ხანისა ზევიდან III კულტურული ფენაა, რომელიც სამი ჰორიზონტისაგან შედგება. ზედა I და II ჰორიზონტების კაჟის მასალა ცალკეული ბიფასების შემცველი ტიპიური მუსტიეს ლევალუაურ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება. ფენის ქვედა მე-3 ჰორიზონტის კაჟის ინდუსტრია ადრეული მუსტიეს ხანისაა [8, გვ. 29-193; 19, გვ. 11-23; 29, გვ. 11-44].

მღვიმე თაღლარი მდებარეობს ყარაბახის ქედის ძირში, მდ. ყურუჩაის ხეობაში, გადრუთის რაიონში. იგი 1960 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა მ. მ. გუსეინოვმა. მუსტიეს ხანისაა მღვიმის ხუთი (ზევიდან II-VI) ფენა. მათი ქვის მასალა გენეტიკურადაა დაკავშირებული და ამჟღავნებს დროში განვითარების აშკარა ნიშნებს, ინდუსტრია ტიპიური მუსტიეს ლევალუაურ, ლამელარულ, ფაცეტირებულ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [8, გვ. 193-198; 19, გვ. 62-64].

ეხი დამჯილი მდებარეობს ყაზახის რაიონში, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის საზღვარზე, სოფ. შიხლის მიდამოში. ეხი 1953 წელს გამოავლინა ს. ნ. ზამიატნინმა. მასში მოპოვებულია სულ 20 ნივთი. იარაღში ძირითადად წარმოდგენილია სახოკები და წვეტანები, ორი დისკოსებური ნუკლეუსი და გლუვ დარტყმის მოედნიანი ანატკეცები, ისინი ტიპიურ მუსტიეს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [8, გვ. 204-206].

მღვიმე დაშსალახლი მდებარეობს ყაზახის ადმინისტრაციული რაიონის სოფ. დაშსალახლის მახლობლად, ავეიდაღის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე. იგი 1958 წელს აღმოაჩინა, გათხარა და შეისწავლა მ. მ. გუსეინოვმა. მღვიმის დანალექთა სიმძლავრე 1,5 მ-ია. მასში გამოვლენილი ქვის ინდუსტრია ტიპიური მუსტიეს ლევალუაური, ლამელარული, ფაცეტირებული ფაციესისაა და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [8, გვ. 198-204; 19, გვ. 64].

ყაზახის რაიონში შიხლის ჯგუფის „ღია“ ადგილსამყოფლები: ჩახმაკლი, გადირ-დერე, კიოჩასკარი, გილიკი, გაიალი და იუკარისალახლი 1971 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა მ. მ. მანსუროვმა. ამ ადგილსამყოფლების კაჟის ინდუსტრიები დაკბილული მუსტიეს ლევალუაურ და არალევალუაურ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [21, გვ. 5-132].

სომხეთის ვულკანურ ზეგანზე მუსტიეური კულტურა წარმოდგენილია არზნისა და სატანი-დარის „ღია“ ადგილსამყოფლებითა და „ერევნისა“ ლა „ლუსაკერტ I“-ის მღვიმური ძეგლებით, არზნისა და სატანი-დარის „ღია“ ადგილსამყოფლების ობსიდიანის კომპლექსები აშელური ტრადიციის ბიფასებიან მუსტიეს მიეკუთვნება და ამ ეპოქის ადრეული და განვითარებული ანუ შუა მუსტიეს ხანით თარიღდება [23, გვ. 80-89; 24, გვ. 105-123].

მღვიმე „ერევანსკაია“ მდებარეობს მდ. რაზდანის ნაპირზე ქ. ერევნის საზღვრებში. მღვიმე მრავალფენიანია, ყველა ფენა შეიცავს მუსტიეურ ნაშთებს. იგი 1966 წელს აღმოაჩინა გ. ა. აზიზიანმა. 1967-1968 წლებში მიკვლეული ობსიდიანის ინდუსტრია ტიპიური მუსტიეს არალევალუაურ, არაფაცეტირებულ ფაციესს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება [10, გვ. 32-36; 19, გვ. 64-65].

მღვიმე „ლუსაკერტი I “ მდებარეობს მდ. რაზდანის კანიონში ქ. ერევნის ჩრდილოეთით. იგი 1970 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა ბ. გ. ერიციანმა. მღვიმის სამ კულტურულ ფენაში წარმოდგენილია მუსტიეური ინდუსტრიების განსხვავებული ვარიანტები. ზედა B ფენის კომპლექსი ლევალუაური, ლამელარული, ფაცეტირებული მუსტიეა, მეორე C ფენის I ჰორიზონტში წარმოდგენილია ლევალუაური, ლამელარული, ფაცეტირებული, II ქვედა ჰორიზონტში კი ლევალუაური, არაფაცეტირებული ტეიაკურ-დაკბილული მუსტიე, ხოლო ქვედა D ფენაში არზნის ტიპის აშელური ტრადიციის მუსტიე, რომელიც ამ ეპოქის შუა ხანებით თარიღდება [19, გვ. 65-66].

ასეთია სადღეისოდ საქართველოს მეზობელი კავკასიური ქვეყნების აშელისა და მუსტიეს ხანის ძირითადი ძეგლების ნუსხა და მოკლე დახასიათება. ნაშრომის მიზანია ერთგვარი ცნობარის მაგივრობა გაუწიოს ქართველ სტუდენტებს, ასპირანტებს და ქვის ხანის სპეციალისტ არქეოლოგებს, აგრეთვე სხვა, მათ გაცნობის მსურველ, ფართო პროფილის დაინტერესებულ მკითხველს.

## ლიტერატურა


1. Анисюткин Н. К. Два комплекса Ильской стоянки. – СА, 2, 1968, с. 8-12.

2. Аутлев П. У. Абадзехская нижнепалеолитичская стоянка. Майкоп, 1963.

3. Аутлев П. У., Голованова Л. В. Новая ашельская стоянка на Северном Кавказе. – АО, 1983 (1985), с. 107.

4. Голованова Л. В. Среднехаджохское ашельское поселение. – АО, 1982 (1984), с. 116-117.

5. Голованова Л. В. Исследование позднеашельского поселения  Средний Хаджох. – АО, 1983 (1985), с. 114-115.

6. Голованова Л. В. Среднехаджохское позднеашельское поселение. – СА, 4, 1985, с. 213-221.

7. Голованова Л. В. Ашельские памятники Северного Кавказа. Автореферат диссертации

на соискание ученой степени кандидата исторических наук. Ленинград, 1986.

8. Гуссейнов М. М. Древний палеолит Азербайджана. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Баку, 1984.

9. Дороничев В. Б. Раннеашельская стоянка в Треугольной пещере. – Вопросы археологии Адыгеи. Майкоп, 1992, с. 102-104.

10. Ерицян Б. Г., Семенов С. А. Новая нижнепалеолитическая пещера "Ереван". – КСИА, 126, 1971, с. 32-36.

11. Замятнин С. Н. Изучение палеолитического периода на Кавказе за 1936-1948 гг. – Материалы по четвертичному периоду СССР, вып. 2, М.-Л., 1950, с. 135.

12. Замятнин С. Н. Очерки по палеолиту. М.-Л., 1960.

13. Замятнин С. Н. Итоги последних исследований Ильского палеолитического местонахождения. – Труды II международной конференции Ассоциации по изучению четвертичного периода Европы, вып. V, Москва-Ленинград-Новосибирск, 1934, с. 204-218.

14. Любин В. П. Верхнеашельская мастерская Джрабер. – КСИА, 82, 1961, с. 59-67.

15. Любин В. П. Палеолит Северной Осетии. – Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. 2, Орджоникидзе, 1969, с. 27-35.

16. Любин В. П. Новое о нижнем палеолите Северной Осетии. – КСИА, 92, 1989, с. 26-36.

17. Любин В. П. Мустьерская культура Кавказа. Ленинград, 1977.

18. Любин В. П. Ранний палеолит Кавказа. – Палеолит СССР. Москва, 1984, с. 61.

19. Любин В. П. Палеолит Кавказа и Северной Азии. Ленинград, 1989.

20. Любин В. П. Ашельская эпоха Кавказа. СПб., 1998.

21. Мансуров М. М. Нижний палеолит Западного Азербайджана. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Баку-Ленинград, 1977.

22. Муратов В. М. Палеогеографические условия палеолитических стоянок Северного Кавказа. – Природа и развитие первобытного общества на территории Европейской части СССР. Москва, 1969, с. 168-180.

23. Паничкина М. З. Палеолит Армении. Ленинград, 1977.

24. Сардарян С. А. Палеолит в Армении. Ереван, 1954.

25. Формозов А. А. Нижнепалеолитические местонахождения Прикубанья. – КСИИМК, 46, 1952, с. 31-41.

**T. Bugianishvili**

## MIDDLE AND LOWER PALAEOLITHIC SITES ON THE TERRITORY OF CAUCASIAN COUNTRIES NEIGHBOURING WITH GEORGIA

(Summary)

The present paper is a brief digest of basic archaeological data coming from the Acheulean and Moustierian sites discovered to date on the territory of neighboring Caucasian countries: North Caucasian regions of Russia – Sochi district of the Black Sea littoral, Koban, North Ossetia and Transcaucasian republics of Azerbaijan and Armenia.

The paper provides the following information: dates of discovery of the sites, who was the first to discover and study them, their situation and types: caves, grottos or open stations; are they mono- or multilayered, which of the cultural layers revealed Acheulean and Moustierian industries, as well as data about the facial treatment of the items and their chronology.

The paper is a kind of auxiliary guide for Georgian undergraduate and postgraduate students, as well as for broader audience interested in the above problems.

ლიდა ჭელიძე

# ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲔᲜᲔᲝᲚᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲠᲔᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრესამიწათმოქმედო პერიოდში ორგვარი კულტურული ტრადიციის მატარებელი ტომები ცხოვრობდნენ. ამასთან, ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში მაინც, ისინი თანაარსებობდნენ. ამათგან ერთ-ერთი შომუ-თეფეს კულტურაა, რომელიც ქვემო ქართლის ნამოსახლარებზე ერთიანია. მისი ლოკალური ვარიანტი დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორეს, „სიონის ტიპის“ კულტურულ ერთობას, სავარაუდოდ, მისი გავრცელების ტერიტორია უფრო ფართოა (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი) და, მასალებით თუ ვიმსჯელებთ, მას რამდენიმე ლოკალური ვარიანტი აქვს.

ორივე კულტურის ნამოსახლარების მასალების ანალიზის შედეგად (კერამიკა, ქვის და ძვლის სამუშაო იარაღები) ნათელი ხდება, რომ მათ ბევრი საერთო თვისება აქვთ. ეს მოწმობს ამ ნამოსახლარების მაცხოვრებლების მჭიდრო კონტაქტებზე და მათ კულტურულ ურთიერთგავლენაზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა შულავერი-შომუ-თეფეს კულტურის ნამოსახლარების, წოფისა და კახეთის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების მასალებში.

წოფისა და არუხლო I-ის ქვის ინვენტარი მსგავსია ნამზადების ტიპების (საშუალო და მსხვილი ლამელები, წვრილი და საშუალო ანატკეცები), იარაღების ტიპოლოგიური რიგის, იარაღების მეორადი დამუშავების ხასიათისა და მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. სწორედ ეს გახდა საფუძველი წოფის ნამოსახლარის შულავერი-შომუ-თეფეს კულტურისთვის მიკუთვნებისა [10, გვ. 77; 7, გვ. 53].

კახეთის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების მასალა [6] მსგავსებას ამჟღავნებს შულავერი-შომუ-თეფეს კულტურის ნამოსახლარებთან მრავალი ელემენტის მიხედვით, როგორც კერამიკულ წარმოებაში, ასევე ქვისაში. ეს არის ჭურჭელი სწორი კედლებით და ოდნავ პირგადაშლილი ან პირმოყრილი, ეს არის, აგრეთვე, ჭურჭელი გირჩისებური და კონუსისებური მინაძერწებით, ჭურჭელი პირთან ჰორიზონტალური შვერილებით, ძირები დაბალი სადგარით და ჭილობების ანაბეჭდებით, ბრტყელი ძირები სადგარის გარეშე, ე.წ. თხუპნია კერამიკა და სხვ.

ქვის ინვენტარში შულავერი-შომუ-თეფეს კულტურასთან გარკვეულწილად მსგავს ნიშან-თვისებებს წარმოადგენს: იარაღების მეორადი დამუშავების ტექნიკა (წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშის სიჭარბე), ნამზადების სახით დიდი რაოდენობით საშუალო და მსხვილი ლამელების გამოყენება (ჭარბად არსებული მსხვილი ანატკეცების გარდა, რაც შულავერი-შომუ-თეფესთვის დამახასიათებელი არ არის), რეტუშირებული ლამელებისა და ანატკეცების დიდი რაოდენობა, აგრეთვე ამოღარული ნაკეთობებისა და ბოლოჩამოთლილ ნაკეთობათა დიდი რაოდენობა, ასევე, წვეტანები ასიმეტრიული სამუშაო ბოლოთი, კომბინირებული იარაღები, გაპრიალებული სატეხებისა და ხელეჩოების დიდი რაოდენობა, შომუ-თეფეს ტიპის ნამგლისებური ჩასართების არსებობა და სხვ.

მეორეს მხრივ, გვიანდელ ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე (ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევარი) ჩნდება კერამიკა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება შემდგომ ადრებრინჯაოს პერიოდში. ლაპარაკია მსხვილ ჭურჭელზე ძაბრისებრი ყელით, ჯამებზე ბრტყელი ძირითა და ფართო პირით, ტაფისებურ ჭურჭელზე პირქვეშ გამჭოლი ნახვრეტებით, ჯამებზე და ქოთნებზე პირთან ჰორიზონტალური შვერილებით, ჭურჭელზე კონუსისებური მინაძერწებით, ორნამენტზე ამოღარული ბადის სახით, თხუპნია კერამიკაზე და სხვ. [5; 8; 11; 4].

ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის ძეგლების ქვის ინვენტარშიც, გარკვეულწილად, მემკვიდრეობითობა შეინიშნება.[1]

ადრებრინჯაოს პერიოდის ქვის ინვენტარი არ გამოირჩევა იარაღის ტიპების ისეთივე მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით, როგორც ამას ადგილი აქვს ენეოლითურ ძეგლებზე. მზა იარაღების პროცენტი ანატკეცი ქვის საერთო რაოდენობასთან მკვეთრად მცირდება. წამყვანი იარაღები არაუმეტეს სამი-ოთხი ტიპითაა წარმოდგენილი, იარაღებისთვის ნამზადების სახით ჭარბობს ოთხკუთხედისმაგვარი, სამკუთხედისმაგვარი, ოვალური ფორმის ანატკეცები, ხშირად ლამელისებური და ძალიან იშვიათად გამოიყენება ლამელები, ძირითადად არასწორი ფორმისა.

იარაღები, რომლებიც თავისი ტიპისა და დამუშავების ხასიათის მიხედვით ენეოლითურის გაგრძელებას წარმოადგენს, წარმოდგენილია, უპირველეს ყოვლისა, საფხეკების ზოგიერთი სახეობით, მათგან უმრავლესობა გვერდულა საფხეკებია, მაგრამ ბოლოკიდურა ფორმებიც არსებობს (ტაბ. $I_1$, ტაბ. $II_{1,7,13}$). იარაღების ძველ

[1] მოცემული ნაშრომი მიზნად არ ისახავს აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კონკრეტულ ნამოსახლარებზე ქვის ინდუსტრიის გამოკვლევას. აქ მოყვანილია ადრებრინჯაოს პერიოდის ქვის ინვენტარის ზოგადი დახასიათება აღნიშნული ტერიტორიის ძეგლებზე.

ფორმებს მიეკუთვნება ამოღარული იარაღები, გაფორმებული წვრილი ან მსხვილი ციცაბო რეტუშით მუცლის ან ზურგის მხრიდან, ან კიდევ, ანატკეცის კიდეზე ღრმა ჩამოთლის ხერხით, რაც კიდის ამოღარულობას ჰქმნის (ტაბ. $II_{10,12}$, ტაბ. $I_{5,7}$). ამდაგვარი იარაღების ფუნქციონალური ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ასეთი იარაღები საფხეკებია. ამასთან, საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშის, დამაბლაგვებელი ან ფხისმიმცემი რეტუშის დადების ხერხი (ტაბ. $I_5$, ტაბ. $II_{12}$) შულავერი-შომუ-თეფეს კულტურის ნამოსახლარების ობსიდიანის ინვენტარისთვისაა დამახასიათებელი. იარაღების ნაცნობ, ტიპს წარმოადგენს, აგრეთვე, სატეხისებური იარაღები ერთი ან ორი სამუშაო პირით (ტაბ. $I_2$, ტაბ. $II_{3,6,11}$). ზოგჯერ ისინი შერწყმულია საფხეკებთან (ტაბ. $I_2$, ტაბ. $II_2$), რაც ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების ინვენტარში ხშირად შეიმჩნევა. სატეხისებური იარაღის სამუშაო პირის გვერდით სასაჭრისე ჩამოთლის არსებობა, აგრეთვე, ცნობილი ხერხია. ანატკეცები კიდეზე წვრილი ან ფართო ფხისმიმცემი რეტუშით (ტაბ. $II_{2,8}$), რომლებიც მჭრელ ან გამშალაშინებელ ფუნქციას ასრულებენ, აგრეთვე, ნაცნობი ფორმებია. დანისებური ლამელები იშვიათად გვხვდება. ერთეულ ეგზემპლარებად არის წარმოდგენილი საჭრისები დამზადებული ანატკეცების ან ლამელების გადანატეხის კუთხეზე (ტაბ. $I_4$). ამ შემთხვევაში საჭრისი საფხეკთანაა შერწყმული. ერთ იარაღზე სხვადასხვა სახის რეტუშის შერწყმის ხერხი, სახელდობრ: წვრილი ან მსხვილი ფხისმიმცემი ან დამბლაგვებელი რეტუში (ტაბ. $I_{5,7}$) – ყველაფერი ეს ენეოლითური ნამოსახლარების ინვენტარისთვის აგრეთვე დამახასიათებელია. ზემოთ ჩამოთვლილი იარაღები, სამწუხაროდ, სერიებს არ იძლევა, თუმცა ისინი იმას მოწმობენ, რომ ენეოლითური და ადრებრინჯაოს პერიოდების ქვის ინვენტარს შორის მემკვიდრეობითობა, მართალია გარკვეულწილად, მაგრამ მაინც არსებობდა.

თუმცა, ადრებრინჯაოს პერიოდში იარაღების ახალი ფორმებიც ჩნდება. ეს არის: ნამგლის ჩასართები და ისრისა და შუბისპირები. ნამგლის ჩასართები ფუნქციონალური თვალსაზრისით პრინციპულად ახალ იარაღებს არ წარმოადგენს, მაგრამ მათი დამზადების ხერხი მკვეთრად განსხვავდება იმისაგან, რომელსაც ადრესამიწათმოქმედო პერიოდში ჰქონდა ადგილი. თუ ადრე ნამგლის ჩასართების სახით გამოიყენებდნენ დაუმუშავებელ ლამელებსა და ანატკეცებს, ანდა დამუშავებულ ანატკეცებს, რომელთაც აქვთ სამუშაო კიდეზე წვრილი ფხისმიმცემი რეტუში, ზოგჯერ კი საწინააღმდეგო კიდეზე მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუში. ადრებრინჯაოს პერიოდში ეს იარაღები დამზადებულია ორმხრივი შემხვედრი ბრტყელი ფართო რეტუშის დახმარებით, აქვთ მართკუთხედისმაგვარი ფორმა, ხოლო განივკვეთში – რომბისებური. ამასთან, არცთუ იშვიათად, მათზე კიდის წვრილი დაკბილულობა ან ტალღოვნისებურება შეიმჩნევა (ტაბ. $I_6$, ტაბ. $II_5$). აგრეთვე გვხვდება ნამგლის ისეთი ჩასართებიც, რომელთაც მხოლოდ სამუშაო პირი აქვთ დამუშავებული ბრტყელი ფართო რეტუშით ცალი მხრიდან (ტაბ. $I_3$, ტაბ. $II_4$). მტკვარ-არაქსის ნამოსახლარებზე ამ იარაღებს ზოგჯერ ასეულობით პოულობდნენ. ჩასართების უდიდესი რაოდენობა ხიზანაანთ-გორის ნამოსახლარზე, რომელთაგან ათეულობით ნამგლის შედგენაა შესაძლებელი, საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ისინი მოსავლის აღების სეზონში იყო დატოვებული, როდესაც მხოლოდ მარცვლეულის მომარაგება კი არ მიმდინარეობდა, არამედ ნამოსახლარზე არსებული პირუტყვის საკვებისაც [2, გვ. 25].

მთელი ზედაპირის ბრტყელი შემხვედრი რეტუშით ორმხრივი დამუშავების მსგავსი ხერხით არის დამზადებული ისრისა და შუბისპირები. აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარებზე ენეოლითურ პერიოდში ნადირობის დროს სარგებლობდნენ, ძირითადად, შურდულით. ისრისპირები ერთეული ეგზემპლარებით არის წარმოდგენილი არუხლო I-დან [9, გვ. 22], იმირის გორიდან [1, გვ. 155], წოფიდან [7, გვ. 52], კვირიასწყალიდან [6, გვ. 31]. შემდგომ პერიოდში ისრისა და შუბისპირები მრავალგვარი ფორმისანი არიან: ყუნწიანი და უყუნწო; სხვადასხვა ფორმის ძირით – სწორი, ოდნავ ჩამოშვებული ფრთებით, ღრმა ამოღარულობით; სამკუთხა მოხაზულობით, ფართო დამოკლებული პროპორციებით ან დაგრძელებული და ვიწრო; გვხვდება კბილანისებურიც. ყუნწებსაც სხვადასხვა ფორმა აქვთ (ტაბ. $I_{8\text{-}14}$, ტაბ. $II_9$).

უნდა აღინიშნოს, რომ შემხვედრი ბრტყელი ფართო რეტუშის ხერხი ზოგიერთ ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარზეც არის დაფიქსირებული. ლაპარაკია ლამელების სერიაზე სიონიდან [3, გვ. 20], დანებზე და ისრისპირებზე კვირიასწყლიდან [6, გვ. 31], გეომეტრიულ მიკროლითებზე არუხლო I-დან [9, გვ. 24], ზემოთ ნახსენე, ისრისპირებზე წოფიდან და იმირის გორადან.

ადრებრინჯაოს პერიოდის ძეგლებზე ქვის ინვენტარის შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვის სამუშაო იარაღებით სარგებლობას სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს აგრძელებდნენ (ნამგლის ჩანართები, მარცვალსასრესები, ქვასანაყები, ქვის თოხები), ქვის სამუშაო იარაღებით სარგებლობდნენ ნადირობის დროს (ისრისა და შუბისპირები), დახოცილი გარეული და შინაური ცხოველების გატყავების დროს (ანატკეცები და ლამელები წამახვილებელი რეტუშით), ცხოველების ტყავის დამუშავების დროს (საფხეკები), ძვლისა და ხის დამუშავების დროს (საჭრისების ერთეული ეგზემპლარები, სახოკები, სატეხისებური იარაღები,

მსხვილი ჩამოთლით ორმხრივად დამუშავებული ქვის ცულები). მაგრამ ქვის იარაღები უკვე გან-საზღვრული რაოდენობით გამოიყენებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტი მოწმობს ქვის, როგორც სამუშაო იარაღების დასამზადებელი მასალის, თანდათანობით შევიწროვებას მეტა-ლის მიერ.

**L. Chelidze**

**ON THE PROBLEM OF THE CONTINUITY OF STONE ARTIFACTS ON THE TERRITORY OF GEORGIA IN AENEOLITHIC AND EARLY BRONZE AGE**
(Summary)

The author's study shows that certain continuity is traceable in the stone artifacts and pottery of the early husbandry and Kuro-Araxes cultures of Eastern Georgia. The following tools and implements survive from the Aeneolithic into the Early Bronze Age: certain types of scrapers, grooved forms, chisel-shaped tools, retouched flakes, triangular arrowheads with a straight base, occasionally knife type plaques, cutters, complex tools. The technique of applying opposite retouch to one tool also points to continuity. At the same time, new shapes of sickle insets, arrow and spear-heads emerge in the Early Bronze Age.

**ლიტერატურა**

1. **კიღურაძე თ.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბ., 1976.

2. **კიკვიძე ი.** ურბნისის ადრეული ხანის ძეგლები. – ძმ, VI, 1966, გვ. 21-25.

3. **მენაბდე მ., კიღურაძე თ.** სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1981.

4. **მირცხულავა გ.** სამშვილდე. თბ., 1975.

5. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

6. **Варазашвили В. В.** Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тб., 1992.

7. **Коробкова Г. Ф., Эсакия К. М.** Обсидиановая индустрия Цопи. – МАГК, VII, 1979, с. 45-60.

8. **Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н.** Древние культуры Южного Кавказа. Л., 1970.

9. **Челидзе Л. М.** Орудия труда энеолитического поселения Арухло I. – МАГК, VII, 1979, с. 19-31.

10. **Челидзе Л. М.** Развитие каменной индустрии в эпоху энеолита на территории Восточной Грузии. – Человек и окружающая его среда. Тб., 1984, с. 67-85.

11. **Чубинишвили Т. К.** К древней истории Южного Кавказа. Тб., 1971.

**ტაბულების აღწერილობა**

I – 1. გვერდულა საფხეკი (სამშვილდე); 2. სატეხისებური იარაღი (სამშვილდე); 3, 6. ნამგლის ჩასართები (სამშვილდე); 4. საჭრისი (სამშვილდე); 5, 7. სახოკები (სამშვილდე); 8-13. ისრისპირები (სამშვილდე); 14. შუბისპირი (სამშვილდე)

II – 1, 7, 13. ბოლოკიდურა საფხეკები (მაშნაარი, ალაზნის ველის № 1 ყორღანი, კაჭრეთი); 2, 8. რეტუშიანი ანატკეცები (შვინდიანი, ალაზნის ველის № 1 ყორღანი); 3, 6, 11. სატეხისებური იარაღები (შვინდიანი, ყორღანი № 1, კაჭრეთი); 4, 5. ნამგლის ჩასართები (აგურხანა); 9. ისრისპირი (ალაზნის ველის № 1 ყორღანი); 10, 12. სახოკები (კაჭრეთი).

**Description of the Plates**

Pl. I – 1. Lateral scraper (Samshvilde); 2. chisel-shaped tool (Samshvilde); 3. 6. sickle insets (Samshvilde); 4. cutter (Samshvilde); 5, 7. scrapers (Samshvilde); 8-13. arrowheads (Samshvilde); 14. spear-head (Samshvilde).

Pl. II – 1, 7, 13 scrapers (Mashnaari, kurgan 1 of the Alazani valley, Kachreti); 2, 8. retouched flakes (Shvindiani, kurgan 1 of the Alazani valley,); 3, 6, 11. chisel-shaped tools (Shvindiani, kurgan 1 of the Alazani valley, Kachreti); 4, 5. sickle insets (Agurkhana); 9. arrowhead (kurgan 1 of the Alazani valley); 10, 12. scrapers (Kachreti).

ტაბ. I



ტაბ. II



## გურანდა ფხაკაძე

# ხარის რქისებური სადგარები კავკასიასა და წინა აზიაში

ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენ სპეციალური კვლევა ჩავატარეთ მტკვარ-არაქსული კერებისა და სადგრების წარმოშობის, დანიშნულებისა და გავრცელების შესახებ, [2, გვ. 15-27]. მივედით იმ დასკვნამდე, რომ მრგვალი ბორდურიანი და მრგვალი შვერილებიანი კერები მტკვარ-არაქსის კულტურის კუთვნილებაა და მის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ ტრადიციებთან და იმ უძველესი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებს ასახავს.

იგივე დაგვიდასტურა ნალისებური სადგრების შესწავლამაც. ანატოლიასა და სირია-პალესტინაში ასეთივე ტიპის კერების და სადგრების კვლევამ დაგვარწმუნა, რომ ყველა ძეგლზე იგი მტკვარ-არაქსის გამოჩენას ემთხვევა; ამან კი, ბუნებრივია, გვაფიქრებინა, რომ ამ პერიოდში საქმე გვაქვს არა მტკვარ-არაქსის გავლენების გავრცელებასთან, არამედ მოსახლეობის მოძრაობა-გადაადგილებასთან კავკასიიდან მცირე და წინა აზიის მიმართულებით [2, გვ. 19].

მაგრამ კავკასიაში მტკვარ-არაქსის ეპოქაში, კერებთან ერთად სადგრების სხვა მრავალი სახეობა გვხვდება. ამათგან ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია ხარის რქებისებური ფორმის სადგრები, რომელიც ყველაზე გავრცელებული და უადრესი ტიპია.

რქისებური სადგარი წარმოადგენს თიხის ბრტყელ, აგურის ფორმის საგანს, რომლის ერთი ბოლო ჩვეულებრივ მომრგვალებულია, ხოლო მოპირდაპირე მხარეს რქისებური შვერილებია დაძერწილი. მომრგვალებულ ბოლოში გამჭოლი ნახვრეტია მოთავსებული. რქისებური სადგრები ბევრია აღმოჩენილი საქართველოში: ხიზანაანთ გორაზე (E ფენა), ზემო ავჭალაში, ზღუდრის გვერდზე, კულუხომზე, ქულბაქებზე და სხვ. ასეთივე სადგრები, მხოლოდ ცოტა განსხვავებული მოყვანილობისა, ცნობილია აზერბაიჯანიდან (ქიულ-თეფე, ბაბა დერვიში). სომხეთში რქისებური სადგრები აღმოჩნდა შრეშ-ბლურში, არევიკში, არიჭში, შენგავითში და სხვ. მაგრამ იქ მაინც მთლიანი ხარის ფიგურა-სადგრები სჭარბობს. ჩრდილო კავკასიის სადგრები უფრო მასიურია და ოთხკუთხა, გვერდზე ნახვრეტით, რქისებური შვერილების მოპირდაპირე მხარეს ნახევარსფერული ყურია დაძერწილი. არის სადგრები, რომელთაც ორ მოპირდაპირე მხარეს რქისებური შვერილები აქვს, ხოლო ყური კი მათ შუაშია მოთავსებული. ამათ ჩრდ. კავკასიის მკვლევარები „რქიან აგურებს" უწოდებენ (დოლინსკოე, ლუგოვოე, სერჟენ-იურტი და სხვ.).

ბ. კუფტინი რქისებურ სადგრებს თავიდანვე ხარის კულტს უკავშირებდა და პარალელად იმოწმებდა კრეტა-მიკენის რქიან სამსხვერპლოებს. ამ მხრივ საყურადღებოა კვიპროსზე მოპოვებულ მიკენურ ვაზაზე გამოსახული წყვილი ხარის თავი, რომელთა შორის ორმაგი ცულია მოთავსებული. იქვეა გამოსახული რქისებური სადგარი, რომლის შვერილებს შორის ორმაგი ცულია მოთავსებული. აქ ცხადად ჩანს, რომ რქისებური სადგარი და ხარის თავები იდენტური მნიშვნელობის მატარებულია და ხაზგასმულია მათი იგივეობა [6, გვ. 82, სურ. 42].

ზემოავჭალაში აღმოჩენილი სადგრის განხილვის დროს ბ. კუფტინმა იგი „დიდი დედის" კულტსაც დაუკავშირა, რქისებურ შვერილებში იგი ხედავდა ქალღმერთის იდაყვში მოხრილ და ზევით, სალოცავად, აღმართულ ხელებს. უფრო მეტიც, ბ. კუფტინი ამ ერთ სადგარში კულტმსახურების მთელ რიტუალს აღადგენდა: „დიდ დედას," მისთვის შეწირულ სამსხვერპლო ხარსა და წმინდა ხეს (მისი აზრით სადგრის ნახვრეტში წმინდა ხის ტოტი – ჩიჩილაკი იდგმებოდა) [7, გვ. 75].

აკად. ნიკო მარი ხარისა და ხის მჭიდრო კავშირს ხედავდა კავკასიის მასალების ანალიზის საფუძველზე. ის წერდა: „სწორედ ხარი გვევლინება წმინდა ცხოველად კავკასიაში და ხის თაყვანისცემასთან ერთად გვხვდება." ნიკო მარს მაგალითად მოყავს „ილორობის" დღესასწაული, სადაც ხისა და ძროხის (მსხვილი რქოსანის მნიშვნელობით) თაყვანისცემა ერთმანეთთანაა შერწყმული. სიტყვა „ილორა" ნიშნავს ძროხას (გურული ფოლკლორი), ხოლო სიტყვა „ელეი" – ნიშნავს ხეს საერთოდ ან მუხას სემიტურად [7, გვ. 76].

ო. ჯაფარიძეს ხარის კულტის ობიექტად ქცევა სრულიად ლოგიკურ მოვლენად მიაჩნია მისი ყოველმხრივი სარგებლიანობის და დიდი პროდუქტიულობის გამო. ხარი იყო ხორცის მომწოდებელი და გამწევი ძალა, როგორც სატრანსპორტო თვალსაზრისით, ისევე, რაც მთავარია, გუთნურ მიწათმოქმედებაში [3, გვ. 80]. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს სომხეთის მთლიანი ხარის ფიგურა-სადგრები, რომელთაც კისერზე ნახვრეტები აქვთ გაკეთებული, როგორც ჩანს იმის ნიშნად, რომ ისინი უღელში იყვნენ შებმული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა არიჭში ნაპოვნი ხარის რქისებური სადგარი, რომელიც ხაზებით, სამკუთხედებით და წერტილებით არის შემკული; ტ. ხაჩატრიანს მიაჩნია, რომ ეს არის სიმბოლურად გამოსახული გუთნის მიერ გატარებული კვლები (სწორი ხაზები), წერტილები შიგ ჩაყრილი მარცვლეული – თესლია, ხოლო სამკუთხედები – დამუშავებული ფართობი [8, გვ. 78].

ხარის კულტი მომდევნო ეპოქებშიაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ნაცარგორაზე გვიანბრინჯაოს ხანის სამლოცველოში აღმოჩენილი იყო რქიანი სამსხვერპლო, ნალისებური კერა და რქისებური სადგარი. გამთხრელი გ. გობეჯიშვილი თვლიდა, რომ რქისებური სადგა-

რი იყო ნაწილი ნალისებური კერისა, რომელშიაც წმინდა ცეცხლი ინთებოდა. სამსხვერპლო, კერაცა და სადგარიც ერთიანობაში ხარის კულტთან იყო დაკავშირებული. ავტორის მოსაზრებას ადასტურებდა იქვე აღმოჩენილი ტერაკოტული ხარის ფიგურები [1, გვ. 260]. მართლაც, რქისებური სადგრები ყველგან კერის გვერდითაა ნაპოვნი, და უფრო მეტიც, ხიზანაანთ გორის E ფენაში დაფიქსირდა ბორდურიანი კერა, რომლის ფსკერზე რქისებური სადგარი იყო დაძერწილი [5, გვ. 52].

ამ საკითხით დაინტერესებული უცხოელი მკვლევარებიც, მაგ. დიუსო ამტკიცებდა, რომ ხარის ყველა გამოსახულებაში, სტილიზებულშიაც კი, ხაზგასმულია სწორედ მისი რქები, რომელშიაც მდგომარეობს მისი სიმძლავრე და ღვთიური ძალა [11, გვ. 82].

საზოგადოების კეთილდღეობა, მიწათმოქმედების და მესაქონლეობის განვითარება და მთლიანობაში ნაყოფიერების ზრდა, დიდად იყო დამოკიდებული მზის და ციურ მნათობთა მოძრაობაზე, რამაც წარმოშვა კოსმოგონიური წარმოდგენები, კერა სიმბოლურად გაიგივებული იქნა მზესთან, ხოლო ხარის რქები – მთვარესთან [5, გვ. 178-182]. სხვა უძველეს რელიგიებშიც ხარი მთვარის ღვთაების გამოსახულებაა, ხარის რქების მსგავსება ნახევარმთვარესთან, მისი ძლიერება, მისი მნიშვნელობა როგორც მწარმოებლისა და გამანაყოფიერებლის არ შეიძლებოდა შესაბამისად არ ასახულიყო ადამიანთა წარმოდგენებში. ძველი აღმოსავლეთის იკონოგრაფიაში ხარი ხშირად ნახევარმთვარესთან ერთადაა გამოსახული. შუა აზიაში ალტინ-თეფეზე, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება, გათხრილია მთვარის ტაძარი, რომელშიც აღმოჩნდა ხარის ოქროს ქანდაკება თავზე ნახევარმთვარით. ურის ზიკურატში აღმოჩენილ წარწერაში მთვარის ღვთაება „ზეციურ ხარად" არის მოხსენებული. თრიალეთის ვერცხლის სარტყელზე გამოსახულ ხარს რქების ნაცვლად თავზე ნახევარმთვარე ადგას. ხარის რქების ანუ რქისებური შვერილების ნახევარმთვარით ჩანაცვლების მაგალითს გვაძლევს ჩვენი არქეოლოგიური მასალებიც. ხიზანაანთ გორის ნასახლარზე D ფენის მე-18 სათავსოში გაიწმინდა ტრადიციული მრგვალი კერა, რომლის შიდა მხარეს ორი ნახევარმთვარეა რელიეფურად გამოსახული. თუ კერა – მზის სიმბოლოა, ხოლო რქისებური შვერილები მთვარის, მაშინ აქ ხდება ორი კულტის შერწყმა, მზისა და მთვარის (კერა და შვერილები) [5, გვ. 182].

ხარის კულტი და მასთან დაკავშირებული ნაყოფიერება და გამრავლება შესანიშნავადაა ასახული ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და სვანეთის იკონოგრაფიაში. ამ მხრივ საყურადღებოა მაგიური რიტუალი „ბოსლობა," რომელიც თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, და რომელიც საქონლის გამრავლებას, ბარაქას და საერთოდ ნაყოფიერების ზრდას ეძღვნება. ვ. ბარდაველიძე ასე აღწერს ლეჩხუმში ჩაწერილ „ბოსლობის რიტუალს". ვახშამამდე, სრულ სიმშვიდეში ოჯახის მამა და დედა იწყებენ მაგიური რიტუალის შესრულებას, იკავებენ თავის ადგილებს საოჯახო კერასთან. კაცი კერის წინ, ქალი კერის მარჯვნივ. შემდეგ ორივე ოთხზე დგება და ქალი იწყებს ძახილს: „კოტ-მოზვერა", კაცი პასუხობს „მე ვარ შენი კოტ-მოზვერა". ამის შემდეგ კაცი მიდის ქალთან და ორივე დაოთხილი უვლიან კერას გარშემო სამჯერ მარცხნიდან მარჯვნივ. გზადაგზა სიმბოლურად ასრულებენ განაყოფიერების სცენას. მთელ ამ რიტუალში მთავარ როლს ხარი – მოზვერი თამაშობს. შემდეგ კაცი ასხამს ღვინოს, ხოლო ქალი იღებს პურს, რომელზედაც უღლის გამოსახულებაა გამოყვანილი. შემდეგ მთელი ოჯახი ღმერთს ევედრება საქონლის გამრავლებას და ბარაქას [4, გვ. 177, 178].

საინტერესოა, რომ სიტყვა „ბოსლობაში" „ბოს" ხარს აღნიშნავს, ხოლო სიტყვა „კოტის" ეტიმოლოგიას ფალოსთან მივყევართ. ამ რიტუალში ჩართულია ასტრალური და კოსმოგონიური მომენტებიც: კერის გარშემოვლა მარცხნიდან მარჯვნივ, ხარის კულტი, რომელიც რქისებურ სადგრებშია განსახიერებული, კერასა და ნალისებურ სადგრებთან ერთად საკრალური მნიშვნელობის მატარებელია და მყარადაა დამკვიდრებული მტკვარ-არაქსის საზოგადოებაში, და უფრო ადრეც. ამ საგანთა ერთობლიობა ასახავს როგორც რელიგიურ, ასევე კოსმოგონიურ შეხედულებებს და მტკვარ-არაქსელთა რთულ სულიერ სამყაროზე მეტყველებს.

ანატოლიასა და სირია-პალესტინაში „რქიანი საგნების" მიმართ ყურადღება გამოიწვია „მინოსური რქიანი საკურთხევლების" აღმოჩენამ კნოსოსში, და დღემდე მკვლევართა შეუნელებელი ინტერესების სფეროში რჩება მათი წარმომავლობა, დანიშნულება და გავრცელების საკითხები (ა. ევანსი, მ. ნილსონი, ჯ. მელაარტი, ა. ლემბო, რ. ამირანი და ბევრი სხვა).

ამ ბოლო ხანებში, „რქიანი საგნები", ასე უწოდებენ მათ, გახდა სპეციალური კვლევის საგანი ისეთი ცნობილი მეცნიერებისა, როგორიცაა სტ. დიამანტი და ჯ. რუტერი [10, გვ. 148-176].

მათ მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციაში 3 კლასი გამოიყო:

I კლასში გაერთიანდა ის რქიანი კერა-საკურთხევლები, რომლებიც ტაძრებში იყო აღმოჩენილი (ბეიჯესულტანი, ტარზუსი) ადრებრინჯაოს II-ში, თუმცა გვიანბრინჯაომდე ინარჩუნებენ არსებობას.

II კლასში გაერთიანებულია კერა-სადგრები, ანუ ნალისებური სადგრები; ზოგჯერ მათ ნალისებურ კერებსაც უწოდებენ; ისინი ყველგან გვხვდება კირბეტ-კერაკის კერამიკასთან ერთად ანატოლიასა, ჩრდილო სირიასა და პალესტინაში, ხოლო კავკასიაში – მტკვარ-არაქსთან ერთად. მკვლევარებს შედგენილი აქვთ ნალისებური სადგრების გავრცელების რუკა, სადაც კავკასიას უპირველესი ადგილი უჭირავს და უფრო ადრეული ეგზემპლარებით არის წარმოდგენილი [10, გვ. 175, სურ. 46].

III კლასში აერთიანებენ რქისებურ სადგრებს. მათი კლასიკურ-კანონიკური ფორმა ასეთია: მრგვალი ან ოთხკუთხა საფუძველი, ცალ მხარეს წყვილი რქები, მოპირდაპირე მხარეს კი ყური. ხშირად ყურის ნაცვლად ერთი ან რამდენიმე ნახვრეტი აქვთ და ფიქრობენ, რომ ისინი გადასატანი ნივთები იქნებოდა. ამ ტიპს I და II-თან შედარებით გაცილებით ფართო გავრცელება აქვს და ქრონოლოგიურადაც არ არის შეზღუდული [10, გვ. 164-170].

ანატოლიაში ამდაგვარი სადგრები ჩანან უკვე ხალკოლითურ ფენებში, მაგ. მერსინი 14 ფენა – 12 ფენა. გარსტანგი მათ ჭურჭლის სადგამებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ რქებს შორის ცეცხლის თავისუფალი ცირკულაცია ხდებოდა [9, გვ. 134, 138, 172].

თეფე-გავრას 12-9 ფენებმა რქიანი სადგრების საკმაო რაოდენობა მოგვცა. თავისი აღწერილობით ისინი სავსებით ემთხვევა ჩვენში გავრცელებულ სახეობას. გავრას სადგრებს ჩვეულებრივ რამდენიმე ნახვრეტი აქვთ, რომლის დანიშნულება გამთხრელებისათვის გაურკვეველი დარჩა. ტობლერი ფიქრობს, რომ მათ, ალბათ, საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. სპაიზერი, რომელმაც გავრას გათხრები განაგრძო, 8-6 ფენებში აღმოჩენილ სადგრებს საკრალურად მიიჩნევს, რადგან ისინი დაფიქსირდა დიდი დარბაზის შესასვლელთან და აღმოსავლეთის ტაძრის შიგნით [13, გვ. 73, სურ. $83_3$].

ნუზის რქისებრ სადგრებს სტარი ქსოვასთან აკავშირებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ისინი შემურული და ცეცხლში ყოფნისგან გადამწვარია. კანონიკური ტიპის მცირე ზომის რქისებური სადგრები აღმოჩნდა ტელ-ბრაკში აის ტაძარში. ალიშარის ადრებრინჯაოს ფენებში აღმოჩნდა სადგრები წინწამოწეული რქებითა და ყურით, ასევე ტარზუსში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეიჯესულტანის სადგრები, რომელიც II ფენის ტაძარშია აღმოჩენილი. ლლოიდი და მელარტი პირდაპირ მიუთითებენ, რომ ტერაკოტის სადგრები საოჯახო ტაძრებისა და სამლოცველოების აუცილებელი ატრიბუტია და ამით აიხსნება მათი სიმრავლე ნასახლარ ფენებში, თანაც მათ ქვეშ ხშირად ნაცარ-ნახშირი და დამწვარი ცხოველების ძვლებია ნაპოვნი [12, გვ. 29-53]. რქისებური სადგრები ნაპოვნია კრეტას გარეთ ეგეოსში. დიამანტი და რუტერი ამ სადგართა ზუსტი ფუნქციის განსაზღვრისაგან თავს იკავებენ და ზოგადი დასკვნა გამოაქვთ, რომ ისინი შესაძლოა პრაქტიკულად კერასთან დაკავშირებული ჭურჭლის სადგრები ყოფილიყო, მაგრამ ამასთან ერთად მათ რიტუალურ და საკულტო დანიშნულებას არ გამორიცხავენ [10, გვ. 170].

რქისებური სადგრების გამოყენებაზე საგულისხმო მასალებს გვაწვდის მინოსურ ფრესკებზე, საბეჭდავებზე, მძივებსა და ვაზებზე გამოსახული სცენები. სადგრების ნახვრეტებში წმინდა ხის ტოტებია ჩადგმული. იქვეა, როგორც ჩანს, სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც, ალბათ, წმინდა სითხე იდგა. ამ ჭურჭლიდან ხან სვამენ, ხან კი ავსებენ მას. ეს ჭურჭელი ყოველთვის სადგრის რქებს შორისაა ჩადგმული. ამ სცენებს საკრალურად მიიჩნევენ მკვლევარები, ხოლო რქებს შორის მოთავსებული ჭურჭელი და ნახვრეტებში ჩადგმული წმინდა ხის ტოტები – მთლიანობაში საკურთხევლის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოგვიდგენს. ასეთი გამოსახულებიანი მძივ-საკიდები კი თილისმა-ამულეტებად არის მიჩნეული. როგორც ჩანს, ანატოლიის მკვლევარები ძირითად მიზნად ისახავენ, კრეტა-მიკენის „რქიან საკურთხევლებს" წინაპარი მოუძებნონ ანატოლიის რქიან სადგრებში და მათი წარმომავლობა აქედან გამოიყვანონ. „III ტიპის სადგრები წარმოიშვა აღმოსავლეთ ანატოლიასა და ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიაში და უფრო გვიან კი დასავლეთისკენ გავრცელდა" – ასკვნიან მკვლევარები [10, გვ. 170].

კავკასიის და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე რქისებური სადგრების არსებობის ფაქტი მათთვის სრულიად უცნობი ჩანს. ეს კი, ჩვენი აზრით, საგრძნობლად უშლის ხელს ამ ტიპის არტეფაქტების ნამდვილი ფუნქციის დადგენასა და თუნდაც წარმომავლობის საკითხის კვლევას.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რქისებური სადგრები ისე ორგანულადაა დაკავშირებული მრგვალ კერასთან, ხარის უძველეს კულტთან, წმინდა ხესთან, მნათობთა თაყვანისცემასთან და საბოლოოდ ჩვენს ეთნოგრაფიულ ყოფასთან, რომ მათი ადგილობრივობა არანაირ ეჭვს არ იწვევს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გარკვეული დასკვნები გამომდინარეობს:

1. რქიანი სადგრები, როგორც კავკასიაში, ისე წინა აზიაში კერასთან, და ცეცხლთან არიან დაკავშირებული.

2. ყველა მათგანი ბრტყელძირიანია და მიწაზე ან ბრტყელ საგანზე იდგმება, ყური და ნახვრეტები მათი ადგილიდან ადგილზე გადასატანად არის გამიზნული.

3. წინა აზიის რქისებური სადგრების ის ნაწილი, რომელთა რქებს შორის სივრცე საკმარისია, მართლაც შესაძლოა ჭურჭლის სადგრად იხმარება, იმ ჭურჭლისა, რომლებშიც წმინდა სითხე ასხია. იგი თითქოს ერთ-ერთი ვარიანტია კრეტა-მიკენის „რქიანი საკურთხევლების."

4. კავკასიის სადგრების დანიშნულების წარმოდგენა უფრო ძნელდება. ჩვენი სადგრების რქებს შორის საკმარისი მანძილი არ არის ზედ ჭურჭლის დასადგამად, ხოლო თუნდაც ორ ერთმანეთზე მიდგმულ რქისებურ სადგარზე ჭურჭლის მყარად მოთავსება პრაქტიკულად მოუხერხებლად გვეჩვენება, რქისებური წანაშვერების მომრგვალო ან წვეტიანი დაბოლოების გამო.

სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ისინი მაინც ძირითადად საკულტო-რიტუალური დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს მათი კერებთან აღმოჩენის ფაქტები; ხარის რქისებური სადგარი, ზოგჯერ ორნამენტირებული, ხარის ფიგურა-სადგრები კისერზე ნახვრეტებით და სხვა ამგვარი გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველი პრაქტიკული დიდ-

მნიშვნელოვნების გამო ხარი მალე თაყვანის-ცემის საგნად იქცა და კერასთან და სხვა ატ-რიბუტებთან ერთად მთელი იდეოლოგიური კომ-პლექსი მოგვცა იმდროინდელი საზოგადოების მატერიალური, ეკონომიური და სულიერი სამყაროს შესახებ.

## G. Pkhakadze

## HORN-SHAPED ANDIRONS IN THE CAUCASUS AND THE NEAR EAST
(Summary)


Round hearths and different types of andirons related to them represent one of the most prominent characteristics of the Kura-Araxes culture.

Among clay andirons, those with horn-shaped protrusions – the most ancient and widely spread ones – call for special attention.

They occur on nearly all settlement sites of the Caucasus: Zemo Avchala, Zghudrisgverda, Kulu-khomi, Kulbakebi, Khizanaant Gora, Kiketi, Koda, Argveti, etc. – in Georgia; Qul-tepe, Baba Dervish, etc. – in Azerbaijan; Shresh-blur, Armavir-blur, Arich, Shengavit, etc. – in Armenia; Lugovoe, Dolinskoe, Serzhen-yurt, etc. – in North Caucasus.

Ოსრწდფკთ დშტლ რწკტ-თრფზუვ ფტვშკწტთ ცშერ ერუ სგდე წა ერუ იგდდყ Ცწკთრშზ წა ერშთ ფტშქფდ ცფთ სფვგთუვ ინ შეთ ზკფსეშსფდ აგტსეშწტთ (ზკწვგსეშმშენ, ვკფგპრე) შტ ერუ უფკდნ რგთიფტვკნ თწსშუეშუთყ Ერუ კშეუთ წა აშკუ, აუკეშდშენ, კუზკწვგსეშწტ, ფთეკფდ ფტვ წერუკ კუდშპშწგთ ზკფსეშსუთ ცუკუ დშტლუვ ცშერ ერუ იგდდ (Იყ Ლგაეშტ, Წყ Ოფზფკშვჭუ, Შყ Ლშლმშვჭუ, Მყ Იფკვფმუდშვჭუ ფტვ წერუკთ)ყ

Აწკუშპტ თსრწდფკთ სფდდ ერუთუ ფტვშკწტთ "რწკტუვ წიოუსეთ" ყ Ერუნ ფკუ ვშთსწმუკუვ ფდდ წმუკ Ტუფკ Უფთე – ფე თუეედუქუტე თშეუთ ფტვ შტ თრკშტუთ შტ Ქუკთშტ 14, Ეუზუ Პფცკფ 12, Ფდშთრფკ, Ეფკთგთ, Იუნსუ Ოგდეფტ, უესყ – შტ Ფტფეწდშფჟ Ეუდიკფლ, ეუქზდუ წა ՖՇ – შტ Ონკშფჟ Იუე-თრფტ, Იუე-შკფ, უესყ – შტ Ზფდუთეშტუყ Ერუნ ფკუ სწტთშვუკუვ ეწ იუ სგდე წიოუსეთ ფტვ ფკუ დშტლუვ ეწ ერუ Სკუეფტ რწკტთ წა სწტთუსკფეშწტყ

Ფკსრფუწდწპშსფდ ფტვ უერტწპკფზრშს ვფეფ ეუთეშან ეწ ერუ დწსფდ ზკწმუტფტსუ წა რწკტ-თრფზუვ ფტვშკწტთ, კუადუსეშტპ, ფე ერუ თფქუ ეშქუ, თწზრშთეშსფეუვ კუდშპშწგთ იუდშუათ წა ერუ Ლგკფ-Ფკფჩუთ თწსშუენყ


### ლიტერატურა


**1. გობეჯიშვილი გ.** სტალინირის ნაცარგო-რა. – მიმომხილველი, II, თბ., 1957, გვ. 209-276.

**2. ფხაკაძე გ.** მტკვარ-არაქსული კერებისა და სადგრების გავრცელების საკითხისათვის. – ძიებანი, № 5, თბ., 2000, გვ. 15-27.

**3. ჯაფარიძე ო.** ქართველ ტომთა ისტორიი-სათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფე-ხურზე. თბ., 1961.

**4. Бардавелидзе В.В.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957.

**5. Киквидзе Я.А.** Земледелие и земледельческий культ в древней Грузии. Тб., 1988.

**6. Куфтин Б.А.** "Урартский колумбарий" у подошвы Арарата и Куро-аракский энеолит. – სსმმ, XIII-B, 1944, с. 128-170.

**7. Куфтин Б.А.** К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии. – სსმმ, XIV-B, 1947, გვ. 59-81.

**8. Хачатрян Т.С.** Древняя культура Ширака, Ереван, 1979.

**9. Garstang J.** Prehistoric Mersin. Oxford, 1953.

**10. Diamant S., Rutter J.** "Horned objects" in Anatolia and Near East possibly contections with the Minoan "Horns of consecration". – Anatolian Studies, vol. XIX, 1969, p. 147-177.

**11. Dusaud B.** Les civilisation prehélléniques. Paris, 1919.

**12. Loyd S., Mellaart J.** Bycesultan excavations. London, 1962.

**13. Speiser E. A.** Excavations at Tepe-Gawra. I. Philadelphia, 1935.

**14. Tobler A. J.** Excavations at Tepe-Gawra. II. Philadelphia, 1950.


### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ხარის რქისებური სადგრები კავკა-სიიდან: 1. ზემო ავჭალა; 2. შენგავითი; 3. ქიულ-თეფე; 4. არიჭი; 5. სერჟენ-იურტი.

ტაბ. II – რქისებური სადგრები მერსინიდან.

ტაბ. III – რქისებური სადგრები ანატოლიის ძეგლებიდან.

ტაბ. IV – მძივები და საბეჭდავები სადგრის გამოსახულებით კრეტადან (დიამანის და რუტე-რის მიხედვით).

### Description of the Plates

Pl. I – horn-shaped andirons from the Caucasus: 1. Zemo Avchala; 2. Shengavit; 3. Qul-tepe; 4. Arich; 5. Serzhen-yurt.

Pl. II – horn-shaped andirons from Mersin.

Pl. III – horn-shaped andirons from Anatolian sites.

Pl. IV – beads and signet rings with the representation of an andiron from Crete.

ტაბ. I



ტაბ. II



**ტაბ. III**



ტაბ. IV



ალექსანდრე ორჯონიკიძე

# ქვის ისრისპირები საქართველოდან

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სხვადასხვა ხანის არქეოლოგიურ კულტურებში მრავლადაა წარმოდგენილი ქვის, ძირითადად კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები.[2] მათ დასამზადებლად საჭირო ნედლეულის შერჩევა უმთავრესად განპირობებული უნდა ყოფილიყო შესაბამის საბადოთა სიახლოვით [9, გვ. 104]. ალბათ ამიტომაცაა, რომ დასავლეთ საქართველოში ძირითადად კაჟის ისრისპირი გამოიყენებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი – ობსიდიანისა. ფიქრობენ, რომ იმერეთის კაჟისა და თრიალეთ-ჯავახეთის ობსიდიანის გამოსავლებს სრულად უნდა უზრუნველეყო იმდროინდელი მოსახლეობის მოთხოვნილება ამ იარაღზე [50, გვ. 119; 63, გვ. 44], რომლის დამკვიდრება ჩვენში გვიანნეოლითურ ხანას უკავშირდება [31, გვ. 111]. თუმცა, არსებული მასალებით ჩანს, რომ იგი აქ კიდევ უფრო ადრეული პერიოდიდანაც იყო ცნობილი [6, ტაბ. XII; 36, გვ. 82]. ამიტომ, ძნელი გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც კავკასიაში ამ იარაღის პირველი გამოჩენა თითქოს მოგვიანოდ ხდება და ჩრდილოეთით მდებარე ოლქებს უკავშირდება [76, გვ. 184], რადგან იქ განსხვავებული, სწორ და ამოღარულფუძიანი ტიპის ისრისპირები იყო უმთავრესად გავრცელებული [96 a, გვ. 12], რომლებიც საქართველოს ადრეულ, ძირითადად ყუნწიანი ისრისპირებით წარმოდგენილ იარაღებს პროტოტიპად ვერ გამოადგება. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთის ფართო კულტურული არეალის ისრისპირთა ზოგიერთი ტიპი, რომელთაც კავკასიის სამხრეთით მდებარე ოლქებში პარალელი არ ეძებნება, სავსებით დასაშვებია სათავეს უდებდეს საქართველოს ანალოგიურ ცალებს ისევე, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულ იარაღთა ნაწილი. ამასთან, ისრისპირთა მთელი რიგი ადგილობრივ ნიადაგზე ჩანს განვითარებული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქვის ისრისპირების სიმრავლითა და გამოყენების ხანგრძლივობით საქართველო, მეტადრე მისი დასავლეთი ნაწილი, კავკასიისა და ანატოლიის ზოგიერთი ოლქის მსგავსად, ევროპული სამყაროსაკენ უფრო იხრება, ვიდრე წინააზიურისაკენ, რადგან უკანასკნელი საერთოდ, ამ იარაღის იშვიათობით ხასიათდება. ევროპულ სამყაროსთან სიახლოვე განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ადრებრინჯაოს ხანის ბოლოდან მოკიდებული, როცა საქართველოსა და კავკასიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდება დაახლოებით მსგავსი ფორმის მქონე ფუძეამოღარული ისრისპირები.

საქართველოს უძველესი მოსახლეობის სამეურნეო-ყოფით საქმიანობაში ქვის ისრისპირის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი ხმარებიდან ვერ გამოიყვანა ვერც ბრინჯაოს და ვერც რკინის ფართო გავრცელებამ – ის აქ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე იხმარებოდა [5, გვ. 115] და მხოლოდ ანტიკური ხანის დამდეგს ქრება, როცა აღინიშნება კარდინალური ძვრების დაწყება მთელს რეგიონში.

ბუნებრივია, ასეთ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში გავრცელებული ისრისპირის ფორმა იცვლებოდა, ჩნდებოდა ახალი ტიპები, ტრანსფორმაციას განიცდიდა ძველი. სწორედ ამ ტიპების გამოყოფის, მათი არეალის დადგენის, ცალკეული არქეოლოგიური კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და აღნიშნულის საფუძველზე ამ კულტურებს შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობათა წარმოჩენის მცდელობაა წინამდებარე ნაშრომში. თუმცა, მიზნის მიღწევას სერიოზულად აფერხებს ზოგიერთი სამეცნიერო გამოცემის მეტად უხარისხო ილუსტრაციები; გრაფიკულად აღუდგენელი ნაკლული იარაღების სიმრავლე; ისრისპირთა გამოქვეყნებისას სტრატიგრაფიული მონაცემების გაუთვალისწინებლობა და სხვა მიზეზები. მიუხედავად ამისა, უხვი საკვლევი მასალა მაინც იძლევა საშუალებას გამოიყოს ისრისპირთა ტიპები, თვალი გაედევნოს მათ ცვალებადობას დროსა და სივრცეში, სხვადასხვა კულტურის წრეში. ყოველივე ეს კი გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ამ კულტურათა თავისებურების, მათ შორის არსებული კავშირ-ურთიერთობის უფრო უკეთ დასანახად; ცალკეულ შემთხვევაში – ძეგლის თარიღისა და კულტურული კუთვნილების განსაზღვრისასაც.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სხვადასხვა ხანის კულტურას მიკუთვნებულ 130-ზე მეტი ძეგლიდან მომდინარე რამდენიმე ასეული ისრისპირი ფუძის მოყვანილობის მიხედვით ყუნწიან – I, ფუძეამოღარულ – II და სწორფუძიან – III ჯგუფებად იყოფა. თითოეული რამდენიმე ტიპის ისრისპირს შეიცავს (ტაბ. I).[3]

---

[2] ნაშრომის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანას მოიცავს, შესრულებულია მეცნიერებათა აკადემიის გრანტით.

[3] გამოუქვეყნებელი იარაღების ილუსტრაციები მოგვაწოდეს არქეოლოგებმა: ლ. ნებიერიძემ (წოფი, ძევრი, საგვარჯილე, წალკა-მოსკოვის ისტორიული მუზეუმი); ნ. მათიაშვილმა (ვანი); ვ. ლიჩელმა (აწყური, მზეთამზე); გ. მირცხულავამ (ბადაანი); ა. რამიშვილმა (ხაშურის ნაცარგორა); გ. მინდიაშვილმა

გვხვდება ძირითადად მცოცავი რეტუშით დამუშავებული როგორც მცირე ზომის, ისე მოზრდილი ცალები, ფართოდ გავრცელებული, თუ შედარებით იშვიათი ტიპები.[4]

$I_1$ ტიპს აქვს მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოსახული რომბისებრი ფორმა. იგი ფართოდაა გავრცელებული მთელს საქართველოში. ამ ტიპის ისრისპირი თავს იჩენს გვიანნეოლითის ხანის ოდიშის, კისტრიკისა და ანასეული II-ის ნამოსახლარებზე (რუკა $1_{1-3}$). უფრო მრავლად კი წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, მეტადრე – რიონ-ყვირილას აუზში (რუკა $1_{7-14}$). არის ის დასავლეთ საქართველოს მთიანეთისა და აჭარის სინქრონულ ძეგლებზეც (რუკა $1_{4-6}$).

ამგვარი ისრისპირი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოშიც, მტკვარ-არაქსის კულტურის არეალზე. ეს იარაღები დიდი ზომითა და მოზრდილი ფაცეტებით ორმხრივი დამუშავების არქაული ტექნიკით დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ტრადიციებს ავლენს (რუკა $1_{16-18,22}$). ამავე ჯგუფში ერთიანდება მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა პერიოდის ანალოგიურად დამუშავებული მომცრო ზომის ისრისპირებიც (რუკა $1_{21,23,24}$). იშვიათად, მას ვხვდებით ადრეყორღანული კულტურის მარტყოფული ჯგუფის კომპლექსშიც [81, გვ. 45]. შემდგომ ხანებში ამ ტიპის ისრიპირი ჩვენში თითქმის აღარ ჩანს. მაიკოპის კულტურაში იგი საქართველოს მხრიდან უნდა იყოს შესული [96 a, გვ. 13].

$I_2$ ტიპს აქვს სატევრისპირის ფორმა. სამხრეთ კავკასიაში იგი უფრო მეტად გვხვდება დასავლეთ საქართველოში და სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით – რიონ-ყვირილას აუზის ძეგლებისთვის. არის ის აჭარასა და აფხაზეთშიც (რუკა $2_{1-4,8-9}$), ასევე მაიკოპის კულტურაში [96 a, სურ. 9]. იშვიათად, იგი თავს იჩენს აღმოსავლეთ საქართველოშიც და აშკარად ატარებს დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ქვის იარაღების ნიშნებს (რუკა 2, 10, 11, 19-21). ეს იარაღი შემდგომ ხანებში თითქოს აღარ ვითარდება. მაიკოპის კულტურაში მსგავსი იარაღიც დასავლეთ საქართველოდან უნდა მოხვედრილიყო [96a, გვ. 12].

$I_3$ ტიპს აქვს ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის პირი და შედარებით მოკლე ყუნწი. იგი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ორივე მხარეში. დასავლეთ საქართველში მას ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ვხვდებით (რუკა $3_2$), განსაკუთრებით რიონ-ყვირილას აუზის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე (რუკა$3_{5-10}$), ასევე კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ნასახლარზე (რუკა $3_{1,4}$).

ამ ჯგუფის ნაწარმს ძალზე ემსგავსება წალკაში აღმოჩენილი, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული და ხიზანაანთ გორაზე მოპოვებული ცალებიც (რუკა $3_{13}$). ამავე წრესთან იჭერს კავშირს მტკვარ-არაქსისა (რუკა $3_{12, 14,17,25,27}$) და ბედენის კულტურის ზოგი იარაღი (რუკა $3_{21, 27}$).

ძვ. წ. III ათასწ. დასასრულის საქართველოში ამგვარი ისრისპირის დამზადების ტრადიცია ქრება.

$I_4$ ტიპს აქვს სამკუთხა პირი და დაშვებული, წამახული ფრთები. დასავლეთ საქართველოში ისიც ნეოლითის ხანიდანაა ცნობილი (რუკა $4_{2,7}$). იგი აქ შემდგომ ხანებშიცაა გავრცელებული (რუკა $4_{1,3,4,7,10}$).

აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი იარაღი უკეთაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა მან მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (რუკა $4_{13-17,20}$). იშვიათად მას ადრეყორღანულ კულტურაშიც ვხვდებით (რუკა $4_{22}$). ამგვარი ისრისპირის დამზადება საქართველოში ძვ. წ. III ათასწლეულის შემდგომ თითქოს აღარ ხდება.[5] საქართველოს ფარგლებს გარეთ იგი ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ქიულ-თეფეზე, გარნიზე, შენგავითზე და სხვ. [98, ტაბ. II; 108, ტაბ. VI; 105, ტაბ. LIV].

$I_5$ ტიპს აქვს სამკუთხა პირი, ძლიერ დაშვებული, მოკლე ყუნწამდე ჩამოზრდილი წამახული ფრთები. დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის ისრისპირი ძირითადად კოლხეთის დაბლობზე, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩანს (რუკა $5_{2,4,6}$), სადაც ის ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე განაგრძობს არსებობას [53, ტაბ. XLVI]. ერთეული ცალები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანმტკვარ-არაქსულ ძეგლებზეც (რუკა $5_{8-10}$). მისი მსგავსია წინააზიის „თეფე-სიკისა“ [117, გვ. 75, 77] და მეშოკოს ზოგიერთი ისრისპირი [96 a, სურ. 6].

$I_6$ ტიპი ბიკონუსური ფორმისაა, ყუნწი პირისაგან არამკვეთრად აქვს გამოყოფილი და არც ფრთები გააჩნია. დასავლეთ საქართველოში მის უადრეს ცალს ვხედავთ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში (რუკა $6_{3,4}$). იგი აქ მოგვიანოდაც გვხვდება (რუკა $6_{1,2}$). ენეოლითის ხანაშია ცნობილი ამგვარი ისრისპირი აღმოსავლეთ საქართველოშიც (რუკა $6_{5,7}$), მაგრამ არ ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურაში. სამაგიეროდ, მას ვხვდებით ადრეული ყორღანების მარტყოფის ჯგუფ-

(კუსირეთი); ზ. მახარაძემ (კავთისხევი); გ. ნარიმანიშვილმა (წალკა-2001); რ. პაპუაშვილმა (ყულევი); ლ. ჯიბლაძემ (ფიჩორი IV); გ. გოგოჭურმა (ქვასათალი); ჯ. ჩოხელმა (ახალციხე), რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

[4] ტაბულები შესრულებულია მხატარ ნ. კვინიკაძის მიერ.

[5] თუ არ ჩავთვლით მზეთამზის ძვ. წ. VII-VI სს-ით დათარიღებული სამარხის ერთადერთ ცალს (ტაბ. $IV_{25}$).

ში [81, ტაბ. 45], რის შემდეგ იგი წყვეტს არსებობას აღმოსავლეთ საქართველოში.

$I_7$ ტიპს აქვს ალისებრი ფორმა და განზიდული ცალი ფრთა. იგი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ყვირილის აუზის ძეგლებზე გვხვდება (რუკა 7).

$I_8$ ტიპს აქვს განიერი და მოკლე რომბული პირი და ფართო ყუნწი. პირისა და ყუნწის საზღვარზე ორი განზიდული ფრთა გააჩნია. მას მხოლოდ ქვემო ქართლში, სამშვილდის ადრემტკვარ-არაქსული ხანის სამაროვანზე ვხვდებით [30, ტაბ. XL]. მისი პარალელები ცნობილია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში – გვიანნატუფიურ და ტახუნიურ კულტურებში [112, გვ. 341].

$I_9$ ტიპს აქვს მასიური სამკუთხა პირი და ფართო ყუნწი განზიდული ძირით. სამხრეთ კავკასიაში მას იშვიათად ვხვდებით. ერთი ამგვარი ისრისპირი ცნობილია მინგეჩაურიდან [71, ტაბ. IX], ორიოდე ცალი კი – კეტის ნასახლარიდან [97, ტაბ. 6]. საქართველოში მას აფხაზეთსა და ქვემო ქართლში, ადრემტკვარარაქსულ ძეგლებზე ვხვდებით (რუკა 9). სამშვილდის ისრისპირი [30, ტაბ. L], რამდენადმე შედრეკილი ძირით $I_9$ და $II_1$ ტიპებს შორის ერთგვარ გარდამავალ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. იშვიათად არის ის ჩრდილო კავკასიაში – მეშოკოს ნასახლარზეც [96 a, სურ. 7]. შემდგომ ხანებში ამ ტიპის ისრისპირის განვითარება კავკასიაში თითქოს არ ხდება [38, გვ. 33]. კავკასიის გარეთ მას ვხვდებით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში – გვიანნატუფიურ და ტახუნიურ კულტურებში [112, გვ. 341]. ასევე, მისისიპის აუზის ადრეულ კულტურებსა [114, ტაბ. 23,32] და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ენეოლითურ ძეგლებზე [96a, გვ. 12].

$II_1$ ტიპს აქვს ფართო და გრძელი ალისებრი პირი, რომელიც ორი ღარითაა გამოყოფილი ფართო, ფუძეამოღარული ძირისაგან. იგი მთლიანად დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებიდან მომდინარეობს (რუკა $10_{1-4}$). რამდენადმე უახლოვდება მას მჭადიჯვრის მტკვარ-არაქსული ნასახლარის ისრისპირი [110, ტაბ. 32], მსგავსი ეგვიპტის ამრის კულტურის ცალებისა [112, გვ. 99, სურ. 31]. იშვიათად არის ის ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოკავკასიაში [96 a, სურ. 7]. გვხვდება იორდანიაშიც [115, სურ. 4]. მას ვხვდებით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ძეგლებზეც [112, გვ. 341]. ასევე, ჩრდილო ამერიკის ადრეულ კულტურებში [114, ტაბ. 32]. ამგვარივე იარაღის ნაკლული ცალი უნდა იყოს სომხეთშიც – კეტის ციკლოპური ციხის ტერიტორიაზე [97, ტაბ. 17].

$II_2$ ტიპი მოზრდილია, ალისებრი ფორმის, ძირში მომრგვალებული ამონაჭრით და წაკვეთილი ფრთებით. იგი მთლიანად დასავლეთ საქართველოდანაა ცნობილი და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება (რუკა 11). იშვიათად, თავს იჩენს ჩრდილო კავკასიაში მაიკოპისა [96a, სურ. 6] და მტკვარ-არაქსულ ძეგლებზეც – ზემო გუნიბის ქვედა ფენასა და სერჟენ-იურტის ნასახლარებზე [84, სურ. 49; 95, სურ. 75].

$II_3$ ტიპს აქვს ვიწრო და გრძელი სამკუთხა ფორმა, ძირში დაბალი და ფართო ამონაჭრით. ისიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, ძირითადად შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე (რუკა 12).

$II_4$ ტიპი ალისებრი ფორმისაა. მომრგვალებული ძირისაკენ გაფართოებულ მოზრდილ ტანში მას ფართო, მრგვალი ამონაჭერი გააჩნია. თითქმის მთლიანად დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი როგორც ბარის, ისე მთიანი ზოლის ძეგლებზე (რუკა 13). ამგვარი იარაღი ვანის ნაქალაქარის ერთ-ერთი კომპლექსის შევსებაშიც აღმოჩნდა [24, ტაბ. LXXIX]. როგორც ჩანს, ეს ტიპიც შუაბრინჯაოს ხანაში ჩნდება [113, გვ. 59].

$II_5$ ტიპი სამკუთხა ფორმისაა. ძირში გაკეთებული ფართო ოთხკუთხა ამონაჭერი განზე გაწეულ წამახულ ფრთებს ქმნის. ამ ნიშნით იგი რამდენადმე ემსგავსება $II_9$ ტიპს. ადრებრინჯაოს ხანის ბოლოსათვის იგი თავს იჩენს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (რუკა 14). ზოგჯერ მსგავს ფორმას მოგვიანოდაც ვხვდებით [4, ტაბ. V].

$II_6$ ტიპიც სამკუთხა ფორმისაა, ძირში სიმეტრიული სამკუთხა ან ოდნავმომრგვალებული ამონაჭრით და განზე გაწეული ფრთებით. ფართოდაა გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის მოგვიანო ეტაპიდან მოკიდებული. დასავლეთ საქართველოში იგი გვიანბრინჯაოს-ადრერკინის ხანამდე არსებობს, აღმოსავლეთში კი მტკვარ-არაქსის კულტურის დასრულების შემდეგ თითქმის მთლიანად ქრება (რუკა 15). ცნობილია ის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე აზერბაიჯანში – მინგეჩაურზე [71, ტაბ. IX], სომხეთში – შენგავითზე [105, ტაბ. LIV], ჩრდილო კავკასიაში – მეშოკოსა და სერჟენ-იურტზე [96a, სურ. 3; 95, სურ. 75], ანატოლიაში – ნორშუნ-თეფეზე, სადაც ის ადრებრინჯაოს ხანის ფენაში იჩენს პირველად თავს [117, გვ. 108]. ამგვარივე ისრისპირი ეგვიპტეში ხმარებაში შემოდის ჰერცეის პერიოდში [112, გვ. 123].

$II_7$ ტიპის ისრისპირი ასიმეტრიულად ფუძეამოღარულ სამკუთხედს წარმოადგენს. დასავლეთ საქართველოში მას თითქოს უკვე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში ვხვდებით (რუკა $16_{6,7}$). მაგრამ უფრო ფართოდ იგი აქ გავრცელდა ადრე და გვიანბრინჯაოს ხანაში (რუკა 16).

აღმოსავლეთ საქართველოში ისრისპირის ეს ტიპი მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ჩნდება. შემდგომ იგი თითქმის მთლიანად ქრება. ის აქ ძირითადად შიდა ქართლში ჩანს გავრცე-

ლებული (რუკა $16_{9-11}$). იშვიათად არის ქვემო ქართლშიც – თეთრიწყაროს ნასახლარის Б ფენაში [9, ტაბ. XXIX].

ამგვარი იარაღი დამახასიათებელია მაიკოპის კულტურის მოგვიანო ეტაპის ძეგლებისათვის და საერთოდ, კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ფართო არეალისათვის [102, ტაბ. IV; 95, სურ. 57]. იშვიათია ის სომხეთისათვის, სადაც მას ეჩმიაძინის ქიულ-თეფეზე ვხვდებით [95, გვ. 350]. უფრო სამხრეთით, მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელი კულტურული არეალისათვის იგი უცნობია [87, გვ. 78].

$II_8$ ტიპიც სამკუთხა ფორმისაა, ტანის შუაგულამდე მიტანილი ვიწრო, ძირისკენ გაფართოებული სიმეტრიული ამონაჭრით. მისი ზედაპირი დამუშავებულია ძალზე ფაქიზად, ვიწრო პარალელური ღარებით. იგი მხოლოდ ბედენის კულტურაშია ცნობილი (რუკა 17), ბედენისა და წნორის ყორღანებიდან [79, ტაბ. XIII; 10, ტაბ. VI]. ბედენის ყორღანების აღმოჩენის საფუძველზე ამგვარი ისრისპირი, $II_9$ და $III_3$ ტიპებთან ერთად ამ კომპლექსებისათვის დამახასიათებელ იარაღებადაა მიჩნეული [10, გვ. 21].

$II_9$ ტიპს აქვს მოგრძო ფოთლისებრი, შუა ნაწილისაკენ გაფართოებული ტანი, ხშირად თითქმის ტანის შუამდე მიტანილი, ქვემოთ გაფართოებული ამონაჭერი და დაშვებული წამახული ფრთები. იგი ფაქიზადაა დამუშავებული ვიწრო პარალელური ღარებით. იგი ბედენის კულტურისათვისაა დამახასიათებელი და ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული (რუკა 18). დასავლეთ საქართველოში ამგვარი ისრისპირი ძალზე იშვიათია. ზოგჯერ ამ ტიპის იარაღს ვხვდებით ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანის ბედენურ ყორღანებში [72, სურ. 34]; ჩრდილო კავკასიაში – მეკენის ყორღანში [70, ტაბ. 82] და ანატოლიაში – ნორშუნ-თეფეს ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის ფენებში [117, ტაბ. 41]. რამდენადმე ემსგავსება მას ეგვიპტეში, ფაიუმში აღმოჩენილ კაჟის ისრისპირები ოდნავ მორკალული წვრილი ფრთებით [112, გვ. 73, სურ. 11]. აღსანიშნავია, რომ ბედენის კულტურისათვის დამახასიათებელი წვრილი პარალელური ღარებით ისრისპირის ზედაპირის დამუშავების ტექნიკა ეგვიპტეში თავს იჩენს ჰერცეის პერიოდში [112, სურ. 32].

$II_{10}$ ტიპს აქვს ტანის შუამდე მიტანილი ვიწრო ოთხკუთხა, სიმეტრიული ამონაჭერი. ფუძე მას რამდენადმე მომრგვალებული აქვს. იგი კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე და ამ ხანის კულტურის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ტიპს წარმოადგენს (რუკა 19). ამგვარი ისრისპირი ფორმითა და ზედაპირის დამუშავების წვრილი პარალელური ამოღარვის ტექნიკით უახლოვდება ბედენურ $II_9$ ტიპს და მასთან გარკვეულ მემკვიდრეობით კავშირს ავლენს.

დასავლეთ საქართველოში იგი ნაკლებადაა ცნობილი. სამაგიეროდ, ფართოდაა გავრცელებული ევროპაში [117, გვ. 81]. სომხეთში იგი არაერთი სინქრონული ძეგლიდან მომდინარეობს [70, ტაბ. 33, 41-42]. ამავე ტიპისაა აქვე, გარნისისა [108, ტაბ. VI] და შენგავითის [105, ტაბ. LIV] ადრებრინჯაოს ხანისად მიჩნეული ცალებიც. მასვე ემსგავსება ადრეყორღანული კულტურის სტეფანაკერტის იარაღიც [81, ტაბ. 55, 78, 106].

$II_{11}$ ტიპს აქვს მომრგვალებული ფოთლისებრი ფორმა, რომელსაც ძირში ოთხკუთხა ან მომრგვალებული ფართო ამონაჭერი აქვს გაკეთებული. იგი II-10 ტიპთან შედარებით მდარე ხარისხისაა, იშვიათია პარალელური ღარებით ზედაპირის დამუშავების ტექნიკა. ამგვარი ისრისპირი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია მთელს საქართველოში (რუკა 20). აღმოსავლეთ საქართველოში იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლებისათვის, რის შემდეგ იგი აქ აღარ ჩანს [60, გვ. 165]. დასავლეთ საქართველოში კი მას შუა ბრინჯაოდან ანტიკურ ხანამდე ვხვდებით [5, გვ. 115]. გვიანბრინჯაოს ხანის მთელი პერიოდის განმავლობაში ცოცხლობს ის აზერბაიჯანსა და სომხეთში [60, გვ. 165], სადაც მას კიდევ უფრო მოგვიანო ხანაშიც იყენებდნენ [80; 82, ტაბ. 14].

$II_{12}$ ტიპიც მომრგვალებული ფოთლისმაგვარი ფორმისაა, ძირში დაბალი რკალისებრი ამონაჭრით. იგი ნაკლებადაა გავრცელებული საქართველოსა და საერთოდ, კავკასიაში. აღმოსავლეთ საქართველოში მისი უადრესი ცალები ადრეყორღანული კულტურის ძეგლებზე გვხვდება (რუკა $21_{3-5}$), რის შემდგომ იგი აქ აღარ გამოიყენება. დასავლეთ საქართველოში კი მას საკმაოდ გვიანობამდე ვხვდებით. (რუკა $21_{1,2}$).

$III_1$ ტიპს აქვს ოდნავმომრგვალებული ძირი და სამკუთხა მოყვანილობის პირი. იგი კარგადაა ცნობილი დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე (რუკა $22_{3-6}$). მოგვიანოდ კი იშვიათია.

აღმოსავლეთ საქართველოში მისი უადრესი ცალები აღმოჩენილია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე – იმირის გორასა და წოფში (რუკა $22_{16-17}$). უმეტესობა კი მიკვლეულია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (რუკა $22_{7-9,13-15}$). არის ის ზურტაკეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანსა (რუკა $22_{11}$) და თბილისის გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ კომპლექსში (რუკა $22_{12}$).

ამგვარივე იარაღია აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაშიც – ზემო გუნიბსა და სერჟენ-იურტის მტკვარ-არაქსულ ნასახლარებზე [84, სურ. 49; 95, სურ. 75]; აზერბაიჯანის შუაბრინჯაოს

ხანის ყორღანებში [72, სურ. 35]; სომხეთში – ადრებრინჯაოს ხანის მეწამორსა და კეტიზე [105, სურ. 6; 97, ტა, 6; 91]; წინა აზიაში – თეფე-გავრაზე [118,ტაბ. 38] და სხვ.

$III_2$ ტიპი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა. იგი საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული, ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილში – ენეოლითის ხანის წითელგორებზე და ადრებრინჯაოს ხანის ქვაცხელასა და ორჭოსნის ნასახლარებზე (რუკა $23_{4,5}$). უკანასკნელზე სამხრეთ კავკასიაში ამ ტიპის ყველაზე მეტი ისრისპირია აღმოჩენილი. იშვიათად, მას ვხვდებით ზურტაკეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანშიც (რუკა $23_2$). მსგავსი ნაწარმი ცნობილია აგრეთვე ადრებრინჯაოს ხანის ბაბადერვიშისა და აღსტაფა-ჩაის ნასახლარებზე [96, სურ. 3; 86, სურ. 28], ასევე ანატოლიაში – ნორშუნ-თეფეს ამავე ხანის ფენებში [117, გვ. 108]. არის ის მაიკოპის კულტურაშიც [96 a, სურ. 5].

$III_3$ ტიპი სწორძირაა, ალისებრი ფორმის პირით. უხეშად დამუშავებულ ამგვარი იარაღის ცალკეულ ეგზემპლარებს ვხვდებით დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისა და მაიკოპის კულტურის ძეგლებზე [78, ტაბ. VII; 61, გვ. 200; 96a, სურ. 4]. არის ის სომხეთში – მაშტოცბლურსა და ანატოლიაში ხალკოლითური პერიოდის ძეგლებზე [105, ტაბ. XLIII; 117, გვ. 78]. იგი ცნობილია მოგვიანოდაც – ბედენის კულტურასა (რუკა 24) და ზურტაკეთის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთ კომპლექსში [60, ტაბ. III, IX]. უფრო გვიან ამგვარი იარაღი საქართველოში აღარ ჩანს. უცნობია ის მტკვარ-არაქსის კულტურისთვისაც.

როგორც ცნობილია, საქართველოში ქვის ისრისპირის დამკვიდრება ადრესამიწათმოქმედო ხანას უკავშირდება. თუმცა, აქ ისევე, როგორც კავკასიაში საერთოდ, წინააზიის მსგავსად, აღნიშნულ პერიოდში ეს იარაღი ძალზე იშვიათია. მის ნაცვლად ჩანს, უფრო შურდული იხმარებოდა [95, გვ. 68].

დასავლეთ საქართველოში ქვის პირველი ისრისპირები გვიანნეოლითური ხანის ოდიშის, კისტრიკისა და ანასეული II ნასახლარებზეა აღმოჩენილი [33, გვ. 111]. ყველა მათგანი ყუნწიანია და მიეკუთვნება ძირითადად $I_1$ ტიპს. არის $I_3$ და $I_4$ ტიპებიც. აღმოსავლეთ საქართველოში კი ამავე დროის ისრისპირები განსხვავებული ტიპებითაა წარმოდგენილი. დალარისა და საკოჭავის ანაკრეფი მასალიდან ცნობილია $I_6$ ტიპი, იმირის გორიდან და წოფიდან – $III_1$ ტიპი. $III_2$ ტიპის იარაღია აღმოჩენილი კახეთში – წითელგორების ენეოლითურ ნამოსახლარზე.

ქვის ისრისპირთა ტიპები და მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს მომდევნო ხანაში, როცა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ახალი – ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის (ადრეული ეტაპი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა. თუ პირველისათვის ქვის ისრისპირთა ადრეული ტიპების შემორჩენა შეინიშნება, მტკვარ-არაქსის კულტურის იარაღი ნაკლებად უკავშირდება ადგილობრივ წინარე კულტურას. იგი მეტ საერთოს ავლენს დასავლეთ საქართველოს ამ ნაწარმთან. დასავლეთ საქართველოსთან სიახლოვე ჩანს აქ კაჟის იარაღის უპირატესი გამოყენების თვალსაზრისითაც [50, გვ. 119; 63, გვ. 44]; მტკვარ-არაქსის კულტურის გარდა, დასავლეთ საქართველოს ამგვარ ისრისპირებთან ბევრ საერთოს პოულობს მაიკოპის კულტურის ნაწარმიც. როგორც ჩანს, ქვის ისრისპირთა ეს ტიპები ჩრდილო კავკასიაში დასავლეთ საქართველოდან ვრცელდება [33, გვ. 171; 46, გვ. 52; 96a, გვ. 12]. იგივე შეიძლება ითქვას $I_9$ და $II_1$ ტიპების მიმართაც, რომელთა მსგავს რამოდენიმე ეგზემპლარს ვხედავთ ჩრდილო კავკასიისა და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში მაიკოპის, ვარნასა და გუმელნიცას კულტურებში [96a, გვ. 12]. ამგვარი იარაღის ჩვენში გამოჩენა შესაძლოა უკავშირდებოდეს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს, სადაც მას საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ვხვდებით [112, გვ. 99, 341; 115, სურ. 4]. თუმცა, მისი არც ადგილობრივად, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობაა გამორიცხული, რადგან ზოგან, მაგალითად მისისიპის აუზის უძველეს დანაშრევებში, ასევე ინდიელთა ზოგიერთი ტომისა და ავსტრალიის აბორიგენთა შეიარაღებაში [114; 30, გვ. 59] მსგავსი ტიპების დამოუკიდებელი გზით ჩამოყალიბება სახეზეა.

მაიკოპის კულტურაში დადასტურებული წინააზიური ტიპის ნუშისებრი ისრისპირი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს $I_6$ ტიპთან, მხოლოდ მაიკოპის ყორღანშია აღმოჩენილი. იგი უცნობია სხვა ყორღანებისათვის და საერთოდ, ძალზე იშვიათია ამ კულტურისათვის. [95, გვ. 323]; სამაგიეროდ ამგვარი ისრისპირი კარგადაა ცნობილი მესოპოტამია-ირანისათვის. მას ვხვდებით ტელ-ბრაკზე, თეფე-ჰისარზე, ტელ-ჰადიდიზე, ტელ-ჰაბურზე და სხვ. ბოლო ხანებში იგი აღმოჩნდა ანატოლიაშიც – ნორშუნ-თეფეზე, რომელიც ზემოხსენებულ ცალებთან ერთად „ტელ-ბრაკის“ ტიპშია გაერთიანებული [117, გვ. 68, სურ. 60].

დასავლეთ საქართველოს $I_6$ ტიპის ისრისპირთან მისი მსგავსება ზოგადია და არ ასახავს ამ მხრივ წინააზიურ და ჩრდილო კავკასიურ სამყაროსთან კავშირს. სხვა საქმეა მაიკოპის კულტურის გვიანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი $II_7$ ტიპი – ასიმეტრიულად ფუძეამოღარული ისრისპირი.

იგი ფართოდაა გავრცელებული კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე დიდ არეალზე. ფიქრობენ, რომ ვოლგა-დონის სტეპებიდან ამგვარი ისრისპირი ვრცელდება ჯერ ჩრდილო, შემდეგ კი – სამხრეთ კავკასიაში [95, გვ. 323; 76, გვ.

184]. თუმცა, აქ იგი ერთეული ცალებითაა ცნობილი და რამდენადმე განსხვავდება კიდეც ჩრდილოური ეგზემპლარებისაგან [76, გვ. 184; 59, გვ. 87]. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ისრისპირი არ გვხვდება კავკასიის სამხრეთით – ანატოლიაში, ირანსა და მესოპოტამიაში [87, გვ. 78]. ამდენად, მისი გამოჩენა დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე – საგვარჯილესა და თეთრამიწაზე [59, გვ. 87; 33, ტაბ. XVI], ამ პერიოდში ჩრდილოეთიდან მომდინარე პირველ იმპულსებს უნდა დავუკავშიროთ,[6] როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში ანალოგიური ტიპის იარაღის აღმოჩენის საფუძველზე ადრევე იყო მინიშნებული [87, გვ. 78]. ეს იარაღი შემდგომ ხანებში, ადრებრინჯაოს ხანის დასასრულისაკენ, სამხრეთ კავკასიაში მატულობს. განსაკუთრებით კარგადაა იგი წარმოდგენილი საქართველოში, სადაც მას ძირითადად აფხაზეთისა და შიდა ქართლის ძეგლებზე ვხვდებით. თუმცა, II ჯგუფის სხვა ნაწარმთან შედარებით იგი აქ მაინც ნაკლებადაა გავრცელებული.

დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა ისრისპირთა ტიპების სიმრავლით განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლებისაგან. სხვაობა ჩანს II ჯგუფის ისრისპირის არსებობითაც, რაც უცხოა აღმოსავლეთ საქართველოს მეტ-ნაკლებად სინქრონულ ძეგლებისათვის. იგი აქ ამ კულტურის განვითარებულ ეტაპზე იჩენს თავს და თანარსებობს I ჯგუფის იარაღთან ერთად, შემდგომ კი თითქმის მთლიანად აძევებს მას [60, გვ. 165; 79, გვ. 55]. დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოშიც, სადაც ორ კულტურულ რეგიონს გამოყოფენ: რიონ-ყვირილის აუზსა და კოლხეთის დაბლობს. კოლხეთის აუზისათვის დამახასიათებლად თვლიან სამკუთხა, ქუსლამოღარულ და სამკუთხა ყუნწიან ან ქუსლამოღარულ ტიპებს რიონ-ყვირილას აუზისათვის [46, გვ. 126]. უნდა ითქვას, რომ ორივე ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი იარაღთა ტიპები ძირითადად შეესაბამება მტკვარ-არაქსის კულტურის ისრისპირებს, მათ შორის II ჯგუფის იარაღითაც, რომლის მომძლავრება ამ დროისათვის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ შეინიშნება. ანალოგიური ვითარება ჩანს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის თითქმის მთელ კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ ისრისპირთა ამ ჯგუფების მონაცვლეობის მსგავსი სურათია ჩრდილო კავკასიასა და ანატოლიის ზოგიერთ ოლქშიც. უკანასკნელზე მანამდე უცნობი II ჯგუფის ისრისპირი კავკასიის ანალოგიური ცალების თანადროულად იჩენს თავს. საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს კავკასიისა და ანატოლიის ზოგიერთი ოლქისათვის საერთო მოვლენასთან, რაც, შესაძლოა, ევროპული კულტურების გააქტიურებასთან იყო დაკავშირებული, რომელთათვისაც უფრო მეტად სწორედ ფუძეამოღარული ჯგუფის იარაღი იყო დამახასიათებელი [76, გვ. 184; 96a, გვ. 12]. ამ დროიდან მოკიდებული ფუძეამოღარული ისრისპირი საქართველოსა და საერთოდ, მთელს კავკასიაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს და სხვადასხვა ვარიაციებით განაგრძობს არსებობას ამ იარაღის ხმარებიდან საბოლოო ამოღებამდე.

მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ადრეული ყორღანები ორ განსხვავებულ კულტურას მიეკუთვნება – მარტყოფულს და ბედენურს. თუ პირველისათვის ქვის ისრისპირი შედარებით ნაკლებადაა დამახასიათებელი, ბედენის წრის ძეგლებისათვის ეს იარაღი კარგადაა ცნობილი და სამი ძირითადი ტიპითაა წარმოდგენილი – $II_{8-9}$, $III_3$ [10, გვ. 22; 64, გვ. 81]. უმეტესობას $II_9$ ტიპი შეადგენს. ამასთან, თუ $III_3$ ტიპი კავკასიაში ადრეული ხანებიდანვეა ცნობილი, $II_8$ და $II_9$ ტიპები სრულიად ახალი მოვლენაა საქართველოსა და მთლიანად, კავკასიისათვის როგორც ფორმის, ისე ზედაპირის ფაქიზად დამუშავების თვალსაზრისით [10, გვ. 22; 79, გვ. 67].[7] სწორედ ამ დროს ნაცვლად ადრე გავრცელებული მცოცავი რეტუშისა, შემოდის ქვის ისრისპირის წვრილი პარალელური ამოღარვის ტექნიკით დამუშავება და დამახასიათებელი ხდება ბედენის კულტურისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ქვის ისრისპირის ზედაპირის დამუშავების ტექნიკას კავკასიის უძველეს ისტორიაში არც მანამდე, არც მერე ისეთი მაღალი დონისათვის არ მიუღწევია, როგორსაც ბედენის კულტურის ამ ტიპებზე ვხედავთ. ანალოგიურ ტექნიკას აღმოსავლეთ საქართველოს მომდევნო – შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთ იმ ისრისპირზეც ვამჩნევთ, რომლებიც ფორმითაც ახლოა ბედენურ ცალებთან [81, ტაბ. 106]. ზოგჯერ ბედენური ტიპის ისრისპირს ვხვდებით საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზეც, მაგალითად – ახალციხის ამირანის გორასა და ღრმახევისთავის კომპლექსებში [1, სურ. 3; 37, ტაბ. 26], რაც აქ ბედენური კულტურის ნაკვალევის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

ბედენის კულტურის ხანაში შენიშნული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად ჯერ კიდევ გვხვდება წინარე – მტკვარ-არაქსის კულტურისათვის კარგად ცნობილი ყუნწიანი ისრისპირიც, რაც ამ ათასწლოვანი მძლავრი კულტურის ტრადიციების შემონახვაზე უნდა მიუთითებდეს

[6] თუ ეს უბრალოდ, ტექნიკური წუნის შედეგი არ არის.

[7] ნაკლებად დასაბუთებული ჩანს მოსაზრება „ბედენის“ ტიპის ისრისპირების სამშობლოდ პონტოს მხარის მიჩნევა [117, გვ. 81].

(მაგალითად, ხოვლესა და ზილიჩას ყორღანებში აღმოჩენილი $I_3$ და $I_4$ ტიპის იარაღები). ამ დროიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყუნწიანი ისრისპირის დამზადების ტრადიცია თითქმის მთლიანად ქრება [60, გვ. 165; 79, გვ. 55].

აღმოსავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის კულტურაში გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს $II_{10}$ ტიპი, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი ბედენური ისრისპირის ნიშნები [117, გვ. 81]. ამგვარი იარაღი ცნობილია თრიალეთის XXXVI ყორღანში, ნულში [81, ტაბ. 46,101; 88, სურ. 13], კავთისხევში და სხვ. მას ზოგიერთ ადრეულ – ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ძეგლებზეც ვხვდებით [64, გვ. 47; 60, სურ. 9; 116, გვ. 110; ტაბ. 55, 78], მაგრამ წამყვანი იგი სწორედ შუაბრინჯაოს ხანაში ხდება. ამგვარი ისრისპირი ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ესპანეთში. კარგადაა იგი ცნობილი ანატოლიაშიც, განსაკუთრებით – მუშის მხარეში [117, გვ. 81]. ხშირად იგი $II_{11}$ ტიპთან ერთად გვხვდება. აღსანიშნავია, რომ $II_{10}$ ტიპის ისრისპირი უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის შედარებით ადრეულ ძეგლებს ახასიათებს. თუმცა, არსებობას განაგრძობს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდშიც, როდესაც წამყვანი უკვე $II_{11}$ ტიპი ხდება, რომელიც აქ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურამდე ცოცხლობს. უკანასკნელი, მართალია, ავლენს $II_{10}$ ტიპის ნიშნებს, მაგრამ შედარებით მდარედაა დამუშავებული და განსხვავდება მისგან უფრო მეტად მომრგვალებული ფუძით. იგი აღმოჩენილია შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ისეთ ძეგლებზე, როგორაცაა მელიღელე I [45, ტაბ. XL], წაღვლი [40, ტაბ. 47], კვირაცხოველი [77, ტაბ. 34], და სხვ. ამგვარივე ისრისპირი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის რიგ ძეგლებზეცაა ცნობილი [45, ტაბ. XL; 83, ტაბ. 139; 67, ტაბ. 95]. იგი სხვადასხვა ვარიაციაში ამ დროისათვის განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება, მოიცავს რა მთელ კავკასიას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხანის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში ქვის ისრისპირის გამოყენება თითქმის მთლიანად წყდება. განსხვავებული სურათია კავკასიის სხვა რეგიონებში, სადაც ამ იარაღს უფრო მოგვიანოდაც ვხვდებით [60, გვ. 165; 5, გვ. 115].

გრძელდება მისი დამზადება დასავლეთ საქართველოშიც. საქართველოს ამ ნაწილში თითქმის არ ჩანს ბედენის კულტურისათვის დამახასიათებელი $II_8$ და $II_9$ ტიპები. მისთვის არც შუაბრინჯაოს ხანის $II_{10}$ ტიპის ისრისპირია დამახასათებელი. ამ ხანის ძეგლებიდან – ანაკლიიდან, ნამჭედურიდან, ბრილიდან, ფიჩორიდან, ერგეტიდან [63, გვ. 193; 94, გვ. 24; 66] მომდინარე ქვის ისრისპირებში ჭარბობს II ჯგუფის 3, 4 და 11 ტიპები. პირველი ორი მხოლოდ დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი და ძირითადად, შუაბრინჯაოს ხანისათვის იჩენს თავს. ორივე ტიპის ისრისპირი ცნობილია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ბრილის უძველესი სამარხებიდან [41, გვ. 113, ტაბ. XI; 63, გვ. 193]; დაახლოებით ამავე დროისაა ზემო სვანეთისა [113, გვ. 59] და ცაგერის მუზეუმის [33, ტაბ. XXI] ეგზემპლარებიც. მათივე სინქრონული უნდა იყოს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ანალოგიური იარაღიც [24, ტაბ. LXXIX]. აღსანიშნავია $I_5$ ტიპის ისრისპირის არსებობაც ნოსირსა და ანაკლია I-ში, რომლის პარალელებს უფრო ადრეული ხანის მასალებში ვხედავთ ისევე, როგორც გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ტამიშზე, რომელიც ყუნწიანი ისრისპირის ერთ-ერთი ყველაზე გვიანი გამოვლინება უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში, მსგავსად ყულევის $I_6$ ტიპის იარაღისა, რომელსაც ძეგლის გამთხრელები ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით ათარიღებენ.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებულ კოლხურ კულტურაში შენიშნავენ კაჟის იარაღების, მათ შორის II ჯგუფის ისრისპირების განსაკუთრებულ სიმრავლეს [5, გვ. 115]. ამიტომ მოძველებულად უნდა ჩაითვალოს დაკვირვება, რომ „კოლხურ კულტურაში კაჟის ქუსლამოღებული ისრისპირები იმდენად მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი, რომ გაოცებას იწვევს“ [41, გვ. 132]. ამ დროს ძეგლებზე – ფიჩორზე, ტამიშზე, ანაკლიაზე, ერგეტაზე და სხვ. [66, გვ. 42] ძირითადად გვხვდება II ჯგუფის იარაღი, რომელშიც თითქოს ჭარბობს $II_{6-7}$ ტიპები. არის $II_{11}$ ტიპიც, რომელსაც თავის დროზე ბ. კუფტინი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის ნაწარმს უახლოვებდა [89, გვ. 244]. თ. მიქელაძის აზრით, ამგვარი იარაღი კოლხეთში უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისშივე იყო ცნობილი [94, გვ. 23]. რაც შეეხება $II_{6-7}$ ტიპებს, მათ კიდევ უფრო ადრეულ ხანაშიც ვხვდებით [59, გვ. 88], რაც ტრადიციების შემონახვაზე უნდა ლაპარაკობდეს. ერგეტის სამაროვნის მიხედვით ისე ჩანს, რომ სამივე ტიპის ისრისპირი მოგვიანებით თანაარსებობს [39, გვ. 57]. იყო თუ არა ეს მოვლენა საერთო მთელი კოლხეთისათვის, ძნელი სათქმელია. ფიჩორის ნასახლარზე აღმოჩენილი ამგვარი ისრისპირების შესახე, გამოითქვა მოსაზრება, რომ სიმეტრიულად ფუძეამოღარული ისრისპირი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო უფრო ადრეულ ფენებში კი ასიმეტრიული ტიპი იყო გავრცელებული [5, გვ. 115]. თუმცა, ამავე ძეგლის სტრატიგრაფიული მონაცემები პირიქით სურათს უფრო ხატავს [65, გვ. 132]. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის ქვის ისრისპირის დამზადების ტრადიცია დასავლეთ საქართველოში მთლიანად ისპობა [5, გვ. 115].

| ჯგუფი | I | | | | | | | | | II | | | | | | | | | | | | III | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიპი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 1 | 2 | 3 |
| აბასთუმანი | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | |
| აბედათი | | + | + | + | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ახალციხის ამირანის გორა | | | + | | | | | | | | | | | + | + | | | | | + | | | | + |
| ანაკლია I | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| ანაკლია II | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | + | | | | |
| ანასეული II | + | | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| არგვეთი | | | | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| აჩმარდა | | | | | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | |
| აწყურის ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | + | | | | |
| ახალსოფელი | + | + | + | | | + | | | | | + | | | | | | | | | | | | | |
| ახალციხის მუზეუმი | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ახჩიას ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| ბადაანი | | | + | + | + | | | | | | | | | + | + | | | | | | | | | |
| ბახმარო | | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბედენის ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | + | + | | | | | | + |
| ბერიკლდეები | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | + |
| ბეშთაშენი | | | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბრილი | | | | | | | | | | | | + | + | | | | | | | | | | | |
| განთიადი | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| გომნა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| გორაძირი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| გორშევარდენი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | |
| გუდაბერტყა | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | |
| გუდავა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | |
| დაბლაგომი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | |
| დალარი | | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დარკვეთი | | | | | | | + | | | + | | | | | | | | | | | | + | | |
| დელისი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| დიდაჭარა | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დიდუბე | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | |
| ერგეტა | | | | | | | | | | | | + | | | + | + | | | | + | | | + | |
| ვანი | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | | |
| ზემო ბოდბე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| ზემო სვანეთი | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | | |
| ზველი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| ზილიჩას ყორღანი | | | + | + | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| ზურტაკეთის ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | + | + | + |
| ზღუდრისგვერდა | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | |
| თბილისი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | + | | |
| თეთრამიწა | + | + | + | | | | | | | | | | | | | + | | | | | | + | | |
| თეთრი მღვიმე | + | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| თეთრიწყარო A | | | + | | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | |
| თეთრიწყარო B | + | | + | + | | | | | | | | | | | | + | | | | | | + | | |
| თრიალეთის ყორღანები | + | | | | | + | | | | | | | | | | | | + | + | | | | | |
| ირგანჩაი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| იმირის გორა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | |

| ჯგუფი | I | | | | | | | | | II | | | | | | | | | | | | III | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიპი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 1 | 2 | 3 |
| ისპანი | | | + | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კავთისხევი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| კარახტინი | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | |
| კასპი | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | |
| კვირაცხოველი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| კისტრიკი | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კოდა | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კუსირეთი | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლაშეთხევი | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლენტეხი | + | | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მარტყოფის ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | |
| მელიღელე I | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| მზეთამზე | | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მჭადიჯვარი | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | | | | | |
| ნამჭედური | | | | | | | | | | | | + | | | + | | | | | | | | | |
| ნაომარი გორის ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| ნაოხვამუ | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | |
| ნატახტარი | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| ნაჩერქეზევი | | + | + | + | | | | | | | | | | + | | | | | | | | | | |
| ნაციხვარი | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნოსირი | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნული | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| ოდიში | + | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ოზნი | | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ოთხარა | | + | | | | | | | | | | | | | + | + | | | | | | | | |
| ორწყლები | + | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ორჭოსანი | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | + | |
| ოჩამჩირე | | | | | + | | | | | | | | | | + | + | | | | | | | | |
| ოჩხომური | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | | | | |
| პანტიანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| როჟდესტვენსკოე | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| საბურთალო | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| საგარეჯო | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | |
| საგვარჯილე | + | + | + | | | | + | | | + | + | | | | | + | | | | | | + | | |
| საკაჟია | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| საკოჭავი | | | + | | | + | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სამელე კლდე | + | + | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | |
| სამერცხლე კლდე | | + | | | | | | | | | + | | | | | | | | | | | + | | |
| სამთავრო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| სამშვილდე | + | | + | | | | | + | + | | | | | | | | | | | | | | | |
| სვირი | | + | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | + | | |
| სასირეთი | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | | | |
| ტალახნარი | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ტამიში | | | | | + | | | | | | | | | | | | | | | + | + | | | |
| ტყვიავის ყორღანი | + | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| უდაბნოს ყორღანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | + | | | | |
| ფიჩორი | | | | | | + | | | | | | + | | | + | + | | | | + | | | | |

| ჯგუფი | I | | | | | | | | | II | | | | | | | | | | | | III | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიპი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 1 | 2 | 3 |
**ტაბ. I** - „თეთრი ქვების“ № 4 გორასამარხის გეგმა და ჭრილები, ძირითადი სამარხი კამერის გეგმა.

**ტაბ. II** - „თეთრი ქვების“ № 4 გორასამარხის ინვენტარი: 1 - ჩაშვებული სამარხის თიხის ჭურჭელი; 2-4 - თიხის ჭურჭელი ძირითადი სამარხიდან; 5-6 - ოქროს საკიდები; 7 - ბრინჯაოს საკიდი; 8 - ბრინჯაოს „შტანდარტი“; 9 - ბრინჯაოს სამაჯური; 10. ბრინჯაოს ისრისპირი; 11. ძვლის ისრისპირი.

## Beschreibung der Abbildungen:

**Abb. I** – Plan und Schnitte des Hügelgrabs "Tetri Kwebi 4"; Plan der Hauptgrabkammer.

**Abb. II** – Inventar aus dem Hügelgrab "Tetri Kwebi 4": 1 – Gefäß aus der Nachbestattung; 2-4. Gefäße aus dem Hauptgrab; 5-6. goldene Schläfenringe; 7. bronzener Schläfenring; 8. bronzene "Standarte"; 9. bronzener Armring; 10. bronzene Pfeilspitze; 11. Knochenpfeilspitze.

# ტაბ. I







1. ჩაშვებული სამარხი
2. ძირითადი სამარხი







2. დერგი
3. ქილა
4. ბადია
5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები
6,7. ოქროს საკიდები
8. ბრინჯაოს საკიდი
9. სამაჯური
10. „შტანდარტი"
11. ბრინჯაოს ისრისპირი
12. ძვლის ისრისპირი

▨ ნაცარი

ტაბ. II



## ნინო შანშაშვილი

# ობსიდიანი დაკრძალვის რიტუალში

ობსიდიანი მიეკუთვნება იმ მინერალთა რიცხვს, რომლის გამოყენება დაიწყო კაცობრიობის გარიჟრაჟზე. არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ობსიდიანის მოპოვებასა და ვაჭრობას უძველეს ხანაში [47; 26].

## 1. ობსიდიანის ინდუსტრიული მნიშვნელობა

მახლობელი აღმოსავლეთის კულტურების ქვის მასალის ინდუსტრიების სისტემატურმა კვლევამ გვიჩვენა ობსიდიანის ძალზე ფართო გავრცელება დროსა და სივრცეში – აშელიდან რკინის ხანამდე, მოპოვების ადგილიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის რადიუსში [26, გვ. 20]. წინაკერამიკულ ნეოლითში ძალზე ეფექტურად იწყებს ფუნქციონირებას სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობები, რაც ობსიდიანის მოპოვების ადგილს საკმაოდ შორს მცხოვრე, მომხმარებელთან აკავშირებდა. ამ კავშირების ეფექტურობაზე მიუთითებს ზაგროსის ნამოსახლარის მონაცემები, რომლის მოსახლეობა გაცილებით მეტი რაოდენობით იყენებდა მოტანილ ობსიდიანს, ვიდრე ადგილობრივ კაჟს [26, გვ. 20].

ობსიდიანი თავის მნიშვნელობას ბრინჯაოს ხანაშიც არ კარგავს. ანატოლიაში, ქარუმ ქანეშ I-, ფენაში (II ათასწელეულის დასაწყისი), ერთ-ერთი შენობის ოთახში ობსიდიანის საწყობი დადასტურდა. აქ აღმოჩენილი ობსიდიანის დიდი და პატარა დაუმუშავებელი ნატეხების საერთო წონა სამ ტონას შეადგენდა [26, გვ. 20]. ალალახში (ტელ-აჩანა) VII ფენაში (ძვ.წ. 1780-1750 წწ.) სასახლის ერთ-ერთი შენობა ობსიდიანის ლარნაკების დამამზადებელ სახელოსნოს წარმოადგენდა. ნედლეული მართკუთხა ბლოკების სახით (30×20×20 სმ) შემოდიოდა [28, გვ. 96; 26, გვ. 24].

ხური-მითანის მეფის თუშრატას (ძვ.წ. XV-XIV სს. მიჯნა) ქალიშვილის მზითევის სიაში, რომელიც ეგვიპტეში გააგზავნეს, ობსიდიანიც ფიგურირებდა [26, გვ. 15].

არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ ობსიდიანი უძველესი დროიდან რიტუალშიც გამოიყენებოდა.

## 2. ობსიდიანი-საკრალური თვალი

ობსიდიანისგან დამზადებული საკრალური საგნები პირველად ანატოლიაში, ჩათალ-ჰუიუქში (VI ათასწლეულის პირველი ნახევარი) ჩნდება. აქ, მრავალფენიან სამლოცველოში ობსიდიანის სარკე და ისრისპირები აღმოჩნდა. ანატოლიაშივე, ხაჯილარ II-ში (ძვ.წ. VI ათასწლეული) აღმოჩნდა ქალღმერთის ფიგურის ფორმის თიხის რიტუალური ჭურჭელი, რომლის თვალები ობსიდიანით იყო ინკრუსტირებული [35, გვ. 104, სურ. 44].

ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისიდან ანატოლიის უმნიშვნელოვანეს ცენტრებსა და ასირიულ კოლონიებში (ქიულ-თეფე, აჩემ-ჰუიუქი) ობსიდიანისგან მზადდებოდა ლარნაკები [46, გვ. 114, ნახ. 177]. შესაძლოა ხეთურ რიტუალურ ტექსტებში მოხსენიებული შუშის ჭურჭელი [16, გვ. 77, 80] სწორედ ობსიდიანისაგან დამზადებული ლარნაკებია.

ობსიდიანის გამოყენება საკულტო ცერემონიებში დამოწმებულია ამ მინერალის მოპოვების წყაროდან საკმაოდ შორ მანძილზე. ტუტანხამონის ოქროს სარკოფაგის ზედა ნაწილი ოსირისის სახეს წარმოადგენდა, რომლის თვალის გუგები ობსიდიანისა იყო [40, გვ. 418]. ობსიდიანით და მთის ბროლითაა ინკრუსტირებული ძველი ეგვიპტელი დიდებულის, რახოტეპის და მისი მეუღლის ნოფრეტის ქანდაკებების თვალები [36, გვ.94].

ობსიდიანისგან იყო დამზადებული ძველი ეგვიპტური ამულეტი "ორი თითი". იგი წარმოადგენდა ღვთაება ჰორის საჩვენებელ და შუა თითს, რომელიც მან მიაწოდა მამამის ოსირისს, ზეციურ კიბეზე ასვლისას [27, გვ. 183]

სამხრეთ კავკასიაში ობსიდიანით ქანდაკებების თვალების ინკრუსტირება პირველად ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლოსაა დამოწმებული. ბერიკლდეების ნამოსახლარზე აღმოჩენილ ანთროპომორფული კერის შვერილების თვალები ობსიდიანითაა ინკრუსტირებული.[8] მსგავსი გამოსახულება აღმოჩნდა სოფ. ზველშიც [41, გვ. 20].

ძვ.წ. I ათასწლ. დასაწყისით დათარიღებული ყათნალიხევის სამლოცველოზე აღმოჩნდა ქალღმერთის თიხის გამოსახულება, რომლის თვალები ობსიდიანითაა ინკრუსტირებული [24, გვ. 20].

## 3. ობსიდიანი დაკრძალვის რიტუალში

სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურებში შეინიშნება ობსიდიანის დაუმუშავებელი, ანდა დამუშავებული ნატეხების გამოყენება დაკრძალვის რიტუალში.

ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება, რომ ჯავახეთში, ფარავნის ტბის ნაპირებზე მდებარე ყორღანების ზედაპირი დაფარული იყო ობსიდიანის დიდი ნამტვრევებით [33, გვ. 101].

---

[8] ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ მ. ჯალაბაძეს.

ობსიდიანის გამოყენება დაკრძალვის რიტუალში იშვიათად გვხვდება მტვარ-არაქსის კულტურაში. მხოლოდ ორ შემთხვევაშია დაფიქსირებული ობსიდიანის სამარხში ჩაყოლების ფაქტი:

ოზნიში, ბავშვის N2 სამარხში აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცი [31, გვ. 40], ხოლო ამირანის გორის № 56 სამარხში აღმოჩნდა ობსიდიანის მძივები და ღუზისებური საკიდები [44, გვ. 250, სურ. 29] (ობსიდიანის მძივი აღმოჩნდა ალაჯა-ჰუიუქის K სამარხშიც, რომელიც III ათასწ. მეორე ნახევრით თარიღდება [45, გვ. 168]).

ობსიდიანი სამარხებში მასობრივად ჩნდება ადრეული ყორღანების ეპოქიდან.

თრიალეთში ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანებში ფიქსირდება ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები – IV, X, X1X ყორღანში [31, გვ. 52, 53, 56]. XXVII ყორღანში ობსიდიანის ისრისპირი [31, გვ. 58], XL ყორღანში კი, ობსიდიანის ისრისპირები, ფირფიტები და საფხეკი აღმოჩნდა [31, გვ. 59].

ობსიდიანის ნატეხები აღმოჩნდა ბედენის IV, V და IX გორასამარხებში [1, გვ. 33, 91, 98].

ობსიდიანის ნატეხი აღმოჩნდა წნორის II ყორღანში [29, გვ. 51].

თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის XXXVI ყორღანში ობსიდიანის ისრისპირი და ფირფიტა (ფანჯარა) აღმოჩნდა [31, გვ. 114-115].

ობსიდიანის ანატკეცი აღმოჩნდა თრელის შუაბრინჯაოს ხანის N 51 სამარხში [3, გვ. 174].

მარნეულის ველზე, სოფ. სარალთან, შუა ბრინჯაოს ხანის VII ყორღანში მიცვალებულის მუცლის არეში ერთი მოზრდილი ობსიდიანის ნატეხი იდო [18, გვ. 146].

მრავლადაა აღმოჩენილი ობსიდიანის ანატკეცები სამთავროს სამაროვანზე: № 243 სამარხის მთელ ფართობზე ობსიდიანის ანატკეცანამტვრევები იყო მიმობნეული [5, გვ. 33]. ობსიდიანის ანატკეცები აღმოჩნდა №№ 156 [5, გვ. 33], 74, 112, 156, 178, 263 სამარხებში [38, გვ. 11, 13, 16, 18]. ობსიდიანის ანატკეცები აღმოჩნდა ნატახტარის სამაროვნებზე (I, III): სამარხებში №№ 1, 2, 3, 8, 7, 28 [38, გვ. 31, 33, 36, 38, 41, 44]. ორ უკანასკნელ სამარხში ანატკეცებთან ერთად ობსიდიანის ისრის პირებიც აღმოჩნდა [38, ტაბ. 25, 29]. ობსიდიანის ანატკეცები მუხათგვერდის № 75 [38, გვ. 59, 63] და წიწამურის № 16 სამარხებშიც დადასტურდა [12, გვ. 76].

წიწამურთან გათხრილ ყორღანში (სამარხი № 13) მიცვალებულისათვის შეწირულ ცხვართან ობსიდიანის ანატკეცები იდო [20. გვ. 56].

როგორც ვ. სადრაძე აღნიშნავს, ობსიდიანის ანატკეცები, ისევე როგორც ობსიდიანის ისრისპირები და მსხვილფეხა რქოსანის ნაწილები დაკრძალვის რიტუალის შემადგენელი ნაწილია შუა ბრინჯაოს ხანის "დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე [38, გვ. 60].

ობსიდიანის დამუშავებული და დაუმუშავებელი ნატეხები მრავლადაა აღმოჩენილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებისკენ მიმავალ სარიტუალო გზებზე.

ობსიდიანის გამოყენება დაკრძალვის რიტუალში დადასტურებულია სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც. აზერბაიჯანში, ხაჩბულაღის I ყორღანის (ძვ.წ. XXVI-XXV სს.) ზედაპირი დაფარული იყო ობსიდიანის ლამელებით, საფხეკებით, საჭრისებით, ისრისპირებით (314 ერთეული), რაც, გამთხრელების აზრით, გარკვეულ რიტუალთან იყო დაკავშირებული [30. გვ. 15-45]. ობსიდიანის ანატკეცები აღმოჩნდა აგრეთვე დაშიუზის № 5 და ხანკენდის № 119, № 125 ყორღანებში [25, გვ. 9, 26-27].

დაუმუშავებელი ობსიდიანების ჩატანება სამარხებში დადასტურებულია სომხეთში, ტალინის სამაროვანზე და ჯერვეჟის, აშტარაკის II, ლჭაშენის III ყორღანებში [26, გვ. 29].

ობსიდიანის სამარხში ჩატანების ფაქტები დასტურდება მადნისჭალის გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის XXXVI და XL სამარხებში, I გორასამარხის I ორმოსამარხში, ჭერმის მთის I და II ორმოსამარხებში. II ორმოსამარხის სახურავზე მიმობნეული იყო თიხის ჭურჭელი და ობსიდიანის ნატეხები [4, გვ. 36-40, 56].

ღრმაღელეში, № 1 ორმოსამარხში აღმოჩნდა დაუმუშავებელი ობსიდიანი [19, გვ. 84, სურ. 16].

ობსიდიანი აღმოჩნდა აგრეთვე სამთავროზე, №№ 155, 171, 160, 183, 232, 264, 45, 34, 80, 263, 8, 111, 115, 88, 58 ორმოსამარხებში და №№ 22, 35, 164 სამარხებში [23, გვ. 19, 22, 23, 26, 29-36, 41; 6, გვ. 18, 24, 32, 37, 42, 57; 7, გვ. 23, 58, 70, 71].

თრელის ადრე რკინის ხანის № 34 სამარხში აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცი [3, გვ. 182].

ობსიდიანის უსახო ანატკეცები დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ელი-ბაბას სამაროვანზე [12], აგრეთვე დმანისის ნეკროპოლზე [14, გვ. 25].

ობსიდიანის ნატეხები, შეწირულობის სახით, სამხრეთ კავკასიის გვიანიბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამლოცველოებში დაფიქსირდა შილდაში [8, გვ. 9, 38, 94, 95], მელი-ღელე II-ში. ამ სამლოცველოს ზღუდეზე ობსიდიანის ანატკეცები რკინის და ბრინჯაოს იარაღის და სამკაულის ჯგუფებთან ერთად იდო [17, გვ. 116-117]. ყათნალიხევის I ნაგებობაში [24, გვ. 22] ნაპოვნია ქალღმერთის ჰორელიეფური გამოსახულება, რომლის თვალები ობსიდიანითაა ინკრუსტირებული [24, გვ. 20]. შილდის და მელი-ღელე II-ის სამლოცველოებში, კ. ფიცხელაურის აზრით,

ომის და ნაყოფიერების ღვთაებები მოთავეობდნენ [17, გვ. 116-117]. დვინის [34. გვ. 13] და ყათლაინხევის სამლოცველოებში უმთავრესი სათაყვანო ცხოველი ხარი იყო და გამთხრელებმა აქ აღმოჩენილი გამოსახულებები ჭექა-ქუხილის ღვთაებას (თეშუბი, ტაროსი) დაუკავშირეს [34, გვ. 55, 24, გვ. 22].

ობსიდიანის ანატკეცები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ადრერკინის ხანის სამაროვნებზეც (ურეკი, გორაძირი) [2, გვ. 42; 10, გვ. 107].

ობსიდიანის გამოყენება დაკრძალვის რიტუალში გრძელდება გვიან ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ხანაში. არაგვის ხეობაში, ჟინვალის სამაროვანზე, II-IIIს.ს. დათარიღებულ ორმოსამარხებში, ცხვრის ძვლებთან ერთად დადასტურდა ობსიდიანის ანატკეცები. კართანას სამაროვანზე კი VI-VIII ს.ს. დათარიღებულ სამარხებში (3 სამარხი) ჩონჩხის გვერდით აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები.[9]

როგორც ჩანს, ობსიდიანს რაღაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და სამარხებში მისი ჩატანება გარკვეულ რიტუალთან იყო დაკავშირებული.

### 4. ობსიდიანი ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში

პლინიუსის მიხედვით, ობსიდიანს ეს სახელი ეწოდა ვინმე ობსიდიუსის პატივსაცემად, რომელმაც ეს ქვა რომში ეთიოპიიდან ჩამოიტანა [37, გვ. 70].

სულხან-საბას მიხედვით, ობსიდიანის ქართული სახელი არის ცის ნატეხა, ხოლო ცის ნატეხასაგან დამზადებულ პატარა დანასაც თავისი სახელი აქვს – ქასრი [15, გვ. 338-339].

წალკელი ბერძნები ობსიდიანს ეძახიან ქურთდაშს, ე.ი. მგლის ქვას; აგრეთვე ყარღადაშს, ე.ი. ყვავის ქვა; დევე გოზს, ე.ი. აქლემის თვალს; ჩახმახ-დაშს და უახლოეს წარსულშიც სამედიცინო მიზნით იყენებდნენ [32, გვ. 5, 15, 18]

სომხურად მას, ისევე როგორც კაჟს, gayla-xaz უწოდებენ, რაც მგლის დამწველს, გამგლეჯელს ნიშნავს [39, გვ. 80].

ობსიდიანს, როგორც დაკრძალვის რიტუალის ატრიბუტს, პირველად ყურადღება მიაქციეს გ. ნიორაძემ [14, გვ. 25] და დ. ხახუტაიშვილმა [24, გვ. 20]. ამ თემას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ა. სიმონიანმა. იგი ძირითადად სომხეთის ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას ეყრდნობოდა. ა. სიმონიანის აზრით, ობსიდიანი, ისევე როგორც კაჟი, ელვის სიმბოლოდ გაიაზრებოდა. მისი მოთავსება სამარხში აპოთროპეულ ხასიათს ატარებდა [39, გვ. 79-81].

როგორც ჩანს, ანატოლიის და კავკასიის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებით, ეს ქვა დაკავშირებული იყო ზეცასთან, ელვასთან, ზეციურ ცეცხლთან და ამდენად დამუხტული იყო ზეციური საკრალურობით.

ეთნოგრაფიული მონაცემებით განსაკუთრებული საკრალური ძალა ენიჭებოდა კაჟის, ობსიდიანის ან სხვა მინერალებისაგან დამზადებულ უძველეს იარაღს, რომელსაც გვიან შუასაუკუნეების ევროპაში "ჭექა-ქუხილის ქვებს", "დრაკონის კბილებს" და "ღმერთის ცეცხლს" უწოდებდნენ. ითვლებოდა, რომ მათი მოძებნა შეიძლებოდა იქ, სადაც მეხი ჩამოვარდა. ელვა და მეხი კი შესაძლოა ცის ღმერთის იარაღი იყო [42, გვ. 147].

ზოგიერთ ტრადიციულ საზოგადოებაში ახლაც სწამთ, რომ ცის კამარა მთის ბროლისგან, ხოლო ზეციური ღმერთის ტახტი კი კვარცისგან არის გაკეთებული [42, გვ. 146].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყორღანების და სარიტუალო გზების ზედაპირის დაფარვა ობსიდიანით, აგრეთვე ობსიდიანის ჩატანება მიცვალებულისათვის სამარხში, ამ ტერიტორიას ავსებდა ზეციური საკრალურობით, რადგან შესაძლოა ობსიდიანი – "ცის ნატეხა" ცის ღმერთის ატრიბუტად იყო წარმოდგენილი.

### 5. ობსიდიანი – „ცის ნატეხა“

ობსიდიანის ჩატანება განსაკუთრებით ხშირია შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში. იგი გვხვდება როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა მხარეს დაკრძალულ მიცვალებულებთან. ობსიდიანიან სამარხებში ზოგ შემთხვევაში მიცვალებული არის დაკრძალული, ზოგში კი – არა;. ზოგი სამარხი საკმაოდ მდიდრულია, ზოგი კი – ღარიბული. ასე რომ, ობსიდიანის ჩატანებისას მიცვალებულის სოციალურ მდგომარეობას და სქესს არ ჰქონდა მნიშვნელობა, ისეთი, მაგალითად, როგორსაც სალესს ქვებს ანიჭებდნენ (გვიანი ბრინჯაო–ადრერკინის ხანის სამაროვნებზე ჩრდილო კავკასიასა და კოლხეთში სალესი ქვები მამაკაცთა სამარხების აუცილებელი ატრიბუტია. იმის გამო, რომ სალესებს იშვიათად ეტყობათ ლესვის კვალი, ფიქრობენ, რომ ისინი სალესებად კი არ იხმარებოდნენ, არამედ საკულტო ნივთებს წარმოადგენდნენ [10, გვ. 46]).

ობსიდიანის ჩატანების რიტუალი საერთოა ყველასათვის, სოციალური ფენის და სქესის განურჩევლად. ჩვენი აზრით, ობსიდიანი ცის ღვთაების ატრიბუტი და აღორძინების სიმბოლო იყო. სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამლოცველოებში ობსიდიანი ეწირებოდა ომის და ნაყოფიერების ღვთაებას. შესაძლოა, ეს იყო მცირე აზიის უძველესი მოსახლეობისათვის საერთო ჭექა-ქუხილის, ამინდის ღვთაება (თეშუბი, ტაროსი, ტარჰუნტი), რომელიც განაგებს

---

[9] ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ვ. ჩიხლაძეს და გ. რჩეულიშვილს.

როგორც სიკვდილს, ომს, ასევე წვიმასა და ნაყოფიერებას. "ამინდის ღვთაების იდეოგრამა ხეთურ ტექსტებში გვხვდება მრავალრიცხოვანი ეპითეტის თანხლებით: ცისა, ელვისა, ჭექა-ქუხილისა, ღრუბლებისა, წვიმისა, ნამისა, ველისა, საძოვრისა, ტყისა, მცენარეულობისა, ვენახისა, ყანისა, სახლისა, ურდულისა, ტაძრისა, (მეფის) თავის პიროვნებისა, სამხედრო ლაშქრისა, ხელშეკრულებისა, ფიცისა, კეთილდღეობისა, სამართლიანობისა და სხვ. ეს და სხვა მრავალი ეპითეტი აჩვენებს ხეთების უზენაეს ღმერთს მის ფუნქციათა მრავალფეროვნებაში" [16, გვ. 131-132]. მესოპოტამიაში თუ ამინდის ღვთაება დამანგრეველი სტიქიაა, ანატოლიაში – კეთილისმყოფელი ძალაა, სიცოცხლის მომტანი, წყლის, უფრო მიწისქვეშა წყლების, ვიდრე წვიმის ბატონი. ძველი ანატოლიური ღვთაებები, ისეთებიც კი რომელთა ადგილი მხოლოდ ცაზეა, ქტონიურები არიან [16, გვ. 132].

აღსანიშნავია, რომ შუა ბრინჯაოს ხანის დაკრძალვის რიტუალი ითვალისწინებს მსხვილფეხა რქოსანის შეწირვას. ანატოლიის უძველესი ამინდის ღვთაების ცხოველი სწორედ ხარია. ხათის ამინდის ღვთაებას "გამოჩენილი ხბო" ეწოდება. მისი ნიშანი ლუვიურ იეროგლიფურ დამწერლობაში გამოისახება ნიშნით – " W ". ეს სიმბოლო ანდა მისი მსგავსი ფიგურირებს შუა ბრინჯაოს ხანის ორნამენტაციაში [31, ტაბ. 81-690, ტაბ. 91-771].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უძველესი ანატოლიური ღვთაება, რომელიც ამინდს განაგებს, აგრეთვე სიკვდილ-სიცოცხლის მარეგულირებლად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომლის ერთ-ერთი ატრიბუტი ობსიდიანის იარაღი ან ნატეხია. გარდაცვლილს თან ატანდნენ ამ ქვას, შესაძლოა, ხელახალი აღორძინების ნიშნად. გავიხსენოთ იასონის მეორე დავალება, რომელიც მას აიეტმა მისცა – დრაკონის კბილების დათესვა (დრაკონის კბილები ევროპული ფოლკლორის მიხედვით, სწორედ კაჟის, ან ობსიდიანის უძველესი იარაღია.) დრაკონის კბილების დათესვას მიწიდან მეომრების ამოსვლა მოჰყვა.

## 6. დასკვნა

ობსიდიანის გამოყენება დაკრძალვის რიტუალში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე იწყება ყორღანულ კულტურებთან ერთად, ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე.

სწორედ ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში შეინიშნება დიდი პოლიტიკური ძვრები. ჩნდება, მართლაც რომ მეფური, თავისი ბრწყინვალებით, ინდივიდუალური ყორღანები [29, გვ. 70]. დიდ ყორღანში დაკრძალულ ბელადს თან ატანდნენ ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ ძალაუფლების ატრიბუტებს, ზოგ შემთხვევაში კი ეტლსაც, რაც დაკრძალულის მაღალ სტატუსს მიუთითებს.

მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე შეიმჩნევა ცვლილება კერამიკის ორნამენტაციაში. ჩნდება ე.წ. "სამწილადი კომპოზიციები", რაც ჩვენი აზრით, გარკვეული სოციალური ცვლილებების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო [22, გვ. 29]. ამავე პერიოდში ჩნდება ნიშან-სიმბოლოები კერამიკაზე, რაც შეიძლება დამწერლობის შექმნის მცდელობად ჩაითვალოს [21, გვ. 25].

ყორღანებთანვე უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ვერტიკალურად აღმართული ქვები – მენჰირები, "ქვაკაცები", ანდა "ვეშაპები." ასეთი შემთხვევები მრავლად დასტურდება თრიალეთსა და ჯავახეთში [9, გვ. 119]. საოცარი მსგავსება მენჰირებთან დამოკიდებულებაში დასტურდება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ეთნოგრაფიაში (ინგლისი, საფრანგეთი, ინდოეთი). ითვლებოდა, რომ სამარხთან აღმართულ ქვაში წინაპრის სულია დამკვიდრებული, რომელსაც გენერაციის უნარი აქვს. კულტის საგანი არა ქვა, არამედ მასში მობინადრე რაღაც სულია [43, გვ. 10, 16].

მენჰირების თაყვანისცემის მაგალითები საქართველოშიც დასტურდება. საკრალური ძალა ენიჭებოდა სოფ. მურჯახეთის, განძის, სანთის და დიდი აბულის მონოლითებს [9, გვ. 98, 103, 117].

მენჰირი, თავდაპირველად, ალბათ, გარდაცვლილი დიდი წინაპრის სულის საუკუნო სასუფეველს წარმოადგენდა, ამავე დროს იგი აღმართული იყო საკრალურ ადგილას, ამიტომ წესრიგის გარანტს წარმოადგენდა. გარკვეულწილად მას გენერაციული ფუნქციებიც ეკისრებოდა.

ყორღანებთანაა დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი საპროცესიო გზები, რომლებიც, როგორც წესი, აღმოსავლეთით არიან მიმართულნი.

ყორღანების ზედაპირის და მათკენ მიმავალი გზების დაფარვა ობსიდიანით, აგრეთვე ობსიდიანების ჩატანება დასაკრძალავებში ზეციური საკრალურობით ავსებდა ამ ტერიტორიას, რადგან ობსიდიანი ცის ღმერთის ატრიბუტი და ამ შემთხვევაში აღორძინების სიმბოლო იყო.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი ურთიერთკავშირშია და ახალ სოციალურ, პოლიტიკურ და ეთნიკურ მოვლენებზე მიუთითებს, კერძოდ კი ადრესახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ინსტიტუტის გაჩენას, რაც თან მოყვა ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლას.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ობსიდიანის ჩატანება სამარხებში კავშირშია ყორღანების და სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის შემოსვლასთან, საიდან უნდა მოდიოდეს ეს იმპულსები? ჩვენი აზრით, ეს იმპულსები მოდის იმ რეგიონიდან, სადაც ცნობილია ობსიდიანი და

სადაც იგი გამოიყენებოდა რიტუალში უძველესი დროიდან. ასეთად კი ცენტრალური და სამხრეთ ანატოლია გვესახება.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ობსიდიანი დაკრძალვის რიტუალში გამოიყენება შუა ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე; ამასთანავე ისეთ რეგიონებშიც, საიდანაც ობსიდიანის მოპოვების წყარო საკმაოდ შორს მდებარეობდა (დასავლეთ საქართველო, არაგვის ხეობა, კახეთი), რაც მის საგანგებო და საკრალურ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ პერიოდში ობსიდიანი საიუველირო ხელოვნებაში არ გამოიყენებოდა. იგი მხოლოდ დაკრძალვის რიტუალში ფიგურირებს. შესაძლოა, ობსიდიანს არა მხოლოდ აპოთროპეული დანიშნულება ჰქონდა, ისეთი როგორც გიშერს, აქატს, ანდა სხვა ნახევრადძვირფას ქვებს, არამედ მას აღორძინების ძალაც ენიჭებოდა.

**N. Shanshashvili**

THE IMPORTANCE OF OBSIDIAN IN BURIAL RITES
(Summary)

The study of stone industries of the Near East cultures revealed the fact of broad distribution of obsidian both in space and time – beginning from Acheulean cultures up to the Iron Age, from its deposit at places situated within a few thousand kilometers in radius.

Archaeological evidence clearly indicates that obsidian had been used in burial rites from the most ancient time. Sacred items manufactured from obsidian first appear in Anatolia. This mineral was used in cult ceremonies in places quite far away from its outlets (e. g. Egypt).

Raw or treated obsidian pieces are evidenced in burial rites of the Bronze Age cultures in the Southern Caucasus. Pieces of obsidian as donations are discovered in South Caucasian shrines (Shilda, Melighele II, Katnalikhevi, Dvini) dated to the Late Bronze–Early Iron Age. The placement of obsidian in burials must have been connected with certain rituals.

Ethnographic data indicates that, according to ancient beliefs of Anatolian and Caucasian population, this mineral was connected with heaven, thunderbolt, and heavenly fire.

It can be conjectured that placing obsidian in burials, covering the surfaces of kurgans and ritual roads with this stone attached sanctity to the area. Besides, obsidian, whose ancient Georgian name is “piece of heaven”, was considered an attribute of heavenly deity.

Obsidian occurs quite often in the burials of the Middle Bronze Age. The rite seems to have been uniform for everybody, despite social hierarchy and gender. In South Caucasian shrines of the Late Bronze–Early Iron Age obsidian was sacrificed to the deity of war and fertility. It might have been the god of storm and weather (Teshub, Taros, Tarhunt) – revered by the population of Asia Minor and regulating death, war, rainfall and fertility.

Utilization of obsidian *en masse* in burial rites on the territory of the Southern Caucasus starts with the spread of kurgan cultures at the final stage of the Early Bronze Age. This is the period of great political changes in the Southern Caucasus. The Royal kurgans appear, chiefs are buried with power insignia manufactured of precious metals and ocassionally chariots. The kurgans were connected with ritual roads. Solid upright stones – menhirs must have also been linked with kurgans. Decoration of pottery undergoes changes, some sort of symbols - may be an effort to create writing - appear on pottery.

The above archaeological evidence points to certain new social, political and perhaps ethnic changes. Where are we to search for these innovative impulses? The author locates them in the regions where obsidian had been familiar and used in rites from the most ancient times – south and south-eastern Anatolia.

## ლიტერატურა

1. **გობეჯიშვილი გ.** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბ., 1981.

2. **გოგაძე ე., დავლიანიძე ც.** გორაძირი. თბ., 1981.

3. **თბილისი.** არქეოლოგიური ძეგლები I. თბ., 1978.

4. **თუშიშვილი ნ.** მადნისჭალის სამაროვანი. თბ., 1972.

5. **კალანდაძე ა.** სამთავრო-წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, ტ. IV, თბ., 1980.

6. **კალანდაძე ა.** სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსები. – მცხეთა, ტ, V, თბ., 1981, გვ. 7-118.

7. **კალანდაძე ა.** სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა, ტ. VI. თბ., 1982, გვ. 7-138.

8. **მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ.** შილდის სამლოცველო. თბ., 1984.

9. **მელიქსეთ-ბეგი ლ.** მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ., 1938.

10. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.

11. **ნარიმანიშვილი გ.** ძვ. წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში. – ძიებანი, № 5, თბ., 2000, 47-51.

12. **ნარიმანიშვილი გ.** წალკა-თრიალეთის

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ელი-ბაბას (საბეჭდავის) სამაროვანზე 2003 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში. თბ., 2004.

**13. ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ.** წიწამური III. – მცხეთა, ტ. X. თბ., 1995, გვ. 58-96.

**14. ნიორაძე გ.** დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. – სსმმ, ტ. XIV-B, 1947, გვ. 1-66.

**15. სულხან-საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბ., 1993.

**16. ტატიშვილი ი.** ხეთური რელიგია. თბ., 2001.

**17. ფიცხელაური კ.** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს). თბ., 1973.

**18. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.).** თბ., 1975.

**19. ქორიძე დ.** თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბ., 1955.

**20. შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ.** მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა. – ძმ, 1989, № 1, გვ. 56-62.

**21. შანშაშვილი ნ.** მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშან-სიმბოლოების ფუნქციის საკითხისათვის. – მითოლოგია, ფილოსოფია. № 1, თბ., 1999, გვ. 21-31.

**22. შანშაშვილი ნ.** „სამწილადი კომპოზიციები" მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტაციაში. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 27-31.

**23. ჩუბინიშვილი ტ.** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1957.

**24. ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე. ტ. I, თბ., 1964.

**25. Ахундов Т. И.** Древнейшие курганы Южного Кавказа (Культура подкурганных склепов). Баку.1999

**26. Бадалян Р.** Обсидиан Кавказа: Источники и распространение сырья в эпоху неолита-раннего железа (по результатам анализов нейтронной активации). Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук. Ереван, 2002.

**27. Бадж Э. А. У.** Египетская религия. Египетская магия. М., 2003.

**28. Вулли Л.** Забытое царство . М., 1982.

**29. Дедабришвили Ш. Ш.** Курганы Алазанской долины . Тб., 1979.

**30. Джафарзаде И. М.** Хачбулагская археологическая экспедиция 1969 года. – Материальная культура Азербайджана. Баку., 1976.

**31. Жоржикашвили Л., Гогадзе Э.** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.

**32. Куфтин Б. А.** Дневник работ археологического отряда Цалкинской комплексной экспедиции организованной комитетом по охране памятников культуры при С.Н.К.С.С.Р. Грузии в Цалкинском районе на территории подлежащей затоплению Храмгэсом в 1936 году.

**33. Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

**34. Кушнарева К. Х.** Древнейшие памятники Двина. Ер., 1977.

**35. Мелларт Дж.** Древнейшие цивилизации Ближнего Востока. М., 1982.

**36. Мертц Б.** Древний Египет. М., 2002.

**37. Петров В. П.** Рассказы о поделочном камне. М., 1982.

**38. Садрадзе В.** Археологические памятники "Мцхета Великой" эпохи средней бронзы. Тб., 1993.

**39. Симонян А.** Обсидиан и кремень как атрибуты погребального обряда. – Вопросы изучения армянской народной культуры (Культура и язык. конференция молодых ученых (19-21 апреля 1988 г.). Тезисы докладов. Ер., 1988, с. 79-81.

**40. Церен Э.** Библейские холмы. М., 1986.

**41. Чубинишвили Т. и др.** Итоги полевой работы Квемо-Картлийской археологической экспедиции. – ПАИ, 1974 (1976), с. 19-21.

**42. Элиаде М.** Азиатская алхимия. М., 1998.

**43. Элиаде М.** Трактат по истории религий. т. II, С.-Пб., 2000.

**44. Georgien**. Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Bochum, 2001.

**45. Kosay H. Z.** Les fouilles d'Alaca Hoyuk. Entreprises par la societé d'histoire turque. Rapport preliminaire sur les traveaux en 1937-1939. Ankara, 1951.

**46. The Museum of Anatolian Civilization**. Ankara, 1997.

**47. Renfrew C., Dixon Y., Cann Y.** Obsidian and Early Cultural Contacts. – The Near East. PPS, v. XXXII, 1966, pp. 30-72.

ლერი ჯიბლაძე, რევაზ პაპუაშვილი, რევაზ ხვისტანი

# შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში

შეიძლება ითქვას, რომ პროტოკოლხური (I-II ეტაპი, ადრე და შუაბრინჯაოს ხანა) და ძველი კოლხური (I ეტაპი, ძვ. წ. XV-X სს-ები) კულტურები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ნამოსახლარების მასალების მიხედვით, სადაც ძირითად წამყვან კომპონენტს წარმოადგენს თიხის ნაწარმი (კერამიკა). მათი თანმხლები ლითონის ინვენტარი კი ძალზე მწირედ არის წარმოდგენილი. ანაკლია II-ზე და ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე (VII-VIII ფენა) აღმოჩენილი მცირერიცხოვანი ლითონის მასალა ამ მხრივ არსებულ სურათს ვერ ცვლის. წინარე კოლხურ (პროტოკოლხურ) ბრინჯაოს ზოგიერთ ნივთზე შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის ტერიტორიაზე დღემდე ცნობილი ამ პერიოდის განძები (ქვიშარი, გალი 1959 წელი, ურეკი, ლეჩქოფი) [9, გვ. 5; 13; გვ. 10; 14, გვ. 28-29; 25, გვ. 174]. ასევე კოლხეთის მთიან და დაბლო, ზოლში შემთხვევით გამოვლენილი ძირითადად ყუამილიან-ყუადაქანებული და ბრტყელი ცულები (3, გვ. 58; 27).[10]

ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთ გადაუჭრელ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კოლხეთის დაბლობზე დღემდე არ არის მიკვლეული ძვ. წ. III-II ათასწლეულების სამაროვნები და მათგან მომდინარე ნივთიერი მასალა. ეს ფაქტი დღესაც ერთგვარ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს პროტოკოლხური და ძველკოლხური (I ეტაპი) კულტურების სრულყოფილად შესწავლის საქმეში.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენთვის ცნობილი გახდა ძალზე საყურადღებო შემთხვევით მონაპოვარი მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს კოლექცია. დღემდე მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილის ლოკალიზაცია ვერ ხერხდებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ისინი მომდინარეობდნენ გალის ან ზუგდიდის რაიონებიდან [12, გვ. 125-128; 18, გვ. 208-213].[11]

ჩატარებული ინტენსიური ძიების შედეგად საბოლოოდ დაზუსტდა, რომ წინამდებარე სტატიაში მოტანილი ბრინჯაოს მასალები ნამდვილად აღმოჩენილი უნდა იყოს გალის რაიონის სოფ. გაგიდას ზღვისპირა ზოლში, ადგილ „ნაჭკადუში“. ყველასათვის გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, შეუძლებელია აღმოჩენის ადგილის დათვალიერება და ბოლომდე გარკვევა იმაში, თუ რა ხასიათის ძეგლიდან უნდა მომდინარეობდეს ეს შემთხვევითი მონაპოვარი ბრინჯაოს კოლექცია. თუმცა მოტანილი ნივთების შემცველობა და მისი მრავალსახეობა უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ წინასწარი დასკვნები და გალის რაიონის სოფ. გაგიდას ბრინჯაოს ხანის მასალები ჩავთვალოთ დანგრეული (გაძარცული) სამაროვნის (სამარხის) კუთვნილებად. თუ ამ ვარაუდს დასაშვებად მივიჩნევთ (ამაში ეჭვიც არ გვეპარება), სამწუხაროდ, მაინც გაურკვეველი რჩება რა ტიპის სამარხში (ან სამარხებში) უნდა იყოს აღმოჩენილი ეს მასალა.

გაგიდის კოლექციაში შემდეგი სახის ნივთებია წარმოდგენილი:

1. 13 სხვადასხვა ზომის მკვეთრქედიანი, მასრაგახსნილი და მოკლემასრიანი შუბისპირი (ტაბ. I, $II_{1-5}$). ზოგიერთს გახსნილი მასრა წვერამდე გასდევს, უმრავლესობისა კი, ქედს უერთდება. ყველა მათგანი ნაჭედია, ახასიათებს სამკუთხა მოყვანილობის პირი, მომრგვალებული და დაშვებული მხრები. ზოგიერთი შუბისპირი გვერდებზე ნაკლულია.

კოლხეთის დაბლობზე როგორც ქედიანი, ასევე უქედო ბრინჯაოს შუბისპირები (მხედველობაში გვაქვს მათი ჩამოსასხმელი ყალიბები) სათავეს იღებს ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, VIII-VII კულტურული ფენა) [19, გვ. 83; 20, გვ. 100]. გაგიდას შუბისპირები ტიპოლოგიურად განსაკუთრებით ახლოს დგას ფიჩორის ნამოსახლარის VII ფენაში მიკვლეულ მკვეთრქედიან და მასრიან შუბისპირთან (ყალიბის მიხედვით) [20, ტაბ. $CIV_3$], რომელიც შუაბრინჯაოს საწყისი პერიოდით თარიღდება. ცალკეული დეტალების მიხედვით გარკვეული მსგავსება შეინიშნება მოდინახეს (შუაბრინჯაოს ხანის სამარხები), თლიას (უადრესი კომპლექსები), წაღვლის, ბრილის, ნულისა და მესხეთ-ჯავახეთის შუაბრინჯაოს ხანისა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის შუბისპირებთან [3, ტაბ. $X_{10-12}$; 6, გვ. 5-18; 7, გვ. 13; 10, ნახ. VIII; 11, ტაბ. 11; 21, ტაბ. XVIII; 23, ტაბ. $9_3$]. მოყვანილი პარალელების გათვალისწინებით დასაშვებად მიგვაჩნია გაგიდის შუბისპირების გან-

[10] კოლხეთის დაბლობზე ერთადერთი შუაბრინჯაოს ხანის უინვენტარო სამარხი ორმო არის აღმოჩენილი ანაკლია II-ის ნამოსახლარზე. მიცვალებულის ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში. იქვე დაფიქსირდა ბავშვის ჩონჩხიც (22, გვ. 35).

[11] გაგიდიდან მომდინარე ბრინჯაოს კოლექციის გარკვეულ ნაწილზე ადრე გამოქვეყნდა სტატია (12, გვ. 125-128). გვინდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია სხვადასხვა დროს ცალ-ცალკე გამოქვეყნებული სტატიების ერთიანობაში წარმოდგენა.

საზღვრა ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებით (დაახლოებით ძვ. წ. XVI-XV სს-ები).

2. გაგიდის კოლექციაში ბრინჯაოს 10 სატევრისპირია წარმოდგენილი (ტაბ. $II_{1-10}$). ყველა მათგანი ნაჭედია. მათში ტიპოლოგიურად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ქვეტიპი. გვხვდება ყუნწიანი, ბრტყელგანივკვეთიანი, როგორც ქედიანი, ასევე უქედო, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის მაგვარი სატევრისპირები (ტაბ. $IV_{1-4}$). ზოგიერთ ეგზემპლარს მომრგვალებული და მრგვალხვრელიანი სატარე ყუნწი გააჩნია. ამ ქვეტიპის გაგიდის სატევრისპირებთან გარკვეული დეტალების მიხედვით ტიპოლოგიურად ახლოს დგას ჭოლიპას ნამოსახლარის, საჩხერის ყორღანული სამარხების, თლიასა და ბრილის სამაროვნების უადრესი კომპლექსების ანალოგიური ნივთები [3, ტაბ. $X_{10-12}$; 8, გვ. 37; 16, გვ. 127; 20, ტაბ. $CVII_{16}$]. ზოგიერთი ამ რიგის იარაღით ახლო პარალელები შეინიშნება ზემო სვანეთის (ბოგრეშის სამარხი) სატევრისპირთანაც (27, ტაბ. $XLVII_{8}$). ასევე ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII კულტურულ ფენაში გამოვლენილ მრავალგანყოფილებიანი (კომბინირებულ) ყალიბის ერთ-ერთ წახნაგზე ამოკვეთილ სატევრისპირთან [19, ტაბ. IX]. 3 სატევარი უყუნწოდაა შემორჩენილი. ისინი ფორმის მიხედვით რამდენადმე განსხვავდებიან ზემოთ მოხსენიებულ სატევრისპირებისაგან. ორ მათგანს თითქმის თანაბარი ზომის ტანზე ბოლომდე გასდევს დაბალი ქედი. მათ ვიწრო წვერი აქვთ (ტაბ. $II_{5,6}$). მესამე სატევრისპირი ბრტყელგანივკვეთიანია და აქვს თანაბარი სიგანის ტანი (ტაბ. $II_{10}$). მომდევნო ორი სატევრისპირი შედარებით პატარა ზომისაა (ტაბ. $II_{8,9}$). ერთ ეგზემპლარს თითქმის სამკუთხა მოყვანილობის ტანი და პირი გააჩნია, მომრგვალებული ხვრელიანი ყუნწით. აქვს ვიწრო დაქანებული მხრები და ბრტყელი განივკვეთი. მეორე სატევრისპირი გვერდებზე ოდნავ ნაკლულია. აქვს მრგვალხვრელიანი ვიწრო გრძელი ყუნწი, თანაბარი სიგანის ტანი, დაქანებული მხრები და დაბალი ქედი. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით ამ ორი სატევრისპირის ზუსტი ანალოგიები არ გაგვაჩნია.

3. გაგიდის კოლექციიდან თავისი ორიგინალური ფორმით ყურადღებას იპყრობს გრძელყუნწიანი ისრისპირები (ტაბ. $III_{1,5}$). ერთი მათგანი სრულადაა შემონახული. აქვს ქედიანი სამკუთხა მოყვანილობის პირი. მეორე ისრისპირი ფრაგმენტულად სამ ნაწილადაა შემორჩენილი. მრგვალღეროიანია. გააჩნია დაშვებული მხრები და თითქმის სამკუთხა, გვერდებზე ოდნავ ნაკლული ქედიანი პირი. საქართველოს ტერიტორიაზე იდენტური ფორმის ამგვარი იარაღი არ გვხვდება. საყურადღებოა, რომ გაგიდის საბრძოლო დანიშნულების ბრინჯაოს ეს ნივთები ზოგიერთი დეტალის მიხედვით (გრძელი ყუნწი, მოკლე ქედიანი პირი) ემსგავსება საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანაში ცნობილ შუბისმაგვარ იარაღებს [16, გვ. 159, სურ. 33; 23]. სავარაუდოა, რომ გაგიდის გრძელყუნწიანი ისრისპირები გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდით უნდა განისაზღვროს.

4. გაგიდის შემთხვევით მონაპოვარ მასალებში 3 ყუამილიანი ცულია წარმოდგენილი (ტაბ. $II_{11-13}$). ერთი ნიმუში სრულადაა შემონახული. გააჩნია მრგვალხვრელიანი საშუალო ზომის ყუა, რომელიც წინა მხრიდან ოდნავ დაქანებულია. ახასიათებს მსუბუქად მოხრილი ტანი, მომრგვალებული პირით. მეორე ეგზემპლარს გააჩნია წინა მხრიდან შეჭრილი მრგვალხვრელიანი ყუა ზემოდან დატანილი განივი ქიმით (ტაბ. $II_{12}$). აქვს შვერილი ტანი და მომრგვალებული პირი. მესამე ყუამილიანი ცული პატარა ზომისაა. აქვს წელში ძლიერ მოხრილი ნამგლისებური მოყვანილობის ტანი, სწორი სოლისებური ფორმის პირით (ტაბ. $II_{11}$). ამ ცულის ყუა  არ არის შემორჩენილი. გაგიდის ყუამილიანი ცულები გარკვეული დეტალების მიხედვით შეხების წერტილებს პოულობს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის, კინოთის, ორბელისა და ზემო სვანეთის (მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი ტიპი) ამ რიგის იარაღთან [2, გვ. 14; 20, ტაბ. CIII; 4, სურ. 1; 13, გვ. 163]. ისინი ტიპოლოგიურად უფრო ადრეული ჩანს კოლექციაში შემავალ სხვა ნივთებთან შედარებით.

ვფიქრობთ, ყოველივე ამის გათვალისწინებით გაგიდის ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები განისაზღვროს ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებით (დაახლოებით ძვ. წ. XVIII-XVII სს-ები).

5. სოფ. გაგიდაში მოპოვებულ ბრინჯაოს მასალებში 4 ცალი მრგვალგანივკვეთიანი ნაჭედი დისკოსებრთავიანი საკინძი შედის, რომელსაც ღეროზე დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი (ტაბ. $III_{2,3,4,6}$). ანალოგიური საკინძები გვხვდება ბრილის (ადრეული კომპლექსები), მოდინახეს (შუაბრინჯაოს ხანის სამარხები), თლიასა და წალვლის სამაროვნებზე [1, გვ. 11-12; 5, გვ. 9, სურ. VIII; 7, გვ. 14; 23, გვ. 24, სურ. $21_{8}$). სავარუდოა, რომ გაგიდის დისკოსებრტანიანი საკინძები დათარიღდეს შუაბრინჯაოს მიწურულით და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდით.

6. ბრინჯაოს ერთ-ნახევარი სპირალი ან აგრაფის რგოლი 3 ცალითაა წარმოდგენილი (ტაბ. $IV_{11-13}$). ისინი ოვალურ და მრგვალგანივკვეთიანია. ბრინჯაოს ერთ-ნახევარი სასაფეთქლე ხვიებს მოქმედების დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი გააჩნია. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიურ კულტურებში მაინც დგინდება მათი გავრცელების სივრცე, ზედა და ქვედა ქრონოლოგიური საზღვრები. კოლხეთში 1,5 სასაფეთქლე ხვიები ჩნდება ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით დათარიღებულ ფიჩორის ცენტრალური ბორცვის  ნამოსახლარზე (VIII ფენა) [20, ტაბ. $LXXVI_{16}$]. ასევე წარმოდგენილია იგი ადრებრინჯაოს დასასრულისა და

გვიანბრინჯაოს დასაწყისის ეშერის, ხვაბის და ოთხარის დოლმენებში [16, გვ. 222, სურ. 47; 26, ტაბ. $28_{8,32}$].

გაგიდის ერთ-ნახევარი ხვიის რგოლები ტიპოლოგიურად ახლოს დგას ჩამოთვლილი ძეგლების ანალოგიურ ნივთებთან. თანმხლე, მასალებთან ერთად ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას გაგიდაში გამოვლენილი ერთ-ნახევარი სასაფეთქლე რგოლები დავათარიღოთ შუაბრინჯაოს მიწურულითა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდით.

7. გაგიდას კოლექციაში მრგვალღეროიანი, სპირალურბოლოებიანი (სათვალისებური ფორმის) დუგმა 6 ეგზემპლარადაა წარმოდგენილი (ტაბ. $IV_{14-19}$). ისინი სხვადასხვა ზომისაა. 3 ერთეული სრულადაა შემორჩენილი, ხოლო დანარჩენზე წარმოდგენა გვექმნება ფრაგმენტების მიხედვით. ეს ნივთები შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპს უნდა მიეკუთვნოს. თითქმის სინქრონულ პერიოდში იჩენს თავს ანალოგიური ნივთები მოდინახეს, ბრილის, წაღვლისა და თლიას სამაროვნებზე [10, ნახ. $465_{1,2}$; 23, ტაბ. $8_7$, $9_9$], ასევე მესხეთ-ჯავახეთში [5]. მრგვალგანივკვეთღეროიანი სოკოსებრთავიანი საკინძი ყელ- და გრეხილღეროიანია. შუა ნაწილში დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი (ტაბ. $IV_4$). მეორე ლურსმნისებურთავიანი საკინძი უფრო მცირე ზომისაა. გააჩნია ბრტყელი თავი, მრგვალი ღერო და ზედა ნაწილში დატანილი ხვრელი (ტაბ. $IV_7$).

კოლხეთის დაბლობზე ამ ტიპის საკინძები იშვიათად გვხვდება. ისინი სათავეს იღებენ შუაბრინჯაოს პერიოდიდან (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენა) და განაგრძობენ არსებობას გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაშიც (ჩოლოქი IV ფენა, ნაოხვამუ III ფენა). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლურსმნისებურ და სოკოსებურთავიანი საკინძები დასტურდება შუაბრინჯაოს ხანაში და ფართოდ მკვიდრდება მომდევნო პერიოდში. გაგიდას მოხსენიებული საკინძები ტიპოლოგიურად ახლოს დგას როგორც კოლხეთის დაბლობზე, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ ლურსმნისებურ და სოკოსებურთავიან საკინძებთან. სავარაუდოა, რომ ისინი განისაზღვროს გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპით.

კოლექციაში გვხვდება ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების მქონე, ორბურცობიანი ნივთი, რომელიც შესაძლოა კალისაგან იყოს დამზადებული (ტაბ. $IV_9$). ამ ნივთის მეტალოგრაფიული ანალიზის ჩატარება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

გაგიდის მასალებში ერთი მინიატურული ფორმის საკიდია წარმოდგენილი. იგი მომრგვალებულღეროიანია, აქვს გახვრეტილი ყუნწი. სფეროსებული დაბოლოებები ხუთი კოპითაა შემკული (ტაბ. $IV_{10}$). ეს ნივთიც გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდისა ჩანს.

გაგიდის კოლექციაში შუაბრინჯაოს მიწურულისა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის სხვადასხვა ტიპის საკინძებია წარმოდგენილი: მრგვალღეროიანი, ჯვრისებურთავიანი ორი საკინძი შუაში დატანილი ხვრელით (ტაბ. $IV_{2,3}$); მომრგვალებულ ღეროიანი გახვრეტილი ყუნწიანი საკინძი, რომლის სფეროსებური დაბოლოებები ხუთი კოპითაა შემკული (ტაბ. $IV_1$); მრგვალღეროიანი ორი საკინძი, რომელთაც ტანის ზედა და შუა ნაწილში დატანილი აქვთ მრგვალი ხვრელი. საკინძებს თავთან გააჩნია გამონაზარდები, დატოტვილია ორად და ოთხად (ტაბ. $IV_{5-6}$). მათ შორის ერთი საკინძი, როგორც ჩანს, ორ ნაწილადაა წარმოდგენილი (ტაბ. $IV_{5, 20}$). ზედა ნაწილი დატოტვილია და ზემოდან აზის სპირალისებური ხვეული. კოლექციაში ყველაზე გვიანდელს წარმოადგენს გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთი, რომელიც გარედან სქელი ჟანგითაა დაფარული (ტაბ. $IV_8$).

ამრიგად, გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში აღმოჩენილია მეტად საყურადღებო ბრინჯაოს მასალები. მათი სიმრავლე და მრავალსახეობა მიგვითითებს, რომ ისინი უეჭველად სამაროვანს განეკუთვნებიან. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რადგან კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე დღემდე არ ყოფილა გამოვლენილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის სამაროვნები და მათგან მომდინარე მასალები. როგორც აღინიშნა, გაგიდის კოლექციაში წარმოადგენილია როგორც შედარებით ადრეული, ასევე უფრო მოგვიანო ხანის ბრინჯაოს ინვენტარი. ვფიქრობთ, გაგიდის კოლექცია უნდა განისაზღვროს ძვ. წ. XVIII-XV სს-ებით.

**L. Jibladze, R. Papuashvili, R. Khvistani**

## RECENT ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES IN THE VILLAGE OF GAGIDA (GALI DISTRICT) DATING TO THE MIDDLE AND BEGINNING OF THE LATE BRONZE AGE

(Summary)

Numerous bronze artefacts from the village of Gagida, coastal line of Gali district, represent casual finds. The diversity and composition of the bronze collection affords the authors to conclude that the archaeological material from v. Gagida comes from a collapsed (or robbed) necropolis (or burials). The present discovery is especially noteworthy owing to the fact that no necropoleis and their contents of the Middle-beginning of the Late Bronze Age have been unearthed hitherto on the territory of Kolkheti Lowland.

The authors define the chronology of the collection at $18^{th}$-$15^{th}$ cent. B.C.

## ლიტერატურა


1. **ბარამიძე მ.** ბრილის აკლდამა. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1960, თბ., 1961, გვ. 11-12.

2. **ბარამიძე მ.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999.

3. **გობეჯიშვილი გ.** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

4. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

5. **ლომთაძე გ.** ახლადაღმოჩენილი სამარხი მოდინახედან. – ნარკვევები, III, 1997, გვ. 3-11.

6. **ლომთაძე გ.** მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, 1, 2000, გვ. 5-18.

7. **ლომთაძე გ.** მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, 2002, გვ. 5-17.

8. **მურვანიძე ბ.** რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. – გურია, III, თბ., 2001, გვ. 36-39.

9. **ნიორაძე გ.** ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. – სსმმ, XV-B, 1948, გვ. 1-23.

10. **რამიშვილი ალ.** შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

11. **ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ.** ბრილის სამაროვნის 1939 წ. გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 8, 2001, გვ. 39-48.

12. **ფხაკაძე გ., ბარამიძე მ.** ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი გალის რაიონში. – ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი, დამატება VI, 2001, გვ. 125-128.

13. **ქორიძე დ.** კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

14. **ქორიძე დ.** ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. – სსმმ, XXX-B, 1968, გვ. 15-29.

15. **ღამბაშიძე ი.** სამცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებში (ბორჯომის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

16. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

17. **ჯაფარიძე ო.** საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1991.

18. **ხვისტანი რ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ფიფია კ.** შუა ბრინჯაოს ხანის შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა მდ. ენგურის აუზში. – საისტორიო ძიებანი, 4, 2001, გვ. 208-213.

19. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბ., 1997.

20. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 2002.

21. **Куфтин Б. А.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.

22. **Микеладзе Т. К., Мусхелишвили Д. Л., Хахутаишвили Д. А.** Итоги полевых исследований Колхидской археологической экредиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 33-39.

23. **Техов В. Б.** Тлийский могильник. Тб., 1980.

24. **Техов В. Б.** Центральный Кавказ в XVI-XV вв. до н.э. М., 1977.

25. **Трапш М. М.** Труды, II. Сухуми, 1969.

26. **Цвинария И. И.** Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990.

27. **Чартолани Ш. Т.** К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тб., 1989.


## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1-13. შუბისპირები.

ტაბ. II – 1-10. სატევრისპირები; 11-13. ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები.

ტაბ. III – 1,5. გრძელყუნწიანი ისრისპირები; 2,3,4,6. დისკოსებურთავიანი საკინძები.

ტაბ. IV – 1. სფეროსებრთავიანი ხუთი კოპით შემკული საკინძი; 2,3. ჯვრისებრთავიანი საკინძები; 4. სოკოსებრთავიანი და გრეხილღეროიანი საკინი; 5,6. მრგვალღეროიანი საკინძეები, რომლებსაც თავთან გააჩნია ორად და ოთხად დატოტვილი შვერილი; 7. ლურსმნისებრთავიანი საკინძი; 8. გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთი; 9. გაურკვეველი დანიშნულების მქონე ნივთი ორი ბურცობით; 10. მინიატურული ფორმის საკიდი; 11-13. 1,5 აგრაფის ხვიები; 14-19. სპირალურბოლოებიანი დუგმები; 20. საკინძის ფრაგმენტი ზემოდან სპირალური ხვეულით.

**Description of the Plates and Figures**

Pl. I – 1-13. spearheads

Pl. II – 1-10. blades of daggers; 11-13. tube-socketed bronze axes.

Pl. III – 1-5. longshaft arrowheads; 2, 3, 4, 6. discoid pins.

Pl. IV – 1. pin with spheroid heads adorned with five bosses; 2, 3. pin with cross-shaped heads; 4. pin with mushroom-shaped head; 5-6. pins with the heads, divided into two and four part projections; 7. pin with nail-shaped head; 8. iron item of ambiguous design; 9. an item of ambiguous design, in the shape of a female breast; 10. tiny pendant;11-13. agraffe coils; 14-19. spiral-shaped hooks; 20. fragment of a pin with a spiral coil.

ტაბ. I



ტაბ. II



ტაბ. III



ტაბ. IV



თინათინ ჭანიშვილი

# მუხათგვერდის სამაროვნის ერთი სამარხის დათარიღებისათვის

მცხეთის მიდამოებში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. მუხათგვერდის მახლობლად გამოვლინდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი (მუხათგვერდი II), სადაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,49 მ სიღრმეზე გაითხარა სილანარევთიხნარ ნიადაგში ჩაჭრილი, სწორკუთხედის ფორმის (2,00×1,30 მ) ქვაყრილიანი ორმოსამარხი (№ 18) (ტაბ. $I_{1,2}$).[12]

სამარხი კენოტაფს წარმოადგენდა, რომლის გამართვის ტრადიცია საკმაოდ გავრცელებული ჩანს მუხათგვერდის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე (31 სამარხიდან 7 კენოტაფია).

სამარხში ინვენტარი შემდეგი თანმიმდევრობით იყო განლაგებული: ჩრდილოეთით ეწყო თიხის ჭურჭლის (დორა, ქოთნები) მჭიდრო ჯგუფი, აღმოსავლეთით – აღაპის ნაშთი (Capra hircus – შინაური თხა) და თიხის ჭურჭლის მეორე ჯგუფი, რომელიც სამხრეთითაც ვრცელდებოდა; დასავლეთით იდო ირმის რქის ძირი, ხოლო სამარხის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მიცვალებული უნდა ყოფილიყო დასვენებული, მხოლოდ ის ნივთები ელაგა, რომელიც მიცვალებულს უნდა ჰქონოდა ასხმული (სატევრისპირი, საკიდები, მძივები, საკინძი) (ტაბ. $I_2$).[13] ინვენტარის ეს გააზრებული განლაგება და სატევრისპირის მიმართულება მიცვალებულის (ამ შემთხვევაში, სამარხის) ორიენტაციის დადგენის საშუალებას იძლევა. იგი დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, რაც დამახასიათებელია სამაროვნის ამ პერიოდის მთელი რიგი სამარხებისათვის. ინვენტარის ეს კანონზომიერი განლაგება არც მუხათგვერდის და არც ამ ხანის სხვა სამაროვნების კენოტაფებში არ გვხვდება. ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მე-18 სამარხი მეომარს ეკუთვნოდა. სამარხში აღმოჩნდა თიხის 17 ჭურჭელი (პირმოყრილი ქოთნები, დორა, დოქი, სასმისი და სხვ.), ბრინჯაოს იარაღი (სატევრისპირი, შუბისპირი), ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი უმბონი, ძვლის ისრისპირი, ირმის რქის ძირი და სამკაული (ბრინჯაოს საკინძი და საკიდი, მძივები).

სამარხეული კომპლექსის ძირითადი და უმეტესი ნაწილი, მრავალფეროვანი ფორმისა და ფუნქციის მატარებელი თიხის ჭურჭელი – მორგვზეა ნაკეთები. თიხა მინარევებიანია (წვრილმარცვლოვანი ან მსხვილმარცვლოვანი); გამომწვარია შავად (იშვიათად – მორუხოდ); ზოგ მათგანს ზედაპირი ნაპრიალები აქვს, შიდაპირი კი მოწაბლისფრო ან მოყავისფრო-მორუხო; შემკულია ნაჭდევი და ნაღარი ორნამენტული სახეებით.

კერამიკულ ნაწარმს შორის შეიძლება გამოიყოს დამათარიღებელი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე თიხის ჭურჭელი. მათ შორის: 1. პირმოყრილი ქოთნები[14] (ტაბ. $II_4$), რომელთა პარალელი გვხვდება სამთავროს ძვ.წ. XIV ს-ით დათარიღებულ სამარხებში (3, სურ. 68, 69); საერთოდ, პირმოყრილი ქოთნები დამახასიათებელია ცენტრალური ამიერკავკასიის ძვ.წ. XIV-XII სს-ით დათარიღებულ ძეგლებისათვის [2, გვ. 131]; 2. დორა (ტაბ. $II_5$), რომლის მეტნაკლებად ზუსტი ანალოგები აღმოჩენილია სამთავროს [3, სურ. 76, 78, 80], ღრმაღელეს [11, გვ. 152, ტაბ. XXI], წეროვნის [24, ტაბ. $XLII_5$] ძვ.წ. XIV-XIII სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში; 3. დოქი, ტალღური ღარებითა და უნაგირისებური შვერილით შემკული მცირე ზომის ყურით. მსგავსი დოქები სამთავროს სამაროვნის ძვ.წ. XIII ს-ით დათარიღებულ სამარხებში გვხვდება [3, სურ. 568, 878]; 4. ქოთანი (ტაბ. $II_2$), მქისე თიხისაგან დამზადებული. ძირზე შემოუყვება ირიბად ნაჭდევი სარტყელი და, ისევე როგორც სხვა ამგვარ ქოთნებს, შემორჩენილი აქვს ცეცხლში მოხვედრის კვალი. იგი მსგავსია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XIV-XII სს-ში გავრცელებული მორგვისეული ღარებით შემკული ქოთნების [2, გვ. 132].

სამარხში გვხვდება თიხის ჭურჭელი, რომელიც გამოირჩევა დახვეწილი ფორმითა და დეკორით. ასეთებია: კოპებიანი ყურით შემკული პირმოყრილი ბადია (ტაბ. $II_3$), რომლის ანალოგი ჯერჯერობით ვერ მოიძებნა და ქოთანი (ტაბ. $III_1$), რომელსაც ზონარგასაყრელი, შვერილიანი ყურები და სოლური სახეები აქვს დატანილი. სოლური შტამპით ნატვიფრი სახეები აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე პირველად გარდამავალი ხანის კომპლექსებში გვხვდება. იგი ფართოდ ვრცელდება გვიანბრინჯაოს ადრეულ პერიოდში, ხოლო გვიანბრინჯაოს მომდევნო საფეხურზე (გვიანბრინჯაო II) ეს ორნამენტული სახე უკვე იშვიათია, შემდეგ კი საერთოდ წყვეტს არსებობას [10, გვ. 143].

მუხათგვერდის ქოთანს სოლური სახეების ორი სარტყელი შემოუყვება. მაგრამ სოლების უმეტესი ნაწილი არატიპიურია, სახეშეცვლილი

---

[12] მუხათგვერდი II სამაროვნის გათხრებს აწარმოებდა მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. აკად. ა. აფაქიძე, უბნის უფრ. ლ. ხეცურიანი).

[13] ჩანახატები შესრულებულია ე. გომარელის მიერ.

[14] (ინვ. – 1 06) ერთი მთელი, მსგავსი სამთავროს № 10 სამარხის პირმოყრილი ქოთნისა (3, სურ. 919) – ვერ აღდგა.

და დეგრადირებული. სავარაუდოა, აქ სოლური ორნამენტი გადმონაშთის სახითაა შემორჩენილი გვიანბრინჯაოს ადრეული პერიოდის მომდევნო ხანაშიც (გვიანბრინჯაო II). მუხათგვერდის ამავე ხანის სხვა კომპლექსების ჭურჭელზე ეს დეკორი არ გვხვდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზონარგასაყრელი ნახვრეტები დამახასიათებელია ძირითადად სარქვლიანი ჭურჭლისათვის [6, გვ. 20]. ამ პერიოდში მსგავსი ქოთნები არ არის. მხოლოდ სამთავროს შედარებით გვიანდელ, ძვ.წ. XI-X სს. სამარხებში ჩანს ასეთი კოჭბები [4, სურ. 368].

ასევე გაძნელდა კანელურებიანი სასმისის (ტაბ. $II_1$) ანალოგის მოძებნა, რომელსაც ზოომორფულშვერილიანი ზეაწეული ყური ამკობს. იგი თითქოს მოგვაგონებს აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. XIII-XII სს. ძეგლებზე გავრცელებულ ღრუქუსლიან სასმისებს (შეად. 2, სურ. 506, 516, 517 ა.შ.), მაგრამ მუხათგვერდის სასმისი უფრო არქაული ჩანს.

სამარხის დანარჩენ თიხის ჭურჭელზე არ შევჩერდებით, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მე-18 სამარხის კერამიკული ნაწარმი, კეცით, ფორმითა და დეკორით ძვ.წ. XIV-XII სს. ქრონოლოგიურ საზღვრებში თავსდება და ყველაზე მეტ მსგავსებას სამთავროს ძვ.წ. XIV-XIII სს. კომპლექსების თიხის ჭურჭელთან ამჟღავნებს.

სამარხის თარიღის განსაზღვრისათვის შედარებით ფართოდ შევჩერდებით ბრინჯაოს სატევარზე (ტაბ. $IV_1$). პირის ოდნავი შეზნექილობის გამო მსგავს სატევრებს „ალისებრს“ უწოდებენ. ამასთანავე იგი ყობანური ტიპის სატევრად არის მიღებული. „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე ალისებური, ფართოქედიანი სატევრისპირები მხოლოდ 4 ერთეული (სამთავრო – 3; სათოვლე-ნაბაღრები – 1) იყო აქამდე ცნობილი (16, ტაბ. $XXVII_2$). მას დაემატა მუხათგვერდის ცალიც. საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი სატევრები ჯერჯერობით შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში არის აღმოჩენილი.

ალისებური სატევრისპირები, რომლებიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობენ, ორი ტიპისა გვხვდება: ვიწროქედიანი და ფართოქედიანი. მუხათგვერდის სატევრისპირი ფართოქედიანია. სატევრის ქედის განხილვა-გაანალიზების საფუძველზე მკვლევარების მიერ გარკვეული დასკვნები გაკეთდა. გ. ლომთათიძე ქედის მონაცვლეობას ქრონოლოგიური მონაცვლეობის ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევს და მას ფოთლისებურ სატევრისპირებთან ერთად ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ათავსებს [5, გვ. 62-65, 147]; ტ. ჩუბინიშვილი სატევრის ფართო ქედს განიხილავს, როგორც ტიპობრივად უფრო განვითარებულ სახეობას; სამთავროს სამარხს (№ 267), სადაც ფართოქედიანი სატევარი აღმოჩნდა, იგი უძველეს ორმოსამარხებს აკუთვნებს და ძვ.წ. XV-XIV სს-ით ათარიღებს [13, გვ. 75]. ქედის განვითარების მიხედვით, ოთ. ჯაფარიძე ქვასათალის ვიწროქედიან და ოჟორის არამკვეთრქედიან სატევრისპირებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით ათარიღებს და აღნიშნავს, რომ „ვიწროქედიანი სატევრისპირები რამდენადმე წინ უსწრებს ფართოქედიანს და ამ ტიპის სატევრისპირების შემცველ კომპლექსს“ [14, გვ. 16; 15, გვ. 213]; დ. ქორიძეს მიაჩნია, რომ ვიწრო და ფართოქედიანი ალისებური სატევრისპირები სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამარხეული მასალის მიხედვით თანაარსებობს [12, გვ. 105]. მუხათგვერდის სატევრისპირის მსგავს ბეშთაშენის სატევრისპირს ბ. კუფტინი კომპლექსის მიხედვით ძვ.წ. XII-X სს-ით [21, გვ. 67-75, სურ. $77_6$], ხოლო რ. აბრამიშვილი ძვ.წ. XIII-XII სს-ით ათარიღებს [1, გვ. 322,]. თლიას კომპლექსებში აღმოჩენილ ალისებურ სატევრისპირების (IV ტიპი) გავრცელებას ბ. ტეხოვი ძვ.წ. XII-X სს-ში ვარაუდობს [25, გვ. 91-93, სურ. 84]. იგივე კომპლექსები ლ. ფანცხავამ ძვ.წ. VIII-VII სს-ით გადაათარიღა [9, გვ. 58]. ამ ტიპის სატევრისპირები გავრცელებულია ჩრდილო კავკასიაშიც (ყობანი), რომელსაც პ. უვაროვა ბრინჯაოს ხანას რკინის გაჩენამდე აკუთვნებს [27, გვ. 361, ტაბ. $XII_2$]. ვ. კრუპნოვი ფართოქედიან, ალისებურ სატევრისპირებს ყობანის კულტურის აყვავების ხანას – ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნას უკავშირებს [20, გვ. 99; 19, გვ. 74-75, სურ. 9].

ამრიგად: ფართოქედიანი ალისებური სატევრების გავრცელების ორი პერიოდი გამოიყო: ადრეული – ძვ.წ. XIV-XII სს. (სამთავრო, ბეშთაშენი, მუხათგვერდი) და გვიანდელი – ძვ.წ. VIII-VII სს. (თლია, ბრილი, ჩრდილო კავკასია) [23, გვ. 28].[15]

ფართოქედიანი, ალისებური სატევრისპირიანი კომპლექსი მუხათგვერდის სამაროვანზე, ისევე როგორც სამთავროს სამაროვანზე, ფოთლისებურსატევრისპირიან კომპლექსებთან ერთად თანაარსებობს და თანადროული, ერთგვაროვანი ნივთებით ხასიათდება. ამიტომ მკვლევარები (გ. ლომთათიძე, ტ. ჩუბინიშვილი, დ. ქორიძე) ალისებურ სატევრისპირებს ფოთლისებურ სატევრებთან ერთად განიხილავდნენ და მის „განვითარებულ ფორმად“ მიიჩნევდნენ. თუმცა, მათ ურთიერთგანმასხვავებელ ნიშნებსაც გამოყოფდნენ, „სამთავროსთვის უცხო და განუმეორებელ ფორმად“ თვლიდნენ და ყობანურ სატევრებთან მსგავსებას ხედავდნენ [5, გვ. 106-109].

[15] ლ. ფანცხავას მიხედვით, გვიანდელი ალისებური სატევრისპირები (თლია, ბრილი, ჩრდილო კავკასია) განსხვავდება ადრეულებისაგან ზომებით, ქედის სიგანე-სიმაღლით და სხვ. [9, გვ. 58].

მუხათგვერდის სატევრისპირი ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს სამთავროს 267-ე სამარხის სატევართან. აღნიშნულ სამარხში მუხათგვერდის მე-18 სამარხის მსგავსი ნივთებიც აღმოჩნდა: ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი, ირმის რქის ძირი და სხვ. სამთავროს ეს სამარხი ალ. კალანდაძის მიერ ძვ.წ. XIII ს. არის დათარიღებული [3, გვ. 114-116], ხოლო დღეისათვის მიღებული თარიღების მიხედვით ეს სამარხი, ისევე როგორც ფოთლისებურსატევრიანი კომპლექსები რ. აბრამიშვილის მიერ ძვ.წ. XIV-XII სს-ით [1, გვ. 313], ხოლო კ. ფიცხელაურის მიერ ძვ.წ. XIII-XII სს-ით [10, გვ. 178] თარიღდება. ამ თარიღებთან ახლოს დგას ალ. რამიშვილისა და ვ. სადრაძის მიერ შემუშავებული ახალი ქრონოლოგიური შკალები, რომლის მიხედვითაც, სამთავროს 267-ე სამარხი ზოგადად ძვ.წ. XIV-XII სს. პირველ ნახევარში ექცევა [7, გვ. 37; 8, გვ. 68]. მუხათგვერდის მე-18 სამარხის სინქრონულ პარალელებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე სამთავროს სხვა ალისებურსატევრიანი სამარხებიც (№№ 155, 281), რომლებიც სამთავროს 267-ე სამარხის მსგავსად ძვ.წ. XIV-XIII სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჯდება [7, გვ. 32; 8, ტაბ. XLIV$_{24,25}$]. ამგვარივე, ფართოქედიანი ალისებური სატევრები მასრაგახსნილ შუბისპირებთან, თავხვია საკინძებთან და მე-18 სამარხის მსგავს ბრინჯაოს საკიდებთან ერთად აღმოჩნდა ქვემო ქართლის სამაროვნებზე: ბორნიღელეს № 108 და კობალას № 13 სამარხებში. ეს კომპლექსები გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურით – ძვ.წ. XV-XIII სს-ით თარიღდება [17, გვ. 49, სურ. 63$_{16}$; 26, გვ. 18-19, ტაბ. XVII$_{17}$].

ამრიგად, ფართოქედიანი სატევრისპირებისა და თანხმლები კომპლექსების მოკლე ექსკურსის შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფართოქედიანი სატევრისპირების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ზოგადად, ძვ.წ. XV-XIII სს-ით იფარგლება.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნოთ ამ ტიპის სატევრების წარმომავლობის საკითხიც.

როგორც აღვნიშნეთ, მუხათგვერდის ალისებური სატევრისპირი მსგავსია ყობანური სატევრების [შეად. 19, სურ. 9]. ყობანური კულტურის აყვავებას კი ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ვარაუდობენ. მართალია, რუთხის კომპლექსებზე დაყრდნობით ყობანური კულტურის აყვავების ხანა დაძველდა (ძვ.წ. XIII-XII სს.), მაგრამ რუთხის გადათარიღებულ სამარხებში ამ ტიპის სატევრისპირი არ გვხვდება [18, გვ. 17]. ე.ი. მუხათგვერდში, ისევე როგორც სამთავროსა და ქვემო ქართლის კომპლექსებში ალისებური სატევრისპირები ბევრად უფრო ადრე ჩნდება (ძვ.წ. XV-XIII სს), ვიდრე ყობანურ ტიპად მიჩნეული ეს იარაღი – თვით ჩრდილო კავკასიაში (ყობანში). შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება სატევრისპირების ამ სახეობაზე ნაადრევად მიგვაჩნია, მაგრამ ფაქტის აღნიშვნა – საჭიროდ.[16]

მუხათგვერდის № 18 სამარხის ნივთები: ჭედვით დამზადებული მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოს თავხვია საკინძი, თხელფირფიტოვანი უმბონი (ტაბ. IV$_{2-5}$), ირმის რქის ძირი – ძირითადად, ფოთლისებურსატევრიან კომპლექსებისათვის არის დამახასიათებელი და ძვ.წ. XIV-XII სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა.

სამარხის სხვა ინვენტარიდან უნდა გამოვყოთ: ძვლის ისრისპირი – ბრინჯაოს ქუსლამოღარული ისრიპირების მსგავსი (ტაბ. IV$_{4}$); მრავალრიცხოვანი მძივებიდან (700-მდე სარდიონის ე.წ. დახეთქილი, 81 ანთიმონის და ბრინჯაოს მძივები),[17] ანთიმონის უჩვეულო და სხვადასხვა ფორმის მძივები, რომელთაგან ზოგიერთის პარალელი თრელის ძვ.წ. XIV ს-ით დათარიღებულ სამარხში ჩანს [28, გვ. 151] და ბრინჯაოს წაგრძელებული, ბიკონუსური, დაფანჯრული საკიდი (ტაბ. IV$_{14}$), რომლის ანალოგი კობალას ძვ.წ. XIV-XIII სს-ით დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა [26, ტაბ. XVII$_{17}$].

მუხათგვერდის № 18 სამარხი ძვ.წ. XIII ს-ით შეიძლება დათარიღდეს. იგი მუხათგვერდის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის ყველაზე მდიდრული სამარხია და უდავოდ, საზოგადოების დაწინაურებული ფენის წარმომადგენელს – მეომარს ეკუთვნის, რაც სამარხს მნიშვნელოვანს ხდის სხვა საინტერესო დეტალებთან ერთად.

**T. Chanishvili**

**TOWARDS THE DATING OF ONE BURIAL FROM MUKHATGVERDI NECROPOLIS**

(Summary)

The paper deals with the grave goods (pottery, weapons, jewellery) unearthed in burial 18 of the Mukhatgverdi necropolis in the vicinity of Mtskheta and dated to the Late Bronze-Early Iron Age. Among the discovered artefacts, the so-called fire-shaped dagger with a broad rib is

[16] მუხათგვერდის მსგავსი ალისებური სატევარი (ოთხი სამანჭვლით და ფართო სატარით) ჩანს უნეტიცეს კულტურაშიც ძვ.წ. XVI-XIV სს. [22, გვ. 56].

[17] მუხათგვერდის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის მამაკაცთა სამარხებში მძივები იშვიათად და თანაც მცირე რაოდენობით გვხვდება. ამ მხრივ ეს სამარხი გამონაკლისია (თუ ჩავთვლით, რომ სამარხი-კენოტაფი მამაკაცს ეკუთვნოდა).

especially noteworthy. This item, along with other finds, gives ground to suggest the chronology of burial 18 as dating from the 13th cent. B.C.

### ლიტერატურა


**1. აბრამიშვილი რ.** რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XXII-B, 1961, გვ. 291-382.

**2. თბილისი.** არქეოლოგიური ძიებანი, I. თბ., 1978.

**3. კალანდაძე ალ.** სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, IV, თბ., 1980.

**4. კალანდაძე ალ.** სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა, V, თბ., 1981, გვ. 7-117.

**5. ლომთათიძე გ.** ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბ., 1974.

**6. ოქროპირიძე ნ.** მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები. – მსკა, IV, 1965, გვ. 15-29.

**7. რამიშვილი ალ.** შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 28-37.

**8. სადრაძე ვ.** სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბ., 1997.

**9. ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.

**10. ფიცხელაური კ.** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-XII სს). თბ., 1973.

**11. ქორიძე დ.** თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1955.

**12. ქორიძე დ.** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965.

**13. ჩუბინიშვილი ტ.** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1967.

**14. ჯაფარიძე ოთ.** არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოქორაში. – თსუ შრომები, ტ. 65, 1957, გვ. 181-216.

**15. ჯაფარიძე ოთ.** მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან. – კრ. „მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", თბ., 1966, გვ. 12-27.

**16. Иремашвили Ш.** Могильник позднебронзовой эпохи из с. Рене. – ПАИ, 1977 (1976), с. 33.

**17. Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О.** Работа Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1987 (1995), с. 48-55.

**18. Козенкова В. И.** Обряд кремации в Кобанской культуре. – СА, № 3, 1982, с. 14-34.

**19. Крупнов Е. И.** О происхождении и датировке Кобанской культуры. – СА, № 1, 1957, с. 56-82.

**20. Крупнов Е. И.** Древняя история Северного Кавказа. М., 1960.

**21. Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети, I. Тб., 1941.

**22. Монгайт А. Л.** Археология Западной Европы. М., 1974.

**23. Панцхава Л. Н.** Некоторые вопросы колхидской и кобанской культуры. – სსმმ, XXXVIII-B, 1986, გვ. 23-24.

**24. Садрадзе В. Г.** Мцхета в XV-XIII вв. до н.э. Тб., 1991.

**25. Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. М., 1977.

**26. Тушишвили Н. Н., Амиранашвили Д. Ш., Маргишвили С. Г.** Археологическая экспедиция Алгетского ущелья. ПАИ, 1984-85 (1987), с. 17-27.

**27. Уварова П. С.** Могильник Северного Кавказа. М., 1960.

**28. Georgien. Schatze aus dem Land des Goldenem Vlies,** Bochum, 2001.


### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1, 2. მუხათგვერდი II, სამარხი № 18.
ტაბ. II-III – სამარხი № 18-ის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. IV – 1-20. სამარხი № 18-ის იარაღი და სამკაული.

### Description of the Plates

Pl. I – 1, 2. Mukhatgverdi, grave 18.
Pl. II-III – clay ware of the grave 18.
Pl. IV – weapons and jewels from the grave 18.

ტაბ. I




1



2

ტაბ. II





1



2



3



4

ტაბ. IV



ნინო სულავა

# კავკასიის ფიბულების შესახებ

ფიბულა საქართველოში აღმოჩენილი უძველესი მეტალურგიული ნაწარმის ერთ-ერთი ნიმუშია.[*] იგი არა მარტო მეტალურგიის, არამედ ხელოსნობის განვითარების მაღალ დონესაც ასახავს. საქართველოში აღმოჩენილი ფიბულების შესანიშნავი ნიმუშების მიხედვით შეიძლება ყველა იმ მეტალურგიული, ხელოსნური თუ მხატვრული პროცესის აღდგენა, რომლებიც გამოიყენებოდა ფიბულების წარმოებისას. ესენია: ჩამოსხმა, ჭედვა, და ბოლოს, მხატვრული გაფორმება – გრავირება, რელიეფური სახეებით თუ მცირე ზომის სკულპტურებით შემკობა (ტაბ. I).

ფიბულას, ისევე როგორც სხვა არქეოლოგიურ არტეფაქტებს, თავისი ისტორია აქვს. საქართველოში აღმოჩენილი ფიბულები ნაწილია კავკასიის ფიბულებისა, რომლებიც ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მეცნიერთათვის ისეთივე გამოცანაა, როგორც ევროპის ფიბულების მკვლევართათვის მათი თავდაპირველი სამშობლოს საკითხი [41, გვ. 22; 35, გვ. 159].

ფიბულები კავკასიაში დაკავშირებულია ორ არქეოლოგიურ კულტურასთან – კოლხურ და ყობანურ კულტურასთან, და ამ კულტურების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნივთად ითვლება. ამიტომაც სტატიაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება ამ ორი კულტურის გავრცელების ტერიტორიიდან მომდინარე მასალებზე (რუკა 1).

მკვლევართა დამოკიდებულება ამ ორი კულტურის მიმართ სხვადასხვაგვარია. მიუხედავად დიდი ინტერესისა და უკვე არსებული დიდძალი ლიტერატურისა, ეს თემა ამოუწურავია. ამ და სხვა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ ქართველ მეცნიერთა ნაწილი (ლ. სახაროვა, ლ. ფანცხავა, რ. პაპუაშვილი, ნ. სულავა) კიდევ ერთხელ მიუბრუნდა კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხს, რომელიც სასტენდო მოხსენების სახით იყო წარმოდგენილი თბილისში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე [38]. მოხსენებაში წარმოჩენილი იყო კოლხური და ყობანური კულტურების მსგავსი და განმასხვავებელი არტეფაქტები, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ კულტურებს უფრო მეტი აქვთ საერთო (რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ლითონის ნაწარმში), ვიდრე განსხვავება. ეს კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ კავკასია ერთი ორგანიზმია, რომლის არქეოლოგიურ კულტურებზე საუბრისას არ უნდა იყოს იგნორირებული მისი არც ერთი რეგიონი.

სხვა არტეფაქტებთან ერთად ამ ერთიანობის მიმანიშნებელი ფიბულებიცაა, რომლებიც როგორც ორივე კულტურაში ცალ-ცალკე, ასევე მთელ კავკასიაში ერთიან ტიპოლოგიურ სქემას ექვემდებარებიან. ტიპოლოგიური სქემის საფუძველი კი ფიბულების რკალის მოყვანილობაა.

თუ შედარებით ქრონოლოგიას მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ კავკასიის უძველესი ფიბულები (I ტიპი) ნახევაროვალურრკალიანი, ანუ დაბალთაღიანია (ტაბ. II; რუკა 2). ამგვარი ფიბულები ცნობილია: აღმოსავლეთ საქართველოდან – სამთავროს [28, სურ. 74a], დიღმის [გამოუქვეყნებელია, სსმ კოლ. 6-60, №83], თრელის [4, სურ. 80], არაშენდას [12, ტაბ. $LI_1$], თეთრიწყლების [25, ტაბ. $X_{12}$], თლიას [27, ტაბ. $49_5$], ჩიტახევის [13, გვ. 28-31] სამაროვნებიდან; დასავლეთ საქართველოდან – ნიგვზიანის [6, ტაბ. $XLI_3$], წითელი შუქურას [30, ტაბ. $XXV_6$], პეტრეს ნაკარუს [3, ტაბ. 42] სამაროვნებიდან; ჩრდილოეთ კავკასიიდან – ზაიუკოვოს დანგრეული ყორღანიდან [21, ტაბ. $XXIV_{12}$]; სომხეთიდან [42, გვ. 197, № 57]; აზერბაიჯანიდან – კალაკენტი [37, გვ. 162, სურ. $57_1$], პარადიზი, სამარხი № 3 [19, ტაბ. I,1] (ტაბ. III).

I ტიპის ფიბულებთან თანაარსებობენ II ტიპის ფიბულები (ტაბ. IV), რომელთაც ოდნავ ასიმეტრიული რკალი აქვთ. II ტიპის (რუკა 3) ფიბულები ცნობილია თლიასა [27, ტაბ. $65_{17}$] და ნიგვზიანის [6, ტაბ. $XLI_2$] სამაროვნებიდან; ჩრდილოეთ კავკასიიდან – კლინიარსკისა და კიზილკალის სამაროვნებიდან [21, ტაბ. $XXIV_{5,6}$]. ამ ფიბულებთან არ გავაერთიანე ჩრდილოეთ კავკასიაში, ზმეისკოეში აღმოჩენილი ე. წ. „ფიბულა," რომელსაც ძეგლის გამთხრელები ე. კრუპნოვი და ვ. დეოპიკი დეფორმირებულ ქინძისთავად მიიჩნევდნენ [16. შდრ. 36]. ამდენად, მასზე დაყრდნობით შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება არამართებულად მიმაჩნია.

I და II ტიპის ფიბულები მხოლოდ სამი სახეობითაა წარმოდგენილი: სადარკალიანი (ტაბ. $II_{1,2}$), წიწვისებური ორნამენტით შემკულრკალიანი (ტაბ. $II_{3,4}$) და გრეხილრკალიანი (ტაბ. $II_{5-7}$). ორივე ტიპის ფიბულები, მართალია, ერთეულებითაა ცნობილი, მაგრამ თითქმის მთელს კავკასიაშია გავრცელებული და ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულებია.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია III ტიპის ფიბულები (რუკა 4), რომელთაც მაღალი,

[*] სტატია მოხსენების სახით წაკითხულ იქნა გერმანიაში, ქ. ვისბადენში გამართულ საერთაშორისო კოლოკვიუმზე 2002 წლის 2-3 დეკემბერს.

ნალისებური ფორმის რკალი და შემსხვილებული ზურგი აქვთ. ამგვარი ფიბულები მთელს კავკასიაშია აღმოჩენილი, როგორც შემთხვევით, ასევე ყველა მნიშვნელოვან სამაროვანზე და ისინი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან (ტაბ. V, VI). განსხვავებით I და II ტიპის ფიბულებისაგან, რომლებიც სამი სახეობითაა წარმოდგენილი, III ტიპის ფიბულებში შემკულობის უამრავი ახალი სახე გაჩნდა. ფაქტობრივად, III ტიპის ფიბულებით იწყება ფიბულების ინდუსტრია კავკასიაში, ანუ უკვე გვაქვს „კავკასიური ფიბულები“ დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნებითა და ნიუანსებით.

კავკასიის III ტიპის ფიბულებში უკვე შესაძლებელია ლოკალური ვარიანტების გამოყოფა. რეგიონები, სადაც მათი დიდი კონცენტრაციაა, მაგ. საქართველოში, ყოველთვის ემთხვევა მეტალურგიული წარმოების ისეთ აღიარებულ ცენტრებს, როგორიცაა: აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, შიდა ქართლი, ბორჯომის ხეობა.

IV ტიპად გამოვყავი გველისებურრკალიანი ფიბულები (ტაბ. VII; რუკა 5), რომლებიც მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიიდანაა ცნობილი [32, ტაბ. XXX$_1$], ხოლო V ტიპად ფიბულები (ტაბ. VII$_{1,2}$; რუკა VI), რომელთა რკალიც ცხოველის ბრტყელ ფიგურას წარმოადგენს. ისინი ცნობილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან, პალურის სამაროვნიდან [2, ტაბ. VII$_1$] და სვანეთიდან [32, სურ. 282].

ჩემთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის მიხედვით ჩრდილოეთ კავკასიიდან 350-მდე ფიბულაა ცნობილი, ხოლო სამხრეთ კავკასიიდან 600-მდე (სამწუხაროდ, კავკასიაში უკვე კარგა ხანს არსებული სიტუაციის გამო, უფრო მეტი ინფორმაციის შეგროვება არ მოხერხდა).

კავკასიაში ყველაზე მეტი ფიბულა ყობანსა და თლიას სამაროვნებზეა აღმოჩენილი. ისინი ყობანში დაახლოებით 180 ცალია [ერმიტაჟი კოლ. 1731, კოლ. 1360. სსმ კოლ. 1-02:34-55], თლიაში – 168 ცალი [27, 28. 29]. შემდეგ მოდის აფხაზეთის სამაროვნები – 115 ცალი [33, სურ. 21; 30. 31], ბრილის სამაროვანი (რაჭა, ძეგლი გამოუქვეყნებელია) – 85 ცალი, მზეთამზეს სამაროვანი (ბორჯომის რ-ნი, ძეგლი გამოუქვეყნებელია) – დაახ. 100 ცალი, კოლხეთის სამაროვნები (დას. საქართველო, შავიზღვისპირეთი) – 51 ცალი [6] (რუკა 7).

ჩამოთვლილი ძეგლებიდან, მათზე მთელი კავკასიისათვის დამახასიათებელი ტიპების არსებობის მიუხედავად, განსაკუთრებული ლოკალურობით ხასიათდება აფხაზეთის სამაროვნების მასალა (რუკა 8), სადაც კოლხური კულტურისათვის, ასე ვთქვათ, ტრადიციული ტიპების (თევზიფხურით შემკული მსხვილრკალიანი ფიბულები, გრეხილრკალიანი, დისკოსებურშემსხვილებებიანი რკალით, რომბულგანივკვეთიანი რკალით) გარდა, გვაქვს სრულიად განსხვავებული ტიპებიც, რომლებიც კავკასიაში სხვაგან არ გვხვდება. ხოლო ერთმანეთთან განსაკუთრებული სიახლოვითა თუ მსგავსებით ხასიათდება მზეთამზე-თლია-ყობანის ფიბულები (რუკა 9). უფრო მეტიც, ისინი ერთ სახელოსნოში დამზადებულებსაც კი გვანან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის იმპორტული ნაწარმი (რუკა 10), რომელიც კავკასიაშია აღმოჩენილი. უპირველეს ყოვლისა დავასახელებთ მხოლოდ კოლხეთის სანაპიროზე აღმოჩენილ რამდენიმე ფიბულას, რომელთა შორის 2 ცალი ნავისებური ფიბულაა (a navicella) (ტაბ. VIII$_{1,2}$) [39, გვ. 63-64. 10, გვ. 74-75. 40]. აღსანიშნავია აგრეთვე ურარტული ფიბულები, რომლებიც მარტო საქართველოს ტერიტორიაზე 10 ცალია ცნობილი [11, გვ. 56-61, ტაბ. I-II] (ტაბ. IX, რუკა 11).

კავკასიის ფიბულების ერთი და იგივე ტიპოლოგიური საფუძველი (ტიპოლოგიური ერთიანობა) ქრონოლოგიური ერთიანობისა და წარმომავლობის ერთი და იგივე წყაროს მაჩვენებელიც უნდა იყოს.

კავკასიის ფიბულების აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხი გარკვეულ სირთულეებს აწყდება. ასე, მაგალითად: აღმოსავლეთ საქართველოს I (სამთავრო, თლია, თეთრიწყლები) და II ტიპის (თლია) ფიბულები დათარიღებულია ბევრად უფრო ადრეული ხანით – ძვ. წ. XII ს. მეორე ნახევარი – IX ს. [1, ტაბ. II$_{26}$, გვ. 142-147; 12, ტაბ. LXIX$_{260}$; შდრ.: 8, გვ. 65-72; 9, გვ. 38-46]; ვიდრე ანალოგიური ფიბულები დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან (ნიგვზიანი, წითელი შუქურა), სადაც ისინი ძვ. წ. VIII-VII სს. თარიღდებიან [6, გვ. 47-48, გვ. 88-92; 30; 31]. ამავე დროს თლიას სამაროვნის ფიბულების ანალოგიური ფიბულები ჩიტახევის სამაროვნიდან თარიღდება ძვ. წ. VIII ს-ით [13]. ჩრდილოეთ კავკასიაში ადრეული ტიპის ფიბულა კლინ-იარსკის სამაროვნიდან დათარიღებულია ძვ. წ. VI ს. შუა ხანებით [21, გვ. 73]; სომხეთში – ძვ. წ. VII ს. [42, გვ. 197]; აზერბაიჯანში – ძვ. წ. IX-VIII ს.ს. [19]. ვფიქრობ, კავკასიის ფიბულების დათარიღების საყრდენად უნდა ავიღოთ კოლხური კულტურის არეალის ადრეული, I-II ტიპის ფიბულებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტთა კომპლექსები: იარაღი, სამკაული, კერამიკა. აქედან გამომდინარე, კოლხური სამყაროს უძველესი ფიბულები ძვ. წ. IX-VIII სს. მიჯნით, უფრო კი ძვ. წ. VIII ს. უნდა დათარიღდეს [9]. შესაძლოა, მომავალმა აღმოჩენებმა და ახალი მასალის გამომზეურებამ ეს მოსაზრება რამდენადმე შეცვალოს ან დააზუსტოს.



შავი
ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
გროზნო
ყობანი
ვლადიკავკაზი
თლია
ცინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
კასპიის ზღვა
კოლხური კულტურა
ყობანური კულტურა


რუკა 1



შავი
ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
გროზნო
ყობანი
ვლადიკავკაზი
თლია
ცინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
კასპიის ზღვა
– I ტიპი (I1,2,3)


რუკა 2


შავი
ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ყობანი
ვლადიკავკაზი
გროზნო
თლია
ცინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
კასპიის ზღვა
– II ტიპი (II1,2,3)

რუკა 3


შავი
ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ყობანი
ვლადიკავკაზი
გროზნო
თლია
ცინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
კასპიის ზღვა
– III ტიპი (III 1-20)

რუკა 4


შავი
ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ყობანი
ვლადიკავკაზი
გროზნო
თლია
ჟინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
კასპიის ზღვა
– IV ტიპი

რუკა 5


შავი
ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ყობანი
ვლადიკავკაზი
გროზნო
თლია
ჟინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
კასპიის ზღვა
– V ტიპი

რუკა 6


შავი
ზღვა
კასპიის ზღვა
168
180
85
115
51
100
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ბრილი
ოლია
ყობანი
ვლადიკავკაზი
გროზნო
ცხინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
მცხეთამზე
ერევანი
ბაქო
ფიბულების რაოდენობა
ცალკეულ სამაროვნებზე

რუკა 7


შავი
ზღვა
კასპიის ზღვა
გაგრა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ოლია
ყობანი
ვლადიკავკაზი
გროზნო
ცხინვალი
თელავი
ბორჯომი
თბილისი
ერევანი
ბაქო
აფხაზეთი

რუკა 8




რუკა 9




რუკა 10




რუკა 11

ახლა რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს იმ ძეგლების თარიღებს, რომლებზეც I და II ტიპის ადრეული ფიბულებია აღმოჩენილი და რომლებიც კავკასიაში ფიბულების გამოჩენის თარიღადაა მიჩნეული; მხედველობაში მაქვს სამთავროს № 591 სამარხი [34; 23, სურ. 23] და თეთრიწყლების № 5 სამარხი [12, ტაბ. LXIX$_{260}$]. №591 სამარხის (ფ. ბაიერნის გათხრები) მიჩნევა დახურულ და სანდო კომპლექსად არ უნდა იყოს მართებული ამ „კომპლექსის" შესახე, არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემების გამო [შდრ.: 34 და 15]. ჩემი აზრით, ამ კოლექციაში (და არა კომპლექსში) არსებული ნივთების მხოლოდ ზედა ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა შეგვიძლია – ძვ. წ. IX ან IX-VIII სს. მიჯნა [8, გვ. 65-72]. საყურადღებოა, რომ აქვე, სამთავროზე გათხრილია № 600 სამარხი, რომელიც ასევე I ტიპის ფიბულას შეიცავს. სამარხი ურარტუს სამეფოს ხანითაა დათარიღებული [22, სურ. 746]. თეთრიწყლების (№ 5 სამარხი) ფიბულა თუმცა ძვ.წ. 1100-900 წ.წ. დათარიღებული, მაგრამ როგორც გამთხრელი აღნიშნავს, მას ზურგი შემკული აქვს გვიანი კომპლექსებიდან (მაგ. სამთავრო №№ 121, 123, 174 – ძვ. წ. VIII-VII სს. პირველი ნახევარი [8]) ცნობილი გოფრირებულზურგიანი სამაჯურების მსგავსად [12, გვ. 197].

ვფიქრობ, ჩვენს ხელთ არსებული მასალის სიმცირის გამო, ჯერჯერობით, აღმოსავლეთ საქართველოს ფიბულები ძვ.წ. IX ს. იქით, სიღრმეში, არ მიდიან, ანუ ფიბულათა გამოჩენა კოლხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის მასალას, თუ იგნორირებას არ გავუკეთებთ იმ არქეოლოგიურ არტეფაქტებს, რომლებიც მოპოვებულია სამხრეთ კავკასიაში, სადაც უამრავი პირდაპირი პარალელი მოიპოვება ყობანის მასალისათვის, მაშინ იქაც სამხრეთ კავკასიის ანალოგიურ თარიღებს მივიღებთ.

ერთწილადი რკალისებური ფიბულების არსებობა კავკასიაში ძვ. წ. IV ს. ჩათვლით განისაზღვრება (ვანი, ბრილი, ფიჭვნარი, ყაზბეგის განძი) [7] (ტაბ. VI$_{5\text{-}8}$).

კავკასიის ფიბულათა გენეზისიც აზრთა სხვადასხვაობის საგანია. მათ აკავშირებენ ჩრდილოეთ იტალიისა (ე. შანტრი) და საბერძნეთის მასალებთან (ბ. კუფტინი, ე. კრუპნოვი, ო. ლორთქიფანიძე და სხვ.). არიან მათი ადგილობრივი წარმოშობის მომხრეებიც (გ. გობეჯიშვილი, ბ. ტეხოვი, ლ. სახაროვა).

კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიურ ნიშნებზე და ნიუანსებზე დაკვირვებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კავკასიას ურთიერთობა ჰქონდა ფიბულების მატარებელ ვრცელ სამყაროსთან, ანუ ნაწილი იყო იმ უზარმაზარი სივრცისა, რომელშიც ერთწილადი რკალისებური ფიბულის „იდეა" ტრიალებდა (ამ ფართო კონტაქტებსა თუ იმპულსებზე სხვა არტეფაქტებიც მიგვითითებენ – ზოომორფულყურიანი კერამიკა, სათვალისებური დუგმები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები და საკისრე რკალები, ბრინჯაოს ვაზები, გრავირების მეთოდი და სხვ.). ამასთანავე ჩვენს ხელთ არსებული არტეფაქტებით, მხედველობაში მაქვს 2 ცალი a navicella ტიპის

ფიბულის აღმოჩენა კოლხეთის სანაპიროზე, სახეზე გვაქვს პირდაპირი კონტაქტებიც და ამ კონტაქტების დროც და გზაც [39; 10; 11].

**N. Sulava**

## APROPOS CAUCASIAN FIBULAE
(Summary)

The paper was presented as a lecture in Wiesbaden (December 2-3, 2002) during an international seminar dedicated to the exhibition of the most ancient metallurgical items discovered in Georgia. The author discusses briefely the history of fibulae – one of the most ancient products of Caucasian metallurgy. The paper deals with the panoply of key questions related to the history of fibulae – be it the problem of typology (the author argues that the Caucasian fibulae, except for the imported ones – boat-shaped and Urartian fibulae – are represented by three types), chronology (the appearance of fibulae in the Caucasus is dated to the end of the 9th – beginning of the 8th cent. B.C., though it can be revised on the grounds of further discoveries), the problem of the genesis of Caucasian fibulae (discovery of navicella type fibulae on the coastal line of Kolkheti clearly testifies to the existence of direct contacts with the Aegean world, which were probably maintained through maritime routes).

## ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი რ.** ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, 1997, გვ. 1-23.

2. **ბარამიძე მ.** მერხეულის სამაროვანი. თბ., 1977.

3. **ელიავა გ.** პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა. თბ., 1987.

4. **თბილისი,** არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1978.

5. **კალანდაძე ალ.** სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954.

6. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (კოლხეთის აეშ, II), თბ., 1985.

7. **სულავა ნ.** საქართველოში აღმოჩენილი მძივისებურრკალიანი ფიბულები. – ძიებანი, № 1, 1998, გვ. 58-65.

8. **სულავა ნ.** სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 65-71.

9. **სულავა ნ.** თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 38-45.

10. **სულავა ნ.** კიდევ ერთი ნავისებური ფიბულა აფხაზეთის სანაპიროდან. – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიიის საკითხები. ეძღვნება პროფ. ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 70 წლისთავს (ძიებანი, დამატებანი IV), თბ., 2001, გვ. 75-76.

11. **სულავა ნ.** ურარტული ფიბულები საქართველოში. – **AKADEMIA,** (ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი), ტ. I, 2001, გვ. 56-61.

12. **ფიცხელაური კ.** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს). თბ., 1973.

13. **ღამბაშიძე ო., ართილაყვა ვ.** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – აკძს 1973 წ, თბ., 1974, გვ. 28-31.

14. **ჩართოლანი შ.** ლარილარის სამაროვანი. – სკმაის, 1968, გვ. 300-318.

15. **Вырубов В.** Предметы древности в хранилище „Общества любителей кавказской археологии“. Тиф., 1877.

16. **Деопик Д. В., Крупнов Е. И.** Змейское поселение кобанской культуры. – Археологические раскопки в р-не Змейской Северной Осетии, Орджоникидзе, 1961, с. 11-36.

17. **Доманский Я. В.** Древняя художественная бронза Кавказа. М. 1984.

18. **Калитинский А.** Из истории фибулы на Кавказе. – Seminarium Kondakovianum, Prague, 1926, с. 39-67.

19. **Карахмедова А. А., Рагимова М. Н.** Ранные фибулы кавказской Албании. – Тезисы докладов научной сессии Института археологии и этнографии Азербайджана, посвящ. 100 летию С. М. Газиева. Баку, 1994, с. 92-98.

20. **Козенкова В. И.** Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры (восточный вариант). – САИ, В2-5. М., 1982.

21. **Козенкова В. И.** Материальная основа быта кобанских племён (западный вариант). – САИ, В2-5. М. 1998.

22. **Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

23. **Куфтин Б. А.** К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – სსმმ, ტ. XXII- В, 1944, с. 291-332.

24. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиди, I. Тб., 1949.

25. **Пицхелаури К. Н.** Итоги исследования памятников эпохи поздней бронзы-раннего железа. – ТКАЭ, I, 1969, с. 89-111.

**26. Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. М., 1977.

**27. Техов Б. В.** Тлийский могильник, I. Тб., 1980.

**28. Техов Б. В.** Тлийский могильник, II, Тб., 1981.

**29. Техов Б. В**. Тлийский могильник, III. Тб., 1985.

**30. Трапш М. М.** Труды, т. 2. Сухуми, 1969.

**31. Трапш М. М.** Труды, т.1. Сухуми, 1970.

**32. Уварова П.** Материалы по археологии Кавказа, т. VIII. М. 1900.

**33. Шамба Г. К.** Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми, 1984.

**34. Bayern F.** Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, ZE Supplement, Berlin, 1885**.**

**35. Bouzek J.** The Aegean, Anatolia and Europe. Praha, 1985.

**36. Kossack G.** Tli. Grab 85. Bemerkungen zum Beginn der skythenzeitlichen Formenkreises im Kaukasus. – AVA Beiträge, Band 5, München, 1983, p. 89-186.

**37. Nagel W., Strommenger E.** Kalakent, Früheisenzeitliche Grabfunde aus dem Transkaukasischen Gebiet von Kirovabad/Jelisavetopol. (Berliner Beirtäge, Neue Folge, Band 4), Berlin, 1997.

**38. Pantskhava L., Papuashvili R., Sakharova L., Sulava N.** Colhian and Qoban cultures: problems of relations. – International Scientific Conference "Archaeology in the 21st century: experience and prospects", Tbilisi, 2002 (Poster papers).

**39. Sulava N.** Boat fibula found in Georgia. – Trade on the Black Sea in the Archaic and Classical Periods: Historical Perspectives of the Silk Road. The 9th International Symposium on the Ancient History and Archaeology of the Black Sea Area. 20-23 September 1999. Vani (Dziebani, Supplements I), Tbilisi, 1999, p. 63.

**40. Sulawa N.** Die ältesten Kontakten der Ostschwarzmeerküste (Anhand der Fibeln). – Second International Congress on Black Sea Antiquities (2001.IX), Ankara, p. 13-14.

**41. Sundwall J.** Die älteren italischen Fibeln. Berlin, 1943.

**42. Urartu.** A Metalworking Center in the First Millennium B. C. E. Edited by Rivka Merhav, Jerusalem, 1991**.**

## რუკები

1. კოლხურ-ყობანური კულტურის არეალი.
2. I ტიპის ფიბულების არეალი.
3. II ტიპის ფიბულების არეალი.
4. III ტიპის ფიბულების არეალი.
5. IV ტიპის ფიბულების არეალი.
6. V ტიპის ფიბულების არეალი.
7. ფიბულების რაოდენობა ცალკეულ სამაროვნებზე.
8. ლოკალური ვარიანტები – აფხაზეთი.
9. ლოკალური ვარიანტები – მზეთამზე; თლია-ყობანი.
10. იმპორტული ფიბულები – ახალი ათონი, ფსირცხა, წითელი შუქურა, ყულანურხვა, კისტრიკი, ურეკი.
11. ურარტული ფიბულები.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. თლია [28, ტაბ. 80, 4]; 2. ყობანი [32, ტაბ. LXXXVIII$_7$]; 3. სვანეთი [32, სურ. 282].

ტაბ. II – 1. თრელი [4, სურ. 80]; 2. ყობანი [32, ტაბ. XXX$_{15}$]; 3. თლია [27, ტაბ. 49$_5$]; 4. წითელი შუქურა [30, ტაბ. XXV$_6$]; 5. სამთავრო, სამარხი № 591 [22, სურ. 74a]; 6. პეტრეს ნაკარუ [3, ტაბ. 42]; 7. ზაიუკოვო [21, ტაბ. XXIV$_{12}$]

ტაბ. III – აღმოსავლეთ საქართველო: 1,1. სამთავრო, სამ. №591 [22, სურ. 74a]; 1,2. სამთავრო, სამ. №600 [22, სურ. 74b]; 1,3. არაშენდა [12, ტაბ. LI$_1$]; 1,4. თეთრიწყლები [25, ტაბ. XI$_{12}$]; 1,5. დილომი [გამოუქვეყნებელი]; 1,6. თლია [27, ტაბ. 49$_5$]; დასავლეთ საქართველო: 2,1. ნიგვზიანი [6, ტაბ. XLI$_2$]; 2,2. ნიგვზიანი [6, ტაბ. XLI$_3$]; 2,3. წითელი შუქურა [30, ტაბ. XXV$_6$]; 2,4. პეტრეს ნაკარუ [3, ტაბ. 42]; 3,1. აზერბაიჯანი [37, სურ. 57]; 4,1. სომხეთი [42, №57]; 5,1. ჩრ. კავკასია [21, ტაბ. XXIV$_{12}$, 15].

ტაბ. IV – 1. კლინიარსკი [21, ტაბ. XXIV$_5$]; 2. თლია [27, ტაბ. 65$_{17}$]; 3. ყიზილ-კალა [21, ტაბ. XXIV$_6$]; 4. ნიგვზიანი [6, ტაბ. XLI,2]; 5. თლია [27, ტაბ. 39$_{10}$]; 6. თლია [27, ტაბ. 43$_{15}$]; 7. თლია [27, ტაბ. 45$_{13}$]

ტაბ. V – 1. კიჩმალკი [21, ტაბ. XXIV$_{18}$]; 2. სერჟენ-იურტი [20, ტაბ. XXXVII$_1$]; 3. ურეკი [6, ტაბ. XXVII$_3$]; 4 – წითელი შუქურა [30, ტაბ. XXV$_4$]; 5. თლია [27, ტაბ. 35$_4$]; 6. თლია [28, ტაბ. 80$_4$]; 7. თლია [29, ტაბ. 193$_1$]; 8. თლია [28, ტაბ. 90$_3$]; 9. წითელი შუქურა [30, ტაბ. XXV$_1$]; 10. ურეკი [6, ტაბ. XIII$_{27}$]; 11. ბრილი [გამოუქვეყნებელი]; 12. თლია [28, ტაბ. 133$_9$]; 13. კავკასია [18, ტაბ. III$_{16}$]; 14. თლია [29, ტაბ. 199$_2$]; 15. წითელი შუქურა [30, ტაბ. III$_{16}$]; 16. კახეთი [გამოუქვეყნებელი]; 17. ჯანტუხი [33, სურ. 21$_2$]; 18. ლაშკუტა [21, ტაბ. XXV$_5$];

19. ზაიუკოვო [21, ტაბ. XXV$_{6}$]; 20. ლარილარი [14, ტაბ. I-VI].

ტაბ. VI – 1. სამთავრო, სამარხი №123 [8, ტაბ. I$_{314}$]; 2. ყობანი [32, ტაბ. XXXI$_{8}$]; 3. ბრილი [გამოუქვეყნებელი]; 4. წითელი შუქურა [30, ტაბ. XXV$_{8}$]; 5. ვანი [7, ტაბ. I$_{2}$]; 6. ბრილი [7, ტაბ. II$_{4}$]; 7-8. ყაზბეგის განძი [7, ტაბ. I$_{5,6}$]; 9-10 ლუგოვოი [20, ტაბ. XXVII$_{7,9}$]; 11. სომხეთი [42, გვ. 197, № 57]; 12. მიცარი [24, სურ. 54$_{8}$]; 13. წითელი შუქურა [30, ტაბ. XXV$_{3}$]; 14. გუადიხუ [30, ტაბ. V$_{6}$]; 15. სოხუმის მთა [5, სურ. 25].

ტაბ. VII – 1. ყობანი [32, ტაბ. XXXIII]; 2. სვანეთი [32, სურ. 282]; 3. პალური [2, ტაბ. VII$_{1}$].

ტაბ. VIII [39, 10, 11] – 1. ახალი ათონი; 2. ფსირცხა; 3. წითელი შუქურა; 4. ყულანურხვა; 5. კისტრიკი; 6. ურეკი.

ტაბ. IX [11] – 1. დარჩიეთი; 2. აწყური; 3. შორაპანი; 4. მუხურჩა; 5. სამთავრო; 6. სამხრეთ ოსეთი; 7. შორუ (სომხეთი); 8. სამთავრო; 9. დვანი; 10. ოჟორა; 11. ღრმახევისთავი.

## Description of the Plates

Pl. I – 1. Tli [28, pl. 80$_{4}$]; 2. Koban [32, pl. LXXXVIII$_{7}$]; 3. Svaneti [32, fig. 282].

Pl. II – 1. Treli [4, pl. 80]; 2. Koban [32, pl. XXX$_{15}$]; 3. Tli [27, pl. 49$_{5}$]; Krasnyi Mayak [30, pl. XXV$_{6}$]; 5. Samtavro, grave 591 [22, fig. 74a]; 6. Petres Nakaru [3, pl. 42]; 7. Zayukovo [21, pl. XXXIV$_{12}$].

Pl. III – Eastern Georgia: 1,1. Samtavro, grave 591 [22, fig. 74a]; 1,2. Samtavro, grave 600 [22, fig. 74b]; 1,3. Arashenda [12, pl. LI$_{1}$]; 1,4. Tetritsqlebi [25, pl. XI$_{12}$]; 1,5. Dighomi [unpublished]; 1,6. Tli [27, pl. 49a]; Western Georgia: 2,1. Nigvziani [6, pl. XLI$_{2}$]; 2,2. Nigvziani [6, pl. XLI$_{3}$]; 2,3. Krasnyi Mayak [30, pl. XXV$_{6}$]; 2,4. Petres Nakaru [3, pl. 42]; 3,1. Azerbaijan [37, fig. 57]; 4,1. Armenia [42, no. 57]; 5,1. North Caucasia [21, pl. XXIV$_{12,15}$].

Pl. IV – 1. Klinyarsk [21, pl. XXIV$_{5}$]; 2. Tli [27, pl. 65$_{17}$]; 3. Qizil-Kala [21, pl. XXIV$_{6}$]; 4. Nigvziani [6, pl. XLI$_{2}$]; 5. Tli [27, pl. 39$_{10}$]; 6. Tli [27, pl. 43$_{15}$]; 7. Tli [27, pl. 45$_{13}$].

Pl. V – 1. Kichmalk [21, pl. XXIV$_{18}$]; 2. Serzhen-Yurt [20, pl. XXXVII$_{1}$]; 3. Ureki [6, pl. XXVII$_{3}$]; 4. Krasnyi Mayak [30, pl. XXV$_{4}$]; 5. Tli [27, pl. 35$_{4}$]; 6. Tli [28, pl. 80$_{4}$]; 7. Tli [29, pl. 193$_{1}$]; 8. Tli [28, pl. 90$_{3}$]; 9. Krasni Mayak [30, pl. XXV$_{1}$]; 10. Ureki [6, pl. XIII$_{27}$]; 11. Brili [unpublished]; 12. Tli [28, pl. 133$_{9}$]; 13. Caucasia [18, pl. III$_{16}$]; 14. Tli [29, pl. 99$_{2}$]; 15. Krasnyi Mayak [30, pl. III$_{6}$]; 16. Kakheti [unpublished]; 17. Jantukh [33, fig. 21$_{2}$]; 18. Lashkuta [21, pl. XXV$_{5}$]; 19. Zayukovo [21, pl. XXV$_{6}$]; 20. Larilari [14, pl. I-VI].

Pl. VI – 1. Samtavro, grave 123 [8, pl. I$_{314}$]; 2. Koban [32, pl. XXXI$_{8}$]; 3. Brili [unpublished]; 4. Krasnyi Mayak [30, pl. XXV$_{8}$]; 5. Vani [7, pl. I$_{2}$]; 6. Brili [7, pl. II$_{4}$]; 7-8. Qazbegi hoard [7, pl. I$_{5,6}$]; 9-10. Lugovoy [20, pl. XXVII$_{7,9}$]; 11. Armenia [42, p. 197, no 57]; 12. Mitsar [24, fig. 54$_{8}$]; 13. Krasnyi Mayak [30, pl. XXV$_{3}$]; 15. Guadikhu [30, pl. V$_{6}$]; Sokhumis Mta [5, fig. 25].

Pl. VII – 1. Koban [32, pl. XXXIII]; 2. Svaneti [32, fig. 282]; 3. Paluri [2, pl. VII$_{1}$].

Pl. VIII [39, 10, 11] – 1. Novyi Afon; 2. Psirtskha; 3. Krasnyi Mayak; 4. Qulanurkhva; 5. Kistrik; 6. Ureki.

Pl. IX [11] – 1. Darchieti; 2. Atsquri; 3. Shorapani; 4. Mukhurcha; 5. Samtavro; 6. Southern Oseti; 7. Shoru (Armenia); 8. Samtavro; 9. Dvani; 10. Ozhora; 11. Ghrmakhevistavi.

ტაბ. I



1



2



3

ტაბ. II



## ტაბ. III



ტაბ. IV



1



2



3



4



5



6



7

## ტაბ. V



ტაბ. VI



ტაბ. VII

IV ტიპი



1

V ტიპი



2



3

## ტაბ. VIII



1



2



3



4



5



6

## ტაბ. IX



ნინო კალანდაძე

## ადრერკინის ხანის კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის

წინამდებარე წერილში შევეცდებით მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგიჩინოთ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ბრინჯაოს გრავირებული აბზინდები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნივთებად შეიძლება ჩაითვალოს.

გრავირება დამახასიათებელია ნივთთა იმ ჯგუფისათვის, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ხან „ძველი ხელოვნების“ ძეგლებად, ხან „მხატვრული ნაწარმის“ სახელით იხსენებენ.

ამის პირობა, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ მხატვრულ ნაწარმში გაერთიანებული ნივთები – მრავალფუნქციური ნივთებია. ძველი ხელოვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშან-თვისება სწორედ მრავალფუნქციობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნივთის დამზადების პროცესში ყველას თუ არა, ფუნქციათა უმეტესობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა და რიგ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ისინი განსაზღვრავდნენ გარკვეულ მომენტებს ნივთის იერსახის საბოლოო გადაწყვეტაში.

„მხატვრულ ნაწარმში“ ხშირ შემთხვევაში გულისხმობენ მცირე ქანდაკებების, გრავირებული ნივთების და ორნამენტით შემკული ჭურჭლის ჯგუფებს, რომლებიც სემიოტიკური სისტემისაა და თავის თავში დაშიფრული ინფორმაციის მატარებელია. ზოგი მკვლევარის აზრით კი, ეს ის ჯგუფია, რომელთაც პრაქტიკული გამოყენება აქვთ და გრავირება ანდა პლასტიური ფორმა დატანილია ან არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული ნაწარმის შემკულობის მიზნით. ასეა თუ ისე, ერთი კი აშკარაა, რომ ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ძველი ხელოვნების ნიმუშებთან.

ჩვენი კვლევის ობიექტი – ბრინჯაოს გრავირებული აბზინდა, სწორედ ძველი ხელოვნების ნივთია. ძველი ხელოვნების ნივთთა კვლევა კი, როგორც მოგეხსენებათ, ძალზე საინტერესო და ამავდროულად რთულიცაა, რადგანაც ისინი განსხვავდებიან „ახალი ხელოვნების“ ნიმუშებისაგან, რაც განპირობებულია თვით იმ საზოგადოებრივი თავისებურებებით, რომელიც ახასიათებს ამ ნივთების დამამზადებელ საზოგადოებას, მათ შემეცნებასა და აზროვნების მოდელს [6, გვ. 584-586].

ძველი ხელოვნების ნივთთა კვლევა სრულად შეიძლება წარმოჩინდეს არა მხოლოდ სტილისტური ანალიზისა და ტექნოლოგიური პროცესების შესწავლის შედეგად, არამედ სოციალურ კონტექსტში, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის გათვალისწინებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი კვლევის ობიექტის – ბრინჯაოს გრავირებული აბზინდების შესწავლა სოციალური, რელიგიური, ეთნიკური და ესთეტიური თვალსაზრისითაც, მაგრამ დღევანდელი თვალთახედვიდან, ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე ვერიდებით ინტერპრეტაციების საშუალებით გარკვეული დასკვნების გაკეთებას, და ამ ამოცანებს სამომავლოდ გადავდებთ, თუმც ქვემოთ მოკლედ მაინც შევეხებით ამ თემების რიგ მომენტებს.

ჩვენს მიერ შესწავლილი არქეოლოგიური მასალა – ბრინჯაოს აბზინდები, ძირითადად აღმოჩენილია ცენტრალური კოლხეთისა და ჩრდილო კავკასიის სამაროვნებზე. ბრინჯაოს აბზინდები შედიოდნენ ურეკის, ნიგვზიანის, მუხურჩის, დღვაბის, პალურის საძვლეს, ერგეტას სამაროვნების ინვენტარში შემდეგი თანაფარდობით:

ერგეტას სამაროვანზე აღმოჩნდა 93 ერთეული;

დღვაბის სამაროვანი – 33;

ურეკის სამაროვანი – 16;

ნიგვზიანის სამაროვანი – 2;

მუხურჩის სამაროვანი – 18 [3, გვ.43-57].

დღეისათვის არ გაგვაჩნია პალურის საძვლის სამაროვანზე მოპოვებულ აბზინდათა რაოდენობრივი მონაცემები.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენთვის საინტერესო ნივთები გვხვდება ყობანის, გალიათის, ზედა რუთხისა და თლიას მასალებში. ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების სპეციფიკის გამო ხშირ შემთხვევაში (კოლექტიურ სამარხ-ორმოებში მეორადი დაკრძალვა, ინვენტარის განფენვა) არ ხერხდება ინდივიდის კუთვნილი ინვენტარის დადგენა. ამ მხრივ სხვა ვითარებაა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ სამარხებში, ურეკსა და ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში. აქ შესწავლილ სამარხებში ჩონჩხი რიგ შემთხვევებში სრულად არის შემონახული. აქედან გამომდინარე, ინვენტარი არამარტო ინდივიდის კუთვნილებაა, არამედ ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ როგორ იხმარებოდა ესა თუ ის ნივთი და რა ადგილი ეკავა მას. მაგალითად, თლიას უმრავლეს სამარხებში გვხდება თითო-თითო აბზინდა. მხოლოდ რამდენიმე (8 შემთხვევაში) სამარხშია მოპოვებული ორ-ორი აბზინდა, ხოლო № 310 სამარხში აღმოჩნდა ოთხი აბზინდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სადაც ერთი აბზინდაა, იქ ინდივიდუალური სამარხია, ხოლო ერთზე მეტი აბზინდის შემთხვევაში სამარხ-ორმოებში ძვლები ყოველთვის დანაწევრებულ-მიმოფანტულია, და რამდენიმე ინდივიდის სამარხებია. ასეთ სამარხებს

ბ. ტეხოვი შელახულ სამარხებს უწოდებს (სამარხი № 130, 301, 41) [7, გვ. 83-86].

ურეკში, აფხაზეთში, თლიაში, ყობანისა და ზედა რუთხის სამაროვნების რამდენიმე სამარხში აღმოჩენილია ჩონჩხზე დადებული ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყლები, რომლებსაც ერთ ბოლოზე აბზინდები ჰქონდათ დამაგრებული. გვხვდება შემთხვევები, როდესაც სარტყლების ქვემოთ შეინიშნებოდა ქსოვილის, ალბათ ტანისამოსის ძაფები.

როგორც ვხედავთ, რიგ შემთხვევებში სამარხეული ინვენტარი იძლევა საშუალებას, ერთის მხრივ, აბზინდა სარტყლის დეტალად, ტანსაცმლის ატრიბუტად მივიჩნიოთ, მეორეს მხრივ კი, ინდივიდს ერთი აბზინდა დავუკავშიროთ.

ყოველივე ზემოთ თქმული კი (იმ შემთხვევაში, როცა აბზინდები გვხვდება) დაგვეხმარება, მიახლოებით მაინც იმის დადგენაში, თუ რამდენი ინდივიდი შეიძლება ყოფილიყო „დაკრძალული“ ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების კოლექტიურ ორმო-სამარხებში.

მაშ ასე, აბზინდა წარმოადგენს მთლიანად სხმულ შესქელებულ ბრინჯაოს ფირფიტას, რომელსაც შიდა მხრიდან აქვს მსხვილი კავი. კავის კონსტრუქცია აპირობებს აბზინდის წინა ხაზის მოხაზულობას, კერძოდ, კავის ზურგი, ე.ი. წინა ნაპირის ცენტრალური ნაწილი კუთხური ფორმით განზე გაზიდულია. წინა ნაწილის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს ღარი, რომელშიც განთავსებულია სასარტყელე ნახვრეტები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბრინჯაოს აბზინდები სხვადასხვაგვარად არიან გააზრებულნი.

ბრინჯაოს აბზინდების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვს მრავალ მეცნიერს, მაგრამ ჩვენი ამოცანებიდან გამომდინარე შემოგთავაზებთ მხოლოდ მორფოლოგიური მხარის გათვალისწინებით შექმნილ კლასიფიკაციებს.

ბრინჯაოს აბზინდების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვთ თ. მიქელაძეს, ბ. ტეხოვს, ი. დომანსკის, ი. მოცენბეკერს.

თ. მიქელაძე აბზინდებს ფურცლოვანი სარტყლების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და სამ ჯგუფს გამოყოფს: I ჯგუფში გაერთიანებულია სწორკუთხა აბზინდები.

II ჯგუფში – წელშეზნექილი, წინიდან ორმხრივ ჩაღრმავებული.

III ჯგუფში კი მკვეთრად წელშეზნექილი აბზინდები, რომლებიც ფრთაგაშლილ ფრინველს მოგვაგონებენ. [2, გვ 47-50].

სამ ჯგუფად ყოფს აბზინდებს ი. დომანსკიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ის აბზინდები, რომელთა კავი ძალზე წინ წამოწეულია და ხშირ შემთხვევაში რელიეფური, სკულპტურული გამოსახულებებით გვირგვინდება. [5, გვ 37-39].

ი. მოცენბეკერი აბზინდებს 5 ჯგუფად ჰყოფს. I ჯგუფში გაერთიანებულია კუთხეებმომრგვალებული სწორი აბზინდები; II ჯგუფში – სწორკუთხა კუთხეებწაწვეტებული აბზინდები; III ჯგუფში შედის სწორგვერდა აბზინდები, ე.ი აბზინდის წახნაგები შეღუნულნი არ არიან; IV ჯგუფში – მოკლე ზომის აბზინდები, წინ წამოწეული კავით, V ჯგუფში კი გაერთიანებულია წელშეზნექილი აბზინდები [10, გვ 106-107].

სამ ჯგუფს გამოყოფს ბ. ტეხოვი აბზინდებში – ქრონოლოგიური ეტაპების მიხედვით. მისი აზრით, ყველაზე ადრეულად შეიძლება ჩაითვალოს სიგრძით დიდი ზომის აბზინდები; შემდგომ პერიოდში აბზინდების ზომები მცირდება, იცვლიან კონფიგურაციას, იღებენ ე.წ. პეპლისებურ ფორმას; ყველაზე მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნებიან პატარა ზომის აბზინდები, მკვეთრად წინ წამოწეული კავით [8, გვ 100].

ჩვენ ვეყრდნობით თ. მიქელაძის მოსაზრებას, რომ ძირითადად კოლხეთში აბზინდები სამი ჯგუფისაა, მაგრამ ვთვლით, რომ შესაძლებელია I ჯგუფში ორი ქვეტიპის გამოყოფა (იხ. ტაბ. I)

I ჯგუფის I ქვეტიპს მიეკუთვნება მართკუთხა ფორმის კუთხეებმომგვალებული ბრინჯაოს ფირფიტები.

I ჯგუფის II ქვეტიპს მიეკუთვნება მართკუთხა ფორმის კუთხეებწაწვეტებული, დახრილ წახნაგოვანი ბრინჯაოს ფირფიტა, რომლის წინა ხაზი მშვილდისებრი მოხაზულობისაა.

II ჯგუფში გაერთიანებულია წელშეზნექილი აბზინდები, რომლებსაც წინა ნაპირის ცენტრალური ნაწილი, ე.ი. კავის ზურგი, განზე გაზიდული აქვთ, ხოლო საპირისპირო ნაწილი შეღუნულია.

III ჯგუფში გაერთიანებულია ე.წ. ფრინველის ფრთის მაგვარი აბზინდები, რომელთა წახნაგები დახრილი კუთხით უერთდება წინა ხაზს. ნახვრეტების ღარის მხარის ცენტრალური ნაწილი კი პირიქით, ნახევარწრიული ფორმით განზეა გაზიდული.

მორფოლოგიური თვისებების მიხედვით, აბზინდებში სამი ჯგუფის გამოყოფის საშუალება მოგვცა ჩვენს მიერ წარმოდგენილმა ნივთის სეგმენტაციამ (იხ. ტაბ. II).

უპირველეს ყოვლისა, აბზინდა არის ფირფიტა, რომელსაც გააჩნია ფორმა (მართკუთხა, წელშეზნექილი, ორმხრივწელშეზნექილი). მათთვის საერთოა შემდეგი ნიშნები: კავის ენა, კავის ზურგი, ნახვრეტების ღარი და, რაც ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია – სასურათო სიბრტყე. განსხვავებები კი შემდეგ ელემენტებშია: კუთხეები – მომრგვალებული ან წაწვეტებული; წახნაგები – შეზნექილი ან სწორი; განსხვავებებია ნახვრეტების რაოდენობაშიც.

ჩვენ შემოგვაქვს შემდეგი ტერმინები: კავის ენა, კავის ზურგი, წახნაგი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია კავის ზურგი, რადგანაც ორნამენტა-

ლურ კომპოზიციებში ეს განსაკუთრებით აქცენტირებული ადგილია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ I ჯგუფს ეკუთვნის უფრო ადრეული პერიოდით დათარიღებული ბრინჯაოს აბზინდები. მხედველობაში გვაქვს უდეს განძისა [4, გვ. 59-64] და ყობანის [9, ტაბ. XV-XIX] ინკრუსტირებული და გრავირებული აბზინდები. ძირითადი პრინციპი, რითაც განასხვავებენ უდისა და ყობანის აბზინდებს ჩვენს მიერ შესწავლილი აბზინდებისაგან – არის გამოსახულების შესრულების ხერხი. ინკრუსტირება არ წარმოადგენს გამოსახულების შესრულების ხერხს. ინკრუსტირებული აბზინდებისათვის გამოსახულება შესრულებულია იმავე ტექნიკით. კერძოდ, ნივთის ზედაპირზე სამარჯვი ინსტრუმენტი მართი კუთხით უნდა ყოფილიყო დაჭერილი და ჩაქუჩის დარტყმით ლოკალური მექანიკური ზეწოლით ხდებოდა აბზინდების ზედაპირის გაფორმება კვეთით.

ხოლო ჩვენს მიერ შესწავლილი აბზინდების ზედაპირი გაფორმებულია მარტივ პროფილიანი საჭრისით და არ არის ღრმა. ე.ი ორსავე შემთხვევაში გამოსახულების შესრულების ტექნიკა მსგავსია, ხოლო ინკრუსტირება წარმოადგენს დეკორირების დამატებით საფეხურს, კერძოდ კვეთით დამუშავებულ ზედაპირში რკინის, ბაცი ფერის ბრინჯაოს ან მინისებრი პასტის ჩასმას.

უდის განძისა და ყობანის აბზინდები განსხვავდებიან ძვ.წ. VII-VI სს-ებით დათარიღებული კოლხური ბრინჯაოს გრავირებული აბზინდებისაგან:

ა) ზომით. ინკრუსტირებული აბზინდების ზომები მერყეობს 14 სმ-დან 20 სმ-მდე.

ბ) ორნამენტალური მოტივით. უდისა და ყობანის აბზინდები გაფორმებულია უმეტესად ზოომორფული ორნამენტით, მინიმალურადაა გამოყენებული გეომეტრიული ორნამენტი. ამგვარ ორნამენტალურ მოტივში ცხოველთაგან უფრო ხშირად გვხვდება ძაღლისა და ირმის გამოსახულებანი.

გ) ბრინჯაოს შენადნობის ლიგატურით. ამის დადგენაში ჩვენ დაგვეხმარა ჩვენს მიერ ქიმიურ-ტექნოლოგიურად გამოკვლეული ფოთის ისტორიისა და არქეოლოგიის მუზეუმში დაცული 8 გრავირებული აბზინდა, რომლებიც განეკუთვნებიან ღლვაბისა და ერგეტას № 4-5 სამარხეული კომპლექსების ინვენტარს. აღნიშნული ნივთების ქიმიური შედგენილობა შევისწავლეთ სპექტოგრაფ CTE-1-ზე, ემისიური სპექტრული რაოდენობრივი ანალიზის მეთოდით. გამოყენებული იქნა სტანდარტული და არქეოლოგიური ბრინჯაოს მასალიდან წინასწარ შერჩეული ეტალონური სინჯები.

სპექტრული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ზოგიერთი ნიმუშის სპექტრული კვლევის საფუძველზე და ნივთის დამზადების ტექნოლოგიური სქემის გათვალისწინებით ირკვევა, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული ბრინჯაოს ნივთები ფოთის მუზეუმიდან, რამდენადმე განსხვავებულია უდეს განძში არსებული აბზინდებისაგან. აღნიშნულ ბრინჯაოს მასალებს შორის შესამჩნევია არაერთგვაროვანი ლიგატურის გამოყენების პირობები.

ჩვენ ვიხელმძღვანელეთ უდეს განძის მასალის სპექტრული ანალიზის მონაცემებით (იხ. ცხრ. 1) [1, გვ 54].

ცხრილში მოტანილი ანალიზის შეჯერებით ჩვენს მიერ შესწავლილი აბზინდების ქიმიურ შემადგენლობასთან შეიძლება ითქვას შემდეგი:

უდეს განძის აბზინდები დამზადებული არიან უფრო მაღალი ძირითადი მალეგირებელი ელემენტის – კალის 11-14% შემცველობით. უდეს განძის აბზინდების ბრინჯაოს სხმულებისათვის ძირითადი მალეგირებელი ელემენტის – კალის გარდა, საინტერესოა ბრინჯაოში ამიერკავკასიისათვის ტიპიური დარიშხანისა და ანთიმონის შემცველი ლიგატურის გამოყენება, რომელთა რაოდენობა მთელი რიცხვებით გამოისახება. ხოლო ჩვენს მიერ გამოკვლეული ბრინჯაოს აბზინდები მიღებულია კალის ოპტიმალური პროცენტული შემცველობის ბრინჯაოსაგან, სადაც მალეგირებელი ელემენტის შემცველობა თავსდება 2,0-8,5 %-ის ზღვრებში (იხ. ცხრ. 2). გამოყენებული ბრინჯაოს შენადნობები კალის გარდა შეიცავენ ანთიმონს, ტყვიას, თუთიას, ბისმუტს, ვერცხლს, კვალის სახით ოქროს. მინარევები ძალზე მცირეა და არ გამოისახება მთელი რიცხვებით, ე.ი. შესწავლილი აბზინდები დამზადებულნი არიან კალის დაბალი პროცენტული შემცველობის ბრინჯაოსაგან.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს ორნამენტირებული აბზინდები უდედან და ყობანიდან შედარებით მაღალმხატვრული ღირებულების ნივთებად მივიჩნიოთ. დღევანდელი თვალთახედვიდან ეს მარტივად მოხერხდა, გავითვალისწინეთ რა ნივთის შექმნაზე დახარჯული შრომა: ნივთის დამზადების ტექნოლოგია, გამოსახულების შესრულების ტექნიკა და მხატვრული გაფორმება. კერძოდ – მსგავსი აბზინდები დამზადებულნი არიან უფრო მაღალი პროცენტული შემცველობის მალეგირებელი ელემენტის – კალიანი ბრინჯაოსაგან, ზომითა და წონით აღემატებიან ძვ.წ. VII-VI სს-ების ბრინჯაოს გრავირებულ აბზინდებს და მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია დამატებითი საფეხური – ინკრუსტაცია. განსხვავებანი აბზინდათა ამ ჯგუფებს შორის, გარდა ქრონოლოგიური ეტაპისა, შესაძლებელია ნივთის ფუნქციიდანაც ყოფილიყო გამომდინარე. ორნამენტირებული აბზინდები, რომლებსაც ჩვენ უფრო მაღალმხატვრული ღირებულების ნივთად ვთვლით, შესაძლოა სოციალური ფუნქციის მატარებელი ნივთი ყოფილიყო, რომელსაც დროში და სივრცეში ან დაეკარგა, ან შეეცვალა თავისი ფუნქცია და ძვ.წ. VII-VI

საუკუნეებში მხოლოდ რელიგიური დატვირთვა შემორჩა.

ასეა თუ ისე, ერთი კი აშკარაა, რადგანაც, ბრინჯაოს გრავირებული აბზინდები ძვ.წ. VII-VI სს-ების ძეგლებიდან არიან ცნობილი, მაშინ თვით მოვლენაც – ბრინჯაოს აბზინდების რაოდენობრივად ბევრის არსებობა ცენტრალურ კოლხეთისა და ჩრდ. კავკასიის სამაროვნებზე, უნდა აიხსნას ამ ნივთის რიტუალური დანიშნულებითა და ამ პერიოდის თავისებურებებით. ეს თავისებურება, ჩვენი აზრით, დასანახია არა მხოლოდ ნივთის მიმართებით, არამედ მათზე დატანილი ორნამენტალური მოტივების მიხედვითაც. აბზინდების ორნამენტალური მოტივების თავისებურებებს ჩვენ მომავალ წერილში შემოგთავაზებთ.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მორფოლოგიური და ტექნოლოგიური მახასიათებლებით შესწავლილი აბზინდები ცენტრალური კოლხეთისა და ჩრდ. კავკასიის სამაროვნებიდან ნივთთა ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან და მსგავსი აბზინდები ძირითადად ერთი პერიოდით უნდა თარიღდებოდნენ. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თ. მიქელაძის მოსაზრებას, რომ რაკი კოლხეთში ეს აბზინდები ჯერჯერობით, არსებითად მხოლოდ ძვ.წ. VII-VI სს-ის კომპლექსებში გვხვდება, ხოლო ცენტრალურ კავკასიური აბზინდები კი დღეისათვის მიღებული დათარიღებით უფრო ადრეულში, და ამასთანავე რკინის ნივთების უქონლობის გარდა არ არსებობს სხვა უფრო მყარი საფუძველი აბზინდებიანი კომპლექსები ძვ.წ. X-IX საუკუნეებისადმი მიკუთვნებისათვის, იქნე, არ იყოს გამოსარიცხი შესაძლებლობა ამგვარი დათარიღების გადასინჯვისა [2, გვ. 50].

ცხრილი 1
უდეს განძის აბზინდები

| ნივთი | აღმოჩენის ადგილი | Cu | Sn | Pb | Zn | Bi | Ag | Sb | As | Fe | Ni | Co | Au |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბზინდა № 15 | უდე | 87,36 | 10,64 | 0,03 | 2,0 | - | კვალი | 1,2 | 19,9 | - | - | - | - |
| აბზინდა № 16 | უდე | 72,08 | 11,28 | კვალი | არ არის | - | კვალი | 0,4 | 0,5 | - | - | - | - |
| აბზინდა № 18 | უდე | 86,57 | 12,3 | 0,35 | 0,25 | - | კვალი | კვალი | კვალი | - | - | - | კვალი |
| აბზინდა № 19 | უდე | 84,7 | 12,8 | 0,25 | 0,1 | - | - | კვალი | კვალი | - | - | - | კვალი |
| აბზინდა № 20 | უდე | 86,75 | 12,8 | 0,25 | 0,1 | - | - | კვალი | არ არის | - | - | - | კვალი |
| აბზინდა № 21 | უდე | 79,07 | 13,3 | 0,2 | 0,1 | - | - | არ არის | 0,40 | - | - | - | - |

ცხრილი 2
ფოთის მუზეუმის მასალა

| ნივთის დასახ. | საინვ. ნომერი | Cu | Sn | Pb | Zn | Bi | Ag | Sb | As | Fe | Ni | Co | Au |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბზინდა | 05D87-197 | ფუძე | 2,0 | - | - | - | 0,02 | - | - | 0,02 | - | - | - |
| აბზინდა | 05D87-169 | ფუძე | 8,5 | 0,5 | 0,05 | - | 0,04 | 0,2 | 0,2 | 0,1 | - | - | - |
| აბზინდა | 05D87-196 | ფუძე | 5,0 | 0,8 | - | 0,002 | 0,06 | 0,03 | - | 0,05 | - | - | 0,001 |
| აბზინდა | 05E-4_85-128 | ფუძე | 4,5 | - | - | - | 0,03 | 0,1 | 0,1 | 0,03 | - | - | 0,002 |
| აბზინდა | 05D87-168 | ფუძე | 6,0 | 0,6 | - | 0,001 | 0,04 | 0,2 | 0,02 | 0,01 | - | - | - |
| აბზინდა | 05D87-504 | ფუძე | 3,5 | 0,45 | 0,02 | - | 0,01 | 0,01 | - | 0,1 | - | - | - |
| აბზინდა | 05D87-190 | ფუძე | 3,0 | 0,75 | - | - | 0,01 | 0,1 | - | 0,02 | - | - | - |
| აბზინდა | 05D87-68 | ფუძე | 7,2 | 0,5 | - | 0,002 | 0,05 | 0,1 | - | 0,1 | - | - | - |

ლიტერატურა

1. **აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო.** სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1958.

2. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II). თბ., 1985.

3. **პაპუაშვილი რ.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის. – ძიებანი, 1, 1998, გვ. 43-57.

4. **ჯავახიშვილი ა, ჩუბინიშვილი ტ.** უდეს განძი. – საბჭოთა ხელოვნება, 4, 1959, გვ. 59-64.

5. **Доманский Я. В.** Древняя художественная бронза Кавказа в собрании Государственного Эрмитажа. Москва, 1984.

6. **Мириманов В. Б.** Первобытное и традиционное искусство. Москва, 1973.

7. **Техов Б. В.** Тлийский могильник, III, Тб., 1985.

8. **Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва, 1977.

9. **Уварова П. С.** Материалы к археологии Кавказа, Вып. III. Москва, 1900.

10. **Motzenbacker I.** Sammlung Kossnierska. Muzeum für Vor- und Frühgeschichte. Berlin, 1996.

**N. Kalandadze**

## TOWARDS THE STUDY OF COLCHIAN ENGRAVED BUCKLES OF THE EARLY IRON AGE

(Summary)

The bronze engraved buckles, found on archaeological sites and dated to the $7^{th}$-$6^{th}$ cc. BC, which may be considered as defining objects for Colchian culture, are discussed. The author shares the view of T. Mikeladze, who identifies three principal groups of Colchian buckles. However it seems possible to identify two subtypes in group I. The presented segmentation of buckles has enabled to identify three groups. Group I comprises buckles dated to the early period, viz. the inlaid and engraved buckles from the Ude treasure and Koban. The main principle for differentiating the Ude, Koban and Colchian engraved buckles is the manner of decoration. It should be noted that inlaying is not a technique of executing an image, but an additional step of decoration, i.e. insertation of iron, light colour bronze or vitreous paste in the surface treated by cutting. The difference between the Ude treasure and Koban engraved buckles and those studied by the author lies in the size, weight and bronze alloy. This difference allows consideration of the Ude treasure and Koban engraved buckles as relatively high level objects of art. Their primary functions must have changed, retaining only religious functions in the $7^{th}$-$6^{th}$ cent. BC. The presence of a large quantity of buckles in $7^{th}$-$6^{th}$ cent. BC burials points to their use in rituals, which is accounted for by the specificities of the cited period.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – აბზინდათა ძირითადი ჯგუფები და ქვეტიპები.

ტაბ. II – აბზინდის სეგმენტაცია.

### Description of the Plates

Pl. I – Main groups and subgroups of buckles.

Pl. II – The buckle segmentation.

ტაბ. I



I ჯგუფის I ქვეტიპი



I ჯგუფის II ქვეტიპი



II ჯგუფი



III ჯგუფი

ტაბ. II



წახნაგი
ნახვრეტი
სასურათო სიბრტყე
ნახვრეტების
ღარი
კავის ზურგი
წიბო

იულონ გაგოშიძე

# პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი*

წინააზიაში რომაული ლეგიონების შემოსვლა, მომასწავებელი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარდატეხისა ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიაში. რომის ექსპანსიამ ბოლო მოუღო პოსტმაკედონურ ელინისტურ სამყაროს. ევფრატის დასავლეთით განლაგებულმა ელინისტურმა სახელმწიფოებმა ერთი მეორის მიყოლებით დაასრულეს თავისი არსებობა: ისინი ან რომის პროვინციებად იქცნენ, ან რაიმე სხვა სტატუსით რომის სრულ მორჩილებაში მოექცნენ. ევფრატზე კი რომი შეეჯახა ირანის ახლადაღორძინებულ მძლავრ სახელმწიფოს – პართიას, რომელიც, თავის მხრივ, დასავლეთისაკენ ისწრაფოდა. დაიწყო რომისა და ირანის ხანგრძლივი კონფრონტაცია, რამაც არსებითად განსაზღვრა წინააზიის პოლიტიკური ისტორია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

ორი იმპერიის ამ დაპირისპირებაში ძალაუნებურად ჩართული აღმოჩნდა ქართლის სამეფო ანუ იბერია (კავკასიის იბერია), როგორც მას იცნობენ ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები. კავკასიონის ქედს მიჯაჭვულ ამ პატარა სახელმწიფოს ბედმა არგუნა არც თუ უმნიშვნელო როლი შეესრულებინა რომისა და პართიის – ამ ორი გიგანტის – ურთიერთჭიდილში. კავკასიის ყველზე თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით იბერია ფაქტობრივად იქცა თავისებურ ბუფერად აღმოსავლეთი ევროპის ტრამალების ნომადთა სამყაროს და წინააზიის ცივილიზებულ ქვეყნებს შორის: აკონტროლებდნენ რა კავკასიონის უმნიშვნელოვანეს უღელტეხილებს, იბერიის ხელისუფალთ ქვეყნის ძლიერების ხანაში შეეძლოთ გარკვეულწილად ემართათ ნომადების არა მარტო სამხედრო, არამედ მშვიდობიანი, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი წინააზიასთან, მათ შორის რომის აღმოსავლეთ პროვინციებთანაც, რასაც ორივე მხარისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაა, რომ როგორც რომი, ასევე პართიაც იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ იბერიისათვის.

მაგრამ ანგარიში რომ გაგიწიონ, ამისათვის საჭიროა, ძლიერი იყო. იბერიასაც, ძლიერი რომ არ ყოფილიყო, არავინ ანგარიშს არ გაუწევდა და, სხვა რომ არა იყოს რა, იგი ვერ შესძლებდა თავისი უმთავრესი კოზირის გამოყენებას – კავკასიონის უღელტეხილების გაკონტროლებას. მხოლოდ პოლიტიკური ბალანსირება ორ მოქიშპე იმპერიას შორის არ იყო საკმარისი და, რამდენადაც იბერიამ მაინც შესძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რომისა და პართიის დაპირისპირება და რომაელთაგან ორგზის – ქ.წ. 65 და ქ.წ. 36 წლებში დამარცხების შემდეგ, ქ.შ. I საუკუნეში მტკიცედ დადგომოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის გზას, ამდენად ცხადია, რომ მას საკმარისი ძალაც გააჩნდა. მართლაც, თავისი სამხედრო ძლიერება იბერიამ არა ერთხელ დაამტკიცა არმენიაში პართელების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლებით [24, გვ. 507-516].



სურ. 1

ელინისტური და რომაული ხანის საქართველოს არქეოლოგიური მასალის შედარებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ რომაულ ხანაში თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა ქართულმა მატერიალურმა კულტურამ თითქმის ყველა სფეროში და ისიც ირკვევა, რომ ამ ინოვაციათა უმეტესობა მეტ-ნაკლებად საქართველოს რომაულ სამყაროსთან ურთიერთობით არის ინიცირებული. უეჭველია, რომ ცვლილებები უნდა განეცადა სამხედრო საჭურველსაც: სამხედრო საქმე კულტურის ის სფეროა, სადაც ჩამორჩენა ქვეყნისათვის სიკვდილის ტოლფასია.

რომაული ხანის ქართლის სამეფოს (იბერიის) საბრძოლო იარაღ-საჭურველი საგანგებოდ არავის უკვლევია და ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლებელია, ისიც იყოს, რომ ქართლისა და საერთოდ საქართველოს რომაული ხანის არქეოლოგიურად შესწავლილ ძეგლებზე იარაღი შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისია დედოფლის გორის სასახლის გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომელიც შეიცავს როგორც იარაღს (მშვილდისარი, შუბი, სატევარი), ისე თავდაცვით აღჭურვილობას – სხვადასხვა ტიპის აბჯარს. აღმოჩნდა აქ ცხენის აკაზმულობის ნაწილებიც. დედოფლის გორის ეს მასალა კარგად თარიღდება ქ.შ. I საუკუნით და იარაღ-საჭურველის სწორედ ეს კოლექცია გახდა ის ბირთვი, რომელზედაც აიგო წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც გათვალისწინებულია ქართლისა და მთელი საქართველოს ტე-

რიტორიაზე საბრძოლო იარაღ-საჭურველის აღმოჩენის ყველა სხვა ჩემთვის ცნობილი შემთხვევაც.

ადრერომაული ხანის იბერიის სამეფოს შეიარაღების კვლევისას ვიყენებდი დედოფლის გორის სასახლეშივე აღმოჩენილ ძვლის გრავირებულ ფირფიტებსაც, რომლებზეც არც თუ უკანასკნელი ადგილი უკავია შეიარაღებული მხედრების გამოსახულებებს. არის მათ შორის შეჯავშნული მხედრების ბრძოლის სცენით შემკული ფირფიტაც (სურ. 1).

რამდენადაც ქ.წ. I – ქ.შ. I ს-ების მსოფლიოში სამხედრო საქმეში ტონის მიმცემი რომი იყო, მეც ქართულ იარაღ-საჭურველს უპირატესად რომთან მიმართებაში განვიხილავ, ცხადია, რომაული ხანის ბერძნული და ლათინური წერილობითი წყაროების მონაცემთა შუქზე.

**იარაღი**

რომაულ არმიაში მშვილდ-ისარი, როგორც ჩანს, მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა [72, გვ. 81; 74, გვ. 76-77], რაც არ ითქმის პართელებზე, რომელთა არმიის დამრტყმელ ძალას სწორედ მშვილდოსნები წარმოადგენდნენ: „პართელები არ ხმარობენ ფარებს, არამედ მათი ჯარი შედგება უპირატესად მთლიანად შეჯავშნული ცხენოსანი მშვილდოსნებისა და ხელშუბოსნებისაგან; მათი ქვეითი ჯარი მცირერიცხოვანია... მაგრამ ისინიც ყველანი მშვილდოსნები არიან" [Cassius Dio, XL,15; 79, გვ. 135]. პართელებისა და არმენიელების ცხენოსან მშვილდოსნებს ახსენებს არიანეც [Arrian, 44; 4, გვ. 162]. მართლაც, სახვით ხელოვნებაში გვხვდება ასეთი ჰიპოტოქსოტების – ცხენოსან-მშვილდოსნების გამოსახულება, რაც სარწმუნოს ხდის ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების ჩვენებებს [80, გვ. 195-198][18].

ქართული სამხედრო წყობა, ცხადია, რომაულს არ ჰგავდა და, თუ დავუჯერებთ ტაციტუსს, იგი (სამხედრო წყობა) პართელებისაგანაც განსხვავდებოდა: „მათი (პართელების) ერთადერთი ძალა მხედრობა იყო. ფარსმანი კი (იბერთა მეფე) ძლიერი იყო ქვეითებითაც“ [Tacit., Annales, VI,34; 61, გვ. 170]. პლუტარქე ახსენებს „შუბოსან იბერებს“ [Plut., Lucull., XXXI; 53, გვ. 199], აპიანეს ცნობით კი, იბერები „ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ მითრიდატეს“ [Appian., Mithr., 101; 1, გვ. 195] და პომპეუსის წინააღმდეგაც იბერები ძირითადად მშვილდისარს იყენებდნენ [Cassius Dio, XXXVII, 2; 10, გვ. 61].

სტრაბონი უშუალოდ იბერიის შეიარაღებაზე არაფერს ამბობს, მაგრამ კავკასიის ალბანეთის აღწერისას წერს, რომ „იბრძვიან ისინი როგორც ქვეითად, ასევე ცხენებზე ამხედრებულნი, მსუბუქად შეიარაღებულებიცა და აბჯრით შეჭურვილებიც (κατάφρακτοι), როგორც არმენიელები“ და რომ „ალბანები არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ აბჯრები და ფარები, მუზარადები ცხოველთა ტყავის, იბერების მსგავსად“ [Strabo XI,4,5; 26, გვ. 133].

ამრიგად, წერილობითი წყაროების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, იბერიის ჯარში იყვნენ როგორც ცხენოსნები, ისე ქვეითნი, როგორც მსუბუქად შეიარაღებულნი, ისე მძიმედ შეჯავშნულნიც, ხოლო რაც შეეხება საბრძოლო იარაღს, აქ ძირითადი იყო შუბი და მშვილდ-ისარი.

სამადლოში აღმოჩენილ ელინისტური ხანის (ქ.წ. III ს.) ქვევრებზე გამოსახული მხედრების ერთადერთი იარაღი ხელშუბია – მოკლე სატყორცნი შუბი, როგორც ნადირობის, ისე ბრძოლის სცენებში; ქვეითნი კი მახვილით და ფარებით არიან აღჭურვილნი (სურ. 2) [38, გვ. 94, ტაბ. XV-XVII; 39, №№ 227, 233, 234].



სურ. 2

ხელშუბს რომ იბერიელი მხედრებისათვის რომაულ ხანაშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ამის საბუთად გამოდგება დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ძვლის გრავირებული ფირფიტები, რომლებზეც მხედართა ნადირობის სცენებია გამოსახული. ოცდაოთხი ფირფიტიდან, რომელზეც ირჩევა მხედრის იარაღის სახეობა, თორმეტზე ხელშუბოსანია წარმოდგენილი. ეს შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს, და ვფიქრობთ, შუბოსანი იბერიელები,

* სტატია ნაწილია ნაშრომისა „ქართლის სამეფო და რომი ქ.წ. I-ქ.შ. I სს-ში“ რომელიც შესრულდა 1996-1998 წწ. INTAS-ის № 96-0054 გრანტით. გრაფიკული ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ ელზა გომარელს.

[18] პართული მონეტების რევერსზე გამოსახულია მჯდომარე მამაკაცი დაჭიმული მშვილდით მარჯვენა ხელში, რაც, როგორც ჩანს, გაიაზრებოდა პართიაში, როგორც სამეფო ხელისუფლების ჰერალდიკური სიმბოლო [40, გვ. 46-49].

რომელთაც, როგორც საუკეთესო მეომრებს, ყველაზე უფრო დიდ ნდობას უცხადებდა არმენიელთა მეფე ტიგრანი [Plut., Lucull, XXXI; 53, გვ. 199], მართლაც, რეალობა იყო (სურ. 3). ყურადსაღებია ისიც, რომ ხსენებულ გამოსახულებათა ანალოგიების ძიებისას საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერ მივაკვლიე სატყორცნი შუბით შეიარაღებული მხედრების გამოსახულებას.



სურ. 3

მაგრამ დედოფლის გორის დანარჩენ 12 ფირფიტაზე გამოსახულ მხედრებს მშვილდი უპყრიათ ხელთ და გაჭენებული ცხენიდან ისარს ტყორცნიან ნადირს (სურ. 4) და, თუ კი დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიური მონაცემებით ვიმსჯელებთ, მშვილდისარი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სასახლის მცველ გარნიზონში. აქ აღმოჩენილია რკინის 800-ზე მეტი ისრისპირი. პირველი სამი ისრისპირი გათხრების პროცესში აღმოჩნდა 1988 წელს სასახლის ეზოში და თავდაპირველად ასე გვეგონა, რომ ისინი მომხდურებს ეკუთვნოდა და ნასროლი იყო სასახლისკენ, სასახლის დაღუპვის წინ. მაგრამ შემდგომში მომრავლდა სასახლეში ისრისპირების აღმოჩენის ფაქტები და დავრწმუნდით, რომ ის სამი ისრისპირი არაფრით განსხვავდება ნამდვილად სასახლის მცველთა კუთვნილი ისრისპირებისაგან. ასე რომ ვერსია მათი მომხდურთა კუთვნილების შესახებ, ღიად დარჩა. კიდევ სამი ისრისპირი აღმოჩნდა სასახლეში კენტად, ისრისპირების დანარჩენი მასა კი დიდ ჯგუფებად აღმოჩნდა №№ 9, 10, 11 (2 ჯგუფი), 12 და 13 ოთახებში. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მცირე იყო № 13 ოთახში აღმოჩენილი 14 ცალი ისრისპირი, ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი – 294 ცალი № 9 ოთახში (სურ. 5).



სურ. 4



სურ. 5

ჯგუფებში აღნუსხული რაოდენობა ისრისპირებისა მათ რეალურ (თავდაპირველ) რაოდენობაზე ნამდვილად ნაკლებია, რადგანაც ისინი უკლებლივ ყველა ცეცხლში ნამყოფი და ბოლომდე ჟანგად არის ქცეული. ასე რომ არა ვართ დაზღვეულნი იმისაგან, რომ ზოგიერთი მათგანის აღება ვერ მოხერხდა გათხრის პროცესში, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი სასახლის კედლების დადუღებულ (მინადქცეულ) ნანგრევში გვხვდებოდა.

ცხადია, რომ ისრები სათანადო ჭურჭელში – კაპარჭებში ეწყო და მათი გამოყენება უეცარი ხანძრის გამო ველარ მოუსწრიათ. № 11 ოთახში, დასავლეთის კედელთან მდგარ ხის კასრში (კოდში) კონად ჩაწყობილი 161 ცალი ისარი აღმოჩნდა, პირებით ზემოთ აშვერილი. საბედნიეროდ, ისრების ზროებიც, მართალია, დანახშირებული, მაგრამ მაინც გადარჩა. გაირკვა, რომ ისინი გამოთლილია ხის მასიური მერქნისაგან: გადანატეხში კარგად შეიმჩნევა მჭიდროდ განლაგებული ხის წლიური რკალები, რომლებიც გარდიგარდმო ჭრის ზროს კვეთას. წლიური

რკალები მეტად მჭიდროდ არის განლაგებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზროები გამოთლილია რომელიღაც ნელად მზარდი მაგარმერქნიანი ხისაგან, მაგ., შვინდისაგან.

ზროს დიამეტრი 0.5-0.6 სმ-ს არ აღემატება და კიდევ ოდნავ წვრილდება თავისაკენ, სადაც ზროში ჩასმულია ისრისპირის ყუნწი, რომლის განივკვეთი 0.2 სმ-ზე ნაკლებია. განსაკუთრებით საინტერესოა ზროს ქვედა ბოლო, რომელიც 5 სმ-ის სიგრძისაა და თანდათან წვრილდება, ისე რომ წაწვეტებულ ბოლოში განივკვეთის დიამეტრი სულ 0.1 სმ-ია (სურ. 6). აშკარაა, რომ ეს ხუთსანტიმეტრიანი ბოლო ჩასმული იყო საგანგებოდ გამზადებულ სტაბილიზატორში, რომელიც არ შერჩენილა, მაგრამ რომელსაც, ცხადია, საკმარისი სისქე უნდა ჰქონოდა, რომ მისი მშვილდისრის ლარზე მოდება ყოფილიყო შესაძლებელი.




სურ. 6

ასევეა დაწვრილებული ვინდონისაში აღმოჩენილი ადრეული პრინციპატის ხანის ისრის ზროს ბოლო, ოღონდ იქ გადასვლა ზროს ღეროდან დაწვრილებულ ბოლოზე მკვეთრია, საფეხურისებრი, მაშინ როცა დედოფლისგორული ისრის ზრო ბოლოსკენ თანდათანობით წვრილდება. ვინდონისას ისრის ზროს დაწვრილებული ბოლოს სიგრძე 4 სმ-ია, ხოლო განივკვეთის მაქსიმალური დიამეტრი სამჯერ მაინც ნაკლებია, ვიდრე საკუთრივ ზროსი, რაც 0.8 სმ შეადგენს [83, ტაბ. 21, № 389, ინვ. № 4860].

ისრების სრული სიგრძის დაფიქსირება ვერ მოხერხდა.

სასახლეში აღმოჩენილი ისრების სხვა ჯგუფები, როგორც ზევით ითქვა, საფიქრებელია, რომ საგანგებო საისრე - კაპარჭებში ეწყო (№ 9 ოთახში, როგორც ჩანს, რამდენიმე კაპარჭი იყო და კაპარჭები კედელზე ეკიდა). ზოგიერთ კაპარჭში ისრებთან ერთად მშვილდიც შეიძლება დებულიყო, სწორედ ასეთი კაპარჭის მცირედ მოხრილი ბოლო ჩანს დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილ ძვლის გრავირებულ ფირფიტებზე გამოსახული მშვილდოსანი მხედრების ცხენის მუცელქვეშ (სურ. 17-18). როგორც ჩანს, მშვილდისა და ისრების ჩასაწყობი კაპარჭი უნაგირზე ეკიდა ცხენის მარცხენა მხარეს. და მართლაც, № 10 და № 11 ოთახებში ისრისპირებთან ერთად აღმოჩნდა ძვლისგან გამოთლილი ოთხ-ოთხი ფირფიტა – შედგენილი მშვილდის ბოლოების საფარები (სურ. 7). ასეთივე ოთხი ფირფიტა აღმოჩნდა № 8 ოთახშიც, სადაც ისრისპირები არ იყო. მშვილდის ბოლოს საფარი დაახლოებით 1 სმ სიგანის ცალმხრივ ბრტყელი, ზედა მხარეს ამობურცული და ცალბოლო მომრგვალებული ძვლის ფირფიტაა, მომრგვალებულ ბოლოსთან ლარის გამოსადები ჭრილით. თითოეულ მშვილდს ესაჭიროებოდა ოთხი ასეთი ფირფიტა, რომლებიც მაგრდებოდა მშვილდის ბოლოების ორივე მხარეს. ლარის მოსადები ჭრილების განლაგება გვარწმუნებს, რომ სამივე შემთხვევაში მშვილდის ბოლოების საფარების თითო სრულ კომპლექტთან გვაქვს საქმე. ორ შემთხვევაში მშვილდის საფარის ბოლოში 0.2 სმ დიამეტრის ნახვრეტია ამოჭრილი საფარის მშვილდთან დამატებით დასამაგრებლად; ჩვეულებრივ, საფარები მშვილდზე, ცხადია, წებოთი მაგრდებოდა. კარნუნტუმში აღმოჩენილ მშვილდის ერთ-ერთ საფარს ასეთივე ნახვრეტი აქვს შიგ შერჩენილი სამსჭვალით [72, გვ. 79, სურ. $43_2$].




სურ. 7

ამრიგად, ირკვევა, რომ დედოფლის გორის სასახლეში ხანძრისგან სულ ცოტა სამი მშვილდი მაინც დაიწვა.

შედგენილი მშვილდის ბოლოების ძვლის საფარები დედოფლის გორის გარდა ძველი იბერიის ტერიტორიაზე სხვაგანაცაა ნაპოვნი, კერძოდ არმაზციხის (ბაგინეთის) რომაული ხანის კულტურულ ფენაში[19]. ასეთივე საფარებია აღ-

[19] მშვილდის საფარები დაცულია გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის

მოჩენილი ძველი ბაქტრიის ტერიტორიაზე, ტაჯიკეთში, ტახტი-სანგინის გათხრების დროს (იქვე დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი რკინის ყუნწიანი სამფრთიანი ისრისპირები იმავე ტიპისა, როგორიც დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩნდა)[20].

ძვლის ასეთი მშვილდსაფარების მომრავლებას სარმატულ სამარხებში მკვლევარები უკავშირებენ მოკლე სკვითური მშვილდის გრძელი და მძლავრი შორსმტყორცნელი სარმატული მშვილდით თანდათანობითი ჩანაცვლების პროცესს [34, გვ. 197-198].



სურ. 8

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ძვლის სავსებით ასეთივე საფარები ჰქონდა ქ.შ. I საუკუნის რომაულ მშვილდსაც [74, გვ. 52-53, ნახ. 21]. ძვლის ან რქის ფრაგმენტირებული ფირფიტები, რომელთა დანიშნულება იყო მშვილდის ბოლოებისათვის („ყურებისათვის“) სიხისტე მიენიჭებინა, ცნობილია ობერადენიდან და დანგაშტეტენიდან (ავგუსტეს ხანა), ველსენიდან (კლავდიუსის ხანა), ვადონ ჰილიდან (ნერონის ხანა), რისტისენიდან (გვიანი ნერონის – ადრეული ფლავიუსების ხანა) და ვინდონანდიდან (გვიანი ფლავიუსების ხანა) [72, გვ. 79].

დედოფლის გორის სასახლის № 11 ოთახის იატაკზე მშვილდის ბოლოების ზემოთგანხილულ საფარებთან ერთად აღმოჩნდა ძვლისავე დაახლოვებით 15 სმ სიგრძის თხელი (0,1-0,2 სმ სისქის) ორი ფირფიტა, რომლებიც შუა ნაწილში 1,7 სმ სიგანისაა და ბოლოებისაკენ თანაბრად ვიწროვდება; ფირფიტების მომრგვალებული ბოლოები სულ 0,3 სმ-ის სიგანისაა. დღეს ფირფიტები სიმხურვალისაგან სპირალურად არის დახვეული და დამტვრეულია, მაგრამ თავდაპირველად ისინი წაგრძელებული ნახევაროვალის ფორმისა უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს შედგენილი მშვილდის შუა ნაწილის საფარი (სურ. 8).

რომაული ხანის ევროპისა და წინააზიის ძეგლებზე ამ უკანასკნელი საფარების ანალოგიებს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ სავსებით ამ ფორმის საფარები ჰქონდა შედგენილ მშვილდს, რომელსაც ხმარობდნენ ჰუნები და მათთან ერთად და მათ შემდეგაც სამხრეთი ციმბირისა და ცენტრალური აზიის ნომადები ქ.წ. III საუკუნიდან ქ.შ. I ათასწლეულის ბოლომდე. ნომადების ამ მშვილდს, სხვათაშორის, სავსებით იმავე ფორმის ბოლოების საფარები ჰქონდათ, როგორებიც დედოფლის გორაზეც აღმოჩნდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჰუნების მშვილდების საფარები, როგორც ბოლოებისა, ისე შუა ნაწილისა შედარებით უფრო გრძელებია (მშვილდის შუა ნაწილის საფარების სიგრძე მერყეობს 22-40 სმ-ს შორის), რაც იმას გულისხმობს, რომ შედგენილი მშვილდი, რომელსაც დედოფლის გორის სასახლის გარნიზონი ხმარობდა, როგორც ჩანს, უფრო მოკლე იყო, ვიდრე ძველი ჰუნებისა, რომელთა სიგრძე 150 სმ-ს აღწევდა [65, გვ. 26-30, სურ. 2-3; გვ. 64-68, სურ. 21, 22; გვ. 126-127, სურ. 57; გვ. 139-143, სურ. 62]. მშვილდი, რომელსაც მხოლოდ ბოლოებზე და შუა ნაწილზე აქვს ძვლის წყვილ-წყვილი საფარი (სულ 6 ცალი), ჰუნების მშვილდების კლასიფიკაციით I ტიპს განეკუთვნება და ითვლება, რომ სწორედ ეს ტიპი გახდა საფუძველი მშვილდის მთელი შემდგომი ევოლუციისა შუა საუკუნეებში [65, გვ. 206].

პროგრესული კონსტრუქციის ამ მშვილდის ასეთი შედარებით ადრეული შემოღწევა საქართველოში უნდა განხილულ იქნას, როგორც შედეგი იბერიის მჭიდრო კონტაქტებისა ევრაზიის ტრამალების ნომადებთან. ევროპასა და წინააზიაში ასეთი მშვილდი გამოჩნდა ჰუნებთან ერთად „ხალხთა დიდი გადასახლების“ ეპოქაში (ქ.შ. IV-V ს.), მაგრამ სარმატულ სამყაროში, კერძოდ ყირიმში ჰუნების ყოფნა დადასტურებულია ქ.შ. II ს-ში და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი იქ, შესაძლებელია, უფრო ადრეც კი ყოფილიყვნენ [68, გვ. 70; 69, გვ. 132].

დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი რკინის ყველა ისრისპირი ყუნწიანია და სამფრთიანი. ერთმანეთისაგან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ზომებითა და ფრთების ბოლოების გაფორმებით: ისრისპირების ერთი ნაწილის ფრთების ბოლოები მახვილი კუთხით ქვევითაა დაშვებული, სხვებს კი ფრთების ბოლოები ჰორიზონტალურად მოჭრილი ან ზევითკენ აჭრილი აქვთ. ზომებით ისრისპირები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: მცირე ზომისა, სიგრძით 3,4-5,0 სმ და დიდი ზომისა, სიგრძით 5,6-7,9 სმ (მხოლოდ ერთი ცალია 8,35 სმ სიგრძისა) (სურ. 9).

საცავში. გამოუქვეყნებელი მასალის ჩვენებისათვის მადლობელი ვარ ინსტიტუტის დირექტორის, აკად. ა. აფაქიძის და ბაგინეთის ექსპედიციის ხელმძღვანელის ვ. ნიკოლაიშვილისა.

[20] ტახტი-სანგინის არქეოლოგიური მონაპოვარი ინახება ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში და ეს მასალა მაჩვენა ექსპედიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, განსვენებულმა ი. პიჩიკიანმა, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ.



სურ. 9

საყურადღებოა, რომ ყველა ფრთებდაშვებული ისრისპირი მცირე ზომისაა.

ისიც ხაზგასასმელია, რომ სასახლეში აღმოჩენილ თითოეულ ჯგუფში ძირითადად ერთნაირი ისრისპირები იყო თავმოყრილი. გამონაკლისია მხოლოდ № 9 ოთახი, სადაც ერთად აღმოჩნდა ორი განსხვავებული სახის ისრისპირები, მაგრამ აქ„ შესაძლებელია, ორი (ან მეტი) კაპარჭი ეკიდა კედელზე გვერდიგვერდ და ისრისპირები სხვადასხვა კაპარჭებიდან მხოლოდ სასახლის ნგრევის შედეგად შეერივნენ ერთმანეთს: ისრისპირების რაოდენობაც აქ – 294 ცალი – ძალიან ბევრია ერთი კომპლექტისათვის.

რკინის სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები სარმატული ისრისპირების სახელით მოიხსენებიან. ქ.წ. IV საუკუნიდან დაიწყო სავრომატებს შორის ბრინჯაოს მასრიანი („სკვითური ტიპის“) ისრისპირების რკინის ყუნწიანი ისრისპირებით ჩანაცვლების პროცესი, რომელიც არსებითად დასრულდა ქ.წ. II ს-ში: ამიერიდან რკინის ყუნწიანი სამფრთიანი ისრისპირი ისრისპირების თითქმის ერთადერთ ტიპად იქცევა სავრომატულ-სარმატულ სამყაროში [59, გვ. 70]. ამავე ხანიდან ეს ისრისპირები ფართოდ ვრცელდება შუააზიაშიც, კერძოდ, ბაქტრიაში [46, გვ. 206-209] და ფაქტიურად ისრისპირების ერთადერთ ფორმად რჩება ქუშანთა იმპერიაში ქ.შ. III საუკუნემდე [43, გვ. 43-44, 63, 75].

ქ.შ. I ს-ში ასეთი ისრისპირების დაკავშირება მხოლოდ სარმატებთან აზრს ჰკარგავს, რადგანაც ისინი ფართოდაა ამ დროს გავრცელებული მთელს აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაშიც [59, გვ. 140] და თვით რომაული არმიაც უპირატესად ასეთ ისრისპირებს ხმარობდა [72, გვ. 79, სურ. $43_{\text{5ა6ა7ა8}}$].

„სარმატული ტიპის“ ისრისპირები იბერიაში ისევე, როგორც მთელ ამიერკავკასიაში, უნდა ვიფიქროთ, უნდა გავრცელებულიყო უშუალოდ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრები სარმატებიდან.

სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები ფართოდ არის გავრცელებული წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კავკასიის ალბანეთში, თანამედროვე აზერბაიჯანისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი დაღესტნის ტერიტორიაზე [63, გვ. 138-139].

რკინის სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები აღმოჩენილია სომხეთის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა არმავირი, არტაშატი, კარმირ-ბლური (ზედა ფენა), აიგეშატი და, როგორც აღნიშნავს გ. ტირაციანი, ისინი სომხეთში რჩება ქ.შ. პირველ საუკუნეებშიც, თუმცა მათი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელების ხანად მას მაინც ქ.წ. II-I საუკუნეები მიაჩნია [62, გვ. 139-140].

საქართველოშიც რკინის ყუნწიანი სამფრთიანი ისრისპირები ქ.წ. II ს-დან ვრცელდება [15, გვ. 179-180] და მთელი რომაული ხანის განმავლობაში რჩება, როგორც ისრისპირების ძირითადი ტიპი: სარკინეს ნაქალაქარზე გათხრილ სახელოსნოში აღმოჩნდა რამდენიმე ასეული რკინის ყუნწიანი ისრისპირი, რომლებიც ამჟამად გამოფენილია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპოზიციის მესამე დარბაზში [2, გვ. 209-212].

კლდეეთის ქ.შ. II ს-ის მეომრის სამარხში ოცამდე ასეთი ისრისპირი აღმოჩნდა [14, გვ. 143-144, სურ. 30, ტაბ. $XIX_{24}$] და რამდენიმე ასეთივე ისრისპირი აღმოჩნდა ურბნისშიც, ქ.შ. V ს-ის ფენაში, ოღონდ აქ ისინი, როგორც ჩანს, მტერს ეკუთვნოდა, რადგანაც ქალაქის გალავნის კოშკის კედლებში იყო გარედან შერჭობილი [28, გვ. 124-125].

ბიჭვინთაში, რომელიც რომაული კასტელუმი იყო, III-IV ს-ის ოცდაათამდე რკინის ისრისპირია აღმოჩენილი, მაგრამ მათში ოთხი განსხვავებული სახეობა გამოიყოფა: სამფრთიანი, სამწახნაგა, ოთხწახნაგა და რომბისებური ფორმისა [11, გვ. 1-4].

ზემოთ უკვე აღნიშნულია, რომ პლუტარქე იხსენიებს შუბოსან იბერიელებს, როგორც ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას [Plut., Luc. XXXI; 53, გვ. 199] და ისიც ითქვა, რომ დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ძვლის 12 ფირფიტაზე სწორედ შუბოსანი მხედრებია გამოსახული და თორმეტივე მხედარი მოკლე სატყორცნი ხელშუბით არის შეიარაღებული (სურ. 3). მაგრამ საფიქრებელია, რომ იბერების შეიარაღებაში გრძელი საძგერებელი შუბიც ფიგურირებდა: დედოფლის გორის ძვლის ერთ-ერთ ფირფიტაზე ასეთი შუბით შეიარაღებული მხედარიც არის გამოსახული (სურ. 1).

დედოფლის გორაზე გათხრებით სულ 5 ცალი შუბისპირი აღმოჩნდა. ხუთივე რკინისაა და საკმაოდ მასიური და თითქოს უფრო საძგერებელი შუბის კუთვნილი უნდა იყოს ხუთივე.

შუბისპირები რომაული ხანის აღმოსავლეთ საქართველოს სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე ძალიან ხშირად არა, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგალითისათვის დავასახელებთ მცხეთაში, წო-

წამური III სამაროვნის I საუკუნის № 6 სამარხში [22, გვ. 64, სურ. 446] და კახეთში, ბეჟანბაღის I-II ს-ის ორმოსამარხში [18, გვ. 119, ტაბ. XXXII$_2$] აღმოჩენილ შუბისპირებს. III ს-ით თარიღდება არაგვის ხეობაში, სოფ. ნეძიხთან გათხრილი ორმოსამარხები, რომლებშიც სამი შუბისპირი აღმოჩნდა [56, გვ. 92, ტაბ. 227$_5$].

დასავლეთ საქართველოს რომაული ხანის კომპლექსებში შუბისპირების აღმოჩენის ფაქტები ცოტა უფრო მეტია: ქ.წ. I ს-ის დასასრულით თარიღდება ჩხოროწყუში აღმოჩენილი შუბისპირი [64, გვ. 81, ტაბ. III], ქ.შ. II ს-ით კლდეეთის (5 ცალი) [14, გვ. 15, 140-142, სურ. 2$_{29}$], ბანძისა და ძევრის შუბისპირები [25, გვ. 76, ტაბ. V$_{3,10,11}$]; ჩხარის სამაროვანის შუბისპირებს II-III საუკუნეს აკუთვნებენ [5, გვ. 31, ტაბ. XXIV$_2$; XXVI$_2$] და IV საუკუნისაა საჩხერეში, მოდინახეს სამაროვანზე აღმოჩენილი შუბისპირები [20, გვ. 58-59, ტაბ. XX$_{1ზ2}$].

ყველა ეს შუბისპირი არსებითად ერთი ტიპისაა. მათ წაგრძელებული ფოთლისებური ფორმის ქედიანი პირი და კონუსური მასრა აქვთ (სურ. 10).




სურ. 10

საქართველოსთვის შუბისპირის ეს ფორმა ტრადიციულია და სწორედ ასეთი შუბისპირები იყო გავრცელებული წინარე რომაული ხანის აღმოსავლეთ საქართველოში: კამარახევის [23, გვ. 44; 30, №№ 22, 65, 128, 157, 257, 288 და სხვ.], წინანდლის, პატარძეულის [23, გვ. 43-44, ტაბ. XVI$_4$, XVII$_5$], აბულმუგის [42, გვ. 54, ტაბ. 133$_2$] ქ.წ. V-III საუკუნის სამარხეულ კომპლექსებშიც რკინის კონუსურმასრიანი და ფოთლისებრპირიანი შუბისპირები იყო.

დედოფლის გორის სასახლეში ნაპოვნი ხუთი შუბისპირიდან ამ ტიპისაა მხოლოდ ორი ცალი.

მათგან განსხვავებული და საქართველოსათვის უჩვეულოა დედოფლის გორის დანარჩენი სამი შუბისპირი. თუმცა ამ უკანასკნელთაც ფოთლისებრი ფორმის მაღალქედიანი პირი აქვთ, მაგრამ მათი გრძელი მილისებრი მასრა ქვედა ბოლოში ლილვისებურად გაფართოებულია – მას აქ საკმაოდ სქელი სალტე აქვს შემოჭედილი (სურ. 11).




სურ. 11

სხვაგან არსად საქართველოში და არც საერთოდ ამიერკავკასიაში ასეთი შუბისპირი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. არც რომაელები ხმარობდნენ ასეთ იარაღს. ამგვარი, ბოლოში მასრაგაფართოებული შუბისპირი სარმატულ იარაღად არის მიჩნეული [33, გვ. 189, ტაბ. XXXIV$_{11,12}$] და ისინი ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის, მდ. დონის და ყუბანისპირეთის სარმატული სამარხებიდან, სადაც ისინი ქ.წ. III-I - ქ.შ. I-II საუკუნეებით თარიღდება [45, ტაბ. 18$_{1,3,9}$; 49, გვ. 176; 50, გვ. 77; 32, გვ. 182, სურ. 12$_{1}$; 34, ტაბ. 81$_{27}$, 110$_{9,10}$]. რა დანიშნულება ჰქონდა შუბისპირის მასრის ამ გაფართოებას, ძნელი სათქმელია. ვ. ბლავატსკის აზრით, მას უნდა შეეფერხებინა შუბისპირის მეტისმეტად ღრმად შეღწევა მოწინააღმდეგის სხეულში, რათა გაჭენებულ ცხენზე მჯდარ მეომარს უფრო იოლად შესძლებოდა მტრის სხეულში შერჭობილი შუბის ამოძრობა და სწრაფი მანევრის საშუალება ჰქონოდა [35, გვ. 117].

უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფლის გორის სასახლეში მასრაგაფართოებული შუბისპირები სამხრეთი რუსეთის სტეპებიდან მოხვდა. შესაძლებელია, ისინი აქ სულაც ქართლის (იბერიის) მეფეთა სამსახურში მყოფი დაქირავებული სარმატი მეომრების მოტანილია.

რესპუბლიკური და პრინციპატის ხანის რომში შუბის ტარს ქვედა ბოლოზე, როგორც წესი, რკინის ბუნიკი-სათიხარი – კონუსური მოყვანილობის წვეტიანი მასრა ეცმებოდა, რომელიც გარდა იმისა, რომ იარაღად გამოდგებოდა შუბის წვერის დაკარგვის შემთხვევაში, იცავდა კიდეც ტარის ბოლოს დაზიანებისაგან მიწასთან შეხების დროს [72, გვ. 52-53, ნახ. 22$_{7-12}$; გვ. 69, ნახ. 35$_{17-24}$].

როგორც ირკვევა, დედოფლის გორის სამ შუბს მაინც ჰქონდა ასეთი ბუნიკი-სათიხარი (სურ. 12). სამივე ბუნიკი იმ ოთახებში აღმოჩნდა, სადაც შუბისპირებიც იყო და თითქმის უეჭველია, რომ № 10 ოთახში ნაპოვნი ბუნიკი და შუბისპირი ერთი და იგივე შუბის კუთვნილია, ისევე როგორც ბუნიკი და შუბისპირი, რომლებიც № 7 ოთახის იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან ეწყო (№ 11 ოთახში ორი შუბისპირი და მხოლოდ ერთი ბუნიკი ვიპოვეთ).

კონუსური ფორმის რკინის ბუნიკი-სათიხარი საქართველოს სხვა პუნქტებიდანაც არის ცნობილი. ვანის ნაქალაქარზე ქ.წ. I საუკუნის ბრძოლებთან დაკავშირებულ ნგრევის ფენაში შუბისპირებთან ერთად აღმოჩნდა სათიხარებიც [15, გვ. 177] და სამი ცალი ასეთი ბუნიკი სამ შუბისპირთან ერთად იყო სოხუმის მთაზე გათხრილ № 9 სამარხეულ კომპლექსში [13, გვ. 30, 34, ტაბ. IX$_{10-12}$], ისევე როგორც ნეძიხის ქ.შ. III ს-ის სამარხებში: აქაც რკინის სამი კონუსური ფორმის ბუნიკი შუბისპირებთან ერთად აღმოჩნდა [56, ტაბ. 227$_{2}$]. ეშერის ნამოსახლარის ელინისტური ხანის ფენაშიც და იმავე დროის სამარხებშიც შუბისპირებთან ერთად რკინის სათიხარებიც არის აღმოჩენილი [66, გვ. 48-49, ტაბ. LXIV$_{8-11}$].




სურ. 12

ამრიგად ირკვევა, რომ საქართველოში, ისევე როგორც რომში, შუბების ტარებს ქვედა ბოლოში რკინის სათიხარები უკეთდებოდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გვაქვს შემთხვევები, როდესაც დახურულ არქეოლოგიურ კომპლექსში – სამარხში მხოლოდ ბუნიკი-სათიხარი არის ხოლმე წარმოდგენილი შუბისპირის გარეშე, რაც გვაფიქრებინებს, რომ კონუსური ფორმის ბუნიკი შუბისაგან განსხვავებული, ალპენშტოკის მსგავსი იარაღის წვერიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი სიტუაცია დადასტურდა ითხვისში, ქ.წ. IV საუკუნის ერთ-ერთ სამარხში და წიწამურის III სამაროვნის № 5 ქვევრსამარხში, რომელიც ქ.წ. I ს-ით თარიღდება [22, გვ. 64, № 21, სურ. 431, 438]. ეს უკანასკნელი აღმოჩენა განსაკუთრებით არსებითი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ წვეტიანი კონუსური ბუნიკი ამ შემთხვევაში მაინც ნამდვილად არა საბრძოლო დანიშნულების იარაღის ნაწილი უნდა ყოფილიყო: კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე გავრცელებული ელინისტური და ადრერომაული ხანის ქვევრსამარხები მშვიდობიანი, არამილიტარიზებული საზოგადოების კუთვნილია და საქართველოში ასეულობით გათხრილი ქვევრსამარხიდან არც ერთის ინვენტარში საბრძოლო იარაღ-საჭურველი არ აღმოჩენილა [12, გვ. 59].

რომაული არმიისათვის ესოდენ დამახასიათებელი იარაღი, როგორიც იყო pilum [72, გვ. 49-50, 65], საქართველოს არქეოლოგიაში ჯერჯერობით ერთადერთი ცალით არის წარმოდგენილი: ვანში, კარიბჭის წინ, ქ.წ. I საუკუნის ნგრევის ფენაში აღმოჩნდა რკინის ღეროს ნატეხი (სიგრძე 32 სმ, განივკვეთი 0,7 სმ) 4,5 სმ სიგრძის პირამიდული წვერით. აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებით სავარაუდებელია, რომ ეს pilum უფრო მომხდურთა კუთვნილი

უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქალაქის დამცველებისა [15, გვ. 177-178, სურ. $136_{85}$].

დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ძვლის ფირფიტაზე მხედართა ბრძოლის სცენის გამოსახულებით, მარცხენა, შუბით შეიარაღებულ მხედარს მარჯვენა თეძოზე ორი წყვილი თასმით მიმაგრებული აქვს სატევარი მრგვალი კოტით (სურ. 1). საყურადღებოა, რომ ასევე ორი თასმით თეძოზე იმაგრებდნენ სათადარიგო მოკლე მახვილებს გრძელი შუბით ან მახვილით შეიარაღებული სარმატი კატაფრაკტარიებიც ქ.შ. I-II საუკუნეში [33, გვ. 189, ტაბ. $LXXXIII_{27}$].

საჩხერეში, მოდინახეს ფერდობზე გათხრილ III-IV საუკუნის ოთხივე სამარხში (№№ 7, 8, 10, 36), რომელთა ინვენტარი სატევარსაც შეიცავდა, სატევარი დაკრძალული მამაკაცის მარჯვენა ბარძაყის ძვალთან აღმოჩნდა [20, გვ. 48-52, 56]. ჩონჩხის მარჯვენა ბარძაყის ძვალთან იდო სატევარი II ს-ის კლდეეთის № 4 სამარხშიც [14, გვ. 139, სურ. 23].

ამრიგად, ირკვევა, რომ სატევარს ქართველი მეომრები რომაულ ხანაში ისევე ატარებდნენ, როგორც სარმატები, რაც განსხვავებულია რომაული წესისაგან, რომლის მიხედვითაც სატევარს ატარებდნენ ჰორიზონტულად დამაგრებულს უშუალოდ სარტყელს ქვეშ, მუცელზე. [72, გვ. 55, ნახ. 20]. მაგრამ პრინციპატის ხანის რომაული სატევრების ქარქაშებს ორ-ორი წყვილი სამაგრი რგოლი აქვთ, რაც მიუთითებს, რომ ამ ხანაში რომაელებიც ორი წყვილი თასმით ამაგრებდნენ სატევარს, როგორც ეს დახატულია დედოფლის გორის ფირფიტაზე, თუმცა სატევრის სარტყელზე მიმაგრების ადგილი, შესაძლებელია, განსხვავებული ყოფილიყო [72, ნახ. 41, 42].

ბერძნული მახაირას ტიპის მოკლე ცალპირა მახვილებია აღმოჩენილი ქ.წ. IV საუკუნის ითხვისის № 2, შრომისუბნისა და ყანჩაეთის მდიდრულ სამარხებში [6, გვ. 51-52], მაგრამ საქართველოს რომაული ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან მხოლოდ გრძელი, ორლესური მახვილებია ცნობილი, რომლებიც უფრო გვანან სარმატულ გრძელ მახვილებს და რომში გავრცელებულ ე.წ. ესპანურ მახვილს, რომელიც ისევე მოსახერხებელი იყო საჩეხად, როგორც საჩხვლეტად [72, გვ. 54].

ამ მახვილთა უმეტესობა დასავლეთ საქართველოდანაა. ასე, 84 სმ სიგრძის ვიწრო (მაქსიმალური სიგანე 4,5 სმ) და წვეტიანი მახვილი აღმოჩნდა კლდეეთის ქ.შ. II ს-ის დასაწყისის № 3 სამარხში [14, გვ. 132, სურ. 26]. ამ მახვილის ქარქაშზე დამაგრებული იყო ელექტრუმის ბუდეში ჩასმული სარდიონის ინტალიო, რომელსაც მ. ლორთქიფანიძე წარჩინებული ლეგიონერის განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს [16, გვ. 8]. გემაზე გამოსახულია ქალღმერთი ნიკე (ვიქტორია), საკურთხეველზე მჯდარი არწივი დაფნის გვირგვინით ნისკარტში და შტანდარტი – signum militare [16, გვ. 23; 27, გვ. 133]. სამარხი, რომელშიც მახვილი აღმოჩნდა, უდაოდ ადგილობრივი, ქართველი მეომრისაა, მაგრამ მახვილი, შეიძლება, რომაული წარმომავლობისა იყოს; გარდა იმისა, რომ ინტალიო, მართლაც, რომაულია და თანაც საგანგებო (სამხედრო) დანიშნულებისა, თვით მახვილიც ფორმით რომაული ჩანს. შეადარეთ ადრეული პრინციპატის ხანის მახვილი კამელონიდან [72, ტაბ. $35_5$], რომელიც კლდეეთურისაგან მხოლოდ ყუნწის სიგრძით განსხვავდება. კლდეეთის მახვილს ყუნწი, როგორც ჩანს, მოტეხილი აქვს: შერჩენილი 2,3 სმ სიგრძის ყუნწზე ასეთი გრძელი მახვილის ტარი ვერ დამაგრდებოდა.

მეტნაკლებად ამავე სიგრძის რკინის მახვილები აღმოჩენილია აგრეთვე ბანძაში, ქ.შ. II საუკუნის სამარხებში [17, გვ. 186, ტაბ. $IX_{20}$]; ჩხოროწყუში (2 ცალი), ქ.წ. I ს-ის კრემაციულ სამარხში [64, გვ. 81, 90, ტაბ. VII], ძევრში (2 ცალი, ქ.შ. II ს.) [14, გვ. 132], ჩხარში II-III ს-ის ორ სამარხში [5, გვ. 7, 10, 30, ტაბ. X, XV].

რომაული ხანის რკინის გრძელი მახვილები აღმოსავლეთი საქართველოს ძეგლებიდანაც არის ცნობილი. ასე, 94 სმ სიგრძის მახვილი აღმოჩნდა ზემო ავჭალაში, ქ.შ. I საუკუნის სამარხში [17, გვ. 176], და კიდევ უფრო გრძელია მახვილი ბეჟანბალის ორმოსამარხიდან (კახეთი), რომელიც ქ.შ. I-II ს-ით თარიღდება. მახვილის ზომებია: სიგრძე 98 სმ, პირის მაქს. სიგანე 4ბ3 სმ, სატარე ყუნწის სიგრძე 14,2 სმ, მახვილი ვადაში გაფართოებულია 6,5 სმ-მდე ხელის დასაცავად [18, გვ. 119, ტაბ. $XXXII_1$]. როგორც თავაზიანად გვაცნობა არქეოლოგმა ვ. ჩიხლაძემ, 78 სმ სიგრძის რკინის ორლესული მახვილი ორ სატევართან ერთად აღმოჩენილა ჟინვალის სამაროვნის № 525 ორმოსამარხში, რომელიც ქ.შ. II ს-ით თარიღდება.

დედოფლის გორაზე მახვილი არ აღმოჩენილა.

კლდეეთის სამაროვნისადმი მიძღვნილ წიგნში გ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ კლდეეთის სამაროვნის თანადროულ მისთვის ცნობილ სამარხთა ინვენტარში რკინის სატევრისპირები ნაკლებია, ვიდრე მახვილები და შუბისპირები და მიუთითებს დასავლეთი საქართველოდან წებელდის კრემაციულ სამარხს, აღმოსავლეთი საქართველოდან კი არმაზისხევის სამაროვანს [14, გვ. 16].

არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვნიდან ორი სატევარია ცნობილი, ორივე საზეიმო დანიშნულებისაა და მდიდრულად არის შემკული ოქროთი და ფერადი თვლებით, ერთი მათგანი ქ.შ. II ს-ით თარიღდება, მეორე – ქ.შ. III ს-ით [3, გვ.

28, № 3, ტაბ. Ibis, XXXVII$_{12}$; XXXVIII$_{1}$; XL$_{2}$; გვ. 48, № 55, ტაბ. III, VII$_{1}$].

კლდეეთის სამაროვანზეც ორი სატევრის პირი აღმოჩნდა. ერთის სიგრძე 24,6 სმ-ია, სიგანე – 4,7 სმ; მეორისა, შესაბამისად, 32 სმ და 4,7 სმ. თარიღი – ქ.შ. II ს. [14, გვ. 15-16, № 4, სურ. 2$_{g}$, ტაბ. XXI$_{1e}$; გვ. 142-143, № 197, სურ. 26$_{b}$, ტაბ. XXI$_{2}$].

ასევე II ს-ით თარიღდება სატევარი ბანძის ქვევრსამარხიდან [25, გვ. 75], ჩხარის სამაროვანი კი, სადაც სამი სატევრისპირი აღმოჩნდა, II-III ს-ით თარიღდება [5, გვ. 9, 14, 30, ტაბ. XV$_{1და2}$; XXVI$_{1}$]. კიდევ უფრო გვიანი ხანისაა (IV ს.) საჩხერეში, მოდინახეს სამაროვნის სატევრები, რომლებიც ზევით უკვე ვახსენე. აქ მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ აქაც, № 36 სამარხში სატევარი ოქროთი შემკულ ქარქაშში ზის და ისიც, ალბათ, საზეიმო ინსიგნია იყო, ისევე როგორც არმაზისხევის № 1 და № 3 სამარხების სატევრები [20, გვ. 57, 75, ტაბ. XL$_{3}$]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოქროთი გაწყობილი სატევრების გარდა არც მოდინახეს № 36 და არც არმაზისხევის პიტიახშთა სამარხების ინვენტარი სხვა რაიმე საბრძოლო იარაღს არ შეიცავდა.

ამრიგად ირკვევა, რომ სატევარს რომაული ხანის იბერიაში ზოგჯერ მაინც განსაკუთრებული, საზეიმო დანიშნულება ჰქონდა და წარჩინებულობის ნიშნად ითვლებოდა (არგვეთი, კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინცია, სადაც მდებარეობს საჩხერე, იბერიის სახელმწიფოს ფარგლებში იყო მოქცეული).

შუა საუკუნეებში სატევარი, რომელსაც ქამარზე, მუცელთან იკიდებდნენ, მამაკაცის ქართული (და საერთო კავკასიური) საზეიმო ეროვნული კოსტუმის აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილ ერთადერთ სატევარს ტარი და ქარქაში არ შერჩენია და სატარე ყუნწიც ნაკლულია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ხელჩართული ბრძოლისათვის განკუთვნილი ჩვეულებრივი იარაღი იყო, რომელიც მეომრის უკანასკნელი იმედი იქნებოდა ბრძოლაში შუბისა და მახვილის დაკარგვის ან გატეხვის შემთხვევაში.

სატევრის პირი ვიწრო და გრძელია, ბოლოსკენ წაწვეტებული. ტარის დასამაგრებელი ყუნწი პირთან ერთადაა გამოჭედილი და ოთხწახნაგა განივკვეთისა (ყუნწის ბოლო მოტეხილია, ასე რომ მისი თავდაპირველი სიგრძის შესახე, მსჯელობა ძნელია). ვადასთან სატევრის პირს შემოჭედილი აქვს რკინის სალტე, რომელსაც ორგანული ნივთიერებისაგან (ხე, რქა) დამზადებული ტარი უნდა დაყრდნობოდა (სურ. 13).




სურ. 13

რომაული ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სატევრისპირები დედოფლის გორის სატევრის ჩათვლით მეტნაკლებად ერთნაირია და ემსგავსება პრინციპატის ხანის რომაული არმიის სატევრის პირების C ტიპს, რომლებიც ბევრად ვიწროა, ვიდრე პირველი ორი ვარიანტის (ტიპები A და B) სატევრის პირები და პირისკიდეებიც მას უფრო სწორხაზოვანი აქვს. C ტიპის სატევრის პირების ყუნწის ფორმაც საქართველოში გავრცელებული სატევრის პირების მსგავსია [72, გვ. 74, სურ. 39$_{6}$].

## თავდაცვითი საჭურველი

თავდაცვითი საჭურველიდან დედოფლის გორის სასახლეში მხოლოდ აბჯარი აღმოჩნდა, არც ფარის და არც ჩაფხუტის კვალიც კი არ ჩანს აქ. თუ კი ფარის ნაშთების არარსებობის ახსნა შეიძლება იმით, რომ ფარები ძირითადად

ორგანული ნივთიერებისაგან – ხისა და ტყავისაგან – მზადდებოდა და ამიტომ უკვალოდ დაიწვა ხანძარში, ამას ვერ ვიტყვით მუზარადებზე, რომელიც წესით ლითონისა უნდა ყოფილიყო და რომაულ სამყაროში მათი აღმოჩენების რიცხვი დიდია [72, გვ. 60-61, 93-96]. კიდევ უფრო დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ ქ.წ. I-ქ.შ. I საუკუნეების საქართველოს არც სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩანს ფარებისა და მუზარადების კვალი. იძულებული ვართ სიტყვასიტყვით ვირწმუნოთ სტრაბონის ცნობა, რომ იბერები ალბანელების მსგავსად ცხოველთა ტყავისაგან დამზადებულ მუზარადებს ხმარობდნენ [Strabo, $XI_{4,5}$; 26, გვ. 133].

დედოფლის გორის სასახლის № 13 ოთახის ნანგრევში აღმოჩენილ ძვლის ერთადერთ ფირფიტაზე მხედრების ბრძოლის გრავირებული სცენით მოსალოდნელი იყო მუზარადის გამოსახულებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ფირფიტა დაზიანებულია სწორედ იმ ადგილას, სადაც მხედრის თავსაბურავი უნდა ყოფილიყო გამოსახული, მეორე მხედარი კი ფარს ეფარება და მისი თავი საერთოდ არ ჩანს (სურ. 1). ფირფიტაზე გამოსახული ფარი ტიპიური რომაული წაგრძელებული ექვსკუთხედის ფორმის ფარია, რომელსაც რომაელი ლეგიონერები ხმარობდნენ გვიან რესპუბლიკურ ხანაში და, იშვიათად, ადრეული პრინციპატის დროსაც [შეად. 72, გვ. 48, ნახ. 19; გვ. 58, ნახ. 49]. ორივე მხედარს აცვია თევზის ქერცლის ფორმის ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი მოკლე სახელოებიანი აბჯარი, lorica squamata, რომელიც პირველ (მარცხენა) მხედარს თეძოებს უფარავს. მარჯვენა მხედრის აბჯარი ცოტა უფრო გრძელია.

## ქერცლისებრი აბჯარი – Lorica squamata

თევზის ქერცლის ფორმის ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი აბჯრის უძველესი და ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტიპია და დედოფლის გორის სასახლეშიც მისი ნაშთები სამ სხვადასხვა ოთახში დაფიქსირდა.

თევზის ქერცლის ფორმის ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი აღმოჩნდა დედოფლის გორის სასახლის № 1 ოთახში, იატაკზე, ოთახის აღმოსავლეთ ნაწილში მაგიდასა და ტახტს შორის. ეს იყო რკინის ჟანგის ერთიანი მასა, რომელსაც დაახლოებით ნახევარი კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა. მასის სისქე 4-7 სმ შეადგენდა. ფირფიტები ერთმანეთთან რკინის მავთულოვანი ყულფებით უნდა ყოფილიყო გადაბმული, თუმცა ამჟამად ეს რგოლები თითქმის მთლიანად დაჟანგული და გამქრალია. ამჟამად შემორჩენილია და გამაგრებულია აბჯრის ორი ნაწილი, რომელთაგანაც ერთი ძირითადად უფრო მცირე ზომის, მეორე კი უფრო დიდი ზომის ფირფიტებისაგან არის შედგენილი. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო აბჯრის ქვედა ბოლო, სადაც, როგორც წესი, უფრო დიდი ზომის ფირფიტები გამოიყენებოდა ხოლმე. ფირფიტები რიგებადაა დაწყობილი და მარცხნივ მდებარე ფირფიტა ზემოდან ეფარება მარჯვენას, ისე რომ ერთი ფირფიტის მარჯვენა წყვილი ნახვრეტი მეორე ფირიფტის მარცხენა წყვილ ნახვრეტს ემთხვევა. ფირფიტების ასეთი ჰორიზონტული რიგები ერთმანეთს ეფარება ზევიდან ქვევით, როგორც სახურავზე კრამიტი, ისე რომ აბჯრის ყოველ ფირფიტას სამი სხვა ფირფიტა ფარავს.

აბჯრის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა ზომის ფირფიტებისაგან არის შედგენილი. მოხერხდა ოთხი სხვადასხვა სახის ფირფიტის გამოყოფა. ყველაზე მცირე ზომის ფირფიტების სიგრძეა 3 სმ, სიგანე 1,7 სმ. მათ ოთხ-ოთხი ნახვრეტი აქვთ წყვილ-წყვილად განლაგებული ფირფიტის ზედა ნაწილში გვერდით კიდეებთან. ოთხნახვრეტიანია ზომით პირველზე უფრო მოზრდილი ფირფიტებიც. მათი სიგრძეა 3,5 – 3,7 სმ; სიგანე 2,5-2,7 სმ. რვა ნახვრეტი აქვს კიდევ უფრო მოზრდილ ფირფიტებს, რომელთა სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე კი 3,1 სმ. ყველაზე დიდი ზომის ფირფიტები ძირითადად შვიდნახვრეტიანია, თუმცა ზოგ მათგანს შეიძლება რვა ნახვრეტიც ჰქონდეს. ამ ფირფიტების სიგრძეა 8 სმ, სიგანე 3,5 სმ.

აბჯარი, სამწუხაროდ, ისეა დაჟანგული, რომ მისი რეკონსტრუქცია თითქმის შეუძლებელია. მისი საერთო ზომით თუ ვიმსჯელებთ (აბჯარი ორადაა დაკეცილი, ასე რომ გადანატეხში ფირფიტების ოთხი ფენა გამოიყოფა), მას მეომრის ტორსის დაფარვა მაინც უნდა შესძლებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო მოკლესახელოებიანი აბჯარი, რომელიც მკერდსა და ზურგს უფარავდა და წელს ქვემოთ წვდებოდა. სწორედ ასეთი აბჯარი აცვიათ დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილ ძვლის ზემოთნახსენე, ფირფიტაზე გრავირებით გამოსახულ მხედრებს. აბჯრის ცალკეული ფირფიტები ცხრა ჯგუფად აღმოჩნდა აგრეთვე დედოფლის გორის სასახლის ჩრდილო კარიბჭის მიმდებარე № 13 და № 11 ოთახებში. ფირფიტების ამ ჯგუფების კონცენტრაცია ერთმანეთისაგან ათიოდე მეტრით დაშორებულ ორ არეალში № 13 ოთახის სამხრეთ-დასავლეთ მეოთხედში და № 11 ოთახის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან – გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ფირფიტების არა ცხრა, არამედ მხოლოდ ორ კომპლექტთან.

№ 13 და № 11 ოთახებში ნაპოვნი ფირფიტებიდან მხოლოდ რამდენიმე იყო ერთმანეთთან მიჟანგული, მაშინ როცა № 1 ოთახში აბჯარი რკინის ჟანგის ერთიან მასადაა წარმოდგენილი. ეს სხვაობა ეჭვს ბადებს, რომ № 11 და № 13 ოთახებში შენახული იყო არა მთლი-

ანი აბჯრები, არამედ განცალკევებული ფირფიტები, ასე ვთქვათ, აბჯრის სათადარიგო ნაწილები, მით უმეტეს, რომ აქ აღმოჩენილ ფირფიტათა ჯამური რაოდენობა (დაახლოვებით 750 ცალი) არა თუ ორი ან ცხრა, არამედ ერთი აბჯრისთვისაც კი არ არის საკმარისი. ამ მოსაზრებას ისიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ რამდენიმე ფირფიტას განსაზღვრული რაოდენობის სიმეტრიულად განლაგებული ნახვრეტების გარდა აქვს სხვადასხვა ადგილას უხეშად გაკეთებული და სტანდარტულზე უფრო დიდი ზომის ნახვრეტები აწეული, ფლეთილი კიდეებით, რაც ძნელი წარმოსადგენია აწყობილ აბჯარზე. № 11 ოთახი საწყობი, ხოლო № 13 ოთახი კარიბჭის მცველების სადგომი იყო და, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მცველები ინახავდნენ აბჯრების შესაკეთებლად სათადარიგო ფირფიტებს [78, გვ. 153].




სურ. 14

გათხრის პროცესში აბჯრის ფირფიტები გვხვდებოდა ალიზის ნანგრევში, რომლითაც ოთახები იყო ამოვსებული, იატაკიდან 80 სმ-ის (№ 13 ოთახში) და 40 სმ-ის (№ 11 ოთახში) სიმაღლეზე, მაგრამ ისინი უშუალოდ იატაკზეც ეყარა.

ფირფიტები სხვადასხვა ფორმისა და ზომის არის. განსხვავდება ისინი ნახვრეტების რაოდენობით და მათი განლაგებითაც (სურ. 14).

ფორმით ფირფიტები სამნაირია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თევზის ქერცლის ფორმისაა. ესაა მართკუთხედი, რომლის ერთი ვიწრო ბოლო მომრგვალებულია. ამ ფორმის ერთ ფირფიტას ზედა კუთხეებიც ჩამოჭრილი აქვს.

თევზის ქერცლის ფორმის ფირფიტებს რაოდენობრივად ჩამორჩება ხუთკუთხა ფირფიტები, ე. ი. მართკუთხედები, რომელთაც ცალი ვიწრო ბოლო წაწვეტებული აქვთ.

რაოდენობრივად ყველაზე ცოტაა მართკუთხა ფირფიტები. ზოგიერთ ასეთ ფირფიტას ორი (ზედა) კუთხე ჩამოჭრილი აქვს.

ფირფიტები ბრტყელია, მაგრამ ყველაზე მცირე ზომის ოთხნახვრეტიანი ფირფიტების ქვედა, მომრგვალებული ნაწილი, როგორც წესი, ამობურცულია, ხოლო ვიწრო და გრძელი ხუთკუთხა ფირფიტები სიგრძივ მორკალულია.

ზომით გამოირჩევა სამი ძირითადი კატეგორიის ფირფიტები:

დიდი ზომისა, რომელთა სიგრძე მერყეობს 6ბ7-8ბ4 სმ-ს შორის, ხოლო სიგანე 3ბ5-4ბ3 სმ-ია;

საშუალო ზომის, რომელთა სიგრძე 4-5,5 სმ-ია, ხოლო სიგანე 3,3-3,5 სმ., და

მცირე ზომისა, რომელთა სიგრძე 1ბ9-3ბ7 სმ-ია, სიგანე კი 1,2-2,7 სმ.

მცირე ზომის ფირფიტებში გამოიყოფა თევზის ქერცლის ფორმის ოდნავ ამობურცული ოთხნახვრეტიანი ფირფიტები, რომლებიც განსაკუთრებით პატარა ზომისაა. მათი სიგრძე შეადგენს სულ 1,9-2,2 სმ-ს, ხოლო სიგანე 1,2-1,4 სმ.

საშუალო ზომის ფირფიტებშიც ცალკე ჯგუფს ქმნის ვიწრო და გრძელი ხუთკუთხა ფირფიტები, რომელთა სიგანე სულ 1ბ7-1,9 სმ-ია. მათ 12 ან 16 ნახვრეტი აქვთ.

ამ კლასიფიკაციაში არ გაგვითვალისწინებია დიდი ზომის ოთხკუთხა ფირფიტები, რომელთაც აბჯარში რაღაც განსაკუთრებული დანიშნულება უნდა ჰქონოდათ.

ფირფიტები დამზადებულია რკინის ფურცლისაგან, რომლის სისქე 0,5 მმ-ია. უფრო მასიურია – დაახლოებით 1 მმ-ის სისქის, მხოლოდ ვიწრო და გრძელი ხუთკუთხა და დიდი ზომის ოთხკუთხა ფირფიტები.

ნახვრეტების რაოდენობის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები.

1.0 ორნახვრეტიანი: თითო ნახვრეტი ფირფიტის ზედა კუთხეებთან. ორნახვრეტიანი ფირფიტები თევზის ქერცლის ფორმისა და მცირე ზომისაა.

1.1 მხოლოდ ერთი ორნახვრეტიანი ფირფიტაა, რომელიც, შესაძლებელია, მართკუთხედის ფორმისაა, მაგრამ მას ქვედა ბოლო დაზიანებული აქვს და ამიტომ ეს ვარაუდად რჩება.

2.0 ოთხნახვრეტიანი: ნახვრეტები განლაგებულია წყვილ-წყვილად გვერდითი კიდეების გასწვრივ ფირფიტის ზედა კუთხეებთან. ყველა ოთხნახვრეტიანი ფირფიტა თევზის ქერცლის ფორმისა და მცირე ზომისაა.

2.1 ერთი ნაწილი ოთხნახვრეტიანი ფირფიტებისა განსაკუთრებით მცირე ზომისაა და

მათი ქვედა მომრგვალებული ნაწილი ამობურცულიც არის.

2.2 ოთხნახვრეტიან ფირფიტებთან დაკავშირებულია ერთადერთი ცალი ხუთნახვრეტიანი ფირფიტა, რომელსაც ოთხი „კანონიკური" ნახვრეტის გარდა მეხუთე ნახვრეტიც აქვს მარჯვენა კიდესთან ქვემოთ, იქ სადაც მომრგვალება იწყება.

3.0 შვიდნახვრეტიანი: ნახვრეტები განლაგებულია წყვილ-წყვილად ზედა და გვერდით კიდეებთან შუაში, მეშვიდე ნახვრეტი – კენტად ქვედა მომრგვალებულ ბოლოში. ყველა ასეთი ფირფიტა დიდი ზომისა და თევზის ქერცლის ფორმისაა (ზოგიერთ ასეთ ფირფიტას აშკარად გვიან და უხეშად გაკეთებული დამატებითი ნახვრეტებიც აქვს).

4.0 რვანახვრეტიანი: ნახვრეტები განლაგებულია წყვილ-წყვილად ოთხივე კიდესთან, შუაში. რვანახვრეტიან ფირფიტათა უმეტესობა დიდი ან საშუალო ზომისაა და თევზის ქერცლის ფორმა აქვს. 2 ცალს ზედა კუთხეები ჩამოჭრილი აქვს.

4.1 რვანახვრეტიანია აგრეთვე საშუალო ზომის ხუთკუთხა ფირფიტები.

5.0 ცხრანახვრეტიანი: სამ-სამი ნახვრეტი განლაგებულია ფირფიტის გვერდით კიდეებთან ზედა ნაწილში და წყვილი ნახვრეტი მათ შორის, შუაში; მეცხრე ნახვრეტი ქვედა მომრგვალებულ ბოლოშია. ყველა ასეთი ფირფიტა საშუალო ზომისა და თევზის ქერცლის ფორმისაა.

6.0 ათნახვრეტიანი: ორი წყვილი ნახვრეტისა განლაგებულია ფირფიტის სიმეტრიის ღერძზე ზედა და ქვედა კიდეებთან და სამ-სამი ნახვრეტი – გვერდით კიდეებთან ფირფიტის ზედა ნაწილში. ასეთი ფირფიტების უმეტესობა საშუალო ზომისა და თევზის ქერცლის ფორმისაა.

6.1 ათნახვრეტიანია მართკუთხედის ფორმის ერთი ფირფიტა. ნახვრეტების განლაგება თევზის ქერცლის ფორმის (6.0) ფირფიტების ანალოგიურია.

7.0 თორმეტნახვრეტიანი ყველა ფირფიტა ვიწრო და გრძელი ხუთკუთხედის ფორმისაა და ოდნავ მორკალულია, ნახვრეტები განლაგებულია წყვილ-წყვილად, თითო წყვილი ფირფიტის სიმეტრიის ღერძზე ზედა კიდესთან და წაწვეტებულ ბოლოში და ორ-ორი წყვილი გვერდით კიდეებთან, შუაში და ზედა ნაწილში.

8.0 თექვსმეტნახვრეტიანი ყველა ფირფიტაც ვიწრო და გრძელი ხუთკუთხედის ფორმისაა და ოდნავ მორკალულია. ნახვრეტები აქაც წყვილ-წყვილადაა განლაგებული: სამი წყვილი ფირფიტის ზედა ნაწილში, ორი წყვილი გვერდით კიდეებთან შუაში და სამი წყვილი ფირფიტის ქვედა ბოლოში.

8.1 მხოლოდ ერთ თექვსმეტნახვრეტიან ფირფიტაზეა დარღვეული ნახვრეტების წყვილების ჰორიზონტალური რიგები: ფირფიტის ზედა ნაწილში მოთავსებული ნახვრეტების შუა წყვილი ზევითაა აწეული, ზედა კიდისაკენ, ხოლო ქვედა ნაწილის შუა წყვილი ქვევითაა დაწეული, ფირფიტის წაწვეტებული ბოლოსაკენ.

9.0 თხუთმეტნახვრეტიანია ზედაკუთხეებჩამოჭრილი მართკუთხა ფირფიტები. ნახვრეტები ერთ რიგად არის განლაგებული ფირფიტის კიდეების გასწვრივ: ზედა, ჩამოჭრილკუთხეებიან კიდესთან – 6 ნახვრეტი, გვერდით კიდეებთან, შუაში – ორ-ორი ნახვრეტი და ქვედა კიდესთან – 5 ნახვრეტი.

10.0 ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს დიდი ზომის მართკუთხა ფირფიტები კიდეებს გასწვრივ საკმაოდ უწესრიგოდ განლაგებული ნახვრეტებით. არც ერთი ასეთი ფირფიტა მთელი არ შემორჩენილა, ამიტომ ნახვრეტების რაოდენობის განსაზღვრა ძნელდება.

ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი საქართველოში უძველესი აბჯრის ნაწილები – ბურცობებით შემკული სპილენძის მრგვალი ფირფიტები ცენტრალური ნახვრეტით – აღმოჩენილია თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის (ქ.წ. III ათასწლეულის დასასრული) № 40 ყორღანში [44, გვ. 101, ტაბ. CXV]. მაგრამ თევზის ქერცლის ფორმის ფირფიტებიანი აბჯარი კავკასიაში ქ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ვრცელდება [54, გვ. 15]. 1998 წელს, შირაქში, უსახელო გორის ქ.წ. VIII – VII ს-ის ფენაში აღმოჩენილი აბჯრის ბრინჯაოს ფირფიტებს შორის ერთი ურარტული აბჯრის ფირფიტაც იყო [75, გვ. 257, ნახ. 25]. ბრინჯაოს ზუსტად ასეთი ფირფიტებით არის აწყობილი ურარტუს მეფის არგიშტი I აბჯარი, რომელიც აღმოჩნდა 1952 წელს თეიშებაინის (კარმირბლურის) გათხრების დროს № 36 ოთახში [51, გვ. 30-36]. თეიშებაინის გათხრებისას ციხესიმაგრის № 38 და № 40 ოთახებში ნგრევის ფენაში (ქ.წ. VI ს-ის დასაწყისი) აღმოჩნდა რკინის ასეთივე ფირფიტებით შედგენილი რამდენიმე აბჯარიც, რომლებსაც ბ. პიოტროვსკი სკვითებს უკავშირებს [51, გვ. 20, 22, 36, ტაბ. XIV]. ქ.წ. V საუკუნიდან მოკიდებული რკინის ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი თითქმის საყოველთაოდ სდევნის ბრინჯაოს, თუმცა ეს უკანასკნელი რომაულ ხანამდე შემორჩა [78, გვ. 154]. ვანის ნაქალაქარის ქ.წ. V-IV ს-ის ფენაში 1962 წელს აღმოჩნდა რკინის 60 ცალი თევზის ქერცლის ფორმის საჯავშნე ფირფიტა, მაგრამ ბრინჯაოს ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი ეცვა ვანშივე 1947 წელს გათხრილ ქ.წ. III საუკუნის № 3 სამარხში დაკრძალულ მეომარს [29, გვ. 89; 15, გვ. 183]. რკინის ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი დაფიქსირდა საირხეში, ქ.წ. IV ს-ის შუა ხანებით დათარიღებულ № 8 სამარხში [21, გვ.

52-58] და ეშერის ნაქალაქარის ელინისტური ხანის ფენაში [66, გვ. 50, ტაბ. $LXVI_4$].

დედოფლის გორის სასახლე საქართველოში რომაული ხანის პირველი ძეგლია, სადაც თევზის ქერცლის ფორმის რკინის ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი აღმოჩნდა. დედოფლის გორის სააბჯრე ფირფიტებიდან ზოგიერთი (2.0; 3.0; 4.0) როგორც ფორმითა და ზომებით, ისე ნახვრეტების რაოდენობითა და განლაგებითაც დიდ მსგავსებას ავლენს რომაული აბჯრის – lorica squamata-ს ფირფიტებთან, მაგრამ ზოგიერთი (5.0; 6.0) განსხვავდება რომაულისაგან ნახვრეტების რაოდენობითა და მათი განლაგებით (შეადარე: [78, ნახ. 159]), ხოლო დედოფლის გორის თორმეტ და თექვსმეტნახვრეტიანი გრძელი წაწვეტებული ფირფიტები (7.0; 8.0) უფრო lamellar armour-ის ფირფიტებს ჰგავს, რომელიც თითქოს უფრო აღმოსავლეთში გავრცელებული აბჯარი იყო [78, გვ. 162-163].

ამრიგად, დედოფლის გორის ფირფიტების რომაული აბჯრის ფირფიტებთან მსგავსება – განსხვავება არ იძლევა საკმაო საფუძველს ვიმსჯელოთ დედოფლის გორის აბჯრის წარმომავლობაზე. თევზის ქერცლის ფორმის ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული მთელ სამყაროში და პართიაშიც არა ნაკლებ, თუ უფრო მეტად არა, პოპულარული იყო, ვიდრე რომში. საკმარისია გავიხსენოთ Cassius Dio-ს აღწერილობა პართელთა ჯარისა [$XL_{15}$]: „პართელები არ ხმარობენ ფარებს, არამედ მათი ჯარი შედგება უპირატესად მთლიანად შეჯავშნული ცხენოსანი მშვილდოსნებისა და ხელშუბოსნებისაგან" [79, გვ. 195]. იბერიელები კი, სტრაბონის ცნობით, „არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან" (Strabo, XIბ3ბ3; 26, გვ. 128), რაც, ვფიქრობ, იმასაც უნდა გულისხმობდეს, რომ შეიარაღებაც იბერიელებს არმენიელების და მიდიელების (№ პართელების) მიმსგავსებული უნდა ჰქონოდათ. ამ აზრის ნივთიერი საბუთია ძვლის გრავირებული ფირფიტა დედოფლის გორის სასახლის № 13 ოთახიდან, რომელზეც ორი შეჯავშნული მხედრის ბრძოლის სცენაა გამოსახული, ამასთან, როგორც ჩანს, წინა, დამარცხებული მხედარი რომაელია, ხოლო გამარჯვებული მდევარი – ადგილობრივი, იბერიელი (ან პართელი) [8].

## ჯაჭვის პერანგი

დედოფლის გორის სასახლეში აბჯრის სხვა სახეობის – ჯაჭვის პერანგის (lorica hamata) ფრაგმენტიც აღმოჩნდა. ფრაგმენტი ეგდო № 7 ოთახის იატაკზე. ესაა ჯერჯერობით საქართველოში უძველესი ჯაჭვის პერანგი. რომაული ხანის ჯაჭვის პერანგი საქართველოს კიდევ ორი პუნქტიდან არის ცნობილი: სპილენძის ან ბრინჯაოს რგოლებისაგან ასხმული აბჯრის ორი ფრაგმენტი აღმოჩენილია კლდეეთში, ქ.შ. II ს-ის კომპლექსში [14, გვ. 14, ტაბ. $VIII_{1\&2}$], ხოლო რკინისა – თაგილონში, მდიდრულ სამარხში, რომელიც ქ.შ. I-II ს-ით თარიღდება [31, გვ. 37]. ცოტა უფრო მოგვიანო ხანის რკინის ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები აღმოჩენილია ნოქალაქევში (IVს. ნოქალაქევის ექსპედიციის ხელმძღვანელის დ. ლომიტაშვილის ცნობა) და ურბნისში (Vს. [28, გვ. 94]), ხოლო წებელდის ჯაჭვის პერანგი VI-VIII სს-ით თარიღდება [36, გვ. 84, სურ. $94_{16,19}$].

შუა საუკუნეების საქართველოში ჯაჭვის პერანგი, როგორც ჩანს, აბჯრის ძირითადი სახეობა იყო. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ჯაჭვის პერანგი ეცვა ზურტაკეტში (თრიალეთი) შუაბრინჯაოს ხანის ყორღანის ყრილში დაკრძალულ მეომარს; ეს პერანგი თითქმის უნაკლოდ არის შემორჩენილი და ბიზანტიური ოქროს მონეტით ზუსტად თარიღდება XI ს-ით [28, გვ. 96]. დმანისის ნაქალაქარის გათხრებისასაც, XII-XIII ს-ის კულტურულ ფენაში ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები აღმოჩნდა [28, გვ. 96]. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთში, ჯაჭვის პერანგებს XIX ს-მდე ხმარობდნენ [27].

რ. რობინზონი თვლის, რომ სავსებით სარწმუნოა Varro-ს ცნობა, რომლის თანახმადაც რომაელებმა ჯაჭვის პერანგის დამზადების ხელობა ისწავლეს გალებისაგან, რომლებიც მისი გამომგონებლები იყვნენ [78, გვ. 164]. იმავე აზრისა არიან მ. ბიშოპი და ტ. კოულსტონი [71, გვ. 20; 72, გვ. 59].

საქართველოში რომაულ ხანაზე უფრო ადრეული ჯაჭვის პერანგი ჯერჯერობით არ ჩანს და, ამდენად, ვფიქრობ, უფლება გვაქვს ჯაჭვის პერანგის საქართველოში გავრცელება რომაელების აქ გამოჩენას დავუკავშიროთ. თუმცაღა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დედოფლის გორის აბჯარი უთუოდ რომიდან არის შემოტანილი. სრულიად შესაძლებელია ის აქვე იყოს დამზადებული. ამის ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობა რომაული ხანის საქართველოში სავსებით იყო.

რომში ჯაჭვის პერანგი რესპუბლიკურ ხანაში მაინც საკმაოდ ძვირადღირებული აბჯარი უნდა ყოფილიყო, თუ კი ვიმსჯელებთ პოლიბიოსის იმ ცნობით, რომლის თანახმადაც ჯაჭვის პერანგებს ატარებდნენ უფრო შეძლებული ლეგიონერები, რომელთა შემოსავალი ათიათას დრაქმას აღემატებოდა [Polybii, Historia, VI, 23ბ9; 78, გვ. 164]. რომაული ხანის საქართველოშიც ჯაჭვის პერანგი, თითქოს, წარჩინებულებასა და სიმდიდრესთან არის დაკავშირებული: თაგილონშიც მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ჯაჭვის პერანგი და კლდეეთის სამაროვა-

ნიც სოციალურად დაწინაურებული წრის წარმომადგენლების კუთვნილია. დედოფლის გორის სასახლეშიც მხოლოდ ერთი ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი აღმოჩნდა, მაშინ როცა lorica squamata-ს იქ მასობრივი მასალის ხასიათი აქვს.

ჯაჭვის პერანგი მზადდებოდა ლითონის წვრილი რგოლებისაგან, რომელთაგანაც თითოეული გაყრილია ოთხ სხვა რგოლში – ორში ზევითა და ორშიც ქვევითა რიგიდან და მის დამზადებას საკმაოდ მაღალი დახელოვნება სჭირდებოდა. დასავლეთ ევროპაში აღმოჩენილ რომაული ხანის ჯაჭვის პერანგებზე დაკვირვების საფუძველზე გაირკვა, რომ მისი კონსტრუირების დროს, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა ორი სახის რგოლები: ერთნი გამოჭრილი იყო ლითონის ფირფიტისაგან სხვადასხვა დიამეტრის ორი კერნის გამოყენებით, მეორენი კი, დამაკავშირებელი რგოლები – მავთულის ნაჭრებისაგან, რომელთა ბოლოები, წინასწარ გაბრტყელებული და გახვრეტილი, ჯაჭვის პერანგის ქსოვის პროცესში მოქლონდებოდა: ასეთი იყო ჯაჭვის პერანგის დამზადების უძველესი და უსწრაფესი მეთოდი [78, გვ. 153, 164].

დედოფლის გორის ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი ცეცხლში ნამყოფია და ძლიერ დაჟანგული, მაგრამ რგოლები მაინც ირჩევა და შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მისი ქსოვის პროცესი ისეთივეა, როგორიც რომაული პერანგების, მაგრამ მისი დამზადების დროს არ არის გამოყენებული ფირფიტისაგან გამოჭრილი რგოლები. რგოლებზე გულდასმით დაკვირვებით ირკვევა, რომ ყველა რგოლი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან არის დამზადებული. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ რგოლების ერთი ნაწილი წინასწარ იყო შეკრული მოქლონის ან – უფრო სავარაუდოა – ცხელი ჭედვის საშუალებით, მეორე ნაწილი კი, რიგების დამაკავშირებელი რგოლები, ჯაჭვის პერანგის ქსოვის პროცესში იკვრებოდა, ალბათ, მოქლონით. მიუხედავად იმისა, რომ მე არა მაქვს საშუალება, შევამოწმო, ამზადებდნენ თუ არა რომაელები ჯაჭვის პერანგის რგოლებს ამ წესითაც, მაინც მიმაჩნია, რომ ამ შესაძლებლობის გამორიცხვა არ შეიძლება. მაგრამ რომ არც აღმოჩნდეს ასეთი ჯაჭვის პერანგები რომში, ეს მაინც არ იქნება არგუმენტი საქართველოში ჯაჭვის პერანგების რომიდან გავრცელების უარსაყოფად. ქართველები ძველთაძველი მელითონეები – მეტალურგები და მჭედლები იყვნენ (და არც გამომგონებლობის უნარი აკლდათ, კელტებისა არ იყოს [78, გვ. 164]) და თავისუფლად შეეძლოთ ამგვარი სიახლე თავისით შეეტანათ აბჯრის წარმოებაში.

დედოფლის გორის ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი აბჯრის შემთხვევითი უსახო ნაწყვეტი არ არის. ესაა 15-ოდე სმ სიგანის სწორკუთხა ნაქსოვი ზოლის ნაწილი, რომლის ერთერთი ნაპირის მთლიანობა მაინც დარღვეული არ არის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს ნაწილი ბეჭის საფარისა, რომელიც მეომრის ზურგსა და მხრებს იცავდა და მკერდზე იკვრებოდა (შეად. [78, გვ. 164]).

### ფირფიტოვანი აბჯარი – Lorica segmentata

რომაელი ლეგიონერების სიმბოლოდ ითვლებოდა lorica segmentata – რკინის ვიწრო და გრძელი, მორკალური ფირფიტებისაგან შედგენილი აბჯარი [78, გვ. 174]. რომაული ბანაკებისა და ფორტების გათხრების ანგარიშებშიც უფრო ხშირად სწორედ ასეთი აბჯრის ნაშთების აღმოჩენის ფაქტები ფიგურირებს [71, გვ. 32]. ვფიქრობთ, რომ დედოფლის გორის სასახლეში ამგვარი აბჯრის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა. ესაა 20 სმ სიგრძისა და 3,5 სმ სიგანის ფირფიტების დასტა, ძლიერ დაჟანგული და ნაკლული, რომელიც სასახლის № 11 ოთახის ნანგრევში აღმოჩნდა, იატაკის დონიდან 40 სმ სიმაღლეზე. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, ეს იქნება lorica segmentata-ს აღმოჩენის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა საქართველოში.



სურ. 15

დასასრულ, სანამ მოვათავებდე მსჯელობას თავდაცვითი აღჭურვილობის შესახებ, მინდა კიდევ ერთ ნივთზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ესაა რკინის ორფრთიანი ანჯამა, რომელსაც ერთი თავისებურება ახასიათებს, რაც, წესით, მას არ უნდა ჰქონოდა, თუ კი ეს ანჯამა კარადის ან ყუთის სახურავის დასამაგრებლად იყო განკუთვნილი. საქმე ისაა, რომ ანჯამის ფრთების დამაკავშირებელი ღერო ამოსაძრობია: მისი ცალი ბოლო მოხრილია წრედ ხელის მოსაკიდებლად, შესაძლებელი რომ ყოფილიყო მისი ამოძრობა ე.ი. ანჯამის გახსნა და ხელახლა ჩასმა – შეკვრა. გარდა ამისა,

ანჯამის ფრთებზე არსებული ნახვრეტების ზომები და განლაგება გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა თევზის ქერცლის ფორმის სააბჯრე ფირფიტების ნახვრეტების ზომებსა და განლაგებას. ვფიქრობთ, ეს საკმარის საფუძველს გვაძლევს დავსვათ კითხვა, ამ ანჯამის სახით ხომ არ გვაქვს საქმე აბჯრის შესაკრავთან. ასეთ ვარაუდს, თითქოს, მხარს უნდა უჭერდეს ის გარემოებაც, რომ ანჯამა დედოფლის გორის სასახლის № 11 ოთახში აბჯრის ფირფიტებთან ერთად აღმოჩნდა (სურ. 15).

კორბრიჯის ტიპის რომაულ აბჯარს (lorica segmentata) ამ ტიპის, ოღონდ უფრო მცირე ზომის ანჯამები ჰქონდა [78, გვ. 174 და შმდ.; 72, გვ. 35, ნახ. 10, 14; 83, გვ. 31, №№ 835, 836, ტაბ. 35].

## ცხენის აკაზმულობის ნაწილები. ლაგამი

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ყოფაში ცხენი შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მკვიდრდება, როგორც საბრძოლო ეტლში შესაბმელი და საჯდომი ცხოველი. სამეურნეო საქმიანობაში ქართველები ცხენს ნაკლებად იყენებდნენ. საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ლაგმებიც შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულით, ქ.წ. XV საუკუნით თარიღდება. ესაა შიდა ქართლში, ბერიკლდეების № 4 ყორღანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი ლაგამი სამნახვრეტიანი საყბეურებით, რომლებიც ეკეთა ორთვალა ეტლში შებმულ ცხენებს [82, გვ. 257, № 150][21].

ამ დროიდან მოკიდებული ქ.წ. III საუკუნემდე შეიძლება თვალი გაედევნოს ლაგმების ფორმათა ცვალებადობას საქართველოს ტერიტორიაზე. ქ.წ. XV ს-დან ქ.წ. VII საუკუნემდე, ჩათვლით, საკუთრივ ლაგამი (ცხენის პირში ჩასადები ნაწილი) რაიმე არსებით ცვლილებას არ განიცდის. ესაა ბრინჯაოს ორი გლუვი ღერო, რომლებიც ერთმანეთთან შუაში მოძრავად არის დაკავშირებული, დაახლოვებით ისევე, როგორც თანამედროვე ლაგამია; იცვლება მხოლოდ საყბეურის ფორმები [44, გვ. 61-63, ნახ. 56, 57; 82, №№ 150, 167, 350, 207, 378, 379].

ქ.წ. VI ს-ში საქართველოში ახალი ტიპის ძალიან მკაცრი ლაგამი ვრცელდება, როგორც ჩანს, წინააზიიდან: ლაგამი ერთმანეთთან მოძრავად დაკავშირებული ორი ნაწილისაგან შედგება და თითოეული ეს ნაწილი საყბეურთან ერთად არის ჩამოსხმული; ლაგმის ის ნაწილი, რომელიც ცხენის პირში თავსდებოდა, სქელია და ხშირი წვეტიანი კოპებით არის დაფარული [44, გვ. 61-63, ნახ. 58].

ლაგმის ესოდენ „გამკაცრება", შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ცხენი იმ დროს უფრო ხშირად საჯდომად გამოიყენებოდა და არა ეტლში შესაბმელად. ყოველ შემთხვევაში, ქ.წ. V ს-ის ითხვისისა და საირხის № 5 მდიდრულ სამარხებში ჩაყოლებული იყო სწორედ საჯდომი ცხენები და მათ ასეთი ტიპის ლაგმები ეკეთა (საირხული ლაგმები ოდნავ განსხვავდება ითხვისურისაგან: იქ საყბეურთან ერთად ჩამოსხმული ნაწილები ლაგმისა ერთმანეთთან დამატებითი რგოლის მეშვეობით არის დაკავშირებული) [7, გვ. 42, № 15; 21, გვ. 35-36, ტაბ. XXVI].

ქ.წ. IV ს-ის შუაწლებისა და უფრო გვიანი ხანის მდიდრულ სამარხებში (ალგეთის, ყანჩაეთის, ითხვისის № 2, საირხის № 1, ტახტიძირის სამარხები, ახალგორის განძი და სხვ.) ასევე ძალიან მკაცრი, მაგრამ სრულიად განსხვავებული ტიპის ლაგამი ჩნდება. ესაა ორ- ან სამნაწილედი ლაგმები, ღეროსებრი ან ბრტყელი საყბეურებით და ლაგმის ღეროებზე ასხმული სხვადასხვა ზომის დაკბილული ბორბლებით; ამასთან ზოგიერთი ასეთი ლაგამი უკვე რკინისაგანაც მზადდება [60, გვ. 52-56, № 86; 44, გვ. 35, ტაბ. XII, XIIbis; 6, გვ. 54-59, ტაბ. VIII, IX; 21, გვ. 78-79, ტაბ. XXXVII]. ქ.წ. III ს-ის იბერიაში კვლავ ასეთი ლაგამი იხმარებოდა, როგორც ეს დაგვანახვა ტახტიძირის სამაროვნის გათხრებმა, მაგრამ როდემდე შემორჩა ყოფაში ასეთი ლაგამი, ძნელი სათქმელია, რადგანაც დღემდე ჩვენთვის არ არის ცნობილი ქ.წ. II-I ს-ის ლაგმის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა საქართველოში. ლაგმების აღმოჩენების სიხშირით არც ქ.შ. I საუკუნის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები გამოირჩევა. ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ამ დროს სამარხებში ცხენებს იშვიათად აყოლებდნენ. ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისია ქართლის მთიანეთში, მდ. ლიახვის ზემო წელზე, სოფელ სოხტასთან არსებული სამაროვანი, სადაც 1974-1976 წლებში გაითხარა რამდენიმე ათეული ორმოსამარხი, რომელთა შორის ექვსს ცხენიც ახ-

[21] ხსენებულ კატალოგში ლაგმების თარიღად მითითებულია ქ.წ. XIV-XIII სს., რაც არ არის სწორი. ქ.წ. XIV-XIII საუკუნის ლაგმებს სხვანაირი, ბორბლისებური საყბეურები აქვს. ორი ასეთი ლაგამი სასირეთის განძიდან (შიდა ქართლი) იმავე კატალოგშიც არის გამოქვეყნებული (სასირეთში სულ 4 ლაგამი აღმოჩნდა) [82, გვ. 262, № 167]. ორი ასეთივე ბორბლისებრსაყბეურიანი ლაგამი იყო ბერიკლდეების მახლობლად დედოფლის მინდორზე გათხრილ ყორღანშიც, რომელიც ბერიკლდეების № 4 ყორღანზე უფრო მოგვიანო ხანისაა და ქ.წ.XIV ს-ით უნდა დათარიღდეს [9, გვ. 65]. ამავე ტიპის ლაგმები ეკეთა სომხეთში, ლჭაშენის XIV–XIII ს-ის ყორღანებში აღმოჩენილ ეტლებში შებმულ ცხენებსაც [48, გვ. 100, ტაბ. VIII].

ლდა; ოთხი ცხენი შეკაზმული იყო [57; 58]. ექსპედიციის მონაპოვარი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მთლიანად გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ ძეგლის გამთხრელმა, არქეოლოგმა ა. სლანოვმა თავაზიანად მაჩვენა სოხტის სამაროვნის № 2 სამარხში 1974 წელს აღმოჩენილი რკინის ლაგამი, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ. ლაგამი ბრწყინვალედ არის დაცული და ამან ძალიან გაგვიადვილა დედოფლის გორის სასახლის № 11 ოთახში აღმოჩენილი ერთერთი ლაგმის რეკონსტრუქცია (სურ. 16). საკუთრივ ლაგამი, რომელიც ცხენის პირში იდებოდა, ორნაწილედია. თითოეული ნაწილი წარმოადგენს რკინის მასიურ მართკუთხაგანივკვეთიან მოკლე ღეროს, რომელიც ორივე მხარეს რგოლებით ბოლოვდება. ამასთან ლაგმის ერთ-ერთი ნაწილის ეს რგოლები ერთ სიბრტყეშია განლაგებული, მეორე ნაწილისა კი ერთმანეთთან 90°-ით არის შებრუნებული. შიდა რგოლებით ლაგმის ეს ნაწილები მოძრავად არის დაკავშირებული, რისთვისაც ერთ-ერთი რგოლი გახსნილია. გარეთა რგოლები, რომლებიც უფრო დიდი დიამეტრისაა, ვიდრე შიდა, გაყრილია საყბეურების შუა ნახვრეტში, თვით ამ რგოლებში კი სადავის მოსადები რგოლებია გაყრილი. საყბეურები ნალისებრი მოყვანილობისაა. შუა ნაწილში ისინი გაბრტყელებული და გახვრეტილია ლაგამთან დასაკავშირებლად. ნალის რქების ბოლოებშიც მართკუთხა მოყვანილობის ჭრილია (ნახვრეტია) ავშარის თასმების მოსაბმელად.




სურ. 16

ლიახვის ხეობაშივე, მდინარის შუა წელზე, მონასტრის სამაროვნის № 6 სამარხში ჩაყოლებული ცხენის ლაგამს ბორბლისებრი საყბეურები ჰქონდა. თვით ლაგამი ორნაწილედია და ძალიან მკაცრი. ლაგმის ღეროები კოპებითაა დაფარული და ოთხ-ოთხი კოპი აქვს საყბეურებსაც შიდა მხარეს. სამარხი ქ.შ. I ს-ის დასასრულით ან II ს-ის დასაწყისით თარიღდება და ეს ლაგამი ერთადერთია ჯერჯერობით რომაული ხანის საქართველოში და, როგორც ჩანს, იგი აქ ჩრდილო კავკასიიდან მოხვდა, სადაც ასეთი ტიპის ლაგმები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სარმატულ ხანაში [37, გვ. 29-31, იქვე იხ. ლიტერატურა].

რკინის საყბეურიანი ლაგამი ეკეთა აღაიანში, რიყიანების ველის სამაროვნის № 10 სამარხში ჩაყოლებულ ერთ-ერთ ცხენსაც, ოღონდ ამ შემთხვევაში საყბეურები სწორღეროვანია, მათ ორ-ორი ნახვრეტი აქვთ და გაყრილია ლაგმის გარეთა რგოლებში. საკუთრივ ლაგამი დაახლოვებით ისეთივეა, როგორც სოხტისა და სადავეც ისევ ლაგმის გარეთა რგოლებში გაყრილ რგოლებზე ებმებოდა. სამარხი ქ.შ. I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება [19, გვ. 32,70, სურ. 99].[22]

დედოფლის გორაზე სულ სამი ლაგამი აღმოჩნდა, სამივე სასახლის იატაკზე, ერთი – № 9 ოთახში, რომელიც ყველა მონაცემით თავლა იყო, და ორიც № 11 ოთახში. № 9 ოთახში აღმოჩენილი ლაგამი ისე ძლიერ იყო დაჟანგული, რომ მისი აღება ფორმის დაუზიანებლად ვერ მოხერხდა, მაგრამ იგი ავზომეთ და ადგილზევე სქემატურად ჩავხატეთ. ესაა 18 სმ საერთო სიგრძის მარტივი, სავსებით თანამედროვე ტიპის ლაგამი, შუაში ერთმანეთთან რგოლებით დაკავშირებული ორი ღერო, რომლებიც 5 სმ დიამეტრის გარეთა რგოლებით ბოლოვდება. ამ რგოლებზე კავებით შეკიდულია 4 სმ სიგრძის ღეროები, რომელთა ბოლოებში მართკუთხა ჭრილებია სადავის მოსადებად.

დედოფლის გორის სასახლის № 11 ოთახში, როგორც ითქვა, ორი ლაგამი აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი სოხტის სამაროვნის ზემოთაღწერილი ლაგმის ანალოგიურია, მეორე ლაგამს კი საყბეურები არა აქვს და ალბათ, ისეთივეა, როგორც № 9 ოთახის ლაგამი, ოღონდ მას სადავის მოსადები მოწყობილობა არ შერჩენია.

ოდნავ უფრო მოგვიანო ხანის ასეთივე „მარტივი“ ლაგამი საქართველოში სხვაგანაცაა აღმოჩენილი. დაახლოვებით ამ ტიპისაა II ს-ის კლდეეთისა და ბორის სამაროვნების ლაგმები [14, გვ. 19, № 9, სურ. 2, ტაბ. XXI₁; 41, გვ. 18] და არმაზისხევის № 6 სამარხში (II ს-ის დასასრული) აღმოჩენილი ვერცხლის მინიატურული ლაგამიც [3, გვ. 78, სურ. 42, ტაბ. LXXIV].

დედოფლის გორის სასახლის თავლაში (№ 9 ოთახი) ლაგამთან ერთად აღმოჩნდა რკინის რგოლებიც, რომლებიც უთუოდ აღვირის ნა-

[22] ნ.მირიანაშვილი აქ წერს: „განსახილველი ლაგამი ი. გაგოშიძის კლასიფიკაციის მიხედვით ლაგამთა III ჯგუფში ექცევა“ [19, გვ. 70], რაც არ არის სწორი: ი. გაგოშიძის იქ ხსენებულ ნაშრომში საუბარია მხოლოდ ე.წ. ახალგორული ტიპის ლაგმებზე და გამოყოფილია ამ ტიპის 4 ქვეტიპი [6, გვ. 57], აღაიანის ლაგამი კი სულ სხვა ტიპისაა.

წილები უნდა ყოფილიყო. ასეთივე რგოლები, სულ 15 ცალი, № 11 და № 13 ოთახებშიც აღმოჩნდა. შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი მაინც აღვირის ნაწილები იყოს, მაგრამ ამაზე გადაჭრით მსჯელობა ძნელია. მსგავსი რგოლები აღმოჩნდა აღაიანის ზემოთნახსენე, № 10 სამარხში ლაგამთან ერთად და იქ მათი კუთვნილება ცხენის აკაზმულობასთან ეჭვს არ იწვევს [19, გვ. 32, ნახ. 99].




სურ. 17

ქ.შ. I საუკუნის ცხენის აკაზმულობის სხვა ნაწილები, მით უმეტეს ორგანული ნივთიერებისაგან (ხე, ტყავი, ქეჩა, ქსოვილი) დამზადებული, არ შემორჩენილა არც დედოფლის გორაზე, არც სადმე სხვაგან საქართველოში, მაგრამ მათ შესახე, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ძვლის გრავირებული ფირფიტები, რომლებზეც მხედრებია გამოსახული (სურ. 1, 3, 17-20). შედარებით უკეთ დაცულ ნახატებში კარგად იკითხება ცხენის აკაზმულობის დეტალები, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ პირველი საუკუნის ქართველი მხედრები ისხდნენ მაღალკეხიან უნაგირებზე (შეად. [73]), რომელთაც ქვეშ ფართო, ოთხკუთხა თოქალთო ეფინა. უნაგირი დაფიქსირებული იყო სამკერდე, სადუე და ცხენის მუცელქვეშ ამოდებული თასმებით. თასმებზე, მათი გადაკვეთის ადგილებში, ლითონის ბალთები მაგრდებოდა. ნახატებში განსაკუთრებით კარგად ჩანს გვერდითი სამკერდე ბალთა. ცხენის აღვირიც (ავშარა – ცხენის თავზე წამოსაცმელი თასმები, რომლებსაც ლაგამი უკავშირდება) რამდენიმე თასმისაგან შედგებოდა და აქაც თასმების გადაკვეთის ადგილებში ბალთები მაგრდებოდა (შეად. [74, გვ. 68-75, ნახ. 35]). უზანგები და ნალები პირველი საუკუნის ქართლში არ იხმარებოდა (შეად. [83, ტაბ. 78, № 2356]).[23]




სურ. 18

საყურადღებოა, რომ დედოფლის გორის ძვლის ფირფიტებზე გრავირებული ნახატები დამატებით ინფორმაციას იძლევა ლაგმების შესახებაც. დედოფლის გორის სასახლეში, როგორც ზევით დავინახეთ, აღმოჩნდა ორი ტიპის ლაგამი, რომლებიც აღვირის სხვადასხვა კონსტრუქციას მოითხოვდა: ერთი, საყბეურებიანი ლაგამი, როგორც ჩანს, ძველი, ადგილობრივი საყბეურებიანი ლაგმების ტრადიციას აგრძელებს, მეორე, უსაყბეურო ლაგამი კი, ალბათ, ახალი, რომაული ხანის ინოვაციაა, რამდენადაც იგი არსებითად არაფრით განსხვავდება რომაულ სამყაროში გავრცელებული მარტივი ლაგმისაგან (შეად. [74, გვ. 63, ნახ. 31]. ნახატებზე დაკვირვება კი გვავარაუდებინებს, რომ პირ-

[23] ჩვენი ეს მსჯელობა ცხენის აკაზმულობის შესახე, რომაული ხანის იბერიაში გაცილებით უფრო სრული იქნებოდა, შესაძლებლობა რომ გვქონოდა დაწვრილებით განგვეხილა ზემოთნახსენები კლდეეთის სამაროვნის № 3-4 და № 6 სამარხებში ჩაყოლებული ცხენების აკაზმულობის ლითონის (რკინა, ბრინჯაო, ვერცხლი) ნაწილები. ესაა სხვადასხვაგვარი საყბეურები, ბალთები, აბზინდები, საკიდები და სხვ., რომელთა ერთობლივი გააზრება ბევრ ახალ ინფორმაციას მოგვცემდა ცხენის აკაზმულობამოსართავის შესახებ. მაგრამ რამდენადაც კლდეეთის სამაროვნის პუბლიკაციაში ზოგიერთი ნივთის აღწერილობას ილუსტრაცია არ ახლავს და არც პუბლიკაციის ავტორს დაუსახავს მიზნად ცხენის აკაზმულობის რეკონსტრუქცია, ამიტომ საჭირო ხდება ნივთიერი მასალის ამ თვალსაზრისით ხელახალი დამუშავება, რაც ამჟამად ჩვენთვის შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო და ეს საქმე მომავლისთვის უნდა გადაიდოს ძალაუნებურად (იხ. [14, გვ. 119-121, 134-137, 153-154, 155-159, №№ 178-181, 187-192, 233-236, 242-252]).

ველი საუკუნის ქართლში სხვა ტიპის ლაგმებიც იხმარებოდა. ორ ფირფიტაზე სადავე იწყება ცხენის ყბის ქვეშ, ცოტა დაბლა და არა უშუალოდ ყბიდან (სურ. 17, 18). ვფიქრობთ, აქ იგულისხმება, რომ ცხენს პირში მუნდშტუკი – ბერკეტიანი ლაგამი უდევს. ასეთი ლაგმები იხმარებოდა უკვე იმპერატორების ხანის რომში: ბერკეტზე მოდებული სადავის მოზიდვისას ცხენის პირში ლაგამი ტრიალდება და დიდი ძალით აწვება ცხენის სასას, რაც აიოლებს ცხენის დამორჩილებას [77, გვ. 136-138; 74, გვ. 63, სურ. 32; 83, გვ. 50, ტაბ. 67, № 1939].

რამდენიმე ფირფიტაზე აშკარად ორ-ორი წყვილი სადავეა გამოსახული, რომელთაგანაც ერთი ცხენის კისერზე, უნაგირის წინ არის გადადებული (სურ. 19, 20). ვფიქრობთ, ეს დამატებითი, ე.წ. სახორხე ლაგმის არსებობას მიანიშნებს. სახორხე ლაგამი ჩვეულებრივ ლაგამთან ერთად უკეთდებოდა ცხენს და იხმარებოდა დროდადრო ცხენის მყისიერი დაოკებისა და სწრაფი მანევრირების მიზნით, რაზეც ხშირად მხედრის სიცოცხლე იქნებოდა დამოკიდებული, განსაკუთრებით ბრძოლის დროს. სახორხე ლაგამზე მოდებული სადავე, ჩვეულებრივ, ცხენის კისერზე ან უნაგირზეა ჩამოდებული და იხმარება მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში. თუმცა, მხედარმა რომ არც კი მოზიდოს სადავე, სახორხე ლაგამი უნაგირის კეხზე დამაგრებული სადავით მაინც მუშაობს: იგი ცხენს არ აძლევს საშუალებას თავი აიწყვიტოს („закусить удила“). მუნდშტუკის ანუ ბერკეტიანი ლაგმის დანიშნულებაც სახორხე ლაგმის ანალოგიურია: სადავე, რომელიც ლაგმის საყბეურის ქვედა, ჩამოგრძელებულ ბოლოზეა მიმაგრებული, მოზიდვისას ლაგამს ცხენის პირში ატრიალებს და იგი დიდი ძალით აწვება ცხენს სასაზე [76, ნახ. 84]. თუ არ ვცდებით ან თუ ნახატი არ გვატყუებს, დედოფლის გორის ეს ფირფიტები სახორხე ლაგმისა და მუნდშტუკის ხმარების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრეული მოწმობაა.[24] ბერკეტიან ძალიან მკაცრ ლაგამს იმპერატორების ხანის რომშიც ხმარობდნენ [74, გვ. 63, ნახ. 31; 77, გვ. 136-138].

ცხენის აკაზმულობასთან ერთად უნდა განვიხილოთ დეზებიც, რომელიც მხედრის აღჭურვილობის სრულიად აუცილებელი ელემენტი უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით ბრძოლის დროს, როდესაც მხედარს ორივე ხელი იარაღით ჰქონდა დაკავებული და ცხენის მართვა ფეხებით უხდებოდა (შეად. [74, გვ. 63]). დედოფლის გორის სასახლეში არ გვიპოვია, მაგრამ სხვაგან საქართველოში დეზების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი. ჯერჯერობით ყველაზე ძველი მათ შორის ტახტიძირის № 8 სამარხში აღმოჩენილი დეზებია (ქ.წ. III ს-ის დასაწყისი)[25]. ქრონოლოგიურად დედოფლის გორის მასალასთან უფრო ახლოა აღაიანში, რიყიანების ველის სამაროვნის № 10 სამარხში აღმოჩენილი დეზები, რომლებიც ქ.შ. I საუკუნით თარიღდება [19, გვ. 70, სურ. 99]. არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვნის № 6 სამარხში (II ს-ის დასასრული) ვერცხლის მინიატურულ ლაგამთან ერთად ბრინჯაოს ასევე მინიატურული წყვილი დეზი იყო ჩატანებული [3, გვ. 79, № 129]. აღაიანის დეზი ნახევარელიფსურად მოხრილი რკინის ღეროა, რომელსაც შუაში, ამობურცულ მხარეს წაწვეტებული შემსხვილება აქვს. ასეთივეა მცხეთური დეზებიც, ოღონდ ამ უკანასკნელთ შერჩენილი აქვთ მათი ფეხსაცმელზე დასამაგრებელი მოწყობილობაც: დეზების ბოლოები მოხრილია ყუნწებად და მათთან რგოლების მეშვეობით დაკავშირებულია ორ-ორი ორად მოკეცილი სამსჭვალიანი ფირფიტა, რომლებშიც დეზის ფეხსაცმელზე დასამაგრებელი თასმები უნდა ყოფილიყო ჩამაგრებული; შემორჩენილია ამ თასმების შესაკრავი აბზინდებიც [3, გვ. 79, ტაბ. LXXIV].

რესპუბლიკური და იმპერატორების ხანის რომშიც ასეთი დეზები იხმარებოდა (იხ. მაგალითად, რესპუბლიკური ხანის დეზები [72, გვ. 63, ნახ. $32_{2-4}$] და დეზები ვინდონისადან [83, №№ 1962-1964, ტაბ. 69]).




სურ. 19

[24] ცხენის აკაზმულობის თაობაზე კონსულტაცია გამიწია მწერალმა და ცხენოსნობის სპეციალისტმა ნოდარ ებრალიძემ, რისთვისაც მისი დიდად მადლიერი ვარ.

[25] ტახტიძირის სამაროვნის მასალა გამოუქვეყნებელია. იგი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში საინვენტარო № 7-997.

დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილ ძვლის გრავირებულ ფირფიტებზე გამოსახული ცხენების აკაზმულობა და მონადირე მხედართა შეიარაღება სრულ თანხმობაშია დედოფლის გორაზე და საერთოდ საქართველოში მოპოვებულ იმავე დროის ნივთიერ მასალასთან და, ვფიქრობთ, ამ გამოსახულებათა ანალიზი – მიუხედავად იმისა, რომ აქ ნადირობის და არა ბრძოლის სცენებია ასახული – გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის იბერიის მხედრობის შესახებაც. ცხადია, რომ ბრძოლის დროსაც ქართველები ისეთივე ცხენებზე ისხდებოდნენ და ისეთივე იარაღს იხმარდნენ, როგორც ნადირობისას. რაც შეეხება ჯავშანს, რომელიც ნადირობის დროს საჭირო არ არის, უნდა ითქვას, რომ ბრძოლის დროსაც ყველა მხედარი შეჯავშნული არ იყო ხოლმე: ძველი სამყაროს ნებისმიერი ქვეყნის არმიაში ჯავშნიანი მხედრების (კატაფრაქტარიების, ჰიპოტოქსოტების) გვერდით, მსუბუქი კავალერიაც იყო ხოლმე და ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართლის სამეფო იქნებოდა.



სურ. 20

ძვლის ფირფიტების ყველა ცხენი ე. წ. „გაფრენილ გალოპშია“ გამოსახული, შეკრეჭილი ფაფრითა და გამონასკვული ძუით, რაც, როგორც ჩანს, საერთოდ დამახასიათებელი იყო ძველი საქართველოსათვის: სამადლოს ქვევრებზეც ძუაშეკრული ცხენებია გამოსახული (მხოლოდ ერთი, „მტრის“ ცხენია ძუაშეუკვრელი!) და დღევანდელი ხევსურებიც ცხენებს ძუას უკრავენ [38, გვ. 94, ტაბ. XV]. ფირფიტებზე გამოსახული ყველა ცხენი ერთი ჯიშისაა: შედარებით მომცრო ტანიანი, მკვრივი და შეკრული, ღონიერი სხეულით და ოდნავ ზომაზე მეტად სქელი კისრითა და დიდი თავით. აშკარაა, რომ აქ ადგილობრივი, ქართული ჯიშის ცხენებია წარმოდგენილი. საკმარისია ისინი შევადაროთ უზბეკეთში, ნაქალაქარ გურგან-თეფეს მახლობლად გათხრილ № 2 ყორღანში აღმოჩენილ ძვ. წ. I-ახ. წ. I საუკუნის ძვლის ფირფიტებზე გამოსახულებს, სადაც ძველი სოღდური სამყაროსათვის დამახასიათებელი შუაზიური ტიპაჟი და ახალთექური ჯიშის მსუბუქი კონსტრუქციის გრძელფეხება და გრძელკისერა მაღალი ცხენებია წარმოდგენილი [55, გვ. 521-531]. ასევე, ბაქტრიაში აღმოჩენილ ძვლის კოლოფზე ბაქტრიულ ცხენებზე ამხედრებულ ბაქტრიელებს ვხედავთ (იხ. ქვევით).

დედოფლის გორის ფირფიტებზე გამოსახული მხედრები თავისუფლად სხედან ცხენებზე, კისერთან ახლოს. მათი ფეხების ტერფები უზანგების გარეშე ცხენის მუცელქვეშ არის გაჭიმული.

მშვილდოსნები ცხენის კისრისკენ არიან გადახრილნი, წინ გაჭიმულ მარცხენა ხელში მშვილდი უპყრიათ, იდაყვში მოხრილი და უკან გაწეული მარჯვენა ხელით კი ლარსა ჭიმავენ. მშვილდოსანი მხედრების ცხენების მუცელქვეშ, ცხენის უკანა ფეხებთან ახლოს, ცხენის მარცხენა, მაყურებლისაგან დაფარულ ფერდზე დაკიდული კაპარჭის ბოლო ჩანს. ეს ბოლო ორნაწილიანია. ერთი ნაწილი უფრო გრძელი და ოდნავ მოხრილია და ალბათ, ლარშეხსნილი მშვილდის ბუდეა, მეორე ნაწილი კი, უფრო მოკლე და მართკუთხა, საისრე უნდა იყოს.

ხელშუბოსნები ცხენებზე გამართულნი სხედან, მარცხენა ხელით, რომელიც სხეულზეა მიკრული, სადავე უჭირავთ, უკან და მაღლა აწეული იდაყვში მოხრილი ხელით კი მოკლე შუბს (ხელშუბს) ტყორცნიან ქვემოთ და წინ, ცხენის სვლის მიმართულებით.

მხედრებს მაღალი, სწორი ან ოდნავ კეხიანი ცხვირი, თვალის ფართო ჭრილი, ხუჭუჭა თმა და მოკლე წვერ-ულვაში აქვთ. თავზე ჰხურავთ ფაფანაკის მაგვარი პატარა ქუდი; ტანთ აცვიათ გრძელსახელოიანი და მაღალსაყელოიანი კვართი, მოკლესახელოებიანი, წელში გამოყვანილი, საყელოჩახსნილი და წინა მხარეს გახსნილი, ქობიანი კალთაშეჭრილი მოკლე კაბა, წელზე სარტყლით; გრძელი და ფართო შარვალი წვივებს ქვემოთ არის შეკრული. ფეხსაცმელი, როგორც ჩანს, ტყავის რბილი – ჩექმები – უძიროებია.

კომპოზიციებზე ასახული ტიპაჟით და ცალკეული იკონოგრაფიული დეტალებითაც დედოფლის გორის ფირფიტების მხატვრობა თვალსაჩინოდ განსხვავდება დაახლოვებით მათი თანადროული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მხატვრობის ჩვენთვის ცნობილი ნიმუშებისაგან. ასე, მაგალითად, ქ.წ. I საუკუნის სპილოს ძვლის კოლოფზე გრავირებული ნადირობის სცენაში

მშვილდოსანი ბაქტრიელები გამოსახულნი არიან გრძელი, ძირს დაშვებული ულვაშებით, წვერგაპარსულნი და კეფასთან შეკრული სწორი თმით, უთავსაბურავოდ [47, გვ. 515; 52, ნახ. 39]. პართულ მხატვრობაში ცხენოსანი მშვილდოსნები, ჩვენი ფირფიტებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, ფრონტალურად არიან გამოსახულნი, რაც საერთოდ დამახასიათებელია პართული ხელოვნებისათვის. ამასთანავე აქ მამაკაცები თითქმის ყოველთვის წვერგაპარსულნი არიან: ასეა დურაევროპოსშიც, ჰათრაშიც და აშურშიც გათხრების შედეგად გამოვლენილ გრაფიტოებზე და ფრესკებზე [79, ტაბ. XV, $XLIII_2$; 70, ტაბ. $XLI_2$, $XLII_2$, $XLIII_2$; 81, გვ. 79-80; 67, გვ. 107].

და კიდევ ერთი გარემოება, თუ კი ეს შემთხვევითი არ არის: ირანული (პართული, სასანური) ხელოვნების ძეგლებს შორის ვერ მივაკვლიე ხელშუბოსანი მხედრის გამოსახულებას, მაშინ როცა ელინისტური ხანის ქართული ხელოვნებისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა [38, ტაბ. IV, XV და XVI].

**I. Gagoshidze**

## THE IBERIAN HORSEMAN OF THE FIRST CENTURY
(Summary)

The paper is part of a monograph, "The Kingdom of Kartli (Iberia) and Rome in the 1st cent. B.C – 1st cent. A.D", compiled in 1996-1998 with the financial aid of the INTAS and dealing with the Iberian military equipment (weapons, armour, harness).

The present paper is primarily based on the rich archaeological collection of weapons, armour and parts of harness, obtained during the excavations of the royal palace at Dedoplis Gora, though all other relevant finds of the same chronology, coming from other regions of Georgia at the disposal of the author, have been taken into consideration as well.

Besides, 25 representations of armoured horsemen engraved on the bone plaques discovered at the royal palace of Dedoplis Gora have been included in the study. One of the plaques even depicts the scene of combat between armoured horsemen.

As during the 1st cent. B.C. – 1st cent. A.D. Rome led the whole world in the military field, the paper deals with the local finds in relation to the Roman material, as well as data provided by Graeco-Latin narrative sources.

Archaeological finds corroborate the information of written sources, which names lances and bows as the principal weapons of the Iberians. According to the same sources, their military forces comprised both infantry and cavalry, the latter being divided into lightly and heavily armed horsemen.

The Georgians used a compound bow - its ends covered with bone plates – similar to the Roman bows. But, a more advanced type of bow has been found at Dedoplis Gora – not only the ends, but also the middle part of it was covered with bone plates. Bows of this type were introduced into Europe by the Huns only in the period of the *Völkerwanderung*.

The close contacts established by the kingdom of Iberia with nomadic tribes of the Eurasian steppes account for such early penetration of the Hunnish bow into Georgia. The Iberian state power holding tight control over the Caucasian passes not only managed to exploit nomadic military forces for the political benefit of Kartli, but, to some extent, even regulated their peaceful trade with Western Anterior Asia and eastern Roman provinces. This key strategic element guaranteed the petty kingdom of Iberia its fairly important place within the political scope of the superpowers of that period – Rome and Parthia.

The so-called Sarmatian-type three-winged hooked arrowhead represented the only type of military arowheads in Iberia of the Early Roman period. More than 800 such arrowheads were discovered at Dedoplis Gora. As a rule, they were placed in quivers with bows.

The fact that along with the ordinary iron socketed spearheads, Sarmatian spearheads with hooped sockets were found allows the author to suggest the presence of Sarmatian warriors in the garrison guarding the royal palace of Dedoplis Gora.

Spear shafts of the Iberians, like those of the Romans, ended in iron knobs.

Iberian warriors used to fight with long piercing swords and unlike the Romans, wore short daggers attached to the right thigh.

The principal type of iron defensive armour in Iberia was *lorica squamata*, though the Roman influence probably accounts for the discovery of *lorica hamata* at Dedoplis Gora. Unlike the Romans, the Iberians did not use metallic helmets.

A fairly complete picture of harness is provided by engraved bone plaques unearthed at Dedoplis Gora. Their local origin becomes clear judging by both representations of horsemen and horse harnesses and inscriptions engraved on some of the plaques, done in the so-called Armazi script, spread in Georgia. Garments of equestrians, hunched saddles, girth, reins, halter, ribbons

attached to breast, horse-hair and belly, as well as their buckles are clearly discernible. Actaully, only the following metallic details have survived: rings, buckles, bridles. It can be concluded that, apart from traditional bridles with cheek-pieces, simple, quite modern bridles were also in use in Georgia of the 1st cent. as a result of the contacts with Rome. The analysis of representations on the bone plaques proves that the Georgians were familiar with curb-bit and snaffle-bit attached to horse together with ordinary bridle in order to halt the horse immediately and achieve swift maneouvring.

There were no stirrups in the 1st cent., but riders used to drive horses by spurring them, especially during the battle.

Military equipment of the Iberians in the 1st cent. fully met all the requirements and standards of that period. This, in turn, predetermined, to some extent the further internal and international political and military successes achieved by the kingdom of Iberia in the context of the international competition of Rome and Parthia. The most vivid example of those developments was the territorial expansion of Kartli at the expense of Albania and Armenia, as well as the fact that by the beginning of the 2nd cent. the borders of Iberia reached the Black Sea littoral.

## ლიტერატურა


1. **აპიანე.** მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1959.
2. **აფაქიძე ა.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
3. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წლების გათხრების მიხედვით, თბ., 1955.
4. **ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ**, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1983.
5. **ბრაგვაძე ზ.** ჩხარის სამაროვანი. თბ., 1997.
6. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.
7. **გაგოშიძე ი.** ითხვისის სამარხი. – სსმმ, XXV-B, 1968, გვ. 31-46.
8. **გაგოშიძე ი.** ძვლის ფირფიტა მხედართა ბრძოლის სცენის გრავირებული გამოსახულებით. – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2003, № 5, გვ. 20-30.
9. **გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ა.** შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. – სსმაე, VIII, 1986, გვ. 56-67.
10. **დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ.** ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა. თბ., 1966.
11. **თოდუა თ.** საბრძოლო და სამეურნეო იარაღი ბიჭვინთის ნაქალაქარიდან. თბ., 1992.
12. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები). თბ., 1980.
13. **კალანდაძე ა.** სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954.
14. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა. თბ., 1957.
15. **ლორთქიფანიძე გ.** საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. – ვანი II. თბილისი, 1976, გვ. 167-190.
16. **ლორთქიფანიძე მ.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი. თბ., 1961.
17. **მაკალათია ს.** 1920-1924 წლებში საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. – სსმმ, IV, 1928, გვ. 95-188.
18. **მამაიაშვილი ნ.** ბეჟანბაღის ორმოსამარხი – კაეშ, IV. თბ., 1980, გვ. 116-124.
19. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.
20. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.
21. **ნადირაძე ჯ.** საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი (კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინციების ისტორიისათვის ძვ.წ. I ათასწლეულში). I. თბ., 1990.
22. **ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ.** წიწამური III. – მცხეთა X, თბ., 1995, გვ. 58-96.
23. **რამიშვილი რ.** კამარახევის სამაროვანი. – მსკა, II, 1959, გვ. 5-53.
24. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები,** I, თბ., 1970.
25. **ფუთურიძე რ.** გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ძეგლები. – მსკა, II, 1959, გვ. 54-94.

**26. ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.

**27. ჩოლოყაშვილი კ.** ქართული საჭურველი. ჯაჭვი. – სსმმ, XIX-B, 1956, გვ. 281-302.

**28. ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

**29. ხოშტარია ნ.** ვანის არქეოლოგიური გათხრების ისტორია. – ვანი I, თბ., 1972, გვ. 81-95.

**30. ჯღარკავა ი.** კამარახევის სამაროვანი. – მცხეთა VI, თბ., 1982, გვ. 139-190.

**31. Амиранашвили А. И. (А. И. Болтунова)**. Новые находки в низовьях р. Ингури, Тб., 1935.

**32. Анфимов Н. В.** Меото-сарматский могильник у станции Усть-Лабинской. – МИА, № 23, 1951, с. 155-207.

**33. Археология СССР.** Античные государства Северного Причерноморья. Москва, 1984.

**34. Археология СССР.** Степи Европейской части СССР в скифо-сарматское время. Москва, 1989.

**35. Блаватский В. А.** Очерки военного дела в античных государствах Северного Причерноморья. Москва, 1954.

**36. Воронов Ю. Н., Бгажба О. Х.** Материалы по археологии Цебельды. Тб., 1985.

**37. Гаглоев Р. Х.** Об одном женском погребальном комплексе из Монастерского могильника. – Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института АН Грузинской ССР, вып. XXV, Тбилиси, 1980, с. 22-33.

**38. Гагошидзе Ю. М.** Самадло. Археологические раскопки. Тб., 1979.

**39. Гагошидзе Ю. М.** Самадло. Каталог археологического материала. Тб., 1981.

**40. Зеймал Е. В.** Амударьинский клад. Каталог выставки, Ленинград, 1979.

**41. Иващенко М. М.** Бори. Тб., 1938.

**42. Кахиани К. К., Глигвашвили Э. В. и др.** Археологическое исследование Машаверского ущелья в 1984-1986 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 51-58.

**43. Кругликова И. Т.** Дильбержин. Москва, 1986.

**44. Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети, I, Опыт периодизации памятников. Тб., 1941.

**45. Либеров П. Д.** Памятники скифского времени на Среднем Дону. Москва, 1965.

**46. Литвинский Б. А., Пичикян И. Р.** Тахти-Сангин – Каменное городище (Раскопки 1976-1978 гг.). – Культура и искусство древнего Хорезма. Москва, 1981, с. 195-212.

**47. Литвинский Б. А., Пичикян И. Р.** Открытие шедевров бактрийского искусства. – Памятники культуры. Новые открытия. Ежегодник, 1983. Ленинград, 1985, с. 508-520.

**48. Мартиросян А. А.** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964.

**49. Мелюкова А. И.** Поселение и могильник скифского времени у села Николаевки. Москва, 1975.

**50. Отчеты Императорской Археологической комиссии.** Санкт-Петербург, 1901.

**51. Пиотровский Б. Б.** Кармир-Блур, I Результаты раскопок 1951-1953 гг. Ереван, 1955.

**52. Пичикян И. Р.** Культура Бактрии. Ахеменидский и эллинистический периоды. Москва, 1991.

**53. Плутарх.** Сравнительные жизнеописания в трех томах, II, Издание подготовили М. Е. Грабарь-Пассек и С. П. Маркит. Москва, 1963.

**54. Погребова М. Н.** Вооружение и войско народов Центрального и Восточного Закавказья эпохи поздней бронзы и раннего железа. Автореферат кандидатской диссертации, Москва, 1968.

**55. Пугаченкова Г. А.** Новое о художественной культуре античного Согда. – Памятники культуры. Новые открытия. Ежегодник. 1983, Ленинград, 1985, с. 521-531.

**56. Рамишвили Р., Джорбенадзе В. и др.** Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. – ПАИ, 1986 (1991), с. 89-95.

**57. Сланов А. Х.** Сохтинский могильник. – АО, 1974 (1975), с. 460.

**58. Сланов А. Х.** Исследования позднеантичного памятника у сел. Сохта. – АО, 1976 (1977), с. 481-482.

**59. Смирнов К. Ф.** Вооружение Савроматов (МИА, 101). Москва, 1961.

**60. Смирнов Я. И.** Ахалгорийский клад. Тб., 1934.

**61. Тацит Корнелий**. Сочинения в двух томах, том первый. Анналы. Малые произведения. Издание подготовили А. С. Бобович, Я. М. Боровский, М. Е.Сергеенко. Ленинград, 1969.

**62. Тирацян Г. А.** Культура древней Армении VI в. до н.э. - III в. н.э., Ереван, 1988.

**63. Халилов Дж. А.** Материальная культура Кавказской Албании. Баку, 1985.

**64. Хоштария Н.** Чхороцку – могильник с трупосожжением (захоронения в урнах) и остатки поселений. Археологические разведки. – მსკი, II, 1941, გვ. 67-95.

**65. Худяков Ю. С.** Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии. Новосибирск, 1986.

**66. Шамба Г. К.** Эшерское городище. Тб., 1980.

**67. Шлюмберже Д.** Эллинизированный Восток. Греческое искусство и его наследники в несредиземноморской Азии. Москва, 1985.

**68. Яйленко В. П.** Именник Булгаро-дунайских князей как источник по этнической истории древних булгар и идров. – Международный симпозиум "Античная балканистика 6". Москва, 1988.

**69. Яйленко В. П.** Гуннский именник V века нашей эры с Тамани и его чувашские соответствия. – Ономастика Поволжья. Москва, 1991.

**70. Bauer P. V. C., Rostovtzeff M. I.** The Excavations at Dura-Europos. Preliminary Report of Second Season of Work 1928-1929. New Haven, 1931.

**71. Bishop M. C., Coulston T. C.** Roman Military Equipment. Aylesbury, 1989.

**72. Bishop M. C., Coulston J. C. N.** Roman Military Equipment. London, 1992.

**73. Conolly P., Driel-Murray C., van.** Roman Cavalry Saddle. – Britannia. A Journal of Romano-British and Kindred Studies, v. XXII, 1991, p. 33-50.

**74. Dixon K. R., Southern P.** The Roman Cavalry from the First Century AD. London, 1992.

**75. Furtwängler A. E. Knauß F., Motzenbäker I.** Archäologische Expedition in Kachetien 1998. Ausgrabungen in Širaki. – Eurasia Antiqua. Zeitschrift für Archaeologie Eurasiens, Band 5, Mainz am Rhein,1999, S. 233-270.

**76. Grabovski I.** Hippologia dla wszystkch. Warszawa, 1982.

**77. Hyland A.** Equus: The Horse in the Roman World. London, 1940.

**78. Robinson H. R.** The Armour of Imperial Rome. London, 1975.

**79. Rostovzeff M. I.** Graffiti Shown Parthian Warriors. – The Excavations at Dura-Europos. Preliminary Report of Second Season of Work. Edited by P. V. C. Baur and M. I. Rostovzeff. New Haven, 1931, p. 194-200.

**80. Rostovzeff M. S., Broun F.E., Welles C. B.** The Excavation at Dura-Europos. Prelimnary Report of the Seventh and Eighth Seasons of Work 1933-1934 and 1934-1935. New Haven, 1939.

**81. Segal I. B.** Arabs at Hatra and Vicinity. Marginalia on New Aramaic Texts. – Journal of Semitic Studies, XXXI/I, Spring, 1986, გვ. 79-80.

**82. Unterwegs zum goldenen Vlies**. Archäologische Funde aus Georgien. Herausgegeben von Andrei Miron und Winfried Orthmann mit Beitragen von M. Abramischwili, R. Abramischwili, A. Apakidze, O. Djaparidze et al. Saarbrücken, 1995.

**83. Unz Chr., Deschler E.** – Erb. Katalogue der Militaria aus Vindonissa. Militarische Funde, Pferdegeschirr und Jochteile bis 1976. Brugg, 1997.

## სურათების აღწერილობა

სურ. 1 – ძვლის გრავირებული ფირფიტა მხედართა ბრძოლის სცენით.

სურ. 2 – ქვევრის მოხატულობის ფრაგმენტი, სამადლო, ქ.წ. III ს.

სურ. 3 – ძვლის გრავირებული ფირფიტა ხელშუბოსანი მხედრის გამოსახულებით.

სურ. 4 – ძვლის გრავირებული ფირფიტა მშვილდოსანი მხედრის გამოსახულებით.

სურ. 5 – დედოფლის გორა. სამეფო სასახლე, გეგმა.

სურ. 6 – ისრის ზროს ქვედა ბოლო, ხე.

სურ. 7 – მშვილდის ბოლოების საფარები, ძვალი.

სურ. 8 – მშვილდის შუა ნაწილის საფარი, ძვალი.

სურ. 9 – ისრისპირები, რკინა.

სურ. 10 – შუბისპირები, რკინა.

სურ. 11 – სარმატული ტიპის შუბისპირი, რკინა.

სურ. 12 – ბუნიკი-სათიხარები, რკინა.

სურ. 13 – სატევარი, რკინა.

სურ. 14 – აბჯრის ფირფიტები, რკინა.

სურ. 15 – ანჯამა, რკინა.

სურ. 16 – ლაგამი ნალის ფორმის საყბეურებით, რკინა.

სურ. 17 – ძვლის გრავირებული ფირფიტა ბერკეტიანლაგმიანი ცხენის გამოსახულებით.

სურ. 18 – ძვლის გრავირებული ფირფიტა ბერკეტიანლაგმიანი ცხენის გამოსახულებით.

სურ. 19 – ძვლის გრავირებული ფირფიტა სახორხელაგმიანი ცხენის გამოსახულებით.

სურ. 20 – ძვლის გრავირებული ფირფიტა სახორხელაგმიანი ცხენის გამოსახულებით.

## Description of the Figures

Fig. 1 – engraved bone plaque with representation of a battle scene

Fig. 2 – fragment of the decoration of a wine storage jar (*kvevri*), Samadlo, 3rd cent.B.C.

Fig. 3 – engraved bone plaque with representation of a horseman armed with spear

Fig. 4 – engraved bone plaque with representation of a horseman armed with a bow

Fig. 5 – plan of the royal palace, Dedoplis Gora

Fig. 6 – wooden lower end of an arrowhead

Fig. 7 – bone covers of a bow endings

Fig. 8 – bone covers of the middle part of bow

Fig. 9 – iron arrowheads

Fig. 10 – iron spearheads

Fig. 11 - Sarmatian type iron spearhead

Fig. 12 – iron knobs

Fig. 13 – iron dagger

Fig. 14 – iron scales of armour

Fig. 15 – iron hinge

Fig. 16 – engraved bone plaque with represenation of a horse wearing snaffle-bit

Fig. 17 – engraved bone plaque with represenation of a horse wearing snaffle-bit

Fig. 18 – engraved bone plaque with represenation of a horse wearing snaffle-bit

Fig. 19 – engraved bone plaque with represenation of a horse wearing curb-bit

Fig. 20 – engraved bone plaque with represenation of a horse wearing curb-bit

## მარიამ საგინაშვილი

# კიდევ ერთხელ კვირისტავის ფორმის მინის საკინძისთავების შესახებ

ქარელის რაიონში, დედოფლის გორაზე გათხრილმა სასახლემ მინის ჭურჭლის, მინის მძივებისა და საკიდების გარდა, გამოავლინა მინისაგან დამზადებული ნივთების კიდევ ერთი პატარა ჯგუფი, რომელსაც კვირისტავის ფორმა აქვს. ასეთი „კვირისტავი“ დედოფლის გორაზე სულ ოთხი ერთეულია აღმოჩენილი. ჩვენ მათ საკინძისთავებად მივიჩნევთ.



სურ. 1

1. საკინძისთავი ლურჯი ფერის გაუმჭვირვალე მინისა; აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმა; მასზე დახვეული ძაფები რელიეფურია; შუა ნაწილზე დაყოლებული აქვს მრგვალი ხვრელი; ირიზებულია – დაფარულია მოყვითალო-მონაცრისფრო ირიზაციის თხელი ფენით. სიმაღლე – 1,0 სმ; დმ – 2,5 სმ; ხვრელის დმ – 0,4 სმ.

2. საკინძისთავი მუქი ლურჯი ფერის გაუმჭვირვალე მინისა, ისეთივე, როგორიც №1 - ია, ორივე მხარეზე შეიმჩნევა დახვეული ძაფები (ისინი გამოკვეთილი არ არის); ირიზებულია – დაფარულია ყვითელი ფერის ირიზაციის საკმაოდ სქელი ფენით. სიმაღლე – 0,8 სმ, დმ – 2,5 სმ, ხვრელის დმ – 0,5 სმ.

3. საკინძისთავი ლურჯი ფერის გაუმჭვირვალე მინისა, ისეთივე, როგორიც № 1-ია; შემკულია ლურჯი და თეთრი ფერის ძაფებით, რომლებიც დაზიანების გამო ძნელადაა შესამჩნევი; ირიზებულია; სიმაღლე – 0,8 სმ, დმ – 2,0 სმ, ხვრელის დმ – 0,4 სმ.

4. საკინძისთავი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა; ხვრელში გაყრილია მინისავე ღერო, რომელსაც ხვრელის სიგრძე აქვს; დაზიანებულია – დეფორმირებული; ირიზებულია. სიმაღლე – 1,1 სმ, ხვრელის დმ – 0,4 სმ.[26]

მსგავსი საკინძისთავები საქართველოში არც თუ მცირე რაოდენობით გვხვდება. ყველაზე მრავლად ისინი გამოვლინდა ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე (XXV უბანი) – 12 ერთეული [7, გვ. 55-56, სურ. I, II]. საკინძისთავები გვხვდება მცხეთაში – სამთავროს სამაროვანსა [14, გვ. 184, № 22-23; გვ. 185, № 43, გვ. 186, № 59-60] და სვეტიცხოვლის უბანზე [1, გვ. 141, № 248, სურ. 680], დიღომში [2, გვ. 171, ტაბ. $VIII_{1-4}$], ერწოს ველზე [6, გვ. 92-93, ტაბ. $33_1$], გურჯაანის რაიონის სოფ. გადრეკილის ბეჟანბაღის

[26] დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ოთხივე საკინძისთავი ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების „დედოფლის მინდვრის“ ფონდში შემდეგი ნომრებით: №1-27-977:990, №2-27-977:990, №3-27-977:6953, №4-27-977:6073

ორმოსამარხში [3, გვ. 122-123, ტაბ. XXXII, 11], საჩხერის რაიონის სოფ. კარახტინში [4, გვ. 33, სურ. 11], ლეჩხუმში [8, გვ. 51-52, ტაბ. XXVII, სურ. 27, კატ. № 125]. ისინი აღმოჩენილია სტირფაზისა [17, გვ. 269-270, სურ. $104_3$] და მონასტრის სამაროვნებზეც [13, ტაბ. $C_8$].

მინის „კვირისტავები“ სამარხეულ კომპლექსებში, ძირითადად, მძივებთან ერთად გვხვდება. მათ, როგორც ითქვა, წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვთ (ქვედა მხარე სწორია – ბრტყელი, ზედა კი – ამობურცული). შუა ნაწილში მოცემულია მრგვალი ხვრელი, რომელიც ზოგჯერ ძალზე წვრილია. ისინი დამზადებულია მინის ერთი ან ორი ძაფის გულაზე დახვევის გზით. ძაფები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიყოფა, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა ისინი ძნელად შეიმჩევა. ხშირად სხვადასხვა სისქის ძაფები ერთმანეთზე დახვევის შედეგად გვაძლევს საფეხურების მსგავს შემკულობას, რაც ზევიდან დადებული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მინის საკინძისთავები გვხვდება როგორც გამჭვირვალე, ისე გაუმჭვირვალე მინისა; როგორც ერთფერი – მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, მოყვითალო, ასევე სხვადასხვა ფერის მინის ზოლებით: ყავისფერი და ყვითელი, ლურჯი და ყვითელი, ლურჯი და თეთრი. ნივთის ბრტყელ მხარეზე მინის ნაირფეროვნება, ჩვეულებრივ, არ შეიმჩნევა. მათი სიმაღლე მერყეობს 0,8 სმ-სა და 1,0 სმ-ს შორის, დიამეტრი კი – 1,5 სმ-სა და 2,7 სმ-ს შორის.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ნივთები ხშირად ღილებადაა მიჩნეული. ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ საკინძისთავებს ლ. ჭილაშვილი ღილებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მათი შემოსვლა-გავრცელება, შესაძლებელია, დაკავშირებული იყო რომელიღაც ახალი სამოსელის შემოსვლასთან [9, გვ. 121-22, სურ. 54, 5-6]. მათ ღილებად მიიჩნევს ბ. არაქელიანიც. მისი აზრით, ტანსაცმლის საყელოზე დამაგრებული ზონარების ბოლოები გაყრილი იყო ნივთის ხვრელში და იკვრებოდა ბაფთისებურად, რითაც მაგრდებოდა წამოსასხამი ან სხვა ტანსაცმელი [11, გვ. 67]. ამავე აზრს იზიარებენ სხვა სომეხი მკვლევარებიც [18, გვ. 96, ტაბ. $XXV_3$, სურ. $11_4$, $39_7$]. ღილებად მიიჩნევენ მინგეჩაურში აღმოჩენილ მსგავს ნივთებსაც [15, გვ. 26, ტაბ. XI-III; 16, ტაბ. XX-5, 6]. ზოგჯერ მათ კვირისტავებსაც უწოდებენ [14, გვ. 184-186, №№ 22, 23, 43, 59-60; 10, გვ. 58, სურ. $33_5$]; ხან მძივებადაც კი მიიჩნევენ [8, გვ. 52]. ბევრი მკვლევარისთვის, საერთოდ, გაურკვეველია თუ რა ნივთია იგი – ღილია თუ სამკაული [19, ფიგ. 51, გვ. 49].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერც ერთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას მინის კვირისტავის ფორმის ნივთების დანიშნულებასთან დაკავშირებით. მართალია მათ კვირისტავის ფორმა აქვთ, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ ისინი კვირისტავებად გამოიყენებოდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ზოგიერთ მათგანს იმდენად წვრილი ხვრელი აქვს, რომ მასში თითისტარი ვერ გაეყრებოდა. კვრისტავებად არ მიიჩნევს აღნიშნულ ნივთებს ე. ჰევერნიკიც, რომელმაც ისინი სპეციალურად შეისწავლა [20, გვ. 221-227]. მისი აზრით, თუ მათ გამოვიყენებთ როგორც კვირისტავებს, მაშინ ისინი უნდა წარმოვიდგინოთ შებრუნებულ მდგომარეობაში, ე.ი. ამობურცული, ორნამენტირებული მხარით დაბლა; ეს კი არაფრით არ არის გამართლებული. ამობურცული მხარე რომ ზედა, გამოსაჩენი მხარეა, ამაზე თვით შემკულობაც მიუთითებს. მკვლევარი ყურადღებას მათ ხვრელსაც აქცევს – ფიქრობს ხვრელში ძალზე წვრილი ღერო უნდა ყოფილიყო გაყრილი. თუ ამობურცული, სპირალური ორნამენტით შემკულ მხარეს მივიჩნევთ ზედა მხარედ და ხვრელში გაყრილ ღეროს ვივარაუდებთ საკინძის ღეროდ, ადვილად წარმოვიდგენთ კვირისტავის ფორმისთავიან საკინძს [20, გვ. 221]. ამგვარად, ე. ჰევერნიკს მინის „კვირისტავები“ მიაჩნია საკინძისთავებად, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით. მისი აზრის სისწორეში, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ ურბნისში გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილ მსგავს ნივთებს; თორმეტი „კვირისტავიდან“ ხუთში შერჩენილი იყო რკინისა და ბრინჯაოს ღეროები. ერთ მათგანში გაყრილი იყო ბოლომოხრილი და წვერწაწვეტებული ბრინჯაოს ღერო, რომელიც გაწმენდის შემდეგ დაიშალა[27]. აქ, ჩვენი აზრით, უდავოდ საკინძთან უნდა გვქონდეს საქმე; თუ სხვა შემთხვევაში შერჩენილი ლითონის ღერო ვერ მიუთითებს იმაზე, რომ ის საკინძია, ეს უკანასკნელი ფაქტი უტყუარი საბუთი უნდა იყოს კვირისტავის ფორმისთავიანი ბრინჯაოს საკინძის არსებობისა. ვფიქრობთ, ყველა „კვირისტავი“ საკინძის თავს უნდა წარმოადგენდეს (ისინი კვირისტავებად არ მიაჩნია დ. ჰარდენსაც [21, გვ. 295]).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ერთ საკინძისთავში, როგორც ითქვა, გაყრილია მინის ღერო. საქართველოში, ჯერჯერობით, მინის ღეროიანი საკინძისთავის აღმოჩენის ეს ერთი შემთხვევაა დადასტურებული. როგორც ჩანს, საკინძებად რკინისა და ბრინჯაოს ღეროებთან ერთად, მინის ღეროებსაც იყენებდნენ.

სამწუხაროდ, კვირისტავისებრთავიანი საკინძების წარმომავლობაზე, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვით. ის კი, ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საქართველოში შემოტანილი

[27] იხ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის ფონდის საინვენტარო დავთარი №5, ინვ. №1-61:3494.

უნდა იყოს ტანსაცმელთან დაკავშირებულ სხვა ნივთებთან ერთად.[28]

ცნობილმა მკვლევარმა ე. ჰევერნიკმა შეაგროვა და შეისწავლა რა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი 274 საკინძისთავი, ისინი ახ. წ. I ს-ით დაათარიღა [20, გვ. 222].[29] ასევე დათარიღდა, სხვა ნივთებთან ერთად, დედოფლის გორის საკინძისთავებიც. ახ.წ. I საუკუნით არის დათარიღებული დიღომში [2, გვ. 171-172] და ლეჩხუმში მიკვლეული საკინძისთავებიც [8, გვ. 119]. მცხეთაში და ურბნისში აღმოჩენილი საკინძისთავები კი გვხვდება როგორც ახ.წ. I ს. ასევე II ს. სამარხეულ კომპლექსებში. ასევე ათარიღებენ მინგეჩაურსა [15, გვ. 26] და გარნისში [12, გვ. 152] ნაპოვნ მსგავს ნივთებსაც.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკინძისთავები, ძირითადად, ახ.წ. I საუკუნეში მზადდებოდა და ხმარებაში იყო ახ. წ. II ს. პირველ ნახევარშიც. ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის ახ. წ. I საუკუნეზე ადრეული ნიმუშები, უფრო გვიანდელ, ადრეშუასაუკუნეების სამარხებში კი მათ ვხვდებით.[30] როგორცა ჩანს, საკინძისთავები ან გვიანაც მზადდებოდა, ან დიდხანს იყო შემორჩენილი ყოფაში.

**M. Saginashvili**

**ONCE MORE ABOUT WHORL-SHAPED PINHEADS**

(Summary)

A small group of whorl-shaped glass artefacts has been discovered at Dedoplisgora (Kareli district, East Georgia). The collection contains only four items: one is made of green transparent glass and the other three – of blue transparent glass.

Glass "whorls" have been found in many regions of Georgia. They are both monochromatic and bearing strips of different colours. The "whorls" are 6-10 mm high and 16-27 mm in diameter.

The study of the above items proved that they are rather pinheads and not buttons as suggested by some scholars. The bulk of whorls is attributed to the 1st –2nd cent. A.D., though occasionally they are evidenced in burials of a later period.

## ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ.** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II. თბ., 1978, გვ. 81-155.

2. **მაკალათია ს.** 1920-24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. – სსმმ, IV, 1928, გვ. 161-188.

3. **მამაიაშვილი ნ.** ბეჟანბაღის ორმოსამარხი. – კაეშ, IV. თბ.,1980, გვ. 116-126.

4. **მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ.** არქეოლოგიური გათხრები კარახტინში. – ძმ, 1, 1990, გვ. 32-39.

5. **ნიკოლაიშვილი ვ.** ტუიაქოჩორას სამაროვანი. – მცხეთა, ტომი II, თბ., 1978, გვ. 157-172.

6. **რამიშვილი რ.** ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.

7. **საგინაშვილი მ.** საკინძისთავების ერთი სახეობის შესახებ. – ძმ, 37, 1975, გვ. 54-57.

8. **სულავა ნ.** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბ., 1996.

9. **ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.

10. **Алексеева Е. М.** Юго-восточная часть некрополя Горгиппии. – Горгиппия: М., 1982, с. 5-116.

11. **Аракелян Б. Н.** Результаты раскопок 1951-1955 гг. – Гарни, II, Ереван, 1957.

12. **Аракелян Б. Н., Тирацян Г. А.,** Хачатрян Ж. Д. Стекло древней Армении (I-IV вв.). Ереван, 1969.

13. **Гаглоев Р. Х.** Археологические изыскания на Монастерском могильнике. – ПАИ, 1977 (1980), с. 227-238.

14. **Иващенко М. М.** Самтаврские погребения первых трех веков н.э. – მცხეთა, III, თბ., 1980.

15. **Казиев С. М.** Археологические раскопки в Мингечауре. Альбом кувшинных погребений. Баку, 1960.

16. **Нуриев А. Б.** Стеклянные изделия и их производство в Кавказской Албании. Баку, 1981.

---

[28] ე. ჰევერნიკი საკინძისთავებს აღმოჩენის ადგილის მიხედვით კემპტენის ტიპის საკინძისთავებს უწოდებს. მათი წარმოების ცენტრი ე. ჰევერნიკისვარაუდით, უნდა ყოფილიყო ნინი ან მისი შემოგარენი [20, გვ. 222].

[29] ე. ჰევერნიკის ნაშრომს ერთვის 274 ნიმუშის სია და მათი გავრცელების რუკა, სადაც ვხვდებით ურბნისში (3 ერთეული) და მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე (1 ერთეული) აღმოჩენილ საკინძისთავებსაც (მასალა ჩვენს მიერ არის მიწოდებული).

[30] იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამთავროს ფონდში დაცული ნივთები საინვენტარო №№-ით: 12-54: 13160, 12-54: 13255. V-VI სს ათარიღებენ ტუიაქოჩორას სამაროვანზე გათხრილ №10 სამარხს, რომელშიც აღმოჩნდა კვირისტავის ფორმის მინის საკინძისთავი [5, გვ. 161-162, 166].

**17. Техов Б. В.** Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тб., 1971.

**18. Хачатрян Ж. Ф.** Античный некрополь (результаты раскопок 1956-1972 гг.). – Гарни, V, Ереван, 1976.

**19. Dusenbery E. B.** Ancient glass from the cemeteries of Samothrace. – JGS, IX, 1967, p. 34-49.

**20. Haevernick T. E.** Nadelköpfe von Typ Kempten (Germania, 50, 1972, S. 136-148). – Beiträge zur Glasforschung, Mainz, 1981, S. 221-227.

**21. Harden D. B.** Roman Glass from Karanis. Ann Arbor, 1935.

**სურათის აღწერილობა**

სურ. 1. დედოფლის გორასა და მცხეთაში –სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მინის საკინძისთავები.

**Description of the figure**

Fig. 1 – Glass pinheads found at Samtavro necropolis in Mtskheta and Dedoplisgora.

მერაბ ხალვაში, ემზარ კახიძე

# აფსაროსი ახ.წ. IV-V საუკუნეებში

ახ.წ. IV-V სს-ში დასავლეთ საქართველოს ისტორიაში გარკვეული ნოვაციები აღინიშნება. უკვე III ს-ის მიწურულისათვის რომის იმპერიის პოზიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საგრძნობლად ირყევა. კონსტანტინეს (312-337 წწ.) სიკვდილის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო მძიმდება. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე სისხლისმღვრელი შიდაბრძოლების შედეგად დასუსტებულ რომს თავისი გარნიზონები ფაქტობრივად გაყავს საქართველოს ზღვისპირეთიდან. პარალელურად ძლიერდება ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფო, რომელიც IV ს-ის ბოლოსათვის მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს [13, გვ. 75]. წერილობითი ცნობების (ამიანე მარცელინე, დრეპანიუსი, მენანდრე) მიხედვით ახლადშექმნილი დასავლურ-ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად გამოვიდა რომის დაქვემდებარებიდან. მის მოვალეობაში მხოლოდ ჩრდილოეთი საზღვრის დაცვა შედიოდა, რაც ჯერ კიდევ III ს-ში გამოიკვეთა და მომდევნო ხანებშიც არ დაუკარგავს აქტუალობა [იხ. 9, გვ. 116]. მძიმე ვითარებიდან გამომდინარე (ირანის ამიერკავკასიაში დამკვიდრება, გუთების შემოსევები), ბიზანტია იძულებული იყო ლაზიკა გაეძლიერებინა და IV ს-ის ბოლოსათვის ხელსაც კი უწყობდა მის გაერთიანებასა და განვრცობას [19, გვ. 317-318; 17, გვ. 82; 5, გვ. 132]. თუმცა, დასავლეთ საქართველო ფორმალურად მაინც ბიზანტიის ვასალურ ქვეყნად რჩება. ფიქრობენ, რომ ბიზანტია კვლავინდებურად ფლობდა ლაზეთზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტებს [15, გვ. 108]; უფრო მეტიც, პროფ. გ. გრიგოლიას აზრით, უშუალოდ აკონტროლებდა მის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთს – მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროსა და ჭოროხის შესართავს [5, გვ. 132-133]. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთის ზღვისპირეთში განლაგებულ სებასტოპოლისსა და პიტიუნტზე [17, გვ. 112; 18, 117-120; 7, გვ. 132-133; შეად. 22, გვ. 382; 14, გვ. 105 და სხვ.]. უნდა ვიფიქროთ, რომ ბიზანტიელთა სამხედრო კონტინგენტი საკმაოდ სუსტი იყო და მას სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა არ შეეძლო, რადგან, როგორც ცნობილია, ამ პერიოდში (ახ.წ. IV ს-ის ბოლო - VI ს. 20-იანი წლები) ლაზეთის ტერიტორიის ძირითადი ნაწილიდან უცხოური ჯარები გასული იყო [13, გვ. 68; 1, გვ. 175, 178; 15, გვ. 108; 12, გვ. 46].

IV-V სს-ში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე საინტერესოა რომის იმპერიის მიერ ახ.წ. I ს. შუახანებიდან, საქართველოს ზღვისპირეთში დაფუძნებული „პონტოს ლიმესის" თუ „პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზის", უფრო ზუსტად, მასში შემავალი სტრატეგიული ციხე-ქალაქების ბედი. ამჯერად მხოლოდ აფსაროსზე შევჩერდებით, რომელიც თავისი მდებარეობით ძალზედ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

გონიო-აფსაროსის ციხის შიდა და გარე ტერიტორიაზე გაკეთებული თხრილების სტრატიგრაფია გვიჩვენებს, რომ ახ.წ. III ს-ის ბოლოდან, არა უგვიანეს IV ს-ის პირველი მესამედისათვის მაინც, მთავრდება ციხე-ქალაქის ცხოვრების პირველი ეტაპი. მის ცენტრალურ ნაწილში (NW-1 სექტორი), აბანოების დასავლეთით (NW-V სექტორი) და ციხის გარეთ (NO-IV სექტორი). ზოგადად ახ.წ. I-III სს-ის კულტურული ფენის დასასრულს ნგრევის კვალი დასტურდება. ჩრდილოეთ კარიბჭესთან (NO-IV სექტორი), სადაც ციხესთან დაკავშირებული დასახლების (კანაბე) არსებობა ივარაუდება, კარგად ჩანს ნახანძრალი ჰორიზონტალური შრეები. ამავე დონეზე აღმოჩენილია რიყის ქვის ჭურვები, ბირთვები და შურდულის ქვები. წერილობით წყაროებში, კონკრეტულად აფსაროსთან მიმართებაში, მართალია, არაფერია ნათქვამი, მაგრამ ცნობილია, რომ ამ პერიოდში პონტოს აღმოსავლეთი ნაწილი არაერთხელ გამხდარა ჩრდილო შავიზღვისპირელი მომთაბარეების: გუთების, ბორანების, ჰუნების, ალანებისა და სკვითურ-სარმატული ტომების შემოსევის ობიექტი [13, გვ. 40-43]. ზოსიმე თავის „მოკლე ისტორიაში" აღნიშნავს, რომ ახ.წ. 257 წ. „სკვითებმა აიღეს რა ბიჭვინთა..., ადვილად მიადგნენ ზღვით ტრაპეზუნტს" [1, გვ. 268-269]. კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის დროს (ახ.წ. 284-305 წწ.) ბოსფორის მეფე სავრომატი პონტოსპირეთსა და მეოტიდაში მობინადრე ტომებზე დაყრდნობით ახ.წ. 291 წ. თავს დაესხა რომაელთა სამფლობელოებს პონტოში და მათ შორის ლაზიკაც დალაშქრა [13, გვ. 42-45]. არქეოლოგიური მასალისა და ზემოთ ხსენებული საისტორიო ცნობების მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ახ.წ. III ს-ის მიწურულს ციხე ნადგურდება, მაგრამ საბოლოოდ არ წყვეტს ფუნქციონირებას. ამაზე უნდა მეტყველებდეს „ორენტიოსისა და ყმათა მისთა მარტვილობა", სოფრონისა და ეპიფანე კვიპროსელის თხზულებები [11, გვ. 621; 28, გვ. 221; 20, გვ. 226; 4, გვ. 57]. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ რაიმე კონკრეტული არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მხოლოდ თეორიულად შესაძლოა დავუშვათ აფსაროსის ციხის, ბიჭვინთის მსგავსად, აღდგენა და აქ IV ს-ის დასაწყისში უცხოური

გარნიზონის დაბრუნება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზოსიმეს ცნობა, რომლის მიხედვით კონსტანტინე დიდმა იმპერია ოთხ ნაწილად გაჰყო, რომელთაგანაც ერთ-ერთი პამფილიიდან ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე მდებარე სიმაგრეებამდე იყო გაჭიმული [1, გვ. 269].

რომის იმპერიის დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს გამოსვლის შემდეგ (ამიანე მარცელინეს და დრეპანიუსის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო IV ს-ის შუა ხანებისათვის [1, გვ. 82; 22, გვ. 382]) ზღვისპირა ციხე-ქალაქები, მათ შორის აფსაროსი, კარგავს სტრატეგიულ დანიშნულებას, იწყება მისი დაკნინების ხანა. წერილობითი და ნივთიერი მასალა მიგვანიშნებს, რომ აფსაროსის ციხე ახ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან ვიდრე ახ.წ. VI ს პირველი ნახევრის ჩათვლით მიტოვებულია. ახ.წ. IV ს-ის ავტორი ამიანე მარცელინე შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას აღნიშნავს: „იქ სხვა ქალაქებს შორის არის მდინარის მოსახელე ფასისი და ახლაც კი კარგად ცნობილი დიოსკურია“ [1, გვ. 89]. მიუხედავად იმისა, რომ დისკურია წინა ეპოქასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ცენტრია, ავტორი მაინც საგანგებოდ უთითებს „ახლაც კი კარგად ცნობილი“, მაშინ როდესაც აფსაროსზე არაფერს ამბობს. ახ.წ. V ს-ის ანონიმი ავტორი (ფსევდო არიანე)[31] აფსაროსს სოფლად მოიხსენიებს [2, გვ. 19]. ახ.წ. VI ს-ის ავტორს პროკოფი კესარიელს ფასისი და აფსაროსი სრულიად გაპარტახებული დახვდა. იგი, საუბრობს რა აფსაროსის ძველ დიდებაზე, აღნიშნავს: „ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“ [2, გვ. 123]. იუსტინიანეს ნოველებში (553-565 წწ.) ჩამოთვლილ ლაზიკისა და პოლემონების პონტოს ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს (ნეოკესარია, კომანა, პოლემონიონი, კერასუნტი, ტრაპეზუნტი, პიტიუნტი, სებასტოპოლისი) შორის [2, გვ. 33-35] აფსაროსი არსად ჩანს. პროკოფი კესარიელი მის მეორე ნაშრომში „მშენებლობათა შესახებ“ (560 წ.) ამ პუნქტს საერთოდ არ ახსენებს. საინტერესო ცნობაა დაცული სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონში (528-535 წწ.): „არის ევქსინის პონტოზეც ერთი ადგილი, რომელსაც წინათ აფსირტი ერქვა“ [3, გვ. 277]. ცნობიდან ჩანს, რომ აქ ოდესღაც იყო ქალაქი. დაახლოებით ამავე პერიოდისაა აგათია სქოლასტიკოსის ცნობაც, რომლის თანახმადაც სენატორმა ათანასემ გუბაზ მეფის მკვლელები (გუბაზი მოკლეს 554/5 წ-ს) იოანე და რუსტიკე ქალაქ აფსარუნტში გაგზავნა და იქაურ სატუსაღოში დაამწყვდევინა [3, გვ. 82-83]. აფსაროსი ერთ ადგილას ქალაქად პროკოფი კესარიელთანაცაა დასახელებული: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე სადაც ევქსინიის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის“ [2, გვ. 126]. აქ საქმე წერილობითი წყაროების ერთგვარ შეუსაბამობასთან გვაქვს, ანდა ეს პასაჟები ძველი ტრადიციის უბრალო განმეორებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კასტორიუსის მიერ IV ს-ის ბოლოს შედგენილი საგზაო რუკა (Tabula Peutingeriana), რომელიც აშკარად წინა საუკუნეების რეალობას ასახავს [24, გვ. 346]. ამ არგუმენტს ისიც აძლიერებს, რომ აფსაროსი აქ სქემატურადაა გამოსახული, რაც მის განსაკუთრებულ სტატუსზე მიუთითებს. ეს კი არათუ IV ს-ის, არამედ III ს-ის, კერძოდ, მისი მეორე ნახევრის რეალობასაც კი არ შეესაბამება [10, გვ. 95-96]. როგორც ჩანს, IV-V სს-ის აფსაროსი იმდენად უმნიშვნელო დასახლებად იქცა (სადაც გამორიცხული არაა სატუსაღოც ყოფილიყო), რომ ანტიკური ავტორები ხშირად საჭიროდ აღარ თვლიან მის მოხსენიებას.

წერილობით წყაროებში ასახულ ვითარებას ეხმაურება არქეოლოგიური მონაცემებიც. გათხრების შედეგად ნაპოვნი მრავალრიცხოვანი წითელლაკიანი ჭურჭლის არცერთი ეგზემპლარი არაა შემკული რელიეფური დეკორით, მაშინ როცა ახ.წ. IV და V სს-ის მსგავსი ნაწარმი ძირითადად ორნამენტირებულია გეომეტრიული თუ მცენარეული მოტივებით. არ აღმოჩენილა ე.წ. ლურჯხალიანი მინის არცერთი ფრაგმენტი, რომელიც სპეციალისტთა აზრით დაახლოებით ახ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება და V ს-ის დასაწყისამდე არსებობს. ანალოგიური ჭურჭლები ნაპოვნია აფსაროსის ციხესთან ახლომდებარე ციხისძირისა და ფიჭვნარის თანადროულ ფენებში. მდიდარი ნუმიზმატიკური მასალიდან არც ერთი არ თარიღდება IV-V სს-ის და VI ს-ის პირველი მეოთხედით. ამას ვერ ავხსნით იმპერიაში შექმნილი ფინანსური კრიზისით – დევალვაციით, რადგან IV ს-ის 535 ცალი მონეტაა ნაპოვნი ბიჭვინთაში [14, გვ. 104]. IV-V სს-ის მონეტები ცნობილია ციხისძირიდანაც [8, გვ. 107-109]. აფსაროსში აღმოჩენილ რომაული და ბიზანტიური ხანის სინოპურ ტარას შორის არ ჩანს ერთი ტიპის, კერძოდ, კონუსურტანიანი ამფორები, მაშინ როცა ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში მასიურ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება [21, გვ. 17, სურ. 1/IX; 23, გვ. 9, სურ. 1/1]. საქმე ისაა, რომ სინოპეში ისინი მხოლოდ IV-V სს-ში იწარმოებოდა [25, გვ. 331, სურ. 11; 26, გვ. 448, სურ. 4; 27, გვ. 219, სურ. 3, 9-10, 13, 17/a-d].

და რაც მთავარია, ციხის სტრატიგრაფიაში (იგულისხმება ცენტრალური უბნის მონაცემები), კერძოდ, ახ.წ. I-III სს. და VI ს-ის კულტურულ ფენებს შორის გამოიყოფა 20, ზოგან 30 სმ სისქის სტერილური შრე, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორედ IV-V სს-ში უნდა იყოს შექმნილი. საინტერესოა, რომ IV-V სს-ის მა-

[31] ა. დილერის მტკიცებით ის VI ს-ის მეორე ნახევრის ან უფრო გვიანდელი პერიოდის მოღვაწეა [იხ. 16, გვ. 25].

სალის, შესაბამისად, კულტურული ფენის არარსებობა გამოიკვეთა მაშინაც კი, როცა 1961 წ-ს პროფ. დ. ხახუტაიშვილის მიერ აფსაროსსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ სადაზვერვო თხრილები იქნა გავლებული [6, გვ. 77].

ამრიგად, წერილობითი წყაროების გამოწვლილვითი შესწავლის, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებითა და მათი ურთიერთშეჯერებით, შეიძლება ვთქვათ, რომ აფსაროსი, ისევე როგორც ციხისძირი და ჩრდილოკოლხური ცენტრები, ადგილობრივ ქალაქად არ გარდაქმნილა. ამის მთავარი მიზეზი მისი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება, გარე სამყაროსთან ურთიერთობაზე დამოკიდებულება და, შესაბამისად, მყარი ეკონომიკური ბაზის უქონლობა იყო. კოლხეთის ზღვისპირეთში უცხო ძალების პოზიციების შესუსტებისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვასთან ერთად IV-V სს-ში აქ საქალაქო ცხოვრება ქვეითდება, მაშინ როდესაც შიდა ლაზიკაში იგი აღმავლობის გზაზეა და მომდევნო საუკუნეში უფრო ძლიერდება, რაც ქვეყნის შინაგანი განვითარებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე გარეშე ფაქტორებით (კერძოდ, ლაზიკის მმართველები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი საზღვაო კომუნიკაციებით, ამიტომ ძირითადი აქცენტი გადაიტანეს ჰინტერლანდის გამაგრებაში). არქეოლოგიური მონაცემებით მისი აღდგენა და ბიზანტიელთა სასაზღვრო ბანაკად – „Παρεμολε“-დ ქცევა ახ.წ. VI საუკუნის 40-იანი წლებიდან უნდა მომხდარიყო.

**M. Khalvashi, E. Kakhidze**

## APSAROS IN THE 4TH-5TH CENTURIES
(Summary)

On the basis of juxtaposition of archaeological and written sources, the authors argue that in the 4th-5th cent. A. D. Roman military forces were not garrisoned in Apsaros (present-day village of Gonio, 8 km far from Batumi). This place failed to develop into a local urban center due to the lack of a clear military-strategic function, close contacts with the outer world and, therefore, solid economic basis.

### ლიტერატურა

1. **გეორგიკა**, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961.
2. **გეორგიკა**, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965.
3. **გეორგიკა**, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი, 1936.
4. **გეორგიკა**, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952.
5. **გრიგოლია გ.** ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994.
6. **გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ.** რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. – სდსძ, I, 1964, გვ. 59-96.
7. **თოდუა თ.** რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003.
8. **ინაიშვილი ნ.** ციხისძირის ახ.წ. I-VI სს-ის არქეოლოგიური ძეგლები (სდსძ, XXI), თბ., 1993.
9. **კახიძე ე.** ბიზანტია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი კონსტანტინე დიდის მმართველობიდან იუსტინიანე I ხანამდე. – ძველი ისტორია, თბ., 2002, გვ. 112-134.
10. **კახიძე ე.** რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს. (საკანდიდატო დისერტაცია.). თბ., 2002.
11. **კეკელიძე კ.** ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV. თბ., 1957.
12. **კვიციანი ზ.** რომის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის (ახ.წ. I-IV სს). თბ., 1997.
13. **ლომოური ნ.** ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968.
14. **ლორთქიფანიძე გ.** ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991.
15. **ლორთქიფანიძე ოთ.** ქართველთა ქვეყანა: ისტორია და კულტურა. თბ., 1998.
16. **ლორთქიფანიძე ოთ.** კოლხური ეთნოკულტურული სისტემის განვითარება. – ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002, გვ. 18-28.
17. **მუსხელიშვილი დ.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977.
18. **მუსხელიშვილი დ.** საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003.
19. **ჯანაშია ს.** შრომები, ტ. II. თბ., 1952.
20. **Василевский В.** Хождение Апостола Андрея в стране мирмидонян. Труды, т. II, вып. I. СПб., 1909.

**21. Кузманов Т.** Типология и хронология на ранновизантийските амфори (IV-VI в). – Археология 1, София, 1973, с. 14-21.

**22. Меликишвили Г.** К истории древней Грузии. Тб., 1959.

**23. Якобсон А. Л.** Керамика и керамическое производство средневековой Таврики. Ленинград, 1979.

**24. Bryer A., Winfield D.** The Byzantine Monuments and Topography of Pontus, vol. 1. Washington, 1985.

**25. Garlan Y., Kassab Tezgör D.** Prospection d'ateliers d'amphores et de ceramiques de Sinope. Anatolia Antiqua, IV, 1996.

**26. Tatlican I., Kassab Tezgör D., Dereli F.** Demirci-Sinop amphora atölgelekinin 1997 kazisi, XX. Kazi Sonuclari Toplantasi, II Cilt, s. 447-456.

**27. Kassab Tezgör D., Dereli F.** Rapport de la fouille de Demirci-Sinop 2000. – Anatolia Antiqua, IX, 2001, p. 215-225.

**28. Migne J.P.** Patrologia Graeca, t. 120, Paris, 1967.

თემურ თოდუა

## ახ.წ. IV-V სს-ის ბერძნულწარწერიანი სტელა სოხუმიდან

სტელები მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებია. სამარხის სტელები, ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში ჩანს გავრცელებული. მათი სერიული დამზადება კი ბერძნულ-რომაულ სამყაროში ძვ.წ. VI საუკუნიდან იწყება და ახ.წ. IV საუკუნემდე გრძელდებოდა [22, გვ. 36-40]. მთელი ამ ხნის მანძილზე სამარხის სტელების სტილი, ფორმა და კონსტრუქცია ხშირად იცვლებოდა.

დროის ამა თუ იმ ეტაპზე მოდაში იყო ხან მაღალი, თხელი, ვიწრო ფორმის რელიეფურ გამოსახულებიანი თუ დეკორატიული ორნამენტებით შემკული სტელები. ზოგჯერ კი დაბალი, მარტივი, წარწერიანი თუ უწარწერო, სადა სტელები [13, გვ. 308-309].

კოლხეთში ანტიკური ხანის სამარხის სტელები იშვიათია, მაშინ როცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ისინი მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი [8, გვ. 234-235; 384-385]. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არქეოლოგიურად საკმაოდ კარგად შესწავლილ ბიჭვინტის სამაროვანზე ჯერჯერობით არ დადასტურებულა წარწერიანი ან გამოსახულებიანი სტელები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელი იყო რომაული ხანის სამარხებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს პიტიუნტის სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში, ნახევარწრიული ნაგებობის კედლის ნაშალში აღმოჩენილი ქვიშაქვის მონოლითისაგან დამზადებული სტელა რკინის ჯვრის ბუდით, რომელიც ახ.წ. IV ს. თარიღდება [12, გვ. 63-67]. ბიჭვინტის გარდა, სამარხის სტელა დადასტურებულია სოხუმშიც. ესაა ძვ.წ. V ს. მარმარილოს სტელა, რომელსაც არაერთი საყურადღებო გამოკვლევა მიეძღვნა [11, გვ. 93-106; 17, გვ. 163-165; 1, გვ. 122-134].

ასე რომ, ანტიკური ხანის სამარხის სტელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ორიოდე ნიმუშით იყო წარმოდგენილი. ამიტომაც ამ ტიპის ძეგლების თითოეულ ახალ მონაპოვარს კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, საინტერესო და ღირებულ ძეგლად გვეჩვენება ამ უკანასკნელ ხანებში, სოხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. მ. გუნბა) მიერ ძველი ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერიანი სტელა [სურ. 1]. იგი დაფიქსირდა რვაწახნაგიანი ეკლესიის დეამბულატორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. სტელა ქვიშაქვის მონოლითისაგანაა დამზადებული. ნაკლულია, მოტეხილია სტელის მარჯვენა მხარე და ქვედა მარცხენა კუთხე. სტელა ოთხკუთხა ფორმისაა, სადა ჩარჩოიანი, ზედაპირი სწორია და არც თუ ისე კარგადაა დამუშავებული. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 80 სმ; სიგანე – 67 სმ. სტელის ზედაპირზე ბასრი იარაღით ამოჭრილია ცხრასტრიქონიანი ბერძნული წარწერა. წარწერა ასომთავრული ანბანითაა შესრულებული. ტექსტი ასე იკითხება:

XC ΠΟΛΛΑ
XPIΩNENO
ΔΕΚΑΤΑΚΙ
ΤΕΟΡΕCΤΕ
CΤΡΑΤΙΩΤ
ΛΕ///ΕΩΝ
ΠΙCΤΑΠC
ΑΠΙCΑΝΕC
Μ///ΛΙ

ქრისტე მრავლის
შემძლე აქ განისვენებს
ორესტე ჯარისკაცი,
ლეგიონერი, მამაცი.
გთხოვთ მოხვიდეთ.



სურ. 1

აღწერილი სტელა მშენებლობის დროსაა გამოყენებული, როგორც სამშენებლო მასალა. სამარხის სტელების ხელმეორედ გამოყენების პრაქტიკას ადგილი ჰქონდა ანტიკურ და შუა საუკუნეების ეპოქაშიც. ასე, მაგალითად, ძვ.წ. VI ს. ბერძენ-სპარსელთა ომების დროს, ათენელებმა საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობისას, საფლავის ქვებიც კი გამოიყენეს. ეს ტრადიცია რომაულ ხანაშიც გრძელდებოდა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში რომაული ხანის თავდაცვითი, სამეურნეო თუ საზოგადოებრივი

ნაგებობების წყობაში სამარხის სტელებს ხში-რად იყენებდნენ [16, გვ. 10-12].

სოხუმის სტელა არცთუ ისე მაღალი ოსტა-ტობითაა დამზადებული. მისი ავტორი მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანი, პროფესიონალი ოს-ტატი არ ჩანს. შესაბამისად, ვფიქრობთ, სტელა სპეციალურ სახელოსნოში არ უნდა იყოს დამ-ზადებული. სპეციალურ სახელოსნოებში მხო-ლოდ არქიტექტურულად კარგად გაფორმებული და რელიეფურგამოსახულებიანი სტელები მზა-დდებოდა. სოხუმის მსგავს სტელებს კი საგარ-ნიზონო სამსახურებში ამზადებდნენ [7, გვ. 124]. თუმცაღა ისიც აღსანიშნავია, რომ ახ.წ. III საუკუნიდან ბერძნულ-რომაულ სამყაროში სკულპტურულ-რელიეფური თუ დეკორატიული ორნამენტებით შემკული სტელების დამზადება შეწყდა [13, გვ. 312]. IV საუკუნიდან კი ქრის-ტიანობის გამარჯვებასთან დაკავშირებით სპე-ციალურ სახელოსნოებშიც დამზადებული სტე-ლები კიდევ უფრო მეტი სისადავით გამოირჩე-ვიან. ამიერიდან, ისიც ზოგჯერ, სტელებზე წარწერებია მხოლოდ ამოტვიფრული. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, სოხუმის სტელა მაინც სადა, მარტივი ტიპის სტელებს უნდა განეკუთვნოს.

აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სოხუმის სტელა აღმოსავლური, მცირე აზიური სტილი-საა. ამგვარი სტილის სტელები აღმოჩენილია რომაულ-ადრებიზანტიური ხანის მცირე აზიის მთელ რიგ რეგიონებში [20, გვ.61; 16, გვ. 15]. მსგავს სტელებს ვხვდებით, ასევე გვიანრომაულ ხანის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სამაროვ-ნებზეც [16, გვ. 15-16, № 39,40].

რაც შეეხება წარწერას, იგი ეპიტაფიაა. პა-ლეოგრაფიული მონაცემებით, წარწერა IV-V საუკუნისაა, შესრულებულია იმდროინდელი ბე-რძნული ენის ნორმების მიხედვით [6, გვ. 374]. ტექსტი მრავალმხრივ საინტერესოა.

წარწერაში მოხსენიებული მეომარი-ლეგიო-ნერი ორესტე, ონომასტიკონის მიხედვით, ბერ-ძენი უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ საფი-ქრებელია, რომ სებასტოპოლისის რომაული გარნიზონის გარკვეული ნაწილი ბერძნულენო-ვანი ელემენტებით ყოფილა დაკომპლექტებული. სებასტოპოლისისა და საერთოდ საქართველოს შავიზღვისპირეთის რომაული სამხედრო შენაე-რთების კონტინგენტი უმთავრესად ბერძნული წარმომავლობის მეომრებისგან რომ შედგებოდა, ამას მოწმობს, ასევე სებასტოპოლისისა და პი-ტიუნტის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი ბერძ-ნული წარწერები თუ გრაფიტოები. ეს გასა-გებიცაა. რომაელები, ჯერ კიდევ ახ.წ. II საუ-კუნიდან, არმიაში ბერძნულ სამხედრო შენაერ-თებსაც იწვევდნენ და სწორედ მათ აგზავნიდნენ იმ ქვეყნებში, რომლებიც თავიდანვე ელინური კულტურის არეალში იყვნენ მოქცეულნი.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ორე-სტე უცილობლად ბერძენი იყო. ამ დროის და-სავლეთ საქართველოში (ისევე როგორც აღმო-სავლეთ საქართველოში) პირთა სახელები ხომ ჩვეულებრივ ბერძნულ-რომაულია. აქედან გამო-მდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ორესტე ადგილობრივი მკვიდრი მოქალაქე ყოფილიყო. მით უმეტეს, როცა ბიზანტიური არმიის შემა-დგენლობაში, როგორც ეს „Notitia Dignitatum“-დან ჩანს, დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის – აბაზგებისა და ჭანების კონტი-გენტიც შედიოდა [2, გვ. 14].

წარწერიდან ირკვევა, რომ ორესტე ვეტე-რანი ჯარისკაცი კი არ იყო, არამედ მოქმედი ლეგიონერი, რომელიც თავისი დროისათვის გა-მორჩეული, დამსახურებული პირი ყოფილა. შე-საძლოა, მას განსაკუთრებული წვლილი მიუ-ძღვოდა საბრძოლო ოპერაციების წარმართვაში. მართალია, ორესტე „მამაცი“ მეომარია, მაგრამ ის ფაქტი, რომ წარწერაში მისი სამხედრო ჩინი არ ფიგურირებს, ამასთანავე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით სტელაც სადაა, ვფიქრობთ, იგი რიგითი ლეგიონერი უნდა ყოფი-ლიყო.

მოტანილი ტექსტი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ გარკვევითაა მითითებული ორესტეს სამხედრო სტატუსი: „στρατιώτης“, რაშიც ქვეითი, მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტი იგულისხმება. ეს კი იმის მოწმობაა, რომ სებასტოპოლისის რომაული გარნიზონი არა მარტო მხედრებისაგან [4, გვ. 23], არამედ ქვეითებისაგანაც შედგებოდა.

სოხუმის სტელის წარწერაში არ არის მი-თითებული ორესტეს ასაკის, მისი სამხედრო სამსახურში ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ. არც გარდაცვლილი ლეგიონერის სამხედრო ქვედანაყოფის სახელწოდებაზეც არ არის რაიმე მინიშნება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო ლეგიონერთა ეპიტაფიისათვის. შესაძლოა, ორე-სტე იმ XV ლეგიონის ჯარისკაცი ყოფილიყო, რომლის შტაბ-ბინა I-V სს. სატალაში მდებარე-ობდა და რომელთა სამხედრო შენაერთები პი-ტიუნტში იყვნენ დისლოცირებული [10, გვ. 89-90]. იქნებ იგი „Notitia Dignitatum“-ში მოხსენი-ებული სებასტოპოლისში დისლოცირებული კლავდიუსის სახელობის კოჰორტის ლეგიონე-რია [2, გვ. 175]. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი „ნოტიციაში“ მოხსენიებულ სებასტოპოლისის თანამედროვე სოხუმთან იდენტიფიცირებას კა-ტეგორიულად უარყოფს [5, გვ. 69], რაც ჩვენი აზრით, გარკვეულ ეჭვებს აღძრავს, თუნდაც იმიტომ, რომ კლავდიუსის სახელობის კოჰორ-ტა მცირე არმენიის სებასტოპოლისში არასო-დეს მდგარა.

ხსენებული კოჰორტა, როგორც ეს გონიოში ახლახან აღმოჩენილი კლავდიუსის II კოჰორ-ტის დამღიანი აგურის ფრაგმენტი მიუთითებს, ახ.წ. I-III სს. აფსაროსში იდგა [14, გვ. 35]. არ არის გამორიცხული, რომ ეს კოჰორტა მოგვია-ნებით, IV ს-ში აფსაროსიდან სებასტოპოლისში გადმოესროლათ. ამის საფუძველს გვაძლევს ის

ფაქტი, რომ IV-V სს. აფსაროსი, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მოქმედი ციხესიმაგრე არ არის [3, გვ. 14]. შესაბამისად აქ სამხედრო შენაერთებიც არ უნდა მდგარიყვნენ. არც ისაა გამორიცხული, რომ ორესტე ბიზანტიური არმიის შემადგენლობაში შემავალი ნოტიციასეული აბაზგთა I ფრთეულის [2, გვ. 171] ჯარისკაცი ყოფილიყო.

წარწერაში მითითებული ეპითეტი - „ქრისტე მრავლის შემძლე“, იმის მიმანიშნებელია, რომ გარდაცვლილი პირი – ორესტე, ამ წარწერის შემსრულებელი და მისი დამკვეთიც ქრისტიანები იყვნენ. ეს კი, სხვა მხრივ იმის მოწმობაცაა, რომ სებასტოპოლისში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთებისა და აქაური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრისტიანებისაგან შედგებოდა. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც პიტიუნტში [4, გვ. 166], სებასტოპოლისშიც ქრისტიანული თემი არსებულიყო, რაც დასტურდება კიდეც ე.წ. „აქტა ანდრიაში“ (319 წ.) დაცული ცნობითაც: „დიდი ანდრია სიმონთან ერთად ჩამოვიდა ქალაქ ფუსტაში, საიდანაც მათ გასწიეს აბაზგიისაკენ; მოვიდნენ სებასტოპოლისში, იქადაგეს სარწმუნოება და მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქრისტიანობას აზიარეს“ [21, გვ. 208].

ვფიქრობთ, სებასტოპოლისში და საერთოდ საქართველოს შავიზღვისპირეთში ქრისტიანიზაციის პროცესი, 313 წლის მილანის ედიქტის მიღების შემდეგ უნდა გაძლიერებულიყო. ისევე როგორც პიტიუნტში, აქაც ქრისტიანულ თემს ლეგალური მოღვაწეობა უნდა დაეწყო. სებასტოპოლისში ქრისტიანული თემის სიძლიერეზე, მის ორგანიზაციულ სიმტკიცეზე მიუთითებს არა მარტო ზემოთ ხსენებული IV-V სს. რვაწახნაგიანი ეკლესია, არამედ სებასტოპოლისის რადიაციაში შემავალი წებელდის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და მინის ბალზამარიები, რომლებიც ჯვრის გამოსახულებებითაა შემკული. ამავე ნეკროპოლზეა დადასტურებული IV-V სს. ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით - „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“ და ოქროს მცირე ზომის ჯვარი [19, გვ. 206-207]. წებელდის სამაროვნის IV-V სს. სამარხთა გარკვეული ნაწილის დაკრძალვის წესიც ქრისტიანულია [19, გვ. 38, 207].

როგორც ჩანს, IV-V სს-ში სებასტოპოლისი იყო არა მარტო რომაული კასტელუმი, არამედ ქალაქიც ორგანიზებული ადრექრისტიანული თემით, რომელიც შესაძლოა ფლობდა კიდეც გარკვეულ მიწის ნაკვეთებს. თუმცა პირველ ხანებში მისი გავლენა ციხე-ქალაქის კედლებსა და მის არცთუ ისე დიდ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ფარგლებს არ უნდა გასცილებოდა. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა: IV-V სსთვის საქართველოს ზღვისპირა ციხე-ქალაქებში ქრისტიანობა მყარად ფეხმოკიდებული რელიგიაა, ხოლო ნაწილობრივ, დასავლეთ საქართველოს შიდა, მთიან რეგიონებში.

მოტანილი ტექსტი აზუსტებს, ასევე IV-V სს. სებასტოპოლისის სტატუსსაც, რაც დღემდე მკვლევართა შორის დავის საგანი იყო. სპეციალისტთა უმრავლესობა უარყოფს აქ, IV ს. დასასრულსა და V ს-ში რომაული გარნიზონის ყოფნას [5, გვ. 70; 15, გვ. 382; 9, გვ. 264]. სოხუმის ახლადაღმოჩენილი წარწერა კი საპირისპიროს მეტყველებს. იგი დოკუმენტურად ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ IV-V სს-ში სებასტოპოლისი, ისევე როგორც პიტიუნტი მოქმედი ციხე-სიმაგრეებია, სადაც კვლავ რომაული გარნიზონი დგას [4, გვ. 38]. მეტიც, როგორც წარწერიდან ირკვევა, სებასტოპოლისის გარნიზონი ლეგიონური ყოფილა. ლეგიონური გარნიზონები კი მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრებში იყვნენ დისლოცირებული. სებასტოპოლისი რომ ამ დროისათვის საკმაოდ თვალსაჩინო სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრია, ამას არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ. კერძოდ, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე დადასტურებულია არცთუ ისე მცირე რაოდენობის ახ.წ. IV-V სს. ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელოსნოების ვერტიკალურპირიანი, წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები შემკული ცხოველების (დელფინი, თევზი, ტახი, შველი) რელიეფური სახეებითა და ჯვრის გამოსახულებებით.

სებასტოპოლისში ახ.წ. IV-V სს. საკმაოდ მკვეთრად ორიენტირებული კულტურული ფენის არსებობის ილუსტრაციაა აგრეთვე ციხესიმაგრის ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები, მცირე აზიური ჭრაქების ზოგიერთი ტიპი, პრიალაზედაპირიანი დოქების სახესხვაობები, ბადისებრორნამენტიანი მინის ჭურჭელი [18, გვ. 335-338].

რაც შეეხება მონეტებს, მართალია ახ.წ. IV-V სს. მათი ცირკულაცია თითქმის სრულიად გამქრალია, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ იმპერიის სხვა პროვინციების (მაგალითად, პანონიის) მსგავსად, აქაც IV ს. პირველი ნახევრის მონეტები IV-V სს-ში ყოფილიყო მიმოქცევაში [24, გვ. 172], მით უმეტეს, როცა IV ს. დასასრულიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარეობდა მონეტების დევალვაციისა და ინფლაციის პროცესი, რის გამოც IV-V სს. ჯარისკაცებს ფულადი ანაზღაურება შეუწყდათ [23, გვ. 242].

დაბოლოს, სოხუმის სტელის წარწერა დოკუმენტურად ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ IV-V სს. სებასტოპოლისში, ისევე როგორც საქართველოს ზღვისპირეთის დანარჩენ ცენტრებში, ოფიციალურ, გაბატონებულ ენას წინანდებურად ბერძნული წარმოადგენდა. ლათინური წარწერები კი აქ ძალზე იშვიათია, ისიც ნაწილობრივ სამხედრო-ადმინისტრაციას უკავშირდება. ლათინიზმები, როგორც ეს პიტიუნტსა და

სებასტოპოლისში აღმოჩენილი წარწერებიდან ჩანს, შემოიფარგლებოდა სამხედრო-ადმინისტრაციული ტერმინებით – ლეგიონერი, კოჰორტა, ვეტერანი, ლეგატი და სხვ.

ამრიგად, სოხუმის ბერძნულწარწერიანი სამარხის სტელა მრავალმხრივ საინტერესო ძეგლია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება IV-V სს. სებასტოპოლისისა და საერთოდ ამ ხანის კოლხეთის ისტორიისათვის. ამასთანავე, ამგვარი ხასიათის წარწერიანი სტელის აღმოჩენა ჯერჯერობით უნიკალურია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური სინამდვილისათვის და ამდენად ის ინტერესს იწვევს.

**T. Todua**

**STELE BEARING A GREEK INSCRIPTION FROM SUKHUMI**
(Summary)

A gravestone bearing a Greek inscroption was found during the excavations of the ancient fortress of Sukhumi. The sandstone stele is of a square shape, with a plain framing. The following nine-line Greek inscription is carved on its surface:

| | |
|---|---|
| ΧC ΠΟΛΛΑ<br>ΧΡΙΩΝΕΝΟ<br>ΔΕΚΑΤΑΚΙ<br>ΤΕΟΡΕСΤΕ<br>СΤΡΑΤΙΩΤ<br>ΛΕ///ΕΩΝ<br>ΠΙСΤΑΠС<br>ΑΠΙСΑΝΕС<br>Μ///ΛΙ | Christ the Almighty. Here rests Orestes, soldier, legionary, and brave man. Please, take care of him |

The inscription represents an epitaph and is dated to the $4^{th}$-$5^{th}$ cent. A.D. The information contained in the inscription is quite interesting in many ways. Onomastically, the proper name Orestes indicates his Greek provenance, though the possibility that the soldier was a native citizen is not ruled out. Orestes seems to have been a legionary in service. The person who had ordered the inscription, the one who carved it and Orestes himself were Christians.

The garrison of Sebastopolis was a apparently legionary one, while the fortress of Sebastopolis was still functioning in the $4^{th}$-$5^{th}$ cent., accomodating Roman military units. Greek was still the dominant language here.

The stele with an epitaph represents so far a unique find in the eastern Black Sea littoral, evoking special scholarly interest up to the present-day.

## ლიტერატურა

1. **გამყრელიძე გ.** კოლხოლოგიური ნარკვევები, თბ., 2001.

2. **გეორგიკა**, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1961.

3. **გონიო-აფსაროსი, III**, თბ., 2002.

4. **თოდუა თ.** რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003.

5. **ლომოური ნ.** „Notitia Dignitatum“-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის. - თსუ შრომები, 162, 1975, გვ. 65-78.

6. **ყაუხჩიშვილი თ.** საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004.

7. **Античная скульптура Херсонеса**. Киев, 1975.

8. **Гайдукевич В. Ф.** Боспорское царство, М-Л., 1949.

9. **Инадзе М. П.** Причерноморское города древней Колхиды, Тб., 1968.

10. **Кигурадзе Н. Ш., Лордкипанидзе Г. А., Тодуа Т. Т.** Клейма XV легиона из Пицундского городища. – ВДИ, 2, 1977, с. 88-92.

11. **Лордкипанидзе О. Д.** Сухумская стела (к вопросу о датировке). – СА, 1, 1968, с. 166-176.

12. **Лордкипанидзе Г. А., Кигурадзе Н. Ш., Тодуа Т. Т.** Раннехристианская стелла из Пицунды. – ВДИ, 3, 1990, с. 63-67.

13. **Максимова М. И., Наливкина М. А.** Скульптура. – АГСП, I, М-Л., 1955, с. 297-324.

14. **Мамуладзе Ш. Х., Халваши М. С., Асланишвили Л. Г.** Римские гарнизоны Апсара. – ВДИ, 1, 2002, с. 33-39.

15. **Меликишвили Г. А.** К истории древней Грузии, Тб., 1959.

16. **Соломоник Э. И.** Латинские надписи Херсонеса Таврического. М., 1983.

17. **Трапш М. М.** Мраморный барельеф из Сухуми. – ВДИ, 1, 1954, с. 163-165.

18. **Трапш М. М.** Труды, 2, Сухуми, 1969

19. **Трапш М. М.** Труды, 3, Тб., 1971

20. **Florescu G. I** monumenti funerari romani della Dacia inferiore, Bucuresti, 1942.

21. **Glossar R.** Zur frühmittelalterlichen Geschichte im ostlichen Europa, Wiesbaden, 1980.

22. **Kieseritzky G., Watzinger G.** Griechische Grabreliefs aus Südrussland, Berlin, 1909.

23. **Miller F.** The Roman Empire and his neigbours. London, 1981.

24. **Oliva P.** Pannonia and the onset of crisis in the Roman Empire, Praha, 1952.

**თეიმურაზ ჩიქოვანი**

# ხარო – მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი

ათასწლეულების განმავლობაში იქ, სადაც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად მემინდვრეობა ყალიბდებოდა, მის პარალელურად სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის სათავს-საცავები იქმნებოდა. ამ მიმართულებით საქართველო ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც მარცვლეულის შესანახი სათავსოების მრავალი სახეობა დასტურდება. ეს განსაკუთრებით იმ რეგიონებზე ითქმის, სადაც მემინდვრეობა ტრადიციულად მაშტაბურ ხასიათს ატარებდა. ასეთებს განეკუთვნებოდნენ ქიზიყი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, თრიალეთი, ჯავახეთი და სამცხე [5, გვ. 44; 6, გვ. 90; 7, გვ. 69-70; 8, გვ. 25-27; 12, გვ. 156; 13, გვ. 26-27]. კულტურულ-ისტორიული განვითარების შედეგად ამ რეგიონებში შეიქმნა და მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთი-მეორის გვერდით თანაარსებობდა მარცვლეულის ისეთი სათავს-საცავები, როგორიცაა ხარო, ბეღელი, ნალია, ძარი, ჯიროლა, ბორწნელის გოდორი, თაღარი, ლაზამბარი, ხელამბარი, კოდი და საფქვილე კიდობანი, რომლებიც ქართული აგრიკულტურის მაღალი დონის მაუწყებელი არტიფაქტები არიან. ამ საცავებიდან ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ხაროა, რომელიც თავისი სამშენებლო მასალის გამო, სხვებთან შედარებით გაცილებით გამძლე და ამასთან ერთად ყველაზე ტევადია.

მაღალგანვითარებული მემინდვრეობის რეგიონების ქართველობას, „პურით შიმშილობა“, შეიძლება ითქვას, არ განუცდია, მაშინაც კი, როდესაც მტრის მიერ აოხრებული იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, ალბათ, ხარო უნდა ყოფილიყო, რადგანაც იგი მიწისქვეშა საიდუმლო საცავს წარმოადგენდა, რის გამო მომხდურისათვის მეტწილად შეუმჩნეველი რჩებოდა.

ხარო, როგრც გარკვეული დანიშნულების სამეურნეო ნაგებობის სახელწოდება, აღმოსავლეთ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული ტერმინი იყო. მისი სახელწოდების ქვეშ ქვითკირით ამოყვანილი, მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი იგულისხმება, რასაც წერილობით წყაროებთან ერთად ჩვენი სასიქადულო ლექსიკოგრაფებიც ადასტურებენ. სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინიშვილების ლექსიკონებში ეს ტერმინი - სახელწოდება შემდეგნაირადაა განმარტებული: „ქვიტკირის ორმო“, „ქვითკირით ამოგებული ორმო“, „მიწასავე შესანახავი ხორბალთა და მისთანთა“ [3, გვ. 209, 465; 9, გვ. 280, 463; 10, გვ. 1724].

ეს უძველესი მიწისქვეშა სამეურნეო ნაგებობა არქეოლოგიურად აწყურის ანტიკური ხანისა და ჟინვალის ადრეშუასაუკუნეების ნაქალაქარებშია მიკვლეული [2, გვ. 8], რაც მის შორეულ ეპოქებიდან მომდინარეობაზე მეტყველებს. ამასვე ადასტურებენ წერილობითი წყაროები. მაგალითად ხარო, როგორც პურეულის მიწისქვეშა საცავი ნაგებობა, პირველ საუკუნეში მოღვაწე თომა მოციქულის „საკვირველებათა საკითხავში“ „პურეულის ორმოდ“ იწოდებოდა, ხოლო VI ს. მოღვაწე სვიმონ მესვეტის „ცხოვრებაში“ „საიფქლე ხაროდ“, რაც იმის მაუწყებელია, რომ აღნიშნული ტერმინი ქართულ ენაში ძალიან ძველს დროშია დამკვიდრებული. სხვათაშორის სვიმონ მესვეტისადმი მიძღვნილ თხზულებაში იმაზედაცაა ლაპარაკი, თუ როგორ იღწვოდნენ მონასტრის ბერები, რათა საიფქლე ხაროები მუდამ კარგ მდგომარეობაში, სავსენი ყოფილიყო. იფქლთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ივ. ჯავახიშვილის განმარტებით დიკაზე უფრო მაღალხარისხოვანი ხორბალია და ბოლო წლებამდე, XX ს. პირველ მეოთხედამდე ხევსურეთშიღა იყო შემორჩენილი [11, გვ. 69]. როგორც ჩანს, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში, ხარო ფრიად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა, რაზედაც მათ ეზოებში აღმოჩენილი ხაროები მეტყველებენ. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარების მიერ ხაროები აღმოჩენილია კვირიკეწმინდისა და ქვათახევის მონასტრებში, ყიწვისის, ჭარებისა და მოხისის ეკლესიებში [12, გვ. 156].

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხაროს გავრცელების უმთავრეს კერას აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენდა და ძირითადად მემინდვრეობის ისეთი ცენტრებისათვის იყო დამახასიათებელი, როგორიცაა ქიზიყი, შიდა და ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი. აღნიშნული რეგიონებისათვის იგი შორეულ საუკუნეებიდან მომდინარე და ტრადიციულად დამახასიათებელ მიწისქვეშა სამეურნეო ნაგებობას წარმოადგენდა. ხარო ქართველი გლეხკაცისათვის იმდენად ტრადიციულსა და ოპტიმალურ ნაგებობას წარმოადგენდა, რომ იგი მას XX ს. დასაწყისამდე ვერ შეელია. უფრო მეტიც, სამცხე-ჯავახეთში, ქიზიყსა და ორივე ქართლის დაბლობზე, თითქმის ჩვენი დროის 20-იან წლებამდე გამოიყენებოდა. მაგალითად, XIX ს. 80-იანი წლების სამცხე-ჯავახეთში არ ყოფილა ოჯახი, რომელსაც ერთი ხარო მაინც რომ არ ჰქონოდა. ისეთი ოჯახებიც საკმაოდ ყოფილა, რომელთაც არც თუ იშვიათად ორი და სამიც რომ ჰქონოდათ. ასეთებს განეკუთვნებოდნენ შეძლებული მრავალსულიანი ოჯახები, რომლებიც XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისისათვის იყო დამახასიათებელი და მათი სულადობა ხშირად ოცს აღემატებოდა [6, გვ. 83]. მრავალსულიან

ოჯახებს ბუნებრივია პურიც მეტი სჭირდებოდა, რის გამო მათ კარმიდამოში ორი ხარო იშვიათობას არ წარმოადგენდა.

XIX ს. მეორე ნახევარი სამცხე-ჯავახეთში მშვიდობა სუფევდა. ამ გარემოებამ ტრადიციული მემინდვრეობის აღორძინებას შეუწყო ხელი, რასაც იმდროინდელი ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს. მაგალითად 80-იან წლებში მარცვლეულის მოსავალი ერთ დესეტინაზე დაახლოებით იმდენივე იყო, რაც XVI ს. მიწურულს [4, გვ. 42]. მემინდვრეობის აღორძინებასთან ერთად ქართველობამ მამა-პაპათა მიერ ნაგები უმოქმედო ხაროები წესრიგში მოიყვანა და დანიშნულების მიხედვით გამოიყენა. აქ ისიც ხაზგასმულია, რომ იმდროინდელ სამცხე-ჯავახეთში (თრიალეთზე რომ არაფერი ვთქვათ) ახალი ხარო აღარ აშენებულა. მარცვლეულის შესანახად მხოლოდ ძველს იყენებდნენ. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი ხარო აუთვისებელი დარჩა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული მოსახლეობა ძალზე შეთხელებული იყო, ხოლო რუსთა მიერ აქ ჩამოსახლებული თურქულ და ქურთულ მომთაბარე ტომებისათვის (სომხების გარდა) ამგვარი მიწისქვეშა ნაგებობა სრულიად უცხო მოვლენას წარმოადგენდა. ამასთან ერთად მათი მიკვლევა ძნელ საქმეს წარმოადგენდა და რომც მიეკვლიათ, ხარო მათ არ სჭირდებოდათ.



სურ. 1

50-60-იან წლებში თრიალეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ჩვენს მიერ მიკვლეული უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული ხაროები, ყველა უკლებლივ XIX საუკუნემდე იყო აშენებული (სურ. 1-3). ფორმა-მოყვანილობის მიხედვით, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. ყველა მათგანი ქვითკირით იყო ამოგებული და ყელისაკენ თანდათან ვიწროვდებოდნენ [5, გვ. 44; 7, გვ. 60; 8, გვ. 25-27; 11, გვ. 156; 12, გვ. 211]. საშუალო მოცულობის ანუ სტანდარტული პარამეტრების ხარო სიღრმით 3 მ-ს იშვიათად აჭარბებდა, ძირის სიგანე ანუ დიამეტრი 2-2,5 მ შორის მერყეობდა, ხოლო ყელის დიამეტრი კი – 70-80 სმ. ყელს თავზე მჭიდროდ ჰქონდა მორგებული ქვის ბადიმი ანდა ბრტყელი ქვა. ყელის სიფართე ისე იყო ნავარაუდევი, რომ შიგ ძელკიბე და მოზრდილი ადამიანი თავისუფლად დატეულიყო. ბადიმის ხვრეტილა ხაროში ჩასასვლელი თხელი ქვის სარქველით იგმანებოდა, რომელსაც შუაში წვრილი სასულე ნახვრეტი ჰქონდა. ასეთი ფორმა და პარამეტრების მქონე იყო თრიალეთისა და სამცხე-ჯავახეთში ჩვენს მიერ მიკვლეული ხაროები. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ უფრო დიდი მოცულობის ანდა პატარა ხაროებიც ყოფილიყო გავრცელებული. მით უმეტეს, რომ ჯავახელ ქართველთა გადმოცემით შორეულ წარსულში მათ წინაპრებს ისეთი ხაროებიც ჰქონდათ, რომლებსაც ხანდახან დატყვევებული მოთარეშე ლეკების საპყრობილედაც იყენებდნენო.




სურ. 2

ხაროში მარცვლეულის ნორმალური და ხანგრძლივი შენახვა მის კარგ წესრიგში ყოფნასთან იყო დამოკიდებული. ვიდრე კალოობა დაიწყებოდა, ხაროს სარქველს მოხდიდნენ და კარგად გაანიავებდნენ. მერე შიგ ცეცხლს დაანთებდნენ, რათა მისი კედლები გამომშრალიყო. ამის შემდეგ მას ამოასუფთავებდნენ და რამდენიმე დღე თავღია სტოვებდნენ. მარცვლეულის ჩაყრის წინა დღეს მის კედლებს კარგად გაცოცხავდნენ. ძირში თივის ფენას მოაფენდნენ და ხაროც უკვე მზად იყო მარცვლეულის მისაღებად.

ხაროში აუცილებლად გაგრილებული მარცვლეული უნდა ჩაყრილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მალე აშმორდებოდა. მარცვლეულს ხაროში რომ თავისუფლად „ესუნთქა“ მას

ყელამდე არ ავსებდნენ. ყელში მხოლოდ თივას, ანდა წვრილ ფიჩხს ჩააფენდნენ და სარქველით დაგმანავდნენ. შემდეგ სარქველს ფიჩხს დაალაგებდნენ, ზემოდან მიწის სქელ ფენას დააყრიდნენ, რომელსაც საგულდაგულოდ დატკეპნიდნენ. ამრიგად დაგმანული ხაროს მიკვლევა უცხოსათვის თითქმის შეუძლებელს წარმოადგენდა. მისი ზუსტი ადგილმდებარეობა მხოლოდ ოჯახის რამდენიმე წევრმა იცოდა. ქიზიყისაგან განსხვავებით, სადაც ხაროები სოფლიდან მოშორებით არსებულ სავარგულებში კეთდებოდა, სამხრეთ საქართველოში იგი უშუალოდ კარმიდამოს ფარგლებში იყო [14, გვ. 211]. არც თუ იშვიათად ზოგიერთ ოჯახს ხარო უშუალოდ სახლის ფარგლებშიც ჰქონდა, რომლის დამადასტურებელ ფაქტად 1960 წ. სოფ. ვალეში პავლე ნასყიდაშვილის საბძელში მიკვლეულიც საკმარისია.




სურ. 3

როგორც ვხედავთ, ხარო მარცვლეულის მიწისქვეშა საიდუმლო საცავია. ასეთი ვითარების გამო თრიალეთსა და სამცხე-ჯავახეთში XIX ს. 30-იან წლებში ჩამოსახლებულმა უცხო ეთნოსის მოსახლეობამ, რომლებმაც ქართველთა მიერ მიტოვებული მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, როგორც ეკლესიები, მიწურბანიანი სახლები, წისქვილები და ზეთსახდელებია, თითქმის მზამზარეულად აითვისეს, ზოგჯერაც თავისებურად გადააკეთეს [5, გვ. 12, 14, 16; 8; 7, გვ, 14-19]. ხაროთა არსებობის შესახებ მასიურად მხოლოდ 50-60 წლებში შეიტყვეს, მაშინ, როდესაც ახალ ბინათმშენებლობას მოჰკიდეს ხელი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. ახალი ტიპის სახლების მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების წარმოებისას, ქართველთა ნახელავი უამრავი ხარო იქნა აღმოჩენილი. ერთ-ერთ ასეთ აღმოჩენას, 1952 წელს, თრიალეთის სოფ. იედდი-ქილისაში ჩვენც შევესწარით. ურუმ ალმანოვის სახლის საძირკვლის გათხრისა, ერთმანეთის სიახლოვეს ორი ხარო აღმოჩნდა. ორივე თავდაგმანულ მდგომარეობაში. როდესაც, განძეულობის აღმოჩენის იმედით ჟინმორეულმა მშენებლებმა ხაროებს სარქველები მოხადეს, შიგ მხოლოდ გაფუჭებული მარცვლეულის ნარჩენები აღმოჩნდა. ხაროები თრიალეთისა და სამცხე-ჯავახეთის კიდევ ბევრ სოფელში მივაკვლიეთ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მათი უმრავლესობა მიწითა და ღორღით იყო ამოვსებული. მხოლოდ რამდენიმეს აზომვა მოვახერხეთ.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ხაროში მარცვლეულის შენახვის ხანგრძლივობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიადაგის სიმშრალისა და მის წესრიგში ყოფნაზე, და აგრეთვე, მარცვლეულის ჯიშზე იყო დამოკიდებული. ჯავახური მარცვლეული, სამცხურთან შედარებით უფრო ხმელი და ფუტურო იყო, რის გამო იგი თითქმის ათ წელს ინახებოდა. სამცხური წებოვანი ყოფილა და ამიტომაც ხუთ წელზე მეტს ვერ სძლებდა [13, გვ. 27; 14, გვ. 211].

როდესაც მარცვლეულის გამოყენების საჭიროება დგებოდა, ხაროს სარქველს მოხდიდნენ და თავღიად რამდენიმე საათს დატოვებდნენ, რათა შიგ დაგროვილი, ადამიანისათვის მავნე აირები აორთქლებულიყო. კარგად განიავების შემდეგ, ხაროში ქათამს ჩასვამდნენ და თუ მას არაფერი მოუვიდოდა, მარცვლეულის ამოღება უკვე შეიძლებოდა [13, გვ. 27; 14, გვ. 211].

აი, მოკლედ ყველაფერი ის, რისი თქმაც ხაროზე შეიძლებოდა.

როგორც დავინახეთ, ხარო მემინდვრეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ყოფისა და სამშენებლო საქმის ერთობლივი, მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მაგრამ მისი მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზრდება, თუ მას რეტროსპექტივის წყაროდ გამოვიყენებთ.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საშუალო მოცულობის ხაროს (სიღრმე 3 მ, ძირის დიამეტრი 2,5 მ, ყელის დიამეტრი 70-80 სმ) ტევადობას ვარკვევდით, მოხუცებული მესხების პასუხი მუდამ ერთგვაროვანი იყო: 300 ფუთი, თუ მას კგ-ში გადავიყვანთ, 4800 კგ მივიღებთ, რაც უდაოდ მაღალი დონის მემინდვრეობის არსებობაზე მიგვითითებს.

თუ კვლევას მარცვლეულის წლიურ-კომლობრივი მოსავლის მიმართლებით გავაგრძელებთ, ფრიად შთამბეჭდავ სურათს მივიღებთ. იმის გა-

მო, რომ ხაროში არსებული ჭირნახულის გამოყენება გაზაფხულამდე არ შეიძლებოდა, ბუნებრივად ისმის კითხვა, რაში ინახებოდა შემოდგომა-ზამთარში სამყოფი მარცვლეული? სამხრეთ საქართველოში მარცვლეულის საცავად, ხაროსთან ერთად ლაზამბარიც გამოიყენებოდა. ლაზამბარი, ლაზი ხით ხუროების ნახელავი, დიდი ტევადობის მარცვლეულის საცავია, რომელიც აქა-იქ ერთეულების სახით თითქმის 70-იან წლებამდე იყო შემორჩენილი [6, გვ. 90; 8, გვ. 25]. იგი საშუალოდ, დაახლოებით ას ფუთამდე ანუ 1600 კგ მარცვლეულს იტევდა, რაც ზამთრის პერიოდში ანუ ხუთ თვეზე 10 სულიანი ოჯახისათვის (დღეში 10 კგ ვარაუდით) სრულიად საკმარისი იყო. თუ ხაროში დაცულ 4800 კგ ლაზამბარში არსებულ 1600 კგ დავუმატებთ, ფრიად მნიშვნელოვან რაოდენობას, 5600 კგ მივიღებთ, რაც, რასაკვირველია, მაღალი დონის მემინდვრეობაზე მეტყველებს. სხვათაშორის, ამჯერად საშუალება გვაქვს ეთნოგრაფიული მონაცემები ოფიციალურ სტატისტიკას შევუდარებთ. XIX ს. 80-იანი წლების ახალციხის მაზრაში ერთ დესეტინაზე, რომელიც 1200 კვ.მ უდრის 5376 კგ მარცვლეული მოჰყავდათ [4, გვ. 39].

ასევე ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში, ერთი კომლი საშუალოდ ერთ დესეტინა სახნავსათეს სავარგულს ფლობდა. თუ სავარაუდო წლიურ-კომლობრივ მოსავალს – 5600 კგ სტატისტიკური ერთი დესეტინიდან მიღებულ წლიურ-კომლობრივ მოსავალს – 5376 კგ ერთმანეთს შევუდარებთ, მათ შორის განსხვავება 224 კგ იქნება. მარცვლეულის წლიურკომლობრივი მოსავლის ეთნოგრაფილი მაჩვენებლის შეჯერება, XVI ს. სტატისტიკურ მონაცემებთან შეიძლება, რის საშუალებასაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იძლევა [15, გვ. 7-660]. „დავთარში“ არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, მათ შორის პურეულ კულტურებზე წლიურ-კომლობრივი გამოსავლების მიხედვით, მიხ. სვანიძემ გამოიანგარიშა, რომ ერთ ოჯახზე წლიური მოსავალი საშუალოდ 6556 კგ მარცვლეულს შეადგენდა, რაც ეთნოგრაფიულ მაჩვენებელზე 956 კილოგრამით მეტია [4, გვ. 17, 19, 23,25].

როგორც ვნახეთ, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდის მასალა, XIX ს. 80-იანი წლებისა და XVI ს. სტატისტიკური მონაცემები ერთნაირად ადასტურებენ სამხრეთ საქართველოში მემინდვრეობის მასშტაბურობას. მაგრამ, ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ერთობლივი მონაცემები, მეურნეობის რომელიმე დარგის რეტროსპექტივა მეტად გაძნელებულია. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქართულ წერილობით წყაროებში ეკონომიკური ხასიათის სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. მეორეც ისაა, რომ ხარო, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა გარკვეული პერიოდის მემინდვრეობის დონის განსაზღვრა, არა თუ ეთნოგრაფიული ყოფიდან გაქრა, არამედ სოფლის მოსახლეობის მახსოვრობაშიც ბუნდოვნადაა შემორჩენილი. ამიტომ არის, რომ ამა თუ იმ კუთხის მემინდვრეობის დონის დადგენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურად მიკვლეულ ხაროებს.

ხაროსთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება კითხვა – ხაროს, როგორც რეტროსპექტივის წყაროს, რამდენად ზუსტი ჩვენების მოცემა შეუძლია?

მივმართოთ ექსპერიმენტს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ საშუალო პარამეტრების მქონე ხაროს (სიღრმე 3 მ, სიგანე 2,5 მ, ყელის დიამეტრი 80 სმ) ტევადობა, დაახლოებით 300 ფუთს ანუ 4800 კგ შეადგენს. იმისათვის, რომ 1952 წ. თრიალეთში მიკვლეული საშუალო პარამეტრების მქონე ხაროს ტევადობაში ზუსტად გავრკვეულიყავით, საჭირო გახდა მისი მოცულობის დადგენა, რაშიც კიბერნეტიკოსი მამუკა ჩლაიძე დაგვეხმარა. მისი გაანგარიშებით, ამგვარი პარამეტრების მქონე ხაროს მოცულობა 7,60 კუბომეტრია და იგი 5200 კილოგრამ მარცვლეულს დაიტევს. ამ გაანგარიშებაში ცდომილება რასაკვირველია იქნება, მაგრამ არა უმეტეს 100 კგ ფარგლებში.

როგორც ვხედავთ, ეთნოგრაფიულ მონაცემებსა და რეტროსპექტიულ გაანგარიშებას შორის განსხვავება არის და იგი 400 კგ შეადგენს. საბოლოოდ გამოდის, რომ თრიალეთში მიკვლეული საშუალო პარამეტრების მქონე ხაროს ტევადობა 5200+100= 5300 კგ ან 5200–100 = 5100 კგ შეადგენს. ამგვარი გაანგარიშებიდან აშკარად გამოიკვეთა, რომ ეთნოგრაფიულ მონაცემებთან შედარებით, რეტროსპექტიულად მიღებული ციფრი უფრო ზუსტია. ასე რომ, ხაროს გაბარიტების მიხედვით მემინდვრეობის დონის რეტროსპექტივას, საკმაოდ სარწმუნო შედეგის მოცემა შეუძლია.

ამგვარად, იქ, სადაც დიდი გაბარიტების მქონე ხაროები იქნება მიკვლეული, მათი ფუნქციონირების პერიოდში მაღალი დონის მემინდვრეობა უნდა ივარაუდებოდეს. ამასთან ერთად, ჩვენი ღრმა რწმენით შუასაუკუნეების პერიოდისათვის ხარო ადრესამიწათმოქმედო ეპოქისათვის დამახასიათებელი სასურსათო თუ სამეურნეო ორმოების სრულყოფილი გენეტიკური სახეობაა და იგი ქართული სამეურნეო ყოფისა და სამშენებლო საქმის ერთობლივ კულტურულ-ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენს.


**T. Chikovani**

**KHARO – A SUBTERRANEAN GRANARY**
(Summary)

Numerous mediaeval underground granaries (“kharo”) have been unearthed by the author of

the present paper on the territory of Trialeti and Samtskhe-Javakheti in the early 1950s. Such mediaeval granaries represent jar-shaped stone structures of impressive dimensions (2.5-3 m deep and 2-2.5 wide, with the diameter of the mouth reaching 70-80 cm). The method of cybernetic retrospection proved that structures of the above volume could accommodate at least 5 tonnes of grain. Discoveries of such huge granaries testify to the existence of wide-scale farming in those regions. This conjecture backed also by historical and ethnographic data.

## ლიტერატურა


1. **კეკელიძე კ.** ძველი ქართული მწერლობის ისტორია. თბ., 1951.
2. **მარგველაშვილი მ.** ქალაქი ჟინვალი. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999.
3. **სულხან-საბა ორბელიანი.** სიტყვის კონა. თბ., 1949.
4. **სვანიძე მ.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ., 1984.
5. **ჩიქოვანი თ.** ქართული ხალხური საცხოვრებელი. თბ., 1960.
6. **ჩიქოვანი თ.** ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967.
7. **ჩიქოვანი თ.** თრიალეთი. თბ., 1976.
8. **ჩიქოვანი თ.** ჯავახეთი. თბ., 1982.
9. **ჩუბინაშვილი დ.** ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984.
10. **ჩუბინაშვილი დ.** ქართული ლექსიკონი. თბ., 1961.
11. **ჯავახიშვილი ივ.** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1952.
12. **ჯალაბაძე გ.** აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღის ისტორიიდან. თბ., 1960.
13. **ჯალაბაძე გ.** მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში. – კრებ. „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972.
14. **ჯალაბაძე გ.** მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1986.
15. **ჯიქია ს.** გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II, თბ., 1941.

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს   ი ს ტ ო რ ი ა

**History of Archaeology**

### მარიამ მუმლაძე

## ლეჩხუმის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან

საქართველოს ულამაზესი კუთხე, ლეჩხუმი, ცხენისწყლისა და რიონის შუა წელზე მდებარეობს. XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „გორდიდან ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად... ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო – ესე არს ლეჩხუმი. გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განყოფს: გუელის თავის მცირე მთა აღმოსავლეთიდან; ჩრდილოთ მთა კავკასი, ლეჩხუმისა და სვანეთს შორისი; დასავლეთით მთა კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამხრეთიდ მთა გორდამდე“ [2, გვ. 748]. ლეჩხუმი ორ ნაწილად იყოფა. ზემო და ქვემო ლეჩხუმად. ეს რეგიონი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს ნეოლითური ხანის კაჟის იარაღის აღმოჩენა [8, გვ. 147; 21, გვ. 68]. მოსახლეობის განუწყვეტელი ცხოვრების კვალი ამ მხარეში ბევრგან დასტურდება, როგორც შემთხვევითი მონაპოვრებით, ისე გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოებით.



სურ. 1

აქ აღმოჩენილია შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი (თოხები, ნამგალი), ბრინჯაოს ცხენოსნის ქანდაკება და სხვ. არქეოლოგიურადაა შესწავლილი სოფ. ცხეთასთან არსებული ნამოსახლარი, რომელიც ძვ.წ. VIII-V სს. განეკუთვნება. აღმოჩენილი კერამიკა, ძვლის ანკესი, კაჟის ნამგლის ჩასართავები, ასევე ბრინჯაოს თოხები და ცულები უძველესი ლეჩხუმელების განვითარებულ მეურნეობაზე მიუთითებს. ხოლო სამარხთა ტიპები ამ რეგიონში გავრცელებული დაკრძალვის წესების შესახებ გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას [9, გვ. 32-33; 10, გვ. 79-80; 11, გვ. 34-36; 12, გვ. 96-104; 13, გვ. 109-116; 14, გვ. 51-58; 15, გვ. 3, 371-372].

ლეჩხუმში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მნიშვნელობა არაერთხელ იქნა აღნიშნული ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ. იხ. [5, გვ. 44; 7, გვ. 123; 18, გვ. 79, 80; 23, გვ. 18, 19]. მიუხედავად ამისა სამეცნიერო წრეებისათვის თითქმის უცნობი რჩება ის სამუშაოები, რომლებიც მიმდინარეობდა XX ს. დასაწყისში მურის ციხესთან. ჩვენი მიზანი სწორედ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებაა.

მურის ციხე (სურ. 1) თავისი მდებარეობით ერთ-ერთი შთამბეჭდავია მთელს ლეჩხუმში. იგი აგებულია სვანეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, ცხენისწყლის ვიწრო გასასვლელში, საკმაოდ მიუვალ ადგილას [3, გვ. 18]. არქეოლოგიურად მისი შესწავლისადმი ინტერესი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გაჩენილა. პირველი არქეოლოგიური სამუშაოები აქ ჩატარდა 1914 წელს. გათხრები აწარმოეს დ. ყიფშიძემ, ე. მიქელაძემ და ნ. ტიხონოვმა. ჩვენი ინტერესი გამოიწვია ამ მხარეში დავით ყიფშიძის საქმიანობამ, რაც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა გაშუქებული. საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ მურის ციხეზე მის მიერ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რადგან ვთვლით, რომ იგი საინტერესო იქნება ამ რეგიონის მკვლევართათვის.

დავით ყიფშიძე (სურ. 2) იმ ქართველ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავისი ცხოვრების მიზნად საქართველოს ისტორიის კვლევა ჰქონდათ დასახული. ყიფშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ღირსეული ადგილი ეკავათ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ძმები ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეები, იოსებ ყიფშიძე და სხვები). დავით ალექსის ძე ყიფშიძე დაიბადა 1890 წელს სოფ. სკანდეში (დღევანდელი თერჯოლის რაიონი), გარდაიცვალა იქვე, სრულიად ახალგაზრდა, ოცდაცხრა წლის

ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში [1, გვ. 360-361], თუმცა თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ბევრის გაკეთება შესძლო. 1910 წელს ქუთაისის გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე. უნივერსიტეტი მან 1916 წელს დაამთავრა. სტუდენტობის დროს იგი, ისევე როგორც მისი უფროსი ძმა იოსები, აკადემიკოსმა ნიკო მარმა ჩართო კავკასიის სიძველეთა კვლევა-ძიების საქმეში. ნ. მარი დ. ყიფშიძეს ახასიათებდა, როგორც მაღალკვალიფიცირებულ და მომზადებულ პიროვნებას, რომლისთვისაც სისხლხორცეული იყო ეროვნული ინტერესები. დ. ყიფშიძის სახით ნიკო მარმა დაინახა ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების მიზანს მეცნიერულ შრომაში ეძიებდა და რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც შუა საუკუნეების გამოქვაბულების ნამდვილმა სპეციალისტმა [22, გვ. 336]. ამავე დროს დ. ყიფშიძემ გამოავლინა ფილოლოგიური მეცნიერებით დიდი დაინტერესება [22, გვ. 337; 16, გვ. 656]. დავით ყიფშიძემ შეისწავლა და გამოსცა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები: „პროხორეს ცხოვრება“, „წმინდა ლუკასა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობა“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა სომხურ ენასა და ლიტერატურას.



სურ. 2

დავით ყიფშიძე ნიკო მარის ხელმძღვანელობით იკვლევდა კლდეში ნაკვეთ ქალაქებს, უფლისციხესა და ვარძიას, ასევე ანისის გამოქვაბულებს, რომლის შესწავლა ნ. მარმა ჯერ კიდევ 1892 წლიდან დაიწყო (სურ. 3).[32] ახალგაზრდა მეცნიერის მიერ ჩატარებული სამუშაოებით ნიკო მარი მეტად კმაყოფილი დარჩენილა და თავისი ანგარიში, რომელშიც დ. ყიფშიძის მიერ მოპოვებული მასალა უხვად იყო გამოყენებული, წარუდგენია პეტროგრადის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის აღმოსავლეთის განყოფილებისათვის [22, გვ. 336].

"Плод кропотливых настойчивых его работ, в виде весьма толстой рукописи, снабженной фотографическими снимками, лежит у нас здесь в Петрограде, в архиве Кавказского Историко-Археологического Института. Мы все, бывшие в Ани, были свидетели, как не щадя сил, не жалея себя, Д. А. Кипшидзе, страдавший туберкулезом, с точностью хронометра выполнял дневные задания своей обширной работы".



სურ. 3

1917 წელს ნიკო მარმა განაახლა ვარძიის გამოქვაბულების კვლევა. მისი აზრით დავით ყიფშიძეზე უკეთესად ამ სამუშაოს ვერავინ შეასრულებდა. დავით ყიფშიძე და სილიბისტრო ლომია ფოტოგრაფთან ერთად კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის ნიკო მარის რეკომენდაციით და მისივე პროგრამით გაემგზავრნენ მესხეთში: დ. ყიფშიძე ვარძიის გამოქვაბულების გამოსაკვლევად, ხოლო ს. ლომია მესხური კილოკავების შესასწავლად. ამ ექსპედიციის შედეგები დავით ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა სახელწოდებით "О росписи большого храмового пещер-

[32] ა. ბრუირის მიერ გადაღებულ ფოტოზე დავით ყიფშიძე კითხვის ნიშნით არის აღნიშნული. სხვა ფოტოებთან შედარება გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ აქ გამოსახული პიროვნება ნამდვილად დ. ყიფშიძეა. ფოტო გადაღებულია 1915 წელს ანისში; გამოქვეყნებულია [20, გვ. 3].

ного сооружения Вардзии" (Извлечение из черновых материалов изд. под. ред. Д. П. Гордеева (предисл. и прим. сост.) [17, გვ. 361].

მურში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების აუცილებლობის საკითხი პირველად დასვა 1908 წელს ლეჩხუმის მაზრის უფროსმა ა. ენკელმა, რომელმაც ამის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა ჯერ ქუთაისის გუბერნატორს, შემდეგ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. სინოდალურმა კანტორამ ეს მიმართვა გადაუგზავნა იმერეთის ეპისკოპოსს, გიორგის, რომელსაც ავალებდა ცნობების შეკრებასა და თავისი დასკვნების გამოტანას. არქეოლოგიური გათხრების ჩატარება მიზნად ისახავდა ლეჩხუმში მოღვაწე მაქსიმე აღმსარებლის საფლავის აღმოჩენას, რომელიც ხალხური გადმოცემის თანახმად მურის ციხესთან არსებულ ერთ-ერთ პატარა საყდარში უნდა ყოფილიყო.

ეპისკოპოსმა გიორგიმ 1909 წლის 21 თებერვალს იმერეთის სინოდალურ კანტორას გამოუგზავნა რაპორტი, შედგენილი თედო ჟორდანიას ცვალების ადგილისა და დაკრძალვის შესახებ. მანვე 1921 წლის 27 აგვისტოს თედო ჟორდანიას წერილი გადასცა პეტროგრადის სასულიერო აკადემიას.

ამის შემდეგ შედგა წერილი აკადემიის საბჭოს დავალებით (1913 წ. 16 დეკემბერი) და წარედგინა წმინდა სინოდს. მასში მოცემული ცნობები წმინდა მაქსიმე აღმსარებლის დაკრძალვის შესახებ ადგილ მურში მიჩნეული იქნა სრულიად სარწმუნოდ. გამოითქვა სურვილი, რომ საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის ჩატარებულიყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება აკადემიკოს ნიკო მარის ხელმძღვანელობით, რომელიც კომპეტენტურ პიროვნებად ითვლებოდა კავკასიისა და მისი სიძველეების კვლევის საქმეში. წმინდა სინოდმა 1914 წელს 20/28 მარტს დაავალა თავის ობერპროკურორს მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირება, რათა განხორციელებულიყო განზრახული არქეოლოგიური კვლევა 500 მანეთის ფარგლებში. დაწვრილებით იხ. [19, გვ. 6].

მურისა და მისი შემოგარენის კვლევა და




სურ. 4

წერილზე დაყრდნობით. რაპორტში აღნიშნული იყო, რომ ლეჩხუმის მაზრის უფროსის შუამდგომლობა ქებასა და სრულ მხარდაჭერას იმსახურებს: „... заслуживает полной похвалы и одобрения, ибо изложенные в представленной записке данные не оставляют сомнений в том, что Максим Исповедник погребен в указанной в ходатайстве Энкеля часовне, состоящей ныне в развалинах" [19, გვ. 6].

1909 წელს 31 აგვისტოს წმინდა სინოდს მოხსენდა რაპორტი, რომელსაც თან ჰქონდა დართული თედო ჟორდანიას მიწერილობა-შუამდგომლობა. წმინდა სინოდმა საჭიროდ ჩათვალა საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე გადაემოწმებინა კანტორის მიერ წარდგენილი ისტორიული ცნობები მაქსიმე აღმსარებლის გარდა- არქეოლოგიური გათხრების წარმოება დაიწყო 1914 წლის ზაფხულში [22, გვ. 336; 19, გვ. 6; 20, გვ. 9; 17, გვ. 357-362; 16, გვ. 656; 6, გვ. 3-4]. ნიკო მარმა ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობიდან მურში მიავლინა კავკასიის მუზეუმის უფროსი მცველი ნ. ტიხონოვი, თავადი ე. მიქელაძე და დ. ყიფშიძე. ექსპედიციის სამივე მონაწილეს პრაქტიკა ანისში ჰქონდა მიღებული. ნ. მარმა მათ დავალებები გადაუნაწილა: "Д. А. Кипшидзе, которому было поручено осмотреть близлежащие памятники и опросом окрестного населения найти для освещения древностей в Муре опору или пережиточные их самих отклики в местных памятниках материальной культуры и местных народных преданиях." [22, გვ. 336].

განსაკუთრებულ ყურადღებას ნიკო მარი დიმიტრი ყიფშიძისადმი იჩენდა და დიდად აფასებდა მის მონდომებასა და საქმისადმი სიყვარულს.

"Д. А. Кипшидзе мне казался более по расположению своему и подготовке призванным работать в области письменных или устных литературно-филологических изысканий. Но на государственном экзамене у Я. И. Смирнова на меня произвели впечатление продуманные и совершенно зрелые научно формулированные ответы Д. А. Кипшидзе на задававшиеся ему вопросы по Уплис-Цихским пещерам, в рисунках Dubois" [22, გვ. 336].

არქეოლოგიური სამუშაოები მურში კეთილსინდისიერად იქნა შესრულებული. 13-16 ივლისს მურის შემოგარენი დაათვალიერა ნიკო მარმა. დავით ყიფშიძემ მას წარუდგინა თავისი მუშაობის ანგარიში.[33] ნიკო მარის აზრით, მურის ციხის ტერიტორიაზე წარმოებულმა კვლევამ პირდაპირი პასუხი ვერ გასცა კითხვას მაქსიმე აღმსარებლის საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ. მოპოვებული მასალების დამუშავება, ნ. მარის დასკვნით, მოითხოვდა დამატებით კვლევა-ძიებას, ძირითადად მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ქართული ვარიანტის შესწავლის საფუძველზე [19, გვ. 6].

მურის გათხრების მოკლე ანგარიში 1915 წლის 11 თებერვალს ნიკო მარმა წაიკითხა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე. ჩვენთვის უცნობია ანგარიშის შინაარსი. მისი მოძიება ალბათ ახალ, დღემდე უცნობ მრავალ საინტერესო საკითხს მოჰფენს შუქს.

1918 წელს პეტერბურგში გამოიცა ა. ბრილიანტოვის ნაშრომი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ. ამის შემდეგ ამ საკითხების კვლევა პრაქტიკულად შეწყდა, თუმცა იყო გარკვეული ცდები მეცნიერთა ჯგუფისა ამ მიმართულებით [6, გვ. 3].

მაქსიმე აღმსარებლის გარდაცვალებისა და მისი საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ ახალხანს ჟურნალ „ხვამლში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში, ავტორი, ეპისკოპოსი სტეფანე, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მაქსიმე აღმსარებელი გარდაიცვალა ბიზანტიურ ციხე-სიმაგრე სქიომარში.[34] 680 წლის შემდეგ მისი ნაწილები გადაუსვენებიათ ცაგერთან ახლოს, მურის ციხის ძირში არსებულ არსენის მონასტერში, რომელსაც შემდეგ მაქსიმე აღმსარებლის სახელი ეწოდა. ავტორი თვლის, რომ მისი საფლავი დღესაც არის მაქსიმე აღმსარებლის მონასტერში აგებულ მცირე ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ [9, გვ. 12].

მურის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება დღესაც აქტუალურია. უპირველეს ყოვლისა, შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენის მიზნით. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საწყის ეტაპზე ნიკო მარის ხელმძღვანელობითა და დავით ყიფშიძის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა.

## ლიტერატურა


1. **ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ.** მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994.

2. **ბაგრატიონი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973.

3. **ბერძენიშვილი დ., ბაქრაძე მ., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ნ.** ლეჩხუმი, თბ., 1983.

4. **ბოჭორიძე გ.** რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.

5. **გამყრელიძე გ.** საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. - საქართველოს არქეოლოგია. ტ. I, თბ., 1991, გვ. 12-45.

6. **ეპისკოპოსი სტეფანე.** წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საქართველოში გადმოსახლების, მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილმდებარეობის დადგენისათვის, - ხვამლი. ცაგერი, 2003, გვ. 3-12.

7. **მუსხელიშვილი დ.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977.

8. **ნებიერიძე ლ.** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986.

9. **ნონეშვილი ა.** ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ., 1983.


---

[33] მურის ციხეზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში ინახება ქ. სანკტ-პეტერბურგში (ყოფილი სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ლენინგრადის განყოფილება. ფონდი 800, საქმე 252), ხოლო მისი ფოტო-ასლები დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ანგარიში შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე. მოიცავს 53 გვერდს. ანგარიშში არაფერია აღნიშნული წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შესახებ. მოცემულია მხოლოდ ხალხში შეკრებილი თქმულებების ვარიანტები მაქსიმე აღმსარებლის შესახებ და ასევე მიწისზედა ისტორიული ძეგლების აღწერა. ანგარიშს ახლავს დადიანების სასახლის გეგმა, რომელიც დ. ყიფშიძის თქმით 100 ნაბიჯზე ყოფილა მურის ციხიდან (სურ. 4).

[34] მკვლევართა ნაწილი მურისა და სქიომარის ციხეებს ერთსა და იმავედ მიიჩნევს [3, გვ. 18], ზოგიერთი კი თვლის, რომ ეს ორი სხვადასხვა ციხესიმაგრეა [6, გვ. 12].

**10. სახაროვა ლ.** ანტიკური ხანის სამარხე-ბი. – საბჭოთა ხელოვნება, № 9, თბ., 1963, გვ. 79-80.

**11. სახაროვა ლ.** შუა კავკასიონის სამხრეთ კალთის ბრინჯაოს ხანის ექსპედიციის ლეჩხუ-მის რაზმის 1962 წლის ანგარიში. – სამეც-ნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1963, გვ. 34-36.

**12. სახაროვა ლ.** ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური მუშაობის შედეგები. – მაცნე, 1976, № 3, გვ. 96-104.

**13. სულავა ნ.** ანტიკური ხანის არქეოლო-გიური ძეგლები ლეჩხუმიდან (სოფელი უსახე-ლო). – მაცნე, № 2, 1988, გვ. 109-116.

**14. სულავა ნ.** ანტიკური ხანის სამკაულები ლეჩხუმიდან. – საბჭოთა ხელოვნება, № 5, 1989, გვ. 51-58.

**15. სულავა ნ.** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბ., 1996.

**16. ქავთარაძე ე.** დავით ყიფშიძე. – ქსე, ტ. IV, გვ. 656.

**17. ჩიტაია გ.** დავით ყიფშიძისა და სილი-ბისტრო ლომიას ხსოვნას. – მიმომხილველი, ტ. I, ტფილისი, 1926, გვ. 357-362.

**18. ჯაფარიძე ო.** საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003.

19. **Брилиантов А.** О месте кончины и погребения св. Максима исповедника. – Христианский Восток, т. VI, вып. I, 1917, с. 6-36.

**20. Кипшидзе Д.** Пещеры Ани. Ереван, 1972.

**21. Лордкипанидзе О.** Наследие древней Грузии. Тбилиси, 1989.

**22. Марр Н.** Памяти И. А. и Д. А. Кипшидзе и С. Ломия. – Христианский Восток, т. VI, вып. III, 1917-1920, 1922, с. 35-40.

**23. Придик Е.** Новые Кавказские клады. – МАР, № 34, Петроград, 1914, с. 18-19.

**სურათების აღწერილობა**

სურ. 1 – მურის ციხე.

სურ. 2 – დავით ყიფშიძე.

სურ. 3 – დავით ყიფშიძე ანისში, 1915 წელი. სხედან: გ. კაპანციანი, ნ. მარი, ი. ორბელი; დგანან: ა. ბრუირი, დ. ყიფშიძე; მესამე პიროვნე-ბა უცნობია.

სურ. 4 – დ. ყიფშიძის მიერ შესრულებული დადიანების სასახლის გეგმა.

ლილი ყაზახიშვილი

# V არქეოლოგიური ყრილობა (მასალები)

V არქეოლოგიურმა ყრილობამ დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის არქეოლოგიის - იმ დროისათვის ახლადფეხმოკიდებული მეცნიერების დამკვიდრებასა და განვითარებაში. აკად. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით, „ამ ყრილობამ მეტად გააღვია ინტერესი კავკასიის, და კერძოდ ქართული არქეოლოგიისადმი" [3, გვ. 368].

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობაზე არქეოლოგიისადმი მიძღვნილი მოხსენებები მწირედ იყო წარმოდგენილი, მათ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არქეოლოგიის შემდეგი განვითარებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ V არქეოლოგიური ყრილობა, ორგანიზებული მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მიერ, ჩატარდა სწორედ ქ. თბილისში, და ამ ყრილობით დაიწყო ახალი ერა კავკასიის არქეოლოგიაში.

საყურადღებოა, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯები ქართველი არქეოლოგებისა, რომლებმაც ყრილობაზე სერიოზული მეცნიერული განაცხადი გააკეთეს.

V არქეოლოგიური ყრილობის ქ. თბილისში ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოება იყო [2, გვ. 16].

ყრილობაზე დასმული საკითხების აქტუალობა და ორგანიზაციული მუშაობის მაღალი დონე დღესაც დიდ ინტერესს იმსახურებს, რაც განაპირობებს ყრილობის მასალების კიდევ ერთხელ შესწავლისა და გამომზეურების აუცილებლობას.

ყრილობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, განხორციელდა ექსპედიციები კავკასიის სხვადასხვა კუთხეში, მოეწყო ექსკურსიები [1, გვ. 29].

მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ, გრაფმა ალექსეი უვაროვმა კავკასიაში გაატარა 1879, 1880, 1881 წწ. ზაფხული და შემოდგომა. იგი პირადად ხელმძღვანელობდა გათხრებს ოსეთში, დაღესტანსა და მტკვარ-არაქსის ხეობაში. გრაფს გათხრებში ეხმარებოდნენ დ. ბაქრაძე, ნ. წილოსანი, ფ. ბაიერნი, პოლიაკოვი, ა. კომაროვი, ოლშევსკი, ვლ. ანტონოვიჩი და სხვ. [7, გვ. 10, 12].

ყრილობას წინ უსწრებდა მოსამზადებელი კომიტეტის მუშაობა. საოცარი რუდუნებით იყო შემუშავებული ყრილობის წესები, რომელიც დაამტკიცა რუსეთის განათლების სამინისტრომ 1880 წლის 12 აპრილს. ეს წესები დღევანდელი დღის გადასახედიდანაც კი საკმაოდ საინტერესოა.

1. ყრილობა გაიხსნება ქ. თბილისში და გაგრძელდება არა უმეტეს ორი კვირისა.

2. ყრილობის გახსნამდე ერთი კვირით ადრე მუშაობას შეუდგება ყრილობის საბჭო.

3. საბჭოს შეადგენენ ყრილობაზე ჩამოსული კომიტეტის წევრები და დეპუტატები, წარმოდგენილნი სამეცნიერო დაწესებულებებიდან და არქეოლოგიური საზოგადოებებიდან.

4. ყრილობის წევრად ჩაითვლება ყველა ის პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს მიიღოს მონაწილეობა სხდომების მუშაობაში და გადაიხდის 3 რუბლსა და 60 კაპიკს. ამ პირებს დაურიგდებათ საწევრო ბილეთები და სამკერდე ნიშნები.

5. საბჭოს წევრები არ თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან.

6. ყრილობის წევრად ჩაწერა, გადასახადის გადახდა და საწევრო ბილეთის მიღება შეიძლება მოხდეს წინასწარ, მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებაში ან წევრ-კორესპონდენტებთან.

7. ყრილობაზე ნავარაუდევია არქეოლოგიური გამოფენის გახსნა.

8. ყრილობის ყველა სხდომა საჯაროა.

9. პირველივე სხდომაზე ყრილობის საბჭო ირჩევს თავმჯდომარესა და განმკარგულებელ კომიტეტს, შემდგარს ექვსი წევრისაგან. ამ კომიტეტშივე შედის ხაზინადარიც.

10. განმკარგულებელი კომიტეტი განაგებს ყრილობის სამეურნეო ნაწილს, აგრეთვე შიდა და გარე განაწესს.

11. ყოველ სხდომაზე ირჩევა თავმჯდომარე.

12. სამეცნიერო კომიტეტი ხელმძღვანელობს სამეცნიერო ნაწილს და მეთვალყურეობას უწევს სამეცნიერო მუშაობის მსვლელობას.

13. ყოველი სხდომის პროგრამა წინასწარ განისაზღვრება სამეცნიერო კომიტეტის მიერ და გამოიკვრება სხდომათა დარბაზის კარებზე.

14. ყრილობის მსვლელობის განმავლობაში ცალკეულ გამოცემებად ქვეყნდება სხდომების მოკლე ანგარიში და უფასოდ ურიგდებათ ყრილობის წევრებს.

15. სხდომაზე დასაშვებია მოხსენება არა უმეტეს ნახევარი საათისა და თუ მომხსენებელი ითხოვს მეტ დროს, ეს შეთანხმებული უნდა იყოს სამეცნიერო კომიტეტთან.

16. სხდომები ტარდება რუსულ ენაზე. სამეცნიერო კომიტეტს შეუძლია დანიშნოს განსაკუთრებული სხდომა უცხოელი მეცნიერების მოსასმენად, თუ კი ეს მოხსენებები მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მეცნიერებისათვის.

17. ყრილობაზე წაკითხული შრომების დასაბეჭდად საბჭო ირჩევს სარედაქციო კომიტეტს [7, გვ. 9, 20].

საინტერესოა ყრილობის სხდომების პროტოკოლი:

I. პირველყოფილი საზოგადოების ძეგლები - თავმჯდ. გრაფი ალ. უვაროვი.

II. წარმართული და კლასიკური ძეგლები - თავმჯდ. ლ. ივანოვსკი.

III. ქრისტიანული ძეგლები - თავმჯდ. კ. პატკანოვი.

V. ხელოვნების და მხატვრობის ძეგლები - თავმჯდ. ნ. პეტროვი.

VI. დამწერლობის და ენის ძეგლები - თავმჯდ. დ. ბაქრაძე.

VII. ლინგვისტიკა - თავმჯდ. ვ. მილერი.

VIII. ისტორიული გეოგრაფია და ეთნოგრაფია - თავმჯდ. ა. არისტოვი.

ცალკე იქნა შემუშავებული პროტოკოლი კავკასიის არქეოლოგიური კვლევისათვის [5, გვ. 12].

ყრილობაზე წაკითხული იქნა 81 მოხსენება. ქვემოთ მოკლედაა გადმოცემული იმ მოხსენებების არსი, რომლებიც ასახავენ იმ დროისათვის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს [7, გვ. 20, 25].

ამრიგად, V არქეოლოგიური ყრილობა გაიხსნა 1881 წლის 8 სექტემბერს და გაგრძელდა 21 სექტემბრამდე.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი სხვა ყრილობისათვის არ გაკეთებულა იმდენი, რამდენიც ამ ყრილობისათვის. მისმა უდიდებულესობამ მიხეილ ნიკოლოზის ძემ თავისი საკუთარი სასახლე დაუთმო ყრილობას სხდომების ჩატარებისათვის და გამოყო ყრილობის საჭიროებისათვის 1500 რუბლი.

ყრილობის მონაწილეთა და სტუმრების ვრცელი სია წარმოადგენდა იმ დროის მეცნიერთა ბრწყინვალე კოჰორტას. მათ შორის იყვნენ: ბერლინის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე რ. ვირხოვი, პროფ. დ. ანუჩინი, ვლ. ანტონოვიჩი, ა. ავდეევი, დ. არისტოვი, დ. ბაქრაძე, თბილისის „მოყვარულ არქეოლოგთა საზოგადოების თავჯდომარე დ. ჯორჯაძე, დ. ჯორბენაძე, ა. ცაგარელი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, ა. ერიწოვი, გენერალ-ლეიტენანტი ა. კომაროვი. ა. ფურცელაძე, თბილისის მუზეუმის დირექტორი გუსტავ რადე, გრაფინია ნ. ტრუბეცკაია, გრაფი დ. ტოლსტოი და სხვა.

ყრილობის პირველივე დღეს გაიხსნა განახლებული კავკასიის მუზეუმი. გახსნაზე მოწვეული იყვნენ კავკასიის ეგზარხოსი, მაღალი სასულიერო პირები, გენერალიტეტი, რუსი და უცხოელი სტუმრები და V არქ. ყრილობის მონაწილენი [7, გვ. 20, 25].

V არქეოლოგურ ყრილობას ფართოდ აშუქებდა იმდროინდელი პრესა, კერძოდ, გაზეთ „დროებაში“ 1880 წლიდანვე ქვეყნდებოდა წერილები V არქეოლოგიური ყრილობის სამომავლო პერსპექტივებზე, მოსამზადებელი კომიტეტის მიერ წარმოებულ სამუშაოებზე. იგივე გაზეთ „დროებაში“ ყრილობის მიმდინარეობის დროს და შემდეგაც უამრავი წერილი გამოქვეყნდა [4, გვ. 45, 48].

საღამოს მეფისნაცვლის სასახლის ბრწყინვალედ განათებულ და მორთულ ბაღში გაიმართა ყრილობისადმი მიძღვნილი ზეიმი.

ყრილობას მეფისნაცვლის თხოვნით მიესალმა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი ლევან მელიქოვი: „განსაკუთრებულ პატივად მივიჩნევ მისი უდიდებულესობის დავალებას, ვუსურვებ ყრილობას წარმატებას, მივესალმები საზოგადოებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენს შორეულ მხარეში, რათა მეცნიერების შუქით გაანათონ იგი და V არქეოლოგიურ ყრილობას გახსნილად ვაცხადებ.“

სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარემ, გრაფმა ალექსეი უვაროვმა ყრილობას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ შევიკრიბეთ მეხუთეჯერ ჩვენთვის ძვირფასი არქეოლოგიური მეცნიერებისათვის“. მან აღნიშნა, რომ პირველი ოთხი ყრილობის სამეცნიერო შრომებმა უცხოელი მეცნიერების უდიდესი ყურადღება დაიმსახურა. V არქეოლოგიური ყრილობის მოწვევა ქ. თბილისში განპირობებული იყო იმით, რომ კავკასია, ასე მდიდარი თავისი უძველესი არქეოლოგიური ძეგლებით, ნაკლებადაა შესწავლილი, მცირედაა გამოქვეყნებული შრომები კავკასიის შესახებ. მათ შორის საუკეთესოა ფ. დიუბუას შრომები, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება „ამ უძველესი კულტურის მატარებელი ხალხის არქეოლოგიურ მემკვიდრეობას“ [7, გვ. 30].

გრაფი უვაროვის წინადადებით ყრილობამ იმპერატორის სახელზე გაგზავნა მისასალმებელი ტელეგრამა, რომელშიც გამოთქმული იყო უდიდესი მადლიერება ყრილობის ჩატარების ხელშეწყობისათვის და აირჩია იგი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

ა. კომაროვმა წაიკითხა ყრილობისადმი გამოგზავნილი მისასალმებელი ტელეგრამები რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო საზოგადოებებიდან.

ყრილობას მიესალმა ბერლინის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე პროფ. მამსენი. მან ილაპარაკა კავკასიის ისტორიული ძეგლების სიუხვესა და მრავალფეროვნებაზე და მოიხსენია კავკასია, როგორც რუსეთის დიდი იმპერიის ერთ-ერთი მხარე. მიმოიხილა რა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, მან შენიშნა, რომ ეს ურთიერთობები ხან მწვავდებოდა, ხანაც ისევ კეთილგანწყობილი ხდებოდა. „ახლა, როდესაც ეს დოვლათიანი მხარე მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთს, მეცნიერებს ფართო ასპარეზი გადაეშალათ საქართველოს შესწავლისათვის“ - აღნიშნავს იგი.

ყურადღებას იმსახურებს დ. ბაქრაძის რეფერატი „ქართული ოთხთავის უძველესი ვარიანტები“ [6, № 14, გვ. 3]. ნ. წილოსანის მოხსენება ეძღვნებოდა უძველეს ქალაქ ბერდაში ჩატარებულ გათხრებს. გათხრები ამ ნაქალაქარზე ჩატარდა არაბი მწერლის იბნ-ესირ-ჯეზირის

ცნობებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც „რუსები“ ("русы") აუყვნენ ხაზარის ზღვას და აღმოჩნდნენ ბერდასთან. სამწუხაროდ, აღნიშნავდა ნ. წილოსანი, განათხარი მასალა არ იძლევა საფუძველს რაიმე დასკვნის გაკეთებისა „რუსების“ ამ ადგილებში ცხოვრების შესახებ [6, № 6, გვ. 4].

დ. ფურცელაძის მოხსენება ეხებოდა კიევში არსებულ ქართულ საეკლესიო ძეგლებს. მან აღნიშნა, რომ ქართული ხატწერა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროის წყაროებში იხსენიებოდა და დაიმოწმა რამდენიმე ქართული დოკუმენტი [6, № 8, გვ. 2].

საგულისხმოა დ. ბაქრაძის მიერ წაკითხული არქიმანდრიტ ანტონინის წერილი, რომელშიც განხილული იყო იერუსალიმში მიკვლეული ქართული სიძველეები და პალესტინის მონასტერი. წერილში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქრისტეს აღდგომის სახელობის ტაძარში განლაგებულ, ოდესღაც უმდიდრეს ბიბლიოთეკაში, ამჟამად შემორჩენილია პერგამენტზე შესრულებული მხოლოდ რამდენიმე ათეული ხელნაწერი [6, № 14, გვ. 2].

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფ. ა. ცაგარელმა ყრილობას წარუდგინა ცნობები ქართული დამწერლობის ძეგლების შესახებ და აღნიშნა, რომ პირველი ქართული ბეჭდვითი გამოცემა XVI ს. განეკუთვნება და დაიბეჭდა ვენეციაში, ხოლო XVII ს. გამოიცა ფსალმუნი და ანბანი.

დ. ბაქრაძემ ამაზე შენიშნა, რომ ქართული ბეჭდვითი გამოცემები უფრო ადრეულია და რომ ცაგარელს მართებდა მეტი ყურადღება დაეთმო პიცუნდის ტაძრის კატალოგისათვის, ხოლო პეტერბურგის აზიის მუზეუმში ინახება რამდენიმე სხვადასხვა სია უძველესი ქართული წყაროებისა. ერთ-ერთი მათგანი მეფე თეიმურაზის საკუთრება იყო, ხოლო მეორე - იმერეთის დედოფალ ნინოს ეკუთვნოდა. ეს ორი წყარო დაედო საფუძვლად ფრანგულ და ქართულ გამოცემებს. ამ წყაროებში ვახტანგ VI-ის ხელით გაკეთებულია მინაწერები, რომლებიც აკად. ბროსემ გამოიყენა წყაროების გამოცემის დროს [6, № 14, გვ. 3].

დიდ ინტერესს იწვევს გრაფ ა. უვაროვის რეფერატი ობსიდიანის იარაღების შესახებ მდ. ქცტას ნაპირებიდან. მან წარუდგინა ყრილობას თიხის ჭურჭელი, ობსიდიანის ისრისპირები, სალესი ქვები, დანები. მან ეს ინვენტარი ნეოლითურ ეპოქას მიაკუთვნა და აღნიშნა, რომ ეს იარაღი ემსახურებოდა როგორც სამხედრო, ისე მშვიდობიან მიზნებს. სადავოა გრაფის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს ამ რეგიონში საერთოდ არ ფიქსირდება ბრინჯაოს ხანა, მაგრამ ეს, ალბათ განპირობებული იყო იმ დროისათვის თრიალეთში აღმოჩენილი ნივთების სიმწირით [6, № 21, გვ. 1].

ა. უვაროვმა აგრეთვე ვრცლად განიხილა ყობანური სამარხები. ილაპარაკა მათ წარმომავლობასა და მნიშვნელობაზე [6, № 21, გვ. 7, 8].

ა. უვაროვმა აგრეთვე განიხილა კავკასიაში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა და აღნიშნა, რომ აქ უხვადაა წარმოდგენილი „დარიკები,“ „კოლხიდკები“, ბერძნული, ბიზანტიური და რომაული მონეტები.

სამთო ინსტიტუტის პროფესორმა მუშკეტოვმა ვრცელი მოხსენება მიუძღვნა სამარყანდში თემურ-ლენგის სამარხს [6, № 7, გვ. 2, 3].

დისკუსია გამოიწვია პროფ. დ. სამოკვასოვის სიტყვამ. მისი თქმით, კისლოვოდსკის მახლობლად პროფ. ანტონოვიჩის მიერ მიკვლეული იყო სამარხი, რომელსაც ზემოდან ადამიანის ძვლები ეყარა; ეს იწვევს ეჭვს, რომ სტრაბონის ვარაუდი კავკასიაში კაციჭამია ტომების არსებობის შესახებ მართალია.

ა. უვაროვმა არასწორი უწოდა ამ მოსაზრებას. ეს ფაქტი მან ახსნა იმით, რომ რაკი სამარხი გაძარცულია, მძარცველების მიერაა ამოყრილი და მიმოფანტული ადამიანის ძვლებიც. ამაზე დ. ანუჩინმა შენიშნა, რომ ეს მოვლენა შესასწავლია და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს [6, № 7, გვ. 4].

პროფ. ს. სმირნოვმა თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა კავკასიაში ანთროპოლოგიური კვლევის აუცილებლობაზე, იმაზე, რომ საჭიროა დარგის სპეციალისტებმა სათანადოდ მიხედონ ამ მეცნიერებას [7, გვ. 39].

პროფ. მილერი თავის რეფერატში აღნიშნავს, რომ ბერძენი ისტორიკოსები და მწერლები პრომეთეოსის მითს კავკასიის ქედს უკავშირებენ. და რომ ქართველებს თავისი ამირანი (პრომეთეოსი), ხოლო სომხებს კი - ართავაზი ჰყავთ.

ამ მოხსენებას გამოეხმაურა სტატკოვსკი. მისი განცხადებით, საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე იგი წააწყდა გამოქვაბულს, სადაც, ოსი ეროვნების მუშების თქმით, „მიჯაჭვული იყო ამირანი“ [6, № 12, გვ. 2].

ქრისტიანული ძეგლების განხილვისას, უვაროვმა წაიკითხა სოფიის ტაძრის წინამძღვრის ლებედინცევის წერილი. წინამძღვარს სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით დაებადა კითხვა – კავკასიის ქრისტიანებმა ხომ არ შეიტანეს თავიანთი რწმენა რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში [7, გვ. 40, 41].

დ. ჩუბინოვმა თავის რეფერატში ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, ყურადღება გაამახვილა პონტოს სამეფოს ეპოქაზე [6, № 8, გვ. 1].

პროფ. ნ. პროცენკომ ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფ. გ. ბაშიჩის შრომების საფუძველზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – აფხაზეთის ეთნოგრაფიული მონაცემები.

პროფ. ს. სმირნოვმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ აკად. გიულდენშტედტი, რომელიც კავკასიაში მოგზაურობდა 1770-71-73 წწ. და გამო-

აქვეყნა „თბილისის აღწერილობა," ძლიერ გაოცდებოდა დღევანდელი თბილისის ხილვით, რადგან ქალაქი, დარბეული და გადამწვარი 1795 წ. აღა მაჰმად ხანის მიერ, დღეს ასე სახეშეცვლილია.

გააგრძელა და განავრცო რა ეს თემა, ა. ერიწოვმა, აღნიშნა, რომ სომხეთის დედაქალაქ ანიში, ძველ ძეგლებზე გვხვდება ქართული წარწერები. ცნობილია ისიც, რომ ყაგიზმანში ქართველი ეპისკოპოსები იხსდნენ, ხოლო უფ-ლისციხის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა სა-ნაპიროზე, არის გამოქვაბული სომხური წარწე-რებით. ამდენად, საკითხი ამა თუ იმ ძეგლის წარმომავლობაზე ფრიად სადავოა, და საეჭვოა, ოდესმე ნათელი მოეფინოს ამ საკითხს - დას-ძენს იგი.

საინტერესოა აგრეთვე ა. ერიწოვის ნაშრომი ბიჭვინტის წმინდა მარიამის მიძინების ტაძრის შესახებ [6, № 14, გვ. 2].

ვრცელი და საინტერესო მოხსენება წარუდ-გინა ყრილობას სერებრიაკოვ-ოქრომჭედლოვმა. მისი აზრით, ქართული დამწერლობა მეფე ფარ-ნავაზმა შემოიღო ქრისტეშობამდე IV ს. ბო-ლოს ან მე-III ს. დასაწყისში. მანვე ილაპარაკა „ხუცურსა" და „მხედრულ" შრიფტზე [6, № 19, გვ. 1].

დ. ანუჩინმა ვრცელი მოხსენება გააკეთა ქვის, ხის, ძვლის ისრისპირებზე და აღნიშნა, რომ ეს იარაღი თითქმის ყველა ხალხის კულ-ტურულ მემკვიდრეობაში გვხვდება [6, № 21, გვ. 2, 3].

ნ. ლიხაჩოვმა ილაპარაკა ოჩამჩირის მიდამო-ებში აღმოჩენილ გამოქვაბულზე, რომელიც აშ-კარად ადამიანის საცხოვრისად იყო გამოყე-ნებული [6, № 21, გვ. 2].

საგულისხმოა, რომ თანამედროვე არქეოლო-გიისათვის საკმაოდ მძაფრი პრობლემა - არქეო-ლოგიური მასალის დატაცებისა, გათხრების უნებართვოდ წარმოებისა, ფასდაუდებელი ნივ-თების საზღვარგარეთ გატანისა, V არქეოლო-გიურ ყრილობაზეც წამოიჭრა.

სხდომის თავმჯდომარე ა. კომაროვი აღნიშ-ნავდა, რომ არქეოლოგიისადმი მზარდ ინტერესთან ერთად, სამწუხაროდ, დაფიქსირდა უძველესი ძეგლების ძარცვა. ადამიანები, რომლებსაც არაფერი გაეგებათ არქეოლოგიისა, ხსნიან სამარხებს და იქ ნაპოვნ ნივთებს ყიდიან არა მარტო კერძო პირებზე, არამედ გააქვთ საზღვარგარეთ. უამრავი არქეოლოგიური ნივთი სამუდამოდაა დაკარგული მეცნიერებისათვის. კომაროვი მიიჩნევს, რომ უნდა აღიძრას შუამდ-გომლობა მეფისნაცვლის წინაშე სახელმწიფო მიწებზე გათხრების აკრძალვის შესახებ, ხოლო გათხრები უნდა ტარდებოდეს იმ სამეცნიერო არქეოლოგიური საზოგადოების ნებართვით, რომელიც უნდა დაარსდეს თბილისში [6, № 22, გვ. 3].

13 სექტემბერს მოეწყო ყრილობის გასვლითი სესია. ყრილობის მონაწილენი გაემგზავრნენ ქ. ქუთაისში. გზად მათ დაათვლიერეს მცხეთის დედათა მონასტერი, რომლის მიდამოებში დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით გაითხარა წინა-ქრისტიანული პერიოდის 3 სამარხი.

ქ. ქუთაისში სტუმრებს შეხვედრა მოუწყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენ-ლობამ და წარჩინებულმა საზოგადოებამ. გელა-თის დათვალიერების შემდეგ მოეწყო საზეიმო შეხვედრა. 15 სექტემბერს ბაგრატის ტაძრის დათვალიერების შემდეგ სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ.

16 სექტემბერს ყრილობამ მისალოცი დეპე-შები მიიღო ინგლისიდან, ვენიდან, ბერლინიდან და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან.

V არქეოლოგიურ ყრილობაზე დაწვრილებით განიხილეს კავკასიის გამყინვარების პერიოდის რუკა.

გაკეთდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოხსე-ნება რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში არქეო-ლოგიური აღმოჩენების შესახებ.

20 სექტემბერს ჩამოყალიბდა კავკასიის არ-ქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ნუმიზმატიკისა და ლინგვისტიკის შემსწავლელი კომისია, რომ-ლის შემადგენლობაში შევიდნენ დ. ანუჩინი, ი. ზაგურსკი, ა. ავდეევი, გ. ტიზენგაუზენი, ნ. ემინი, ი. ივანოვსკი და სხვ.

21 სექტემბერს, ყრილობის დახურვის დღეს, სიტყვა ითხოვა ლ. მაიკოვმა: „ბატონებო, ნება მიბოძეთ რამოდენიმე სიტყვით მივმართო ბ-ნ უვაროვს, რომელიც რუსეთის ყველა ყრილობის მომწყობია, ხოლო თბილისის ყრილობას ბევ-რად მეტი შრომა შეალია, ვიდრე რომელიმე სხვას". შემდეგ მომხსენებელმა მიმოიხილა უვაროვის მიერ განვლილი გზა და აღნიშნა მი-სი უდიდესი დამსახურება არქეოლოგიური მეც-ნიერების წინაშე. მაიკოვმა წინადადება შემოი-ტანა ყრილობის წინაშე, დასაჩუქრდეს ა. უვა-როვი ოქროს მედლით, მისი გამოსახულებითა და სამახსოვრო წარწერით V არქეოლოგიური ყრილობისაგან.

საპასუხო სიტყვაში აღელვებულმა ა. უვა-როვმა მადლობა გადაუხადა ყრილობის ყველა მონაწილესა და მომხსენებელს.

ამავე დღეს ქართულმა დრამატულმა დასმა გამართა პირველი სეზონური სპექტაკლი ყრი-ლობის მონაწილეთათვის, რის შემდეგაც სტუმ-რებმა ნახეს საუკეთესოდ შესრულებული ლე-კური და მოისმინეს ნაციონალური სიმღერები, ხოლო თავადმა რ. ერისთავმა თავისი მჭექარე ხმით წაიკითხა თხორჟევსკის ლექსი თავისუფ-ლების მოყვარე, ლამაზ საქართველოზე. იმ დღესვე გამართულ ბანკეტზე ყრილობის მონა-წილეებს სიტყვით მიმართა თავადმა აკაკი წე-რეთელმა: „ბატონებო, საქართველო თავის ბე-დით ამირანს მოგვაგონებს. ბარბაროსები აწა-მებდნენ, ნაკუწ-ნაკუწ ფლეთდნენ მას, მაგრამ საქართველო საოცრად სიცოცხლისუნარიანი

აღმოჩნდა, და როგორც ფენიქსი, ცეცხლისა და ფერფლიდან აღმდგარი, ყველაზე უძველესი კულტურის მატარებელი ქართველი ხალხი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და შესწავლას. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო კავკასიისათვის, არამედ მთლიანად აღმოსავლეთისათვის. თქვენ, ბატონო მეცნიერებო, ნანგრევებიდან ათავისუფლებთ საქართველოს ისტორიას. დიდია თქვენი ღვაწლი, უსაზღვროა ჩვენი მადლიერება თქვენდამი“, – თქვა მან.

სიტყვით გამოვიდნენ გრაფი უვაროვი, გუსტავ რადე და სხვები.

ყრილობის დახურვისთანავე ა. უვაროვმა გადაწყვიტა V არქეოლოგიური ყრილობის შრომების გამოცემა, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გრაფი მალევე გარდაიცვალა. მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ გააგრძელა მისი წამოწყება.

ერთი წლის შემდეგ საზოგადოებამ თბილისიდან მიიღო სხდომების ანგარიშები, რეფერატები კი თვითონ ავტორებმა მიაწოდეს. ბევრი რეფერატი დაკარგული აღმოჩნდა, და მათი აღდგენა თავის თავზე აიღეს ნ. ანუჩინმა, ვ. მილერმა, ნ. ემინმა, ი. ოქრომჭედლოვმა, ორეშნიკოვმა, გ. რუმიანცევმა და ნიკიტინმა.

საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება თავის მოვალეობად თვლიდა გრაფი უვაროვის მიერ დაწყებული სისტემატური კვლევები გაეგრძელებინა, რადგან საქართველო, ცნობილი თავისი უძველესი ისტორიული ძეგლებით, ფართო სამეცნიერო ასპარეზს უხსნიდა ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს. საზოგადოებამ დაადგინა, რომ ამ ძეგლების შესწავლა გადაუდებელი და აუცილებელი იყო. მისმა უდიდებულესობამ იმპერატორმა კავკასიის შესწავლისათვის 25000 რუბლი გამოყო, რითაც საფუძველი ჩაუყარა არქეოლოგიის შემდეგ განვითარებას კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში.

## ლიტერატურა


1. **გამყრელიძე გ.** საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. - საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1991, გვ. 12-45.

2. **გამყრელიძე გ.** ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1996.

3. **თაყაიშვილი ექ.** რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.

4. **მუმლაძე მ.** არქეოლოგია ქართულ პერიოდიკაში (XIX ს. მეორე ნახევარი - XX ს. დასაწყისი). დისერტაცია. ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002.

5. **Протоколы подготовительного комитета к V археологическому съезду в Тифлисе, М., 1882.**

6. **Программа и краткие отчеты заседаний V-го археологического съезда в Тифлисе (Напечатано по распоряжению председателя V-го арх. съезда гр. А. Уварова) СПб. l., 1882.**

7. **Труды V-го археологического съезда под редакцией графини Уваровой, М., 1887.**

# ქრონიკა
# CHRONICLE

## არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2003 წელს

**2003 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალნენ უფროსი მეცნიერ თანამშრომლები ნინო ღოღობერიძე (16 აპრილი), დოდო (ლამარა) სახაროვა (12 ივლისი), ლუიზა (ზემფირა) წერეთელი (29 აგვისტო).**

### სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

ცენტრის თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობდა: ბუნებრივი გარემო ძველი ქვის ხანაში და ადამიანის ადაპტაცია; კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურათა სისტემაში; საქართველოს უძველესი სახელმწიფოები (კოლხეთი, იბერია, ლაზიკა); შუასაუკუნეთა ხანის ნაქალაქარები, ნასოფლარები, ეკლესია-მონასტრები, საწარმოო კერები; ინტერდისციპლინარული (ქიმიურ-ტექნოლოგიური, ტრასოლოგიური, არქეობოტანიკური) გამოკვლევები; არქეოლოგიის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ანალიტიკური ბიბლიოგრაფია; არქეოლოგიური განმარტებითი ლექსიკონი; „ქართლის ცხოვრების“ ტოპო-არქეოლოგიური ცნობარი; საქართველოს არქეოლოგიური ატლასი; არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაცია.

### გრანტით შესრულებული სამუშაო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით შესრულდა 24 დასახელების, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური ნაშრომი: ლაკბის ხეობის (კახეთი) ქვედა პალეოლითი (თ. ბუგიანიშვილი); კოდორის ხეობის მეზოლითი (აფიანჩას მასალების მიხედვით) (=ზ. წერეთელი, ლ. ქორქია); საწურბლიას მღვიმური ნამოსახლარი (კ. კალანდაძე); წოფის ენეოლითური ნამოსახლარი და ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები აღმოსავლეთ საქართველოში (ლ. ნებიერიძე – ხელმძღვ., ქ. ესაკია); სამეურნეო-ეკონომიკური სისტემის და სოციალურ ურთიერთობათა დინამიკა ადრელითონების ხანის სამხრეთ კავკასიის კულტურებში (ოთ. ჯაფარიძე – ხელმძღვ., მ. ფუთურიძე, ლ. ჭელიძე, ლ. ჯიბლაძე); მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ნასახლარი და სამაროვანი სოფელ კოდიდან (გ. ფხაკაძე); მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი ძეგლები მცხეთა-თიანეთის რეგიონიდან და მათი ადგილი კავკასიისა და წინა აზიის ადრელითონების კულტურათა სისტემაში (გ. მირცხულავა – ხელმძღვ., ბ. მაისურაძე, გ. ინანიშვილი); მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების კულტურათა ქვისა და ძვლის საბრძოლო-სანადირო იარაღების ტიპოლოგია და გავრცელება (საქართველო) (ალ. ორჯონიკიძე); უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობების აეროარქეოლოგიური კვლევა-ძიება აღმოსავლეთ საქართველოში (გ. მინდიაშვილი – ხელმძღვ., გ. ნარიმანიშვილი); ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურა (ჩამოყალიბების საფუძვლები და განვითარების საფეხურები ძვ.წ. XVII-XIII საუკუნეებში) (კ. ფიცხელაური – ხელმძღვ., ც. მენაბდე, თ. ხოჯაშვილი); სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ცენტრალური ჩრდილოეთ კავკასია ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში (კულტურათა ურთიერთობის პრობლემები) (გ. გოგოჭური – ხელმძღვ., გ. ჩიქოვანი); ბრინჯაო-რკინის ხანის თავხვია საკინძების წარმომავლობა, გავრცელება, ქრონოლოგია (ლ. სახაროვა, ნ. სულავა); შიდა ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით) (ალ. რამიშვილი); კავკასიის მერიდიანული გზები და მათი კულტურულ-ეკონომიკური დინამიკა (ვ. ლიჩელი – ხელმძღვ., რ. რამიშვილი, თ. ჩიქოვანი, ვ. თოლორდავა, ვ. ჩიხლაძე, ც. ჩიკოიძე. მ. ჩხატარაშვილი, რ. რუსიშვილი); საქართველოში აღმოჩენილი უცხოური მონეტების კორპუსი (ძვ.წ. VI-ახ.წ. XVIII სს.) (გ. დუნდუა – ხელმძღვ., ირ. ჯალაღანია); ანტიკური არქეოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. ნაკვეთი I. კერამიკა (დ. კაჭარავა – ხელმძღვ., გ. კვირკველია, ნ. ლორთქიფანიძე, მ. წულუკიძე, არ. ჭანტურია); საომარი იარაღი და ფორტიფიკაცია ანტიკური ხანის საქართველოში (გ. გამყრელიძე – ხელმძღვ., დ. ახვლედიანი, მ. ფირცხალავა, თ. ჭანიშვილი, ვ. შატბერაშვილი, მ. ჩარკვიანი); ანტიკური ხანის ძეგლები სვანეთში (შ. ჩართოლანი – ხელმძღვ., მ. ცინდელიანი); პერგამონი და შავიზღვისპირეთის მასალები ელინისტური ხანის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიისათვის (ნ. მათიაშვილი); დაკრძალვის წესები-რიტუალები ბიჭვინტის სამაროვანზე (ორმოსამარხები) (ნ. კიღურაძე); ლაზიკის (ეგრისის) ქალაქების, სამოსახლოების და საკულტო ნაგებობების (ქრისტიანული ტაძრები) ტოპოგრაფიის და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები ახ.წ. VI-IX სს. (მასალები პუბლიკაციისათვის – „ბიზანტიის იმპერიის ტაბულა.“ ლაზიკა, ნაწილი II) (ვ. ჯაფარიძე – ხელმძღვ., რ. ფუთურიძე, მ. საგინაშვილი, ი. ცუხიშვილი, ელ.

გიგოლაშვილი, კ. წერეთელი, ა. ჭყონია, ნ. მელაძე); ქართული სოფელი შუასაუკუნეებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) (რ. რამიშვილი – ხელმძღვ., დ. მინდორაშვილი, გ. რჩეულიშვილი, ეკ. ჯანდიერი, მ. მარგველაშვილი, ჯ. ამირანაშვილი, ჯ. სონღულაშვილი, ც. ლომიძე, ლ. ცერაძე); სასანური გლიპტიკური ძეგლების კორპუსი (საქართველოში მოპოვებული მასალები) (ქ. ი. რამიშვილი); ნუზალის სამლოცველო (ჩრდ. ოსეთი). ისტორიულ-არქეოლოგიურ-პალეოგრაფიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი ძიებანი (გ. ღამბაშიძე).

**სამეცნიერო სესია-კონფერენციები**

2003 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩაატარა სამი სამეცნიერო სესია შემდეგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

21-26 აპრილი. ტრადიციული საანგარიშო სამეცნიერო სესია 2002 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების შესახებ. სესია გახსნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა ვ. ჯაფარიძემ. მოხსენებები: მ. გაბუნია – სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია; მ. ნიორაძე, ალ. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე, მ. თვალჭრელიძე – დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლი (მომხსენებელი მ. ნიორაძე); ჯ. კოპალიანი – გათხრები დმანისის ნაქალაქარზე; დ. კაჭარავა – გათხრები ვანის ნაქალაქარზე; შ. ჩართოლანი – არქეოლოგიური დაზვერვები სვანეთში; მ. აბრამიშვილი – თბილისის და მისი ქვეყნის ექსპედიცია; გ. რჩეულიშვილი – გათხრები ნადკორის (კახეთი) ნაეკლესიართან; რ. პაპუაშვილი – კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია; ზ. მახარაძე – კასპის რაიონის ექსპედიცია; კ. კახიანი – ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისის რეგიონში; კ. ფიცხელაური, ა. ფურტვენგლერი (ჰალე), ი. მოცენბეკერი (ბერლინი) – ტახტიფერდას ნაციხარი; კ. ფიცხელაური, მ. კორფმანი (ტუბინგენი), ი. ბერტრამი (ტუბინგენი) – არქეოლოგიური კვლევა-ძიება უდაბნოში (მომხსენებელი კ. ფიცხელაური). ცალკე იყო წარმოდგენილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანში ჩატარებული სამუშაოების შედეგები: ვ. ლიჩელი – მილსადენი და არქეოლოგია; ზ. შატბერაშვლი, ჯ. ამირანაშვილი – თეთრიწყაროს ექსპედიცია; გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი, ზ. მახარაძე – წალკა-თრიალეთის ექსპედიცია; ირ. ღამბაშიძე, რ. პაპუაშვილი – ბორჯომის ექსპედიცია; ალ. ორჯონიკიძე – სამუშაოები ახალციხის რაიონში. სამი მოხსენება მიეძღვნა ბაქო-სუფსის მილსადენზე წარმოებულ გათხრებს: ც. ჩიკოიძე – კუხეთის ექსპედიცია მილსადენზე; გ. მინდიაშვილი – გათხრები თედოწმინდის მონაკვეთზე; ვ. სადრაძე – გურიის ექსპედიცია. ერთი დღე დაეთმო აჭარაში არქეოლოგიური გათხრების ანგარიშებს: ნ. ხახუტაიშვილი – გონიოს ციხის მიდამოებში გამოვლენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების არქეოლოგიური კვლევის შედეგები; ა. კახიძე, მ. ვიკერსი (ოქსფორდი), გ. გრიგოლია, გ. თავამაიშვილი – არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე; ა. კახიძე, შ. მამულაძე, დ. მინდორაშვილი, მ. ხალვაში, ტ. ებრალიძე, ლ. ასლანიშვილი – გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე წარმოებული საველე სამუშაოების შედეგები (თითო მომხსენებლის მიერ დანაწევრებულად იყო წარმოდგენილი გარკვეულ მონაკვეთზე არქეოლოგიური გათხრების ანგარიში). სესიის დასასრულს ცენტრის დირექტორმა გააკეთა შემაჯამებელი მოხსენება – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2002 წელს.

27 მაისი. სამეცნიერო სესია მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებელის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალების წლისთავს. სესია გახსნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა ვ. ჯაფარიძემ. მოხსენებები: ოთ. ჯაფარიძე – ოთარ ლორთქიფანიძე საქართველოს ისტორიის ადრეული ეტაპების შესახებ; გრ. გიორგაძე – ოთარ ლორთქიფანიძე და ძველი ანატოლიური სამყარო; დ. მუსხელიშვილი – ოთარ ლორთქიფანიძე და ტრანსკავკასიური სავაჭრო მაგისტრალის პრობლემა; ნ. ლომოური – ოთარ ლორთქიფანიძე და ბერძნული კოლონიზაციის საკითხი; ა. ჭყონია – ოთარ ლორთქიფანიძე და ვანის ნაქალაქარი; ა. კახიძე – ოთარ ლორთქიფანიძე და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიის პრობლემები; ო. ლანჩავა – ოთარ ლორთქიფანიძე და ძველი ქუთაისი. მოგონებებით გამოვიდნენ რ. რამიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ხაზარაძე, ჯ. რუხაძე და სხვ.

23-24 ივნისი. X სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო;“ მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს. სესია გახსნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა ვ. ჯაფარიძემ. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს მიეძღვნა 3 მოხსენება: მ. ჩარკვიანი – ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოღვაწეობა საქართველოში; ა. ჭყონია – ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ოქრომჭედლობის საკითხები; შ. ჩართოლანი – ექვთიმე თაყაიშვილი და სვანეთი. დანარჩენ მოხსენებებში განხილული იყო საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა საკითხი: მ. აბრამიშვილი – ევრაზიის უძველეს კულტურათა გზაჯვარედინი (წინაისტორიული თბილისი); გ. ფხაკაძე – კავკასიის და წინა აზიის „რქიანი სადგრების“ შე-

სახებ; გ. ჩიქოვანი – ქართული ხის სახვნელი იარაღები: ერქვანი, გუთანი და მათი გავრცელება კავკასიაში; ირ. ღამბაშიძე – ლითონის წარმოების ზოგიერთი ასპექტი ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში (მესხეთის მასალების მიხედვით); გ. მირცხულავა – მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობათა ტიპების განვითარების შესახებ; ლ. წითლანაძე – მასალები შიდა ქართლის მთისპირეთის გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის გვიანბრინჯაოს ხანაში; ირ. სულთანიშვილი – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამიერკავკასიის ლაგმები; ნ. ახვლედიანი – აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგიური ურთიერთობის საკითხისათვის (სასირეთის განძი); ვ. ჩიხლაძე – ჟინვალის სამაროვნის № 364 სამარხეული კომპლექსი (იმპორტული მძივები); დ. მინდორაშვილი – ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის საკითხები ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონფერენციის მუშაობაში:

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის IV სამეცნიერო კონფერენციაზე (ახალციხე, 10-11 იანვარი) წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: მ. გაბუნია – ჯავახეთის მეზოლითური კულტურა; ლ. მაღრაძე – მარი ბროსე და სამცხე-ჯავახეთის სიძველეები.

ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე (5-6 ივნისი) წაკითხულია მოხსენებები: გ. ნიორაძე – ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანისში; ნ. ყიფიანი – წითელფიგურული კრატერი საჩხერიდან; მ. თურმანიძე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ელინისტური ხანის მინის მძივსაკიდები; ე. ბაღათურია – „მისიმიანეთის“-კოდორის ხეობის გზის მნიშვნელობისათვის ახ.წ. I-VI სს.; ი. ბერძენიშვილი – აფხაზეთის სამეკლესიანი ბაზილიკები; ხ. ჯორბენაძე – მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის დამსახურება მე-19 საუკუნის ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში; მ. რაზმაძე – ქართველი მწერლები არქეოლოგიური კვლევა-ძიების სათავეებთან (გიორგი წერეთელი); თ. ზარნაძე – პალეოურბანისტული კვლევის ისტორიისათვის საქართველოში (პლატონ იოსელიანი); ს. ხარაბაძე – „ვანის ქვეყანა“ ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

ერევანში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა“ (ერევანი, 17-18 ნოემბერი), რომლის ორგანიზატორთა რიცხვში იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრიც (კოორდინატორი გ. ღამბაშიძე), მოხსენებები გაგზავნა ცენტრის 15 თანამშრომელმა (გ. ნიორაძე, გ. ჩიქოვანი, ლ. ჯიბლაძე, გ. გოგოჭური, ნ. შანშაშვილი, ბ. მაისურაძე, გ. ფხაკაძე, გ. ნარიმანიშვილი, ლ. წითლანაძე, ვ. ჯაფარიძე, ნ. პაჭიკაშვილი, ვ. ჩიხლაძე, მ. ჩხატარაშვილი, გ. ბოლქვაძე. მოხსენებათა მოკლე შინაარსები გამოქვეყნდა – იხ. ქვემოთ).

ნიუ-იორკში, ბარნარდის კოლეჯში (კოლუმბიის უნივერსიტეტი) საერთაშორისო ვორქშოფზე – „უძველესი კერამიკა სამხრეთ კავკასიასა და მომიჯნავე რეგიონებში“ – მოხსენებებით გამოვიდნენ მ. ფუთურიძე – ადრეყორღანული კულტურისა და თრიალეთური კულტურის კერამიკული ნაწარმის შედარებისათვის; მ. აბრამიშვილი – მონაცემები საჯოგეს ნამოსახლარიდან (ძვ.წ. XIX-XIII სს.); გ. ბედიანაშვილი – ნაპრიალებორნამენტიანი კერამიკა.

### არქეოლოგიური საუბრები

თებერვალ-აპრილში, ოთხშაბათობით სისტემატურად იმართებოდა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ღია გაფართოებული სხდომები – „არქეოლოგიური საუბრები“ – არქეოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე: ზ. მახარაძე – არქეოლოგიური გათხრები ირანში; ირ. ღამბაშიძე – „საქართველო. განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან.“ გამოფენა ქ. ბოხუმსა და ქ. ვისბადენში; დ. ახვლედიანი – ძვ.წ. IV-III სს-ის კოლხეთის ისტორიის საკითხები კერამიკულ-ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით; დ. კაჭარავა – ვანის X საერთაშორისო სიმპოზიუმი; რ. პაპუაშვილი – კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის; ლ. მაღრაძე – საქართველოს არქეოლოგიის შესწავლის საკითხისათვის გაზეთ „Кавказ“-ის ფურცლებზე; თ. თოდუა – რომაული ფალარები კლდეეთის სამაროვნიდან; ნ. კიღურაძე – ბიჭვინტის სამაროვნის ჯარისკაცთა რომაული სანდლების-მოქლონების შემცველი სამარხები; ჯ. გვეტაძე – სკვითების ისტორიის ერთი საკითხისათვის; მ. ხუციშვილი – ზოგიერთი ცნობა საქართველოში ერნესტ შანტრის მოღვაწეობის შესახებ; მ. ფუთურიძე – ახალი მონაცემები თრიალეთური კულტურის დასავლეთანატოლიურ სამყაროსთან კონტაქტების შესახებ; ნ. მათიაშვილი – თეთრანგობიანი ამფორების თარიღისათვის; რ. რამიშვილი – ადრეული შუასაუკუნეების ძეგლების ქრონოლოგიის საკითხები.

### ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მუშაობა განაგრძო ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარმა (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი). ჩატარდა 3 სხდომა (მაისი). სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც ცეტრის მომხსენებლები (რ. რამიშვილი, გ. ბოლქვაძე, კ. წერეთელი), ისე მოწვეული მეცნიერები.

### სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

სამმა თანამშრომელმა (მ. მუმლაძე, ქ.რ. რამიშვილი, კოტე ფიცხელაური) არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (მ. მუმლაძის ავტორეფერატი გამოქვეყნდა 2002 წელს; ქ.რ. რამიშვილისა და კოტე ფიცხელაურის ავტორეფერატებზე მითითება იხ. ქვემოთ).

### ექსპედიციები

